ISSN 2449-2507

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი
Georgian National Academy of Sciences
Adjara Autonomous Republic Regional Scientific Centre

შრომები
VII
Transactions

ბათუმი 2021 Batumi

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“

მთავარი რედაქტორი: **ვანო პაპუნიძე**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,
აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგია:

ვანო პაპუნიძე - თავმჯდომარე
მიხეილ დონაძე - კომპიუტერულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი, მოადგილე
მარინე არეშიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სწავლული მდივანი
ვლადიმერ ბალაძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ნოდარ ბარამიძე - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი
დავით ბარათაშვილი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ვაჟა ბერიძე - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
ოთარ გოგოლიშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ამირან კახიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი
როლანდ კოპალიანი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ზაურ ლომთათიძე - აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი
ემზარ მაკარაძე - ბსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი
მიხეილ მახარაძე - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გურამ მემარნე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
მარიამ მეტრეველი - ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი
როინ მეტრეველი - აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
როინ მალაყმაძე - ისტორიის აკადემიური დოქტორი
ელგუჯა მემმარიაშვილი - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
გურამ პაპუნიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
უჩა ოქროპირიძე - ისტორიის აკადემიური დოქტორი
თამარ სირაძე - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
გაიოზ ფარცხალაძე - ტექნიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
ანთაზ ქიქავა - გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
მერაბ ხალვაში - ისტორიის აკადემიური დოქტორი, ბსუ რექტორი
ნანა ცეცხლაძე - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი, ქართული ტექსტის რედაქტორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო არეშიძე - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი, ინგლისური ტექსტის რედაქტორი

“Transactions” of the Adjara Autonomous Republic Regional Scientific Centre of the Georgian National Academy of Sciences

Editor-in-Chief - **Vano Papunidze**
Academic of the Georgian National Academy of Sciences,
Head of the Ajara Autonomous Republic Regional Scientific Center

EDITORIAL BOARD:

Vano Papunidze - Chairman
Mikheil Donadze - PhD in Computer Science, Associate Professor, Deputy Chairman
Marine Aroshidze - Doctor of Philological Sciences, Professor, Academic Secretary
Vladimer Baladze - Doctor of Physical and Mathematical Sciences, Professor
Nodar Baramidze - Doctor of Psychological Sciences, Professor Emeritus
Davit Baratashvili - Doctor of Biological Sciences, Professor
Vazha Beridze - Doctor of Economic Sciences
Otar Gogolishvili - Doctor of Historical Sciences, Professor
Amiran Kakhidze - Doctor of Historical Sciences, Professor Emeritus
Roland Kopaliani - Academician of the Georgian Agricultural Academy of Sciences
Zaur lomtatidze - President of the Abkhazian National Academy of Sciences, Academician
Mikheil Makharadze - Doctor of Philosophical Sciences, Professor
Emzar Makaradze - Head of the Department of Oriental Studies, Batumi Shota Rustaveli State University, Professor
Guram Memarne - PhD in Agriculture
Mariam Metreveli - PhD in Biology
Roin Metreveli - Academician, Vice-president of the Georgian National Academy of Sciences
Roin Malakmadze - PhD in History
Elguja Medzmariashvili - Academician of the Georgian National Academy of Sciences
Guram Papunidze - Academician of the Georgian Agricultural Academy of Sciences
Ucha Okropiridze - PhD in History
Tamar Siradze - PhD in Philology, Professor
Gaioz Partskhaladze - PhD in Technical Sciences, Professor
Antaz Kikava - PhD in Geology-Mineralogy, Professor
Merab Khalvashi - PhD in History, BSU Rector
Nana Tsetskhladze - PhD in Philology, Associate Professor, Editor of Georgian text
Nino Aroshidze - PhD in Philology, Associate Professor, Editor of English text

შინაარსი
TABLE OF CONTENTS

ინფორმატიკა-INFORMATICS

მ. დონაძე, ც.სარაჯიშვილი
კორპორაციულ კომპიუტერულ ქსელებში ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის შეფასების კრიტერიუმები

M. DONADZE, TS. SARAJISHVILI
DETERMINING THE CRITERIA FOR THE OPERATION AND RELIABILITY OF COMPUTER NETWORKS 9

K. KAKHIDZE, G. KAKHIANI
MULTI-AGENT DISCRETE MODELING OF EPIDEMICS

კ. კახიძე, გ. კახიანი
ეპიდემიების მრავალაგენტური დისკრეტული მოდელირება 20

მ. მახარაძე, გ. კახიანი
მრავალმომხმარებლიანი საინფორმაციო სისტემის აგება „LARAVEL-ის“ მეშვეობით

M. MAKHARADZE, G. KAKHIANI
BUILD A MULTI-USER INFORMATION SYSTEM THROUGH „LARAVEL“ 28

აგრარული მეცნიერებანი-AGRARIAN SCIENCES

ი. ჩხარტიშვილი, ს. პაპუნიძე, ნ. სეიდიშვილი, გ. პაპუნიძე, ზ. მიქელაძე
ელემენტების შემცველობა ტოპინამბურის (Helianthus tuberosum L.) ტუბერებში

I. CHKHARTISHVILI, S. PAPUNIDZE, N. SEIDISHVILI, G. PAPUNIDZE, Z. MIKELADZE
THE CONTENT OF ELEMENTS IN ARTICHOKE TUBERS (Helianthus tuberosum L.) 35

ნ. სეიდიშვილი, ი. ჩხარტიშვილი, ს. პაპუნიძე, დ. აბულაძე, ც. ბოლქვაძე
გრანულირებული მწვანე ჩაის დამზადება მცენარეული დანამატებით

N. SEIDISHVILI, I. CHKHARTISHVILI, S. PAPUNISZE, D. ABULADZE, TS. BOLKVADZE
MAKING GRANULATED GREEN TEA WITH HERBAL SUPPLEMENTS 44

აგროქიმია-AGROCHEMISTRY

ნ. კუტალაძე, ზ. მიქელაძე, დ. აბულაძე
რძიანას ქიმიური შემადგენლობის კვლევა, სამკურნალო თვისებების გამოვლენის მიზნით

N. KUTALADZE, Z. MIKELADZE, D. ABULADZE
STUDY OF THE CHEMICAL COMPOSITION OF MILKWEED TO REVEAL ITS HEALING PROPERTIES 50

მეტყევეობა-FORESTRY

В. ПАПУНИДЗЕ, Д. ДЖАШИ, Н. АРОШИДЗЕ
ВОПРОСЫ РЕСУРСОВЕДЕНИЕ БОТАНИЧЕСКИХ ОБЪЕКТОВ АДЖАРИИ

ვ. პაპუნიძე, დ. ჯაში, ნ. აროშიძე
აჭარის ბოტანიკური ობიექტების რესუსმცოდნეობის საკითხები 54

პედაგოგოკა- PEDAGOGY

ნ. ბასილაძე
ილია ჭავჭავაძე ბავშვთა ოჯახური აღზრდის შესახებ

N. BASILADZE
ILIA CHAVCHAVADZE ABOUT FAMILY UPBRINGING OF CHILDREN ……..... 79

პოლიტოლოგია-POLITICAL SCIENCE

V. KAKABADZE
THE PLACE OF THE PUBLIC DIPLOMACY IN GEORGIAN AND ABKHAZIAN (GEORGIA) POLITICS

ვ. კაკაბაძე
სახალხო დიპლომატიის ადგილი ქართულ და აფხაზურ პოლიტიკაში 85

ისტორია-HISTORY

ო. გოგოლიშვილი
ნიკოლოზ ლენდერი აჭარის შესახებ

O. GOGOLISHVILI
NIKOLAI LENDER ABOUT ADJARIA 92

თ. დავითაძე
რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და ამერიკის შეერთებული შტატები

T. DAVITADZE
2008 RUSSIAN - GEORGIAN WAR AND THE USA 98

ო. თურმანიძე
სახელმწიფო ორგანოები აჭარაში 1921-1940 წლებში

O. TURMANIDZE
STATE ORGANIZATIONS IN ADJARA IN 1921-1940 108

რ. მალაყმაძე, ნ. კახიძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 80 წლისაა

R. MALAKMADZE, N. KAKHIDZE
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES IS 80 YEARS OLD 125

ა. ვარშანიძე
მართლმადიდებლობა და ეროვნული იდენტობა ადრე შუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოში

A. VARSHANIDZE
ORTHODOXY AND NATIONAL IDENTITY IN EARLY MEDIEVAL WESTERN GEORGIA 135

ნ. ზოსიძე, ე. დიასამიძე
„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და ქართულ გერმანული ურთიერთობები 1914 -1918 წლებში

N. ZOSIDZE, E. DIASAMIDZE
"GEORGIAN INDEPENDENCE COMMITTEE" AND GEORGIAN-GERMAN RELATIONS IN 1914-1918 140

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა - L I T E R A R Y S T U D I E S

მ. დონგუზაშვილი
მოდერნისტული ტექსტის ერთი პარადიგმის გაგებისათვის (ანდრეი ბელის „პეტერბურგი“)

M. DONGUZASHVILI
ONE PARADIGM OF MODERNIST TEXT (ANDREI BELYI, “PETERSBURG”) 152

თ ა რ გ მ ა ნ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა - T R A N S L A T I O N S T U D I E S

ა. მახარაძე
თარგმანი და თარგმანმცოდნეობა საქართველოში

A. MAKHARADZE
TRANSLATION AND THEORY OF TRANSLATION IN GEORGIA 159

ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა - L I N G U I S T I C S

თ. ავალიანი, ე. ბარამიძე
ორსახელიანობის ზოგიერთი სოციოლინგვისტური ფაქტორის შესახებ (ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის მაგალითზე)

T. AVALIANI, E. BARAMIDZE
ON SOME SOCIOLINGUISTIC FACTORS OF BILINGUAL NOMINATION (BASED ON THE EXAMPLE OF THE ANTHROPONYMIC PROFILE OF UPPER AJARA) 167

ი უ ბ ი ლ ე

ნოდარ ბარამიძე
გამოჩენილი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე
პროფესორი მიხეილ მახარაძე - 75 174

მოგონება

აკადემიკოსი ვ. პაპუნიძე

მიზანსწრაფული სიცოცხლის დასანანი დასასრული 177

ეკონომიკა

პაატა გიორგაძე

საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის განმსაზღვრელი რესურსული პოტენციალის გამოვლენა მისი მატერიალურ სიმდიდრედ ფორმირება და ახალ ფინანსურ ინსტრუმენტად გამოყენების ინოვაციური გზები ხალხის საკეთილდღეოდ ……..... 179

წერილი რედაქციას

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების გამგეობა

იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ გულშემატკივრებისა და ვაიგულშემატკივრებისათვის... …….....……. 193

მეგზური ავტორთათვის …….……..... 198

GUIDE FOR AUTHORS …….……..... 199

ინფორმატიკა

კორპორაციულ კომპიუტერულ ქსელებში ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის შეფასების კრიტერიუმები

მიხეილ დონაძე
e-mail: mikheil.donadze@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ციცინო სარაჯიშვილი
e-mail: stistino.sarajishvili@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: ნაშრომში განხილულია კორპორაციული საინფორმაციო სისტემების და ქსელური რესურსების უსაფრთხოების საკითხები. აღწერილია კორპორაციული ქსელები, ინფორმაციის საფრთხეების ძირითადი სახეები და საინფორმაციო სისტემებზე შეტევის მოდელი.

გაანალიზებულია დაცვის საშუალებების ეფექტურობის შეფასების მეთოდები და შემუშავებულია კრიტერიუმები, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ინფორმაციული სისტემის უსაფრთხოების მდგომარეობის რაოდენობრივი შეფასება, ექსპერტების მოსაზრებების გათვალისწინებით. ეს მეთოდოლოგია იყენებს საფრთხეების არეალს, რაც საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემა, რომელიც თავისი მახასიათებლების შესაბამისად იქნება საფრთხეების მასშტაბის ტოლი. მოცემული მეთოდოლოგიის გამოყენება საშუალებას მოგვცემს არსებული სისტემების შესაფასებლად მივიღოთ გადაწყვეტილება მათი გაუმჯობესების და მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე თავიდან ავიცილოთ ინფორმაციული უსაფრთხოების ინსტრუმენტების არაეფექტური გამოყენება სისტემების დაპროექტების დროს.

საინფორმაციო და ქსელური რესურსების უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს საწარმოსა და ორგანიზაციის პრიორიტეტულ მხარეს, აქედან გამომდინარე, ნაშრომში შემუშავებული კორპორაციული საინფორმაციო ქსელის ინფორმაციული უსაფრთხოების კრიტერიუმები და ანალიზის შედეგად მიღებული შედეგები დაეხმარება ბიზნეს საწარმოს საინფორმაციო-ქსელური რესურსების დაცვაში.

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო სისტემები, კომპიუტერული ქსელები, ინფორმაციული უსაფრთხოება, კრიტერიუმები.

შესავალი. დღეისათვის ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების რეჟიმების ორგანიზება ნებისმიერი უცხო თუ ადგილობრივი კომპანიის განვითარების კრიტიკულად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ფაქტორს წარმოადგენს. ამავე დროს, როგორც წესი, ძირითადი ყურადღება ექცევა ინფორმაციის დაცვის სფეროში შესაბამისი მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური ჩარჩოს მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს. ამავდროულად დღეს მრავალი წამყვანი კომპანია, ბიზნესის უწყვეტობის შესანარჩუნებლად, იყენებს დამატებით ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს კორპორაციული ინფორმაციული სისტემების მუშაობის მდგრადობასა და სტაბილურობას.

იდს-ის (ინფორმაციის დაცვის სისტემის) აწყობის დროს ხშირად საინფორმაციო წყაროებში გვხვდება სისტემური მიდგომის კონცეფცია. სისტემურობის კონცეფცია არ არის მხოლოდ შესაბამისი დაცვის მექანიზმების შექმნა, ეს არის რეგულარული პრო-

ცესი, რომელიც ხორციელდება ინფორმაციული სისტემის სიცოცხლის ციკლის ყველა ეტაპზე. ამავე დროს, ინფორმაციის დასაცავად გამოყენებული ყველა საშუალება, მეთოდი და ღონისძიება გაერთიანებულია ერთ, მთლიან მექანიზმად - დაცვის სისტემაში. სამწუხაროდ, ინფორმაციული ტექნოლოგიის უსაფრთხოების საკითხებისადმი სის-ტემური მიდგომის საჭიროებამ ჯერ კიდევ ვერ იპოვა სათანადო გაგება თანამედროვე ინფორმაციული სისტემების მომხმარებლებში [1].

დღეისათვის მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, იძულებულნი არიან გაუმკლავდნენ ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ მომდევნო ასი წლის განმავლობაში კაცობრიობას ცხოვრება მოუწევს ინფორმაციული ტექნოლოგიების საზოგადოებაში, სადაც გადაინაცვლებს კაცობრიობის ყველა სოციალური პრობლემა, მათ შორის უსაფრთხოების საკითხებიც.

კორპორაციული ქსელების აღწერა. მცირე საწარმოს კორპორაციული ქსელის მაგალითი ნაჩვენებია ნახ. 1-ზე. დიაგრამაზე ნაჩვენებია: ცენტრალური ოფისი საკუთარი ადგილობრივი ლოკალური კომპიუტერული ქსელით, დისტანციურ კლიენტებთან მუშაობა, დისტანციურ მომხმარებლებთან მუშაობა - კორპორაციის თანამშრომლები, ტერიტორიულად განაწილებული ოფისების დაკავშირება მთავარ ოფისთან და პარტნიორთა ქსელებთან კავშირი. კორპორაციულ ქსელს აქვს ყველა საჭირო მომსახურება კომპანიის ბიზნეს საქმიანობის წარმართვისთვის [4].



ნახ.1. საშუალო ზომის საწარმოს კორპორაციული ქსელის სქემა

კორპორაციული ქსელის უპირატესობებთან ერთად არსებობს მთელი რიგი უარყოფითი მხარეები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის ნორმალურ ფუნქციონირებას. კორპორაციული ქსელების ძირითადი და მთავარი პრობლემა იყო და არის ინფორმაციის უსაფრთხოება. დღეისათვის, ინფორმაციის ხანაში, ინფორმაციის რესურსების დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს ბიზნეს საწარმოს გაკოტრება. შედეგად, მსხვილ კომპანიებს უწევთ თანხების დახარჯვა ქსელების უსაფრთხოების

სათანადო დონეზე შესანარჩუნებლად, მაგრამ ამის მიუხედავად, ეს კორპორაციული ქსელების ტექნოლოგიას ნაკლებად მიმზიდველს არ ხდის ბიზნესის მოწყობისათვის, პირიქით, დღეს მსხვილი კომპანიების უმრავლესობა თავიანთ საქმიანობას საინფორმაციო სისტემების ხარჯზე ახორციელებს [1].

საფრთხეების მოდელი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კორპორაციული საინფორმაციო სისტემის ნორმალური ფუნქციონირების ერთ - ერთი მთავარი ამოცანა და ბიზნესის წარმატების მხარდაჭერა, არის იმ ინფორმაციის მიმოქცევის უსაფრთხოება, რომელიც მასში ვრცელდება.

ზოგადად, ამ შემთხვევაში არსებობს ინფორმაციული რესურსების საფრთხეების შემდეგი ძირითადი ტიპები:

- კონფიდენციალობის დარღვევა
- მთლიანობის დარღვევა
- წვდომის დარღვევა
- მონიტორინგის დარღვევა
- აუტენტიფიკაციის დარღვევა

საინფორმაციო სისტემებზე შეტევის მოდელი. ინფორმაციის დაცვის საშუალებების დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობებიდან და, შესაბამისად, დაცული ინფორმაციის ღირებულებიდან გამომდინარე, არსებობს დამრღვევის შესაძლებლობების ოთხი დონე:

ნულოვანი დონე - ინფორმაციის შემთხვევითი უნებლიე გაცნობა (არხის შემთხვევითი მოსმენა);

პირველი დონე - სისტემაში შემოჭრილს აქვს შეზღუდული შესაძლებლობები. იგი დამოუკიდებლად ქმნის თავდაცვის სისტემის საშუალებებზე, აგრეთვე ინფორმაციულ და სატელეკომუნიკაციო სისტემებზე თავდასხმის მეთოდებს, საერთო პროგრამული საშუალებების გამოყენებით;

მეორე დონე - კორპორაციული ტიპის დამრღვევს აქვს სპეციალური ტექნიკური საშუალებების შექმნის შესაძლებლობა, რომელთა ღირებულება კავშირშია შესაძლო ფინანსურ ზარალთან დაცული ინფორმაციის დაკარგვის, შეცვლის ან განადგურების შემთხვევაში.

მესამე დონე - დამრღვევს აქვს სამეცნიერო-ტექნიკური რესურსი, რომელიც უტოლდება ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნის სპეციალური სამსახურის სამეცნიერო-ტექნიკურ რესურსს.

ორგანიზაციების კორპორაციული ქსელებში შესაძლოა შეგხვდეს ყველა დონის დამნაშავე. ეს შეიძლება იყოს კომპანიის თანამშრომლები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან თავიანთი არაკომპეტენტურობის გამო ან მიზანმიმართულად ზიანს აყენებენ კომპანიას და ასევე ჰაკერების საზოგადოება, რომელიც ცდილობენ კონკურენტი ფირმების დაკვეთით ზიანი მიაყენოს კომპანიას.

უსაფრთხოების შეფასების პრობლემის ამოცანის დასმა. უსაფრთხოების საჭირო დონის შენარჩუნება გადაუდებელი საკითხია მრავალი ორგანიზაციისათვის, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო. ამიტომ, ამ საკითხის მოგვარებაში დიდი ფული იხარჯება. გამოწვევაა უსაფრთხოების ეფექტური სისტემის შექმნა, რომელიც არა მხოლოდ უზრუნველყოფს გარანტირებული დონის დაცვას, არამედ მაქსიმალურად დააკმაყოფილებს კომპანიის საჭიროებებს. ამავდროულად, როგორც წესი, ყურადღება ექცევა სხვადასხვა ტექნიკური გადაწყვეტილებების აღწერას, ცნობილი აპარატული და პროგრამული საშუალებების ინსტრუმენტების უპირატესობებსა და ნაკლოვანებების ანალიზს [2].

ინფორმაციის დაცვის დაპროექტებაში მთავარია ეფექტურობა, ეფექტურობა პირდაპირ უკავშირდება სისტემის სხვა მახასიათებლებს, მათ შორის ხარისხს, საიმედოობას, კონტროლირებადობას, სტაბილურობას.

ამიტომ, ეფექტურობის რაოდენობრივი შეფასება საშუალებას იძლევა გავზომოთ და ობიექტურად გავაანალიზოთ სისტემების ძირითადი თვისებები მათი არსებობის ციკლის ყველა ეტაპზე, დაწყებული მოთხოვნების ფორმირებისა და წინასწარი დიზაინის ეტაპიდან.

ამრიგად, თანამედროვე მეთოდური ჩარჩოს გამოყენებისას, ინფორმაციის უსაფრთხოების სისტემის ეფექტურობის შეფასება ძირითადად გაურკვეველი და სუბიექტურია. პრაქტიკულად არ არსებობს სტანდარტიზებული რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც გაითვალისწინებენ შესაძლო შემთხვევით ან განზრახ გავლენას. შედეგად, საკმაოდ რთულია და ხშირად შეუძლებელიც ინფორმაციული სისტემის ფუნქციონირების ხარისხის შეფასება მის ელემენტებზე არასანქცირებული გავლენის არსებობისას და შესაბამისად, იმის დადგენა, თუ რატომ არის უკეთესი შექმნილი მოდელის ერთი ვერსია, ვიდრე სხვა. როგორც ჩანს, ინფორმაციის უსაფრთხოების სისტემების ეფექტურობის კომპლექსური შეფასების პრობლემის გადაჭრა არის სისტემური მიდგომის გამოყენება, რომელიც საშუალებას იძლევა პროექტირების ეტაპზე შეფასდეს უსაფრთხოების დონე და შეიქმნას რისკის მართვის მექანიზმი. ამასთან, ეს გზა რეალიზდება, თუ არსებობს მაჩვენებლებისა და კრიტერიუმების შესაბამისი სისტემა [3].

სტატიაში აღწერილი ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების მეთოდოლოგია ემყარება აზრს, რომ დაცულ სისტემაში რისკების დონე უნდა იყოს მინიმალური, ვიდრე დაუცველი სისტემის რისკების დონე. ამ სიტუაციაში შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაციის უსაფრთხოების დონის რაოდენობრივი შეფასება. შეფასების სიზუსტის დონე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ინფორმაციის უსაფრთხოების მოთხოვნების ჩამონათვალის სისრულეზე, საფრთხეების ჩამონათვალის მოთხოვნების შესაბამისად.

ეფექტური გადაწყვეტის შერჩევის პრობლემა. ადამიანის ნებისმიერი მიზანმიმართული საქმიანობა, ყოველდღიური ცხოვრებიდან დაწყებული პროფესიული საქმიანობით დასრულებული, წარმოადგენს განხორციელებული გადაწყვეტილებების უწყვეტ თანმიმდევრობას. ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი განასხვავებს კვალიფიციურ სპეციალისტებს სტანდარტული მომხმარებლებისაგან.

ზოგადად, მიღებული გადაწყვეტილებები განსხვავდება შედეგების მნიშვნელობით, სიტუაციის თავისებურებით, საწყისი ინფორმაციის სისრულითა და სიზუსტით, მაგრამ ფორმალური თვალსაზრისით, მათ აქვთ საერთო მეთოდოლოგია და რეალიზების ინსტრუმენტები. ფორმალური თვალსაზრისით, ისინი შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც ერთი განზოგადებული მოდელით, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პრობლემის კონკრეტული შინაარსისთვის უცვლელია. ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს განზოგადებული გადაწყვეტილების მიღების პროცედურის შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- მიზნის ფორმირება, მისი ანალიზი და ფორმალიზაცია;
- მიზნის მიღწევის შესაძლო სხვადასხვა გზის განსაზღვრა (გადაწყვეტილებების სიმრავლე);
- შეფასების ფორმირება, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევადაროთ (დავალაგოთ) შესაძლო გადაწყვეტილებები ხარისხის მიხედვით;
- შესაძლო სიმრავლიდან ექსტრემალურის არჩევა ე.ი. ერთადერთი საუკეთესო გადაწყვეტილება ხარისხის მიხედვით; [3]

გადაწყვეტილების მიღების თეორიაში, ჩამოთვლილი ამოცანების ერთობლიობა

ქმნის საერთო გადაწყვეტილების პრობლემას, მესამეს ეწოდება შეფასების პრობლემა, ხოლო მეოთხეს - ოპტიმიზაციის პრობლემა.

გადაწყვეტილების მიღების ზოგადი ამოცანის ამოხსნის საბოლოო მიზანია x ამონახსნის შესაძლო სიმრავლიდან ერთადერთი საუკეთესო ამონახსნის არჩევა, ანუ ექსტრემალური გადაწყვეტილება შერჩეული კონკრეტული კრიტერიუმების შესაბამისად.

$$x^o = \arg \underset{x \in X}{extr}\{k_i(x)\}, i = \overline{1,n} \qquad (1)$$

თუ ამოცანა ერთკრიტერიუმიანია, ეს ნიშნავს, რომ პროცესის შეფასება ხდება ეფექტურობის ერთადერთი მაჩვენებლის მიხედვით, ანუ გვაქვს ერთადერთი მიზნის ფუნქცია და ამოხსნის მეთოდი დამოკიდებულია შესაბამისი მათემატიკური მოდელის სახეზე, ამოხსნის მეთოდზე, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენება.

რამდენადაც, პრაქტიკულ ამოცანათა უმრავლესობაში საუკეთესო გადაწყვეტილების მიღება გვიხდება არა ეფექტურობის ერთადერთი მაჩვენებლის (ერთადერთი კრიტერიუმის), არამედ რამდენიმე მაჩვენებლის მიხედვით, ჩვენთვის საინტერესოა შემთხვევა, როცა n>1 და შესაბამისად, გვაქვს მრავალკრიტერიუმიანი ოპტიმიზაციის ამოცანა. თავის მხრივ, ნებისმიერი მრავალკრიტერიუმიანი ოპტიმიზაციის ამოცანის ამოხსნა, საბოლოოდ დაიყვანება ერთადერთ კრიტერიუმზე, ოღონდ არსებობს სხვადასხვა მეთოდი, რომლების ერთმანეთისაგან განსხვავდება და რომელიმე მათგანის გამოყენება უფრო ხშირად, დამოკიდებულია კონკრეტულ სფეროზე, სადაც გვიხდება მრავალკრიტერიუმიანი პრობლემის გადაწყვეტა. თუ n> 1, ჩვენს შემთხვევაში ამოცანა არის მრავალკრიტერიუმიანი, მისი ერთმნიშვნელოვანი ამოხსნა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და ზოგადად, ამოცანას არ აქვს ერთადერთი ამონახსნი.

მრავალკრიტერიუმიანი ოპტიმიზაციის ამოცანა (1) არ იძლევა დასაშვები x სიმრავლიდან ერთადერთი ოპტიმალური ამონახსნის განსაზღვრის საშუალებას. ამ არაკორექტულობის აღმოფხვრა შესაძლებელია ამოცანის რეგულარიზაციის გზით, ე.ი. დამატებითი ინფორმაციის შემოღებით (მათემატიკური ურთიერთობების ან წესების, რომელთაც უზრუნველყოფენ ერთადერთი ამონახსნის შერჩევას). არაკონსტრუქციული მიდგომის განხორციელებისას, რეგულირებული (შერჩეული) ინფორმაციიდან გადაწყვეტილების მიმღები პირი გადაწყვეტილების იღებს ინტუიციურ დონეზე.

ამ პრობლემის გადაჭრის ზოგადი მიდგომა მდგომარეობს მრავალკრიტერიუმიანი ამოცანის გარდაქმნაში ერთკრიტერიუმიან ამოცანად სკალარული კრიტერიუმით. ეს გამოწვეულია შემდეგი ორი მიზეზით. პირველი, სკალარული რაოდენობრივი კრიტერიუმის მნიშვნელობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც რიცხვითი ღერძის წერტილი და ასეთი წერტილების რანჟირება არ არის რთული, რადგან უპირატესობისა და ეკვივალენტურობის ურთიერთობები შესაბამისად გადაიქცევა უტოლობად (>) და ტოლობად (=). მეორეც, ექსტრემუმის პოვნის ყველა მეთოდი ორიენტირებულია სკალარულ ფუნქციაზე.

მრავალკრიტერიუმიანი ოპტიმიზაციის ამოცანის ერთკრიტერიუმიანად გადაქცევის რამდენიმე გზა არსებობს. ამ მეთოდებიდან ერთ-ერთია „მთავარი კრიტერიუმის მეთოდი“, რომელსაც შემდგომში გამოვიყენებთ დაცვის სისტემის ეფექტურობის შესაფასებლად საოპტიმიზაციო ამოცანის ამოხსნისათვის [5].

პრინციპი ემყარება ძირითადი კრიტერიუმის იდენტიფიცირებას და ყველა სხვა კრიტერიუმის შეზღუდვებში გადაყვანას.

ამისათვის ტარდება მრავალკრიტერიუმიანი ამოცანის კონკრეტული მახასიათებლების ანალიზი. კერძო კრიტერიუმებისგან შეირჩევა ერთი - ყველაზე მნიშვნელოვანი და იგი მიიღება როგორც ერთადერთი ოპტიმიზაციის კრიტერიუმი. თითოეული სხვა კონკრეტული კრიტერიუმისთვის გამოყოფილია ზღვრული მნიშვნელობა, რომლის ქვემოთ ის ვერ დაეცემა. ამრიგად, ყველა კონკრეტული კრიტერიუმი, გარდა ერთისა, გადაიქცევა შეზღუდვად, რომლებიც დამატებით შეავიწროებს შესაძლო გადაწყვეტილებების x არეალს. მაშინ მრავალკრიტერიუმიანი ამოცანა (1) გადაიქცევა ერთკრიტერიუმიან ამოცანად.

$$\begin{aligned} x^{o} &= \arg \underset{x \in X}{extr}\, k^{*}(x), \\ k_i(x) &\geq (\leq) k_i^{\text{ც}}(x), i = \overline{1, n-1}, \end{aligned} \qquad (2)$$

სადაც $k^{*}(x)$ - არის საოპტიმიზაციო სკალარული კრიტერიუმი; $k_i^{\text{ც}}(x)$ – კერძო კრიტერიუმების-შეზღუდვების ყველაზე ცუდი დასაშვები მნიშვნელობები; ">" ნიშანი გამოიყენება ისეთი კრიტერიუმებისთვის, რომლებიც უნდა გავზარდოთ და "<" ნიშანი გამოიყენება შემცირებისთვის.

ყველა სხვა კრიტერიუმისთვის ძირითადი (ოპტიმიზაციის) კრიტერიუმისა და $k_i^{\text{ც}}(x)$ შეზღუდვების დონის ამოღება არის სუბიექტური ოპერაცია, რომელსაც ახორციელებენ ექსპერტები ან გადაწყვეტილების მიმღები პირები. უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტის განხილვა და შედეგების შედარება.

განხილული მეთოდის განხორციელებისას საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ კერძო კრიტერიუმებით მოცემული გადაწყვეტილებების დასაშვები სიმრავლე არ იყოს ცარიელი [5].

ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის შეფასების კრიტერიუმები. საქმიანობის ნებისმიერ სფეროში ეფექტური საინფორმაციო სისტემის არჩევისთვის, გასათვალისწინებელია, რომ სისტემა აკმაყოფილებდეს გარკვეული კრიტერიუმებს, რომელთა დაკმაყოფილების საფუძველზეც ხდება არჩევანის გაკეთება. ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემებისათვის ასეთი პარამეტრებია: წარმადობა, მართვა, თავსებადობა, ღირებულება, უსაფრთხოება და ა.შ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მახასიათებლების ამგვარი ნაკრებისთვის ოპტიმალური სისტემის არჩევა კლასიკური ოპტიმიზაციის ამოცანაა და შეიძლება ყოველთვის არ ჰქონდეს ეფექტური ამოხსნა. უფრო მეტიც, მრავალი პარამეტრი წინააღმდეგობრივია: უსაფრთხოების დონის ზრდასთან ერთად, მაგალითად, იზრდება ღირებულება, ადმინისტრირების სირთულე, ამავდროულად, იკლებს წარმადობა. ამრიგად, ჩვენს მეთოდოლოგიაში სისტემის ეფექტურობა შეფასდება უსაფრთხოების პარამეტრის შესაბამისად, როგორც ინფორმაციის უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფილი დონის დამახასიათებელი ძირითადი მაჩვენებელი, ხოლო დანარჩენი მახასიათებლებისთვის დაწესდება შეზღუდვები:

$$Z = f(C_{\text{ინფ}}, P_{\text{შეღ}}, M_{\text{იუს}}, K),$$

სადაც $C_{\text{ინფ}}$ - ინფორმაციის დაცულობის ღირებულება (მაჩვენებელია);

$P_{\text{შეღ}}$ - შეღწევის (სისტემაში შეჭრის) ალბათობა;

$M_{\text{იუს}}$ -ინფორმაციის უსაფრთხოების სისტემის ღირებულება (ფასი);

K - სისტემის წარმადობა.

უსაფრთხოების სისტემის წარმოდგენილი კონცეფციის გათვალისწინებით, ოპტიმიზაციის ამოცანას წარმოადგენს უსაფრთხოების მაქსიმალური დონის უზრუნველყოფა (როგორც დაცული ინფორმაციის ღირებულების ფუნქცია და შეღწევის ალბა-

თობა) უსაფრთხოების სისტემის მინიმალური ღირებულებით და მისი მინიმალური ზემოქმედებით სისტემის ეფექტურ მუშაობაზე:

$$Z^{opt} = \max Z\,(C_{\text{ინფ}}, P_{\text{შეღ}}, M_{\text{იუს}}, K).$$

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება, დაცვის სისტემის შემუშავების ამოცანის მულტი კრიტერიუმიანი ხასიათის შესახებ. ამ შემთხვევაში, უსაფრთხოების უზრუნველყოფილი დონის გარდა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სისტემის რიგი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლები. მაგალითად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დაცვის სისტემის გავლენა დაცული ობიექტის გამოთვლითი რესურსის დატვირთვაზე, რომელიც დროის ერთეულზე ობიექტის მიერ გადაჭრილი გამოყენებული პრობლემების რაოდენობით[5].

უსაფრთხოების სისტემის შემუშავების ამოცანის საწყისი პარამეტრები, აგრეთვე ამოცანის ერთ კრიტერიუმამდე შემცირების შესაძლებლობა, ნაჩვენებია ნახ. 2-ზე [6].



ნახ. 2. უსაფრთხოების შეფასების კრიტერიუმები

ქსელის დაცულობის შეფასება რისკების გათვალისწინებით. განვიხილოთ სისტემის უსაფრთხოება რისკების თვალსაზრისით. გაითვალისწინეთ, რომ რისკის თეორიის გამოყენება უსაფრთხოების დონის შესაფასებლად დღესდღეობით პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენება. რისკი (R) არის დაცულობის საფრთხეებისგან მიღებული პოტენციური ზარალი: $R(p) = F_{\text{ინფ}} * A_{\text{შეღ}}$.

არსებითად, რისკის პარამეტრი აქ შემოდის, როგორც უსაფრთხოების ორი ძირითადი პარამეტრის მულტიპკაციური ერთობლიობა. სადაც:

$C_{\text{ინფ}}$ - დაცული ინფორმაციის ღირებულება;

$p_{\text{შეღ}}$ - შეღწევის ალბათობა;

$K_{\text{იდს}}$ - ინფორმაციის დაცვის სისტემის ღირებულება; M - სისტემის წარმადობა.

მეორეს მხრივ, რისკი შეიძლება ჩაითვალოს დანაკარგებად დროის ერთეულზე:

$R(\lambda)=C_{\text{ინფ}} \cdot \lambda_{\text{შეღ}}$,

სადაც $\lambda_{\text{შეღ}}$ - შეღწევის ნაკადის ინტენსიურობა;

ეს ორი ფორმულა უკავშირდება ერთმანეთს შემდეგი თანაფარდობით:

$$p_{\text{შეღ}} = \frac{\lambda_{\text{შეღ}}}{\Lambda}$$

სადაც Λ ნაკადის ზოგადი ინტენსიურობა ძირითადი თვისებების დარღვევის არასანქცირებული მცდელობა ბოროტმოქმედების მიერ.

როგორც უსაფრთხოების მთავარი კრიტერიუმი, ჩვენ გამოვიყენებთ უსაფრთხოების კოეფიციენტს (D), რომელიც გვიჩვენებს დაცულ სისტემაში რისკის შემცირებას დაუცველ სისტემასთან შედარებით.

$$D\% = \left(1 - \frac{R_{\text{დაცული}}}{R_{\text{დაუცველი}}}\right) * 100\%, \qquad (3)$$

სადაც $R_{\text{დაცული}}$ - რისკი დაცულ სისტემაში;

$R_{\text{დაუცველი}}$ - რისკი დაუცველ სისტემაში.

ამრიგად, ამ შემთხვევაში, ოპტიმიზაციის ამოცანა ასე გამოიყურება:

$$\begin{cases} D(C_{\text{ინფ}}, p_{\text{შეღ}}) \to \max; \\ K_{\text{იდს}} \to \min; \\ M_{\text{იდს}} \to \min. \end{cases}$$

ამ ამოცანის ამოხსნისათვის დავიყვანოთ იგი ერთკრიტერიუმიანამდე და დავაწესოთ შეზღუდვების შემოღებით. შედეგად, მივიღებთ:

$$\begin{cases} D(C_{\text{ინფ}}, p_{\text{შეღ}}) \to \max; \\ K_{\text{იდს}} \le K_{\text{მოც}}; \\ M_{\text{იდს}} \ge M_{\text{მოც}}; \end{cases}$$

სადაც $K_{\text{მოც}}$ და $M_{\text{მოც}}$ – არის მოცემული შეზღუდვები დაცვის სისტემის ღირებულებასა და სისტემის წარმადობაზე.

სამიზნე ფუნქცია შერჩეულია იმის საფუძველზე, რომ იგი ასახავს დაცვის სისტემის მთავარ ფუნქციურ დანიშნულებას - ინფორმაციის უსაფრთხოებას.

სისტემის წარმადობის $M_{\text{იდს}}$ გამოთვლა ხდება მასიური მომსახურების თეორიის მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით. პრაქტიკაში შესაძლებელია წარმადობის შეზღუდვის შემოღება არა უშუალოდ სისტემის საჭირო წარმადობის სახით, არამედ ინფორმაციული სისტემის წარმადობის შემცირების სახით $dM_{\text{იდს}}$. ამ შემთხვევაში, ოპტიმიზაციის ამოცანა ასე გამოიყურება:

$$\begin{cases} D(C_{\text{ინფ}}, p_{\text{შეღ}}) \to \max; \\ K_{\text{იდს}} \to \min; \\ dM_{\text{იდს}} \to \min, \end{cases}$$

და ერთკრიტერიუმამდე შემცირების შემდეგ:

$$\begin{cases} D(C_{\text{ინფ}}, p_{\text{შეღ}}) \to \max; \\ K_{\text{იდს}} \le K_{\text{მოც}}; \\ dM_{\text{იდს}} \le dM_{\text{მოც}}. \end{cases}$$

სადაც $K_{\text{მოც}}$ და $dM_{\text{მოც}}$ - უსაფრთხოების სისტემის ღირებულებაზე და წარმადობის შემცირებაზე მოცემული შეზღუდვები.

თუ უსაფრთხოების კოეფიციენტის (D) გამოანგარიშებული მნიშვნელობა არ აკმაყოფილებს დაცვის სისტემის მოთხოვნებს, მაშინ მისაღებ ფარგლებში შესაძლოა შეიცვალოს მითითებული შეზღუდვები და ამოცანის ამოხსნა შესაძლებელია დათმობის თანმიმდევრული შერჩევის მეთოდით. ამავდროულად, დადგენილია ხარჯების ზრდა და წარმადობის შემცირება.

$K^*_{\text{მოც}} = K_{\text{მოც}} + \Delta K$,

$M^*_{\text{მოც}} = M_{\text{მოც}} - \Delta M$ ან $dM^*_{\text{მოც}} = dM_{\text{მოც}} + \Delta dM$.

ამ ფორმით, ამოცანა იხსნება იტერაციული პროცედურის რეალიზების შედეგად, ვარიანტების შერჩევის გზით, რომლებიც არ აკმაყოფილებენ შემზღუდავ პირობებს, და შემდეგ არჩევენ დარჩენილი ვარიანტებიდან ვარიანტს უსაფრთხოების მაქსიმალური კოეფიციენტით.

უსაფრთხოების კოეფიციენტი გამოვხატოთ საფრთხის პარამეტრების თვალსაზრისით. ზოგადად, სისტემაში მრავალი სახის საფრთხე არსებობს. ამ პირობებში, ჩვენ ვაყენებთ შემდეგ მნიშვნელობებს:

W – სისტემაზე მოქმედი საფრთხეების ტიპების რაოდენობა;

$C_i(i=\overline{1,w})$ – i-ური ტიპის შეღწევის ზარალის ღირებულება;

$\lambda_i(i=\overline{1,w})$ – i-ური ტიპის შეღწევის ნაკადის ინტენსიურობა;

$Q_i(i=\overline{1,w})$ – საფრთხეების რეალიზაციის მცდელობების ზოგადი ნაკადის i-ური ტიპის საფრთხეების გაჩენის ალბათობა, სადაც $Q_i=\frac{\lambda_i}{\Lambda}$; $p_i(i=\overline{1,w})$ – i-ური ტიპის სისტემური დაცვის საფრთხეების მოგერიების ალბათობა. შესაბამისად, დაცვის სისტემის შეღწევისაგან ზარალის კოეფიციენტისათვის გვაქვს:

$$R(p)=\sum R_i(p)=\sum C_i * p_{\text{საფრ}\_i},$$

$P_{\text{საფრ } i} = Q_i*(1-p_i)$.

სადაც $R_i(p)$ - არის i-ური ტიპის შეღწევისაგან დანაკარგის კოეფიციენტი; ნაჩვენებია *i*-ური ტიპის ერთი შეღწევისაგან მიღებული საშუალო ზარალი.

დაუცველი სისტემისთვის $P_{\text{საფ } i} = Q_i$,

დაცული სისტემისთვის $P_{\text{საფ } i} = Q_i*(1-p_i)$.

შესაბამისად, დროის ერთეულზე დაცვის სისტემის გატეხვით გამოწვეული ზარალის კოეფიციენტი, იქნება:

$$R(\lambda)=\sum_1^w R_i(\lambda)=\sum_1^w C_i * \lambda_{\text{საფ}\_i},$$

სადაც $R_i(\lambda)$ - არის i-ური ტიპის შეღწევისაგან ზარალის კოეფიციენტი დროის ერთეულზე. დაუცველი სისტემისათვის $\lambda_{\text{საფ}\_i}=\lambda_i$; დაცული სისტემისათვის კი $\lambda_{\text{საფ}\_i}=\lambda_i*(1-p_i)$. შესაბამისად, (3)-დან გვაქვს:

$$D=1-\frac{\sum_1^w C_i * Q_i * (1-p_i)}{\sum_1^w C_i * Q_i}=1-\frac{\sum_1^w C_i * \lambda_i * (1-p_i)}{\sum_1^w C_i * \lambda_i} \quad (4)$$

თუ საფრთხეების შესაძლო გამოჩენის საწყისი ალბათობის პარამეტრი, იქნება Q_i, მაშინ მოსახერხებელია უსაფრთხოების კოეფიციენტის გამოთვლა საფრთხეების გაჩენის ალბათობის თვალსაზრისით. თუკი საწყისი პარამეტრების სახით მოცემულია საფრთხეების ნაკადის ინტენსივობა λ_i, მაშინ, ბუნებრივია, უსაფრთხოების კოეფიციენტი გამოითვლება ინტენსივობის მიხედვით.

ცხადია, რომ დამცავი სისტემის შემუშავების ნებისმიერი მათემატიკური მეთოდის გამოყენებისას აუცილებელია გარკვეული თავდაპირველი პარამეტრების დაყენება, მისი უსაფრთხოების შესაფასებლად. ამასთან, სწორედ ამას უკავშირდება დაცვის სისტემის სინთეზის ამოცანის ფორმალიზაციის ძირითადი პრობლემები, საფრთხეების ალბათობისა და ინტენსივობის დადგენა. [6,7,8].

ამრიგად, უსაფრთხოების დონის ანალიზის მთელი პროცესი პირობითად შეიძლება დაიყოს მიღებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის და დაცვის სისტემის პარამეტრების მოდიფიკაციის ეტაპებად.

ნაშრომში შემუშავებული კრიტერიუმები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ საინფორმაციო სისტემის უსაფრთხოების დონე ინფორმაციის უსაფრთხოების გარკვეული საშუალებებით და შესაბამისად, შევაფასოთ ინფორმაციის უსაფრთხოების საშუალებების ეფექტურობა. წარმოდგენილი მეთოდის გამოყენებით ჩვენ შევაფასებთ კორპორაციული საინფორმაციო სისტემის უსაფრთხოებას, სისტემის კომპიუტერული ქსელის დაცვის ასპექტში. ვინაიდან ინფორმაციის უსაფრთხოების მხრივ ეს სფერო ძალიან

დინამიურია და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს [9].

დასკვნა. ნაშრომში განხილულია კორპორაციული საინფორმაციო სისტემების და ქსელური რესურსების უსაფრთხოების საკითხები. ინფორმაციის საფრთხეების ძირითადი სახეები და საინფორმაციო სისტემებზე შეტევის მოდელი. ნაშრომში შემუშავდა მეთოდოლოგია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შეფასდეს კორპორაციული საინფორმაციო სისტემის უსაფრთხოების დონე. მეთოდოლოგიის შედეგად მივიღეთ უსაფრთხოების რაოდენობრივი შეფასება მთლიანი ინფორმაციული სისტემისთვის. უსაფრთხოების დონე განისაზღვრება, როგორც დაცული სისტემის რისკების თანაფარდობა დაუცველი სისტემის რისკებთან. მეთოდოლოგია ემყარება სისტემების რისკების გამოყენებით შეფასების მიდგომას. რისკზე დაფუძნებული მიდგომა ხორციელდება ინფორმაციის უსაფრთხოების მრავალ სფეროში, რადგან ის საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტად აღწეროთ საინფორმაციო რესურსები და ინფორმაციის რესურსების მიხედვით ორგანიზაციის საქმიანობის კრიტიკულობის დონემდე.

შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენება შესაძლებელია საწარმოს საინფორმაციო სისტემის უსაფრთხოების დონის შესაფასებლად საქმიანობის ყველა სფეროში. კრიტერიუმები შეიძლება მოერგოს საწარმოს კონკრეტულ საჭიროებებს, მისი ფუნქციონირებისა და ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით.

INFORMATIC

DETERMINING THE CRITERIA FOR THE OPERATION AND RELIABILITY OF COMPUTER NETWORKS

MIKHEIL DONADZE
e-mail: mikheil.donadze@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University

TSITSINO SARAJISHVILI
e-mail: tsitsino.sarajishvili@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University

The paper discusses the security of corporate information systems and network resources. The paper describes corporate networks, key types of information threats, and attack models on information systems. Methods of assessing the effectiveness of security measures are also analyzed. Together with the criteria that allow us to quantify the security situation of the information system, taking into account the opinions of experts. This methodology uses the threat area, which will allow us to develop an information security system that, according to its characteristics, will be equal to the scale of the threats. The use of this methodology will allow us to evaluate existing systems, make decisions about their improvement and feasibility, as well as avoid inefficient use of information security tools when designing systems. Ensuring the security of information and network resources is a priority for the enterprise, therefore the information security criteria of the corporate information network developed in the paper and the results obtained from the analysis will help protect the business network information resources of the enterprise.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსი

1. შარაშენიძე თ., ინფორმაციის დაცვა კომპიუტერულ ქსელებში, სტუ, თბილისი 2016.
2. მალვენიშვილი მ., ბალარჯიშვილი ნ., კიბერუსაფრთხოების რეფორმა საქართველოში: არსებული გამოწვევები, საერთაშორისო პრაქტიკა და რეკომენდაციები, 2020
3. დონაძე მ. კომპიუტერული ქსელების ფუნქციონირების და საიმედოობის კრიტერიუმების განსაზღვრა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“ - VI, ბათ. 2020.
4. Ghorbani A.A., Lu W., Tavallaee M. Network Intrusion Detection and Prevention: Concepts and Techniques. Springer Science & Business Media. 2009.
5. Galitsky A., Protection of information in the network - analysis of technologies and synthesis of solutions. DMK. 2004.
6. International standard ISO 17799: 2000 "Practical rules for information security management"
7. Guide for conducting risk assessments // National Institute of Standards and Technology NIST Special Publication 800-30. - 2012. V.1. - C. E1-E8, p. 4-39.
8. Information technology - Security techniques-Information security risk management / British standards BS ISO/IEC 27005:2008. - 2008. v. 1 - C. 47-54.
9. Mukherjee A., Network Security Strategies, Packt Birmingham – Mumbai, 2020
10. https://habr.com/ru/post/344762/
11. https://www.ptsecurity.com/ru-ru/research/analytics/
12. https://www.ptsecurity.com/ru-ru/research/analytics/corporate-vulnerabilities-2019/

INFORMATIC

MULTI-AGENT DISCRETE MODELING OF EPIDEMICS

KAKHI KAKHIDZE
e-mail: kakhidze.k@yahoo.com

Batumi Shota Rustaveli State University

GREGORY KAKHIANI
e-mail: gregory.kakhiani@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University

ABSTRACT: The article proposes a method of virus population growth of multicellular environment in determinate situation. The article proposes, how does territory effects on virus evolution, when every cell can collaborate with each other. Thesis includes all possible variants of avoiding epidemic situation, such as quarantine and social distance, and its effect on virus spread. Thesis represents results of thousands of tests on simulation. For this project we created program in Python 3.9.0 language.
During tests we have some interesting tests and get answers on regulation effect on virus spread speed and amount of infected agents.

KEY WORDS: Informational Technology, Immunology, Epidemiology, Virus, Computer simulation.

Introduction. Epidemiology is one of the fastest growing fields of medicine. Newly accumulated factual data, based on them, new theoretical provisions on the epidemic process, contribute to the development of effective principles and methods of combating and preventing infectious diseases [1].

The epidemiological process is generally considered to be a complex system. The basic mathematical models of the epidemic are built on three biological principles: the origin of the infection irritant (initiator of the infection and its properties), the mechanism of transmission of the irritant, and the disease-receiving organism (quantity, availability of infection). Based on these approaches in the early twentieth century, Sir Ronald Ross [2], Hilda Hudson, and others formulated and described the so-called SIR (Susceptible, Infectious, or Recovered) Mathematical model on which many other models were subsequently built by other researchers [3].

These models describe the epidemic development process quite well from the point of view of an observer outside the epicenter. According to the SIR model, the processes taking place in the epidemic zone according to the external observer are described by the following differential equations [4].

Under this model, the number of patients increases, reaches a peak, and then decreases (either at the expense of survival or mortality). Epidemic and weaken the burden on healthcare facilities. From a classical point of view, these graphs look like this Figure 1 [5].

As mentioned, this model works well from the point of view of an observer who is either outside the epidemic spread zone or if all the actors in the epidemic are able to communicate with each other. I.e. the model described is designed to reveal the marginal characteristics of the epidemic spread.

The second approach to epidemic modeling is multi-agent simulation modeling [6] - when an environment is artificially created where a certain number of agents who have certain properties of real-event carriers interact appropriately.

With these approaches we built a multi-agent modeling program, a program built in the Python programming language. Where different scenarios under different initial conditions were modeled using agents built on the properties described

above. In the modeling process, 5 possible scenarios of epidemic development in quarantine pores were discussed; Social distance; Outside quarantine and distance; Social distance without quarantine; With social distance without quarantine under complex demographic configuration conditions (see Figure 4-12). The following are the results of numerical experiments. Modeling Results In one settlement, only the quarantine regulation program interface is shown in Figure 2 and for modeling results see. Table 1 and corresponding graphs (see Figure 3).



Figure 1. Development of the disease in two different cases (with and without regulation)



Figure 2. Epidemiological model with quarantine (program interface)

Table 1.

Population	density	Maximum number of Agents (%)	Duration of the epidemic (conditional unit)
121	0.00075625	20.66115702	220
225	0.00140625	43.55555556	245
361	0.00225625	22.99168975	177
441	0.00275625	22.90249433	166
729	0.00455625	15.50068587	150
900	0.005625	47	145



Figure 3. epidemiology by quarantine regulation

As we can see, even under ideal conditions, with the increase in population density, there is a sharp increase in the number of patients (see Fig. 3 at the end of the second graph) due to the fact that during quarantine there is a sharp increase in so-called accidentally infected agents. See the direct dynamic characteristics of the epidemic in Fig. 4.



a) Absolute rate b) Percentage rate

Figure 4. Dynamics of epidemic only in quarantine conditions

As shown in Figure 4, even in an ideal quarantine situation with high population density, only quarantine is ineffective.

Within our model, the virus is spread by contact, with blue indicating healthy immunity and red indicating virus-carrying (infected) agents, and gray indicating healing agents that are no longer involved in transmitting the virus.

Modeling Outcomes In the case of a single landing point, the results of modeling with social distance regulation only see Table 2 and graphics (Fig. 5).

Table 2.

Population	density	Maximum number of Agents (%)	Duration of the epidemic (conditional unit)
121	0.00075625	24.79338843	153
289	0.00180625	12.80276817	145
361	0.00225625	8.864265928	125
529	0.00330625	6.805293006	112
625	0.00390625	7.04	113
729	0.00455625	4.38957476	116
900	0.005625	5.888888889	111



Figure 5. Outcomes of the epidemic with social distancing regulation only

As we see social distancing really Works perfectly in ideal conditions and is one of the most effective means of prevention. See the direct dynamic characteristics of the epidemic in Figur.



a) Absolute rate b) Percentage rate

Figure 6. Outcomes of the epidemic with social distancing regulation only

As modeling has shown, a social distancing regime, while an effective means, still forces us to exclude large numbers of people from public life in small concentrations of this population (both infected and healthy) which is obviously good for the public health system but bad for the economy.

Based on the results obtained, we decided to use both methods of regulation. Results of modeling under the conditions of a single populated point, as well as the results obtained by social distancing as well as quarantine regulation See Table 3 and graphs (Fig. 7).

Table 3

Population	density	Maximum number of Agents (%)	Duration of the epidemic (conditional unit)
121	0.00075625	28.92561983	198
225	0.00140625	29.77777778	244
361	0.00225625	14.12742382	150
529	0.00330625	17.20226843	195
729	0.00455625	42.6611797	212
900	0.005625	48	154



Figure 7. Outcomes of the epidemic with social distance regulation and quarantine regulation

As we can see, there are waves here, which indicates that certain factors are emerging again, which in our view are related to the concentration of the population again.



a) Absolute rate b) Percentage rate

Figure 8. The dynamics of the epidemic in terms of social distancing and quarantine

Introduce a non-regulated model for the effectiveness of regulations. See Table 4 for relevant results Graphs Figure 9.

Table 4

Population	density Population/ფართობი	Maximum number of Agents (%)	Duration of the epidemic (conditional unit)
121	0.00075625	78.51239669	361
169	0.00105625	86.39053254	315
225	0.00140625	90.22222222	295
289	0.00180625	95.5017301	274
361	0.00225625	96.39889197	214
441	0.00275625	94.55782313	266
529	0.00330625	99.62192817	202
625	0.00390625	99.84	199
729	0.00455625	100	190
841	0.00525625	100	194
900	0.005625	100	177



Figure 9. Duration of epidemic at standard population layout

The epidemic dynamics corresponding to this model are presented in Figure 10.



a) Absolute rate b) Percentage rate

Figure 10. Epidemic dynamics in the absence of regulations

As we can see here we get the reverse picture or the shape of the obtained graphs (Fig. 10, a) in a relatively large number of populations gives a result as close as possible to the theoretical model (see Fig. 2).

The results obtained suggest that RPM is necessary to model when the population concentration will be non-variable but also heterogeneous. Below are the results of the relevant studies. See Table 5 and graphs Figure 11.



Figure 11. Duration of epidemic during heterogeneous distribution of population

Table 5

Population	density	Maximum number of Agents (%)	Duration of the epidemic (conditional unit)
100	3.50877E-05	14	1676
150	5.26316E-05	12	1515
200	7.01754E-05	15.5	1413
300	0.000105263	17.66666667	1225
350	0.000122807	24	851
400	0.000140351	28.25	825
450	0.000157895	30.44444444	694
550	0.000192982	25.27272727	837
600	0.000210526	24.5	778
650	0.00022807	28.92307692	759
700	0.000245614	28.57142857	782
750	0.000263158	26	674
800	0.000280702	24.125	704

As we can see the dynamics of the disease takes the so-called wavy form and varies cardinally with the change in population density. It should also be noted that neither the epidemic characteristics (Table 5, Fig. 11) are similar to any of the above results and are particularly different from the results of mathematical modeling (Fig. 2).



Fig.12 Dynamics of disease during non-standard deployment of the population

Conclusion. The paper discusses multi-agent modeling in detail with the initial conditions of the standard SIR model, with and without different regulations. Based on the obtained results, we can say that the mathematical model works well only in the standard conditions of the population (one settlement) and in the conditions of strict implementation of the regulations by the population. As soon as the population concentration or layout is either too small or even too large, the population does not comply with the regulations or is deployed in a non-standard (several populated areas) differential equations do not work and in the foreground cause nonlinear effects leading to complete leveling of quarantine regulations.

ინფორმატიკა

ეპიდემიების მრავალაგენტური დისკრეტული მოდელირება

კახი კახიძე,
e-mail: kakhidze.k@yahoo.com
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გრიგოლ კახიანი
e-mail: gregory.kakhiani@bsu.edu.ge
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია მრავალაგენტიან გარემოში კლასიკური მოდელით ვირუსული ეპიდემიის მსგავსი პროცესების განვითარება. ნაშრომში განხილულია დეტერმინირებული გარემოს ზემოქმედება დაავადების განვითარებაზე, როცა ყველა წევრს შეუძლია ერთმანეთთან შემთხვევით კონტაქტირება. წარმოდგენილია ეპიდემიური სიტუაციის მართვის სოციალური მექანიზმები და მათი გავლენა ეპიდემიის დინამიკაზე. ნაშრომი წარმოადგენს ათასობით სიმულაციური ექსპერიმენტის შედეგებს.

პროექტისთვის შექმნილია პროგრამული უზრუნველყოფა Python 3.9.0 ენაზე.

კვლევების და ანალიზის შედეგად, მიღებულია საინტერესო შედეგები და ვცემთ პასუხებს რეგულაციების გავლენას ვირუსის გავრცელების სიჩქარეზე, ინფიცირებული აგენტების რაოდენობაზე და მატ ურთიერთ დამოკიდებულებაზე. არსებული პლატფორმა გამოყენებული იქნება პერსპექტიული კვლევებისათვის.

Literature / Bibliography

1. RICHARD C. DICKER. "Principles of Epidemiology". U.S. Department of Health and Human Services. Selected Topics in Epidemiology and Disease, 2011
2. Ross, Ronald . "An application of the theory of probabilities to the study of a priori pathometry.- Part I". Proceedings of the Royal Society of London. Series A, Containing Papers of a Mathematical and Physical Character. 92 (638): 204–230. Bibcode:1916RSPSA..92..204R.
3. Herbert W. Hethcote. "The Mathematics of Infectious Diseases". 2000 Society for Industrial and Applied Mathematics. Vol. 42, No. 4, pp. 599–653.
4. Florence D´ebarre . "SIR models of epidemics - Level 1 module in “Modelling course in population and evolutionary biology". Institute of Integrative Biology ETH Zurich. Description of the model. Chapter 1.1
5. Doug Stanglin. "A self-quarantine seems brutal when you're not sick with coronavirus – but it really is for the greater good" USA TODAY.
6. S.M. Niaz Collins, Frank H. Madey, Gregory Richard, Spatial agent-based simulation modeling in public health design, implementation, and applications for malaria epidemiology by Arifin, (z-lib.org)

ინფორმატიკა

მრავალმომხმარებლიანი საინფორმაციო სისტემის აგება „LARAVEL-ის“ მეშვეობით

მახარე მახარაძე
e-mail: maxare2015@gmail.com
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გრიგოლ კახიანი
e-mail: gregory.kakhiani@bsu.edu.ge
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: ნაშრომში წარმოდგენილია პროექტი, რომელიც განკუთვნილია ქართული კომპანიებისა და ინდივიდუალურად დასაქმებული პირებისათვის და რომელმაც კონკურენცია უნდა გაუწიოს საქართველოს ბაზარზე არსებულ მსგავსი ტიპის სისტემებს. როგორც ნებისმიერ სისტემას, ჩვენს სისტემასაც აქვს ნაკლოვანებები, მაგალითად მისი ერთერთი ნაკლოვანება ისაა, რომ არ არის მისი ლოკალურად დაყენების საშუალება, როგორც დესკტოპ აპლიკაცია ან როგორც ტელეფონის აპლიკაცია და ასევე სისტემის მუშაობისათვის აუცილებელია ინტერნეტთან წვდომა. ამ პროექტზე მუშაობა კვლავ მიმდინარეობს და დღითიდღე ვითარდება და უმჯობესდება. ჩვენი აზრით, სისტემას აქვს განვითარების დიდი პერსპექტივა, ბზარის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სწორედ ამიტომ ჩვენ ვცდილობთ მსგავსი სისტემების გამოცდილებაზე დაყრდნობით შევქმნათ ახალი, უფრო დახვეწილი, სისტემა.

საკვანძო სიტყვები: CMS, Multi-user systems, Computer Science

შესავალი. თანამედროვე სამყაროში ინტერნეტი გახდა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, საქმიანობის თითქმის ყველა სფერომ გადაინაცვლა ინტერნეტში რამაც განაპირობა ისეთი სისტემების პოპულარიზაცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საკუთარი საქმიანობის ონლაინ განხორციელება. სწორედ ასეთი სისტემები და ამ სისტემების მნიშვნელობა არის ჩვენი ნაშრომის მთავარი თემა. დღეისათვის, თითქმის ყველა წარმატებული კომპანია იყენებს ისეთ ონლაინ სისტებემს, რომელიც მათი საქმიანობის ან პროდუქციის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს, მაგალითად: E-Commerce ელექტრონული პლატფორმა და სოციალური ქსელები - რომლებიც საშუალებას აძლევთ რეალიზაცია გაუკეთონ მათ მიერ შექმნილ პროდუქტს და მოახდინონ თავიანთი კომპანიების პოპულარიზაცია, კონტენტის მართვის სისტემები (Content Management System – CMS [1]) - რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კონტენტის, დიდი ოდენობის ინფორმაციის, მართვა ინტერნეტში, პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავების ინსტრუმენტები (Software Development Tools) და სხვა.

განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს სწორედ პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავების ინსტრუმენტები, რომელთაც დიდი თუ მცირე კომპანიები იყენებენ თავიანთი საქმიანობის გასამარტივებლად და მუშაობის ეფექტურობის გასაზრდელად. ეს ინსტრუმენტები ყველაზე ხშირად გამოიყენება ტექნოლოგიურ სფეროებში. სწორედ ასეთ ინსტრუმენტს წარმოადგენ ჩვენს მიერ შექმნილი სისტემა,

რომლის საშუალებითაც კომპანიებს შეუძლიათ მართონ თავიანთი თანამშრომლების სამუშაო გრაფიკი ნებისმიერი ადგილიდან, შექმნან პროექტები და გაუნაწილონ სამუშაო თავისი გუნდის წევრებს, ასევე ამ სისტემის საშუალებით ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია დამოუკიდებლად (არა როგორც რომელიმე კომპანიის თანამშრომელი) გააკონტროლოს საკუთარი სამუშაო გრაფიკი. ეს სისტემა განკუთვნილია, როგორც ნებისმიერი ადამიანისათვის რომელსაც აქვს წვდომა ინტერნეტთან, ასევე კომპანიებისათვის, სრულიად უფასოდ.

შედარებისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე სხვა მსგავსი ინსტრუმენტი, რომლებიც დღეისათვის საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს:

- Github - რომელიც არის დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავების ინსტრუმენტი, სადაც შესაძლებელია საკუთარი პროექტების განთავსება, საერთო პროექტზე ერთობლივად მუშაობა და ასევე აქვს პროექტების ვერსიათა კონტროლის სისტემა [2].
- Jira - ეს არის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება კომპანიებსა და სამუშაო ჯგუფებს საკუთარი სამუშაოს დაგეგმვასა და უკეთ წარმართვაში [3].
- ClickUp - არის ე.წ. „ქლაუდზე“ დაფუძნებული (cloud-based) პროექტების მენეჯმენტის ინსტრუმენტი, რომელიც განკუთვნილია ყველა ზომის ინდუსტრიული ბიზნესისათვის [4].

ძირითადი ნაწილი. დღეისათვის, მსოფლიოში არსებული პანდემიიდან გამომდინარე, საქმიანობის მრავალმა სფერომ გადაინაცვლა დისტანციურ რეჟიმში და ისეთი სისტემების არსებობა, რაც დისტანციურ საქმიანობას გაამარტივებდა ძალიან მნიშვნელოვანი გახდა. მსგავსი პროგრამები ძალიან იშვიათია და თითქმის საერთოდ არაა საქართველოს ბაზრისათვის, სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ შეგვექმნა სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემდა ქართულ კომპანიებს განახორციელონ საკუთარი საქმიანობა სრულიად დისტანციურად და რაც მთავარია ისეთ სისტემაში რომელიც იქნება სრულიად ქართული და ქართულ ბაზრისათვის მორგებული.

დროის მენეჯმენტის ვებ აპლიკაცია (სურ. 1) არის მრავალმომხმარებლიანი საინფორმაციო სისტემა, სადაც შეგიძლია დაარეგისტრირო საკუთარი კომპანია, დაამატო თანამშრომლები და პროექტები და აკონტროლო საკუთარი თანამშრომლების სამუშაო გრაფიკი, ასევე შესაძლებელია დარეგისტრირება არა როგორც რომელიმე კომპანიის თანამშრომელი, არამედ როგორც ჩვეულებრივი მომხმარებელი და აკონტროლო შენი სამუშაო გრაფიკი შენ თვითონ. ამ სისტემის მუშაობის პრინციპი გრაფიკულად წარმოდგენილია სურათ 2-ზე.

სისტემაში ავტორიზაციის გასავლელად პირველ რიგში აუცილებელია რეგისტრაცია, რეგისტრაციის ორი ვარიანტი არსებობს: კომპანიის რეგისტრაცია და მომხმარებლის რეგისტრაცია. იმ შემთხვევაში, თუ დარეგისტრირდებით როგორც კომპანია, სისტემა ავტომატურად გადაგამისამართებთ კომპანიისთვის განკუთვნილ გვერდზე (სურ. 3) სადაც მარცხენა ნაწილში არის კომპანიის მიერ დარეგისტრირებული პროექტები, აქვე არის შესაძლებელი ახალი პროექტის დამატება. თუ აირჩევთ რომელიმე მიმდინარე პროექტს გაიხსნება ფანჯარა სადაც გამოვა ყველა ინფორმაცია ამ პროექტისა და ამ პროექტზე მომუშავე თანამშრომლების შესახებ. გვერდის მარჯვენა ნაწილში წარმოდგენილია თანამშრომლების ცხრილი სადაც ასახულია მათი მუშაობის ინტერვალები, პროექტები და მიმდინარე სტატუსი. კომ-

პანიას შეუძლია დაამატოს ახალი თანამშრომელი, ჩამოაცილოს უკვე არსებული თანამშრომლი პროექტს ან დაამატოს სხვა პროექტში.



სურ. 1 დროის მენეჯმენტის ვებ აპლიკაცია



სურ. 2 სისტემის მუშაობის პრინციპი (არქიტექტურა)



სურ. 3. კომპანიის ძირითადი გვერდი

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი დარეგისტრირდება როგორც თანამშრომელი, სისტემაში შესვლის დროს სისტემა ავტომატურად გადაამისამართებს თანამშრომლისთვის განკუთვნილ გვერდზე (სურ. 4), საცად ჩანს მისი ინფორმაცია (ფოტო, სახელი, გვარი, მეილი). თანამშრომელს საკუთარ გვერდზე ასევე უჩანს იმ პროექტების სია, რომელზეც ახლა მუშაობს, ხოლო თუ აირჩევს რომელიმე პროექტს გამოჩნდება ამ პროექტზე მუშაობის ისტორია. თანამშრომელმა მუშაობის დაწყებისათვის უნდა აირჩიოს სასურველი პროექტი რომელზეც სურს მუშაობა და პროგრამა ავტომატურად დაიწყებს სამუშაო დროის ათვლას, ასევე შესაძლებელია შესვენების აღება ანუ სამუშაო დროის „დაპაუზება“ და მუშაობის შეწყვეტა ნებისმიერ დროს.



სურ. 4. თანამშრომლის ძირითადი გვერდი

სისტემას ჰყავს თავისი ადმინისტრატორი, რომელსაც აქვს წვდომა, როგორც კომპანიების ასევე თანამშრომლების ცხრილთან და მას შეუძლია დაარედაქტიროს ჩანაწერი (მაგ: როდესაც მომხმარებელს პაროლი დაავიწყდა) ასევე წაშალოს თანამშრომელის ან კომპანიის ანგარიში.

პროგრამის დიზაინის შექმნის დროს გათვალისწინებულია ე.წ. მომხმარებლის გამოცდილებაზე (UX design) [5] დაფუძნებული პრინციპები და ფუნქციონალი UX-ის მთავარი დანუშნულებაა, რომ სისტემაში ნავიგაცია იყოს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული რადგან ამ სისტემის გამოყენება იყოს მარტივი და სასიამოვნო, „ეს არის ის შეგრძნება რასაც ადამიანები იღებენ ვებგვერდთან ურთიერთობის დროს“ [6]. აქედან გამომდინარე სისტემის დიზაინი არის მინიმალისტური იმისათვის რათა ყველა მომხმარებლისათვის იყოს მარტივად აღსაქმელი და მუშაობის პროცესში პროგრამის გამოყენება არ იყოს დამღლელი.

სისტემა შექმნილია პროგრამირების ენა PHP-ის ერთ-ერთი პოპულარულ ფრეიმვორკ Laravel-ის მეშვეობით. Laravel არის MVC (Model View Controller მოდელზე აგებული კონტენტის მართვის სისტემა, ფაილების ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კონტენტის, დიდი ოდენობის მონაცემთა მართვა ინტერნეტში [7]) პრინციპზე დაფუძნებული პლატფორმა, ინსტრუმენტთა კრებული, რომლის საშუალებითაც გაცილებით სწრაფად და მარტივად არის შესაძლებელი აპლიკაციების შექმნა [8]. Laravel ძირითადად გამოიყენება ვებ აპლიკაციების შექმნისათვის, ის მუშაობს როგორც სერვერის (Backend) მხარეს მონაცემთა ბაზიდან ინფორმაციის მისაღებად ასევე სამომხმარებლო (Frontend) ანუ ვებგვერდის პრეზენტაციის მხარის შესაქმნელად. პროექტზე მუშაობის პროცესში ხელსაწყო ლარაველის არჩევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა მისი უპირატესობები სხვა მსგავს ხელსაწყოებთან შედარებით, პირველ რიგში მისი სიმარტივე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ბიბლიოთეკაში უკვე ჩაშენებულია მრავალი კლასები და პაკეტები როგორიცაა: ავთენტიფიკაციისა და ავტორიზაციის პაკეტები ასევე ინტეგრირებული მეილის გაგზავნის პაკეტი და სხვა [9], მას გააჩნია კარგი უსაფრთხოების სისტემა რომელიც უზრუნველყოფს როგორც პროგრამის უსაფრთხოებას, ასევე სერვერული მხარის უსაფრთხოებასაც [10]. მონაცემების შენახვისა და დამუშავებისათვის Laravel-თან ერთად გამოყენებული გვაქვს მონაცემთა რელაციური (მონაცემთა რელაციური ბაზა არის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული ცხრილების ერთობლიობა [11]) ბაზა MySql, რომლის არჩევაც განაპირობა ამ ტიპის ამოცანებისათვის მისმა უპირატესობამ სხვა ტიპის (არარელაციური,ჰიბრიდული) მონაცემთა ბაზებთან შედარებით, მაგალითად: მარტივად ინტეგრირდება პროექტებში, მისი მხარდაჭერა აქვს სხვადასხვა ოპერაციულ სისტემებს, არ მოითხოვს დიდ რესურსებს. სისტემის მონაცემთა ბაზა მოიცავს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ შემდეგ ცხრილებს:

- users - ცხრილი დარეგისტრირებული მომხმარებლებისთვის;
- employees - კონპანიების ცხრილთან კომპანიის მიერ ლოგიკურად დაკავშირებული დარეგისტრირებული თანამშრომლების ცხრილი.
- companies - რეგისტრირებული კომპანიების ცხრილი, ლოგიკურად დაკავშირებული თანამშრომლების ცხრილთან.
- projects - კომპანიების მიერ შექმნილი პროექტების ცხრილი.

- works - თანამშრომლებისა და მომხმარებლების მიერ შესრულებული სამუშაო საათების ამსახველი ცხრილი;
- suspend_users - წაშლილი ან სტატუს შეჩერებული მიმხმარებლების ანგარიშების ცხრილი;
- suspend_companies - წაშლილი კომპანიების ანგარიშების ცხრილი.

ისევე როგორც სხვა ნებისმიერ პროგრამირების ენასა და მონაცემთა ბაზებს Laravel-საც [8] და MySql-საც გააჩნიათ რიგი ნაკლოვანებები, მაგალითად: Laravel-ის პროექტის კონფიგურირება და სერვერზე გაშვება უფრო მეტ რესურსებს და შრომას მოითხოვს, ის არ არის ისეთივე სწრაფი როგორც სხვა ვებ აპლიკაციებისათვის განკუთვნილი ბიბლიოთეკები (მაგალითად React[12], Vue[13], Django[14]), ხოლო MySql სხვა არარელაციურ ბაზებთან შედარბით უფრო ნელია, მისი ინსტალაცია შესაძლებელია მხოლოდ სერვერზე და ვერ დაყენდება ლოკალურ მოწყობილობებზე.

დასკვნა. ნაშრომში წარმოდგენილი პროექტი განუთვნილია ქართული კომპანიებისა და საქარველოში დასაქმებული პირებისათვის, რომელმაც კონკურენცია უნდა გაუწიოს საქართველოს ბაზარზე არსებულ სხვა მსგავს პროგრამულ პალტფორმებს. ისევე როგორც ნებისმიერ სისტემას ჩვენს მიერ შექმნილ სისტემასაც აქვს ნაკლოვანებები, ერთ-ერთი ნაკლი ის არის რომ მისი დაყენება არ არის შესაძლებელი ლოკალურად, როგორც დესკტოპ ან როგორც მობილური აპლიკაცია და მის გამოყენებისათვის აუცილებელია ინტერნეტთან კავშირი. ეს პროექტი არის განვითარებადი და მის განვითარებაზე მუშაობა კვლავ მიმდინარეობს. ბაზარზე არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე ნაშრომში წარმოდგენილ სისტემას აქვს განვითარების დიდი პერსპექტივა, სწორედ ამიტომ ვცდილობთ შევისწავლოთ საქართველოში არსებული მსგავსი სისტემები და მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით შევქმნათ ახალი პროდუქტი.

INFORMATIC

BUILD A MULTI-USER INFORMATION SYSTEM THROUGH „LARAVEL“

MAKHARE MAKHARADZE
e-mail: maxare2015@gmail.com
Batumi Shota Rustaveli State University

GREGORY KAKHIANI
e-mail: gregory.kakhiani@bsu.edu.ge
Batumi Shota Rustaveli State University

The project presented in the paper is intended for Georgian companies and individuals employed in Georgia, which should compete with other similar software platforms in the Georgian market. Like any system, the system we created has its drawbacks, one of the drawbacks is that it can not be installed locally as a desktop application or as a mobile application and to use it requires an Internet connection. This project is evolving and work on its development is still ongoing. In our view, the system created by us has a great development perspective due to the market demands, which is why we try to study similar systems in Georgia and create a new product based on their experience.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსი

1. What is a Content Management System (CMS), Kinsta, https://kinsta.com/knowledgebase/content-management-system/, მოძიებული იქნა - 05/30/2021
2. Guthub, code hosting platform for version control and collaboration, https://github.com/, მოძიებული იქნა - 05/26/2021
3. Jira, development tool by Australian Comoany Atlassian, https://www.atlassian.com/software/jira/guides/use-cases/what-is-jira-used-for, მოძიებული იქნა - 05/27/2021
4. ClickUp**,** cpoud-based collaboration and project management tool suitable for businesses of all size and industries, https://www.softwareadvice.com/project-management/clickup-profile/, მოძიებული იქნა - 05/29/2021
5. What is User Experience (UX) Design, Interaction Design Foundation, https://www.interaction-design.org/literature/topics/ux-design, მოძიებული იქნა - 05/30/2021
6. Jerry Cao. Chris Bank (c-written by Jerry Cao), UI design from the experts, Web UI design best practices, https://www.immagic.com/eLibrary/ARCHIVES/GENERAL/UXPIN_PL/U141030B.pdf, მოძიებული იქნა - 05/30/2021
7. Model-view-controller design pattern, Hcl Software, https://help.hcltechsw.com/commerce/9.1.0/developer/concepts/csdmvcdespat.html; მოძიებული იქნა - 05/30/2021
8. The PHP framework for web artisans - https://laravel.com/, მოძიებული იქნა - 05/30/2021
9. Top 10 benefits of using Laravel framework, Arpatech, https://www.arpatech.com/blog/top-10-benefits-of-using-laravel-framework/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05/29/2021
10. Why Laravel is the recommended framework for secure, mission-critical applications - https://auth0.com/blog/why-laravel-is-the-recommended-framework-for-secure-mission-critical-applications/; მოძიებული იქნა - 05/30/2021
11. What is relation database (RDMBS), ORACLE, https://www.oracle.com/database/what-is-a-relational-database/; მოძიებული იქნა - 05/30/2021
12. React, A JavaScript library for building user interfaces, https://reactjs.org/, მოძიებული იქნა - 05/30/2021
13. Vue Js, The progressive JavaScript framework, https://vuejs.org/, მოძიებული იქნა - 05/30/2021
14. Django, high-level Python web framework, https://www.djangoproject.com/, მოძიებული იქნა - 05/30/2021

აგრარული მეცნიერებანი

ელემენტების შემცველობა ტოპინამბურის (Helianthus tuberosum L.) ტუბერებში

იამზე ჩხარტიშვილი, სოფიო პაპუნიძე, ნინო სეიდიშვილი, გურამ პაპუნიძე, ზურაბი მიქელაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის
აგრარული და კვების ტექნოლოგიების განყოფილება

ანოტაცია: მცენარეული ნედლეულის კვებით და სამკურნალო თვისებებს მაკროელემენტები და მიკროელემენტები განსაზღვრავენ და წარმოადგენენ ნივთიერებებს, რომელიც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ზრდა განვითარებისთვის. ელემენტების შემცველობა მცენარეებში რეგიონის ბიოგეოქმიური მდგომარეობის მაჩვენებელია. შესაბამისად რეგიონის სხვადასხვა ტერიტორიაზე მოყვანილ ნედლეულში მინერალური ელემენტების შემცველობის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, როგორც რეგიონის ეკოლოგიური სისუფთავის შეფასებისითვის, ასევე ამ ნედლეულის საკვებად და სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით გამოყენებისთვის.

სტატიაში გაანალიზებულია აჭარის რეგიონში, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოყვანილ ტოპინამბურის ტუბერებში ელემენტების შემცველობა პლაზმურ ატომურ ემისიური სპექტროფოტომეტრის-ICPE-9820 გამოყენებით. განისაზღვრული იქნა 28 ელემენტი K, P,Mg, Ca, Si, Na, Zn, Fe, Mn, Al, Cu, B, Se, Ba, Cr, Ni, Mo, Co, V, Pb, Be, Ti, Cd, Sb, Li, Hg, As, Tl, მიღებული შედეგებით დადასტურდა, რომ აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მოყვანილი ტოპინამბურის ტუბერები ელემენტების შემცველობით ეკოლოგიურად უსაფრთხო ნედლეულია, რომლისგან შეიძლება დამზადდეს ფუნქციონალური კვების პროდუქტების და ნატურალური პრებიოტიკური დანამატების ფართო ასორტიმენტის პროდუქცია.

საკვანძო სიტყვები: ტოპინამბურის ტუბერები (Helianthus tuberosum L.), პლაზმურ ატომურ-ემისიური სპექტრომეტრიული ანალიზი, კვების პროდუქტების უსაფრთხოება, მაკროელემენტები, მიკრო- და ულტრამიკროელემენტები, აჭარის რეგიონი.

შესავალი. დღეისათვის არსებულ ეკოლოგიურ პირობებში, ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენდს შევინარჩუნოთ ჯანმრთელი საზოგადოება. თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევებზე ორიენტირებული გადამუშავების ტექნოლოგიების დანერგვა, მაღალხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო, ნატურალური მცენარეული საკვები პროდუქტების წარმოება მსოფლიოში სულ უფრო მოთხოვნადია. ასეთი კვების პროდუქტების დამზადების შესაძლებლობას იძლევა ტოპინამბური (Helianthus Tuberosus L), რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათის კომისიამ „XXI საუკუნის დიეტურ პროდუქტად“ დაასახელა. ტოპინამბური მრავალწლიანი გორგლიანი მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან. მისი სამშობლოა ჩრდილოეთ ამერიკა. აქ მცხოვრები ინდიელთა ტომები მიწავაშლას ძირხვენებს საკვებად დიდი ხნით ადრე, ევროპელების მიერ ჩრდილოეთ ამერიკის აღმოჩენამდე იყენებდნენ. ევროპაში ტოპინამბური შემოიტანეს მე-17 საკუნის დასაწყისში. მას შემდეგ 500 -ზე მეტი წლის მანძილზე ხდებოდა მისი

კულტივირება და ფართოდ გავრცელდა ევროპის მრავალ ქვეყანაში. დღეისათვის მსოფლიოში სელექციონერების მიერ ტოპინამბურის 300-ზე მეტი ჯიშია გამოყვანილი [1].

ტოპინამბურის კვებითი ღირებულება განპირობებულია მისი უნიკალური ქიმიური შედგენილობით. ტოპინამბურიდან მიღებული ინულინის და პექტინის შემცველი პრებიოტიკური დანიშნულების პრეპარატები მრავალი წელია გამოიყენება კვების, ფარმაცევტულ და სამედიცინო მრეწველობაში, გარდა ანტიკანცეროგენული, ანტიდიაბეტური, ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო თვისებებისა, გააჩნია ანტისპიდური აქტივობა. ინულინის, პექტინის, ფრუქტოზის შემცველი პრებიოტიკური პროდუქტების საკვებად გამოყენება ამცირებს სისხლში გლუკოზის, ქოლესტერინის, ტრიგლიცერიდების, ლიპოპროტეიდების კონცენტრაციას, აწესრიგებს ნახშირწყლოვან და ცხიმოვან ცვლას. ინულინი გამოიყენება მრავალი დიეტური პროდუქტის წარმოებაში. ასეთი პროდუქციის უმთავრესი მომხმარებელია დიაბეტით, სისხლნაკლულობით, თირკმლებით, ღვიძლით, ათეროსკლეროზით, ჰიპერტონიით, პოლიართრიტით, ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევით დაავადებული ადამიანები. ტოპინამბური წარმოადგენს ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შეუცვლელ წყაროს, შეიცავს C და B ჯგუფის ვიტამინებს (B_1, B_2 , B_3,(PP), B_6 , B_9,), ინულინს -11-17%, ამონომჟავებს 8%-მდე, პექტინს 10%-მდე, ორგანულ მჟავებს 0,4-დან 0,7%-მდე, უჯრედანას 6%-მდე, ფრუქტოზას, კაროტინოიდებს, ფიტოცინდებს, ბიოფლავონოიდებს, აზოტოვან ნივთიერებებს, მაკრო- და მიკროელემენტების ფართო სპექტრს თანამედროვე სამეცნიერო კვლევებით და ტოპინამბურის ნედლეულის ბიოქიმიური შედგენილობის სიღრმისეული შესწავლით, დადასტურდა ნედლეულის სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებები და მისი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა [2;3;4;7;8;9;10;11;12;13], რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი უნიკალური, დიეტური ნედლეულის მიმართ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ტოპინამბურიდან მიღებული ფართო ასორტიმენტის პროდუქციის სახალხო-სამეურნეო ღირებულება მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი1

ტოპინამბურის (Helianthus tuberosus L.) წარმოების სფერო, პროდუქცია, გამოყენება

წარმოების სფერო	პროდუქცია	გამოყენება
სოფლის მეურნეობა	-ცხოველის საკვები და საკვები დანამატები. -ვეტერინალური პრეპარატები.	-მეცხოველეობა. -ვეტერინარია.
კვების მრეწველობა	-პურფუნთუშეული, მაკარონი, საკონდიტრო ნაწარმი, -ჩაისა და ყავის უალკოჰოლო სასმელები. -ინულინისა და პექტინის შემცველი სასმელები. -მშრალი სასმელები და ექსტრაქტები, ბურახი. -ფრუქტოზო-გლუკოზური სიროფი, -კრისტალური ფრუქტოზა,	-საზოგადოებრივი კვება. -საოჯახო კულინარია. -დიეტოთერაპია. -ფუნქციონალური და გამაჯანსაღებელი კვება. -ბავშვთა პროფილაქტიკური კვება.

	-ცუკატები, ჩიპსები. -დიეტური პიურე, -ბოსტნეულის კონსერვრბი, -პექტინი, -ინულინი, -ტოპინამბურის ფხვნილი, -დიეტური საკვები ბოჭკო, -ფიტოჩაი. -ჯემი,მურაბა, კონფიტიური, - დრაჟე, იოგურთი და სხვა . -ლიქიორ-არაყის სასმელები.	
სამედიცინო მრეწველობა	-სამკურნალო და სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებები და პრეპარატები. -საინექციო ფორმები, კაფსულები, აბები, დრაჟე, ფხვნილი. -ინულინი- აბები, კაფსულები, -ტოპინამბურის შემცველი-ფიტო შემადგენლობა სამკურნალო აბაზანებისთვის.	-ხალხური და ტრადიციული მედიცინა სხვადასხვა დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის, -ახალი თაობის იმუნოპრეპარატები, -ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, -ბაქტეროლოგიური პრეპარატები (ბიფიდუმი და ლაქტობაქტერიები)
კოსმეტიკური მრეწველობა	კოსმეტიკური საშუალებები.	-სამკურნალო-პროფილაქტიკური კოსმეტიკა.
ბიოენერგეტიკა	ეთილის სპირტი (ბიოეთანოლი), ბუთანოლი.	-საწვავი შიგაწვის ძრავებისთვის
ელექტრო მრეწველობა	ჰიდროქსიმეთილ ფურფუროლი	-შუქდიოდები, ნახევარგამტარები, ფოტოგამტარები, თხევადი კრისტალები, ფოტოქრომული და სხვა მასალები.
ბიოტექნო ლოგიური მრეწველობა	ნახშირბადოვანი ბოჭკო, ნანოცელუოზა	-კომპოზიტური მასალები
ეკოლოგია	ტოპინამბურის მცენარე	-დაბინძურებული გარემოს გასუფთავება.

საკვებ და სამკურნალო მცენარეულ ნედ-ლეულში მაკრო- და მიკროელემენტების შემცველობის შესახებ არასაკმარისი ცოდნა სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის ნედლე-ულის რაციონალური გამოყენებისთვის. ელემენტების შემცველობის შესწავლა

აუცილებელია მცენარეული ნედლეულის არა მარტო სტანდარტული ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლისთვის, ასევე ნედლეულის ეკოლოგიური სისუფთავის დადგენისთვის [5;6;17;19;20]. სამედიცინო მიმართულებით ჩატარებული მეცნიერული კვლევებით დადასტურდა მინერალური ელემენტების ბიოგენური თვისებები, ფიზიოლოგიური როლი და ბიოქიმიური მოქმედების მექანიზმი, ბევრი მათგანი სასიცოცხლოდ აუცილებელია, რადგან ასრულებენ კატალიზურ და მარეგულირებელ ფუნქციას მეტაბოლიტურ პროცესებში, როგორიცაა - ტრანსპორტირება, ჟანგვა-აღდგენა, ორგანული ნივთიერებების ბიოსინთეზი, გენეტიკური ინფორმაციის გადაცემა [12;16;]. მცენარეულ ნედლეულში მაკრო- და მიკროელემენტების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემცველობა დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე, აგროტექნიკაზე. სხვადასხვა რეგიონში დამზადებულ მცენარეულ ნედლეულში ელემენტების შემცველობის დადგენით ჩვენ ვიგებთ ამ რეგიონის ეკოლოგიურ მდგომარეობას, სადაც მცენარე იზრდება და ასახავს იმ ბუნებრივ გეოქიმიურ, ანთროპოგენურ პროცესებს, რომელიც ამ რეგიონში მიმდინარეობს [3;8; 10;13;15;18;21;23;24;26].

კვლევის მიზანია - აჭარის რეგიონში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოყვანილ ტოპინამბურის ტუბერებში, მინერალური ელემენტების შემცველობის შესწავლა და ნედლეულის ეკოლოგიური სისუფთავის დადგენა.

კვლევის ობიექტი და მეთოდები - კვლევის ობიექტს წარმოადგენდა 20.10. 2018 და 20.10. 2019 წლებში ხულოს, ქედის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მოყვანილი ტოპინამბურის ტუბერები ჯიში - „ინტერესი“. მინერალური ელემენტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნა ICPE – 9820 პლაზმურ ატომურ-ემისიური სპექტროფოტომეტრი (Shimadzu, Japan). მეთოდის პრინციპია გამოსხივებული სინათლის ინტენსივობის განსაზღვრა, რომელსაც იძლევა ინდუქციურად შეკავშირებული არგონის პლაზმით აღგზნებული ატომები სხვადასხვა ტალღის სიგრძეზე. აღგზნების და იონიზაციის დროს პერიოდული სისტემის ნებისმიერი ელემენტი გამოასხივებს სინათლის კვანტს, რომელსაც გააჩნია გარკვეული ტალღის სიგრძე. თვისებითი ანალიზი ტარდება ტალღის სიგრძის განსაზღვრით. რაოდენობრივი კი მოცემული სიგრძის ტალღის გამოსხივების ინტენსივობით. სტანდარტული ხსნარები და საანალიზო ნიმუშები დამზადდა შესაბამისი მეთოდიკით [25]. ხულოს, ქედის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამზადებულ ტოპინამბურის ტუბერებში ჯიში „ინტერესი“ მინერალური ელემენტების რაოდენობრივი შემცველობის კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 2.

კვლევის შედეგად ტოპინამბურის ტუბერებში ხარისხობრივად განსაზღვრული იქნა 28 ელემენტი, რომელთაგან 7 მაკრო- (Ca,K,P, Mg,Na,Si,Fe), 21 მიკრო- და ულტრამიკროელემენტია (Al>Zn> Mn>B>Cu>Ba>Se>Cr>Ni> Mo>Co>V>Cd>Pb> Be>Li>Ti>As>Hg>Sb>Tl).

ხულოს, ქედის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში მოყვანილ ტოპინამბურის ტუბერების საანალიზო ნიმუშებში ელემენტების დაგროვების ინდივიდუალური თავისებურებით ხასიათდება, რომელიც მოცემულია ცხრილში 3.

ტოპინამბურის (Helianthus tuberosus L.) ტუბერებში, ჯიში „ინტერესი“ მინერალური ელემენტების შემცველობა

ცხრილი 2

№	ელემენტის დასახელება	ხულოს მუნიციპალიტეტი		ქედის მუნიციპალიტეტი		ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	
		2018	2019	2018	2019	2018	2019
	მაკროელემენტები მგ/ლ						
1	კალციუმი(Ca)	1680	1520	2310	2130	1950	1890
2	კალიუმი (K)	20200	18400	11100	12900	14900	12500
3	ფოსფორი (P)	6020	4790	3720	2820	2160	1830
4	მაგნიუმი (Mg)	2920	2810	1120	1310	2220	2080
5	ნატრიუმი (Na)	430	310	259	219	122	130
6	კრემნიუმი (Si)	847	799	372	471	106	88,3
7	რკინა (Fe)	39,3	45,7	135,0	118,0	104,0	95,1
	მიკროელემენტები მგ/ლ						
8	ალუმინი (Al)	28,5	34,8	32,6	36,4	3,07	2,91
9	თუთია (Zn)	64,2	71,3	68,1	60,3	52,7	55,7
10	სპილენძი (Cu)	12,4	11,0	8,51	7,14	9,18	6,74
11	მანგანუმი (Mn)	31,8	34,6	9,01	19,7	8,3	6,8
12	მოლიბდენი(Mo)	0,275	0,175	0,891	0,0626	0,0429	0,0535
13	ბორი (B)	11,1	12,6	12,4	19,5	17,9	17,4
14	კადმიუმი (Cd)	<0,00049	<0,00038	<0,00015	<0,0013	<0,0043	<0,0017
	ულტრამიკროელემენტები მკგ/ლ						
15	ბერილიუმი (Be)	<0,0001	<0,0016	<0,0004	<0,0024	<0,0053	ა/ქ
16	ლითიუმი (Li)	ა/ქ*	ა/ქ	ა/ქ	ა/ქ	ა/ქ	ა/ქ
17	ტყვია (Pb)	0,0007	0,0013	0,0021	ა/ქ	<0,001	<0,003
18	ტიტანი (Ti)	<0,012	<0,006	<0,075	<0,099	<0,01	<0,04
19	ვანადიუმი (V)	0,088	0,063	0,586	0,483	0,04	0,07
20	ბარიუმი (Ba)	6,96	9,4	6,65	7,46	10,1	12,4
21	დარიშხანი (As)	ა/ქ	ა/ქ	<0,00337	<0,00340	<0,080	<0,009
22	ქრომი (Cr)	2,6	3,25	1,79	1,78	1,8	2,3
23	ნიკელი (Ni)	2,15	0,656	0,375	0,299	1,07	0,93
24	სელენი (Se)	7,0	6,6	8,71	9,91	7,2	5,32
25	კობალტი (Co)	0,116	0,0871	0,0453	0,134	0,31	0,22
26	ვერცხლისწყალი(Hg)	ა/ქ	ა/ქ	ა/ქ	ა/ქ	ა/ქ	ა/ქ
27	სტიბიუმი (Sb)	<0,0014	<0,00219	<0,0011	<0,0031	<0,0034	<0,008
28	თალიუმი (Tl)	ა/ქ	ა/ქ	ა/ქ	ა/ქ	ა/ქ	ა/ქ

*ა/ქ- აღმოჩენის ზღვარს ქვემოთ

ტოპინამბურის ტუბერებში მაკროელემენტების, მიკრო და ულტრამიკროელემენტების განლაგება კონცენტრაციის კლებადობის მიხედვით
ცხრილი 3

დამზადების ადგილი და წელი	ელემენტები
ხულოს მუნიციპალიტეტი 2018	მაკროელემენტი: K>P>Mg>Ca>Si>Na>Fe მიკრი და ულტრამიკროელემენტი: Al >Zn>Mn>Cu>B>Se>Ba>Cr>Ni> Mo>Co>V>Pb>Be>Ti>Cd>Sb
ხულოს მუნიციპალიტეტი 2019	მაკროელემენტი: K>P>Mg>Ca>Si>Na> Fe მიკრო და ულტრამიკროელემენტი:Zn> Al >Mn>B>Cu>Ba>Se>Cr>Ni> Mo>Co>V>Cd>Pb> Be>Ti >Sb
ქედის მუნიციპალიტეტი 2018	მაკროელემენტი: K>P>Ca>Mg>Si>Na> Fe მიკრო და ულტრამიკროელემენტი: Al>Zn>B>Mn>Se>Cu>Ba>Cr>Mo> V>Ni>Co>Pb> Ti>Be>Cd>Sb>As
ქედის მუნიციპალიტეტი 2019	მაკროელემენტი: K>P>Ca>Mg>Si>Na> Fe მიკრო და ულტრამიკროელემენტი: Al>Zn>Mn>B>Se>Ba>Cu>Cr>V> Ni>Co>Mo> Be> Cd>Sb>Li>As> Ti
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი 2018	მაკროელემენტი: K>Mg>P>Ca>Na>Si>Fe მიკრო და ულტრამიკროელემენტი: Al>Zn>B>Ba>Cu<Mn>Se>Cr>Ni> Co>V> Mo>Sb>Cd>Li>As>Pb>Cd>Be
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი 2019	მაკროელემენტი: K>Mg>Ca>P>Na> Si> Fe მიკრო და ულტრამიკროელემენტი: Al >Zn>B>Ba>Mn>Cu>Se>Cr> Ni>Co>V> Mo>Ti>As>Pb>Cd>Sb>

სამივე მუნიციპალიტეტში მოყვანილ ტოპინამბურის ტუბერებში დომინირებს უმთავრესი ელემენტები K, Ca, P, Mg, Na, Si, Fe, Zn, Mn, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის ორგანიზმისთვის. ტოკსიკური ელემენტებიდან Al, Cd, Ba, Pb, As, Sb, Hg შემცველობა სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური წესებისა და ნორმატივების მიხედვით არ აღემატება ტოქსიკურ ელემენტებზე არსებულ დასაშვებ ზღვარს [15;18;19;27;39], ხოლო პოტენციურად ტოქსიკური ელემენტების Be, Ti, Tl შემცველობა აღმოჩენის ზღვარს ქვემოთაა [28;29], მიღებული შედეგებში ასახულია აჭარის რეგიონში ხულოს, ქედის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოყვანილ ტოპინამბურის ტუბერებში მინერალური ელემენტების დაგროვების თავისებურებით, რაც აიხსნება სხვადასხვა ადგილზე მცენარის მიერ ნიადაგიდან ელემენტების შეთვისებით.

დასკვნები და რეკომენდაციები: სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შორის ტოპინამბური გამოირჩევა შემდეგი უპირატესობით:

- კარგად ხარობს სუბტროპიკულ ზონაში;
- გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით: ერთ ჰექტარზე მწვანე მასა 30-35ტ, ტუბერები 20-25ტ;
- მედეგია გვალვისა და ყინვის მიმართ;
- მედეგია დაავადებების და მავნებლების მიმართ;
- გამოიყენება, როგორც ფიტომელიორატორი ნიადაგის რეკულტივაციისთვის;
- იცავს ნიადაგს ქარისა და წყლის ეროზიისაგან;
- ქმნის მწვანე დამცავ ბარიერს, ასუფთავებს ატმოსფერულ ჰაერს. 1ჰექტარზე

გაშენებული ტოპინამბურის ნარგაობა ჰაერიდან ითვისებს 6 ტონა ნახშირორჟანგს, ხოლო 1ჰექტარი ფოთლოვანი ტყე შთანთქავს მხოლოდ 3-4 ტონას.

ინსტიტუტი მუშაობს იმაზე, რომ საკუთარი კვლევების შედეგებზე დაყრდნობით დაასაბუთოს აჭარის რეგიონში ტოპინამბურის, როგორც კულტურის დანერგვის პერსპექტიულობა, მისი ეკონომიკური სარგებლიანობა და აქედან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობანი, რადგან ისტორიულად ცნობილია, რომ ტოპინამბურის კულტურა საქართველოში და აჭარაში დიდი ხნის უკან გავრცელდა მოსახლეობაში და გამოიყენებოდა საკვებად.

მოსახლეობის გაჯანსაღების მიზნით ფუნქციონალური ინგრედიენტებით კვების პროდუქტების გამდიდრება, მსოფლიოში მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს. აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოყვანილი ტოპინამბურის ტუბერები, როგორც ეკოლოგიურად უსაფრთხო ნედლეული, თავისი უნიკალური ბიოქიმიური შედგენილობით შესაძლებლობას იძლევა გამოვიყენოთ ფუნქციონალური, დიეტური კვების პროდუქტების და ბიოლოგიურად აქტიური დანამატების დასამზადებლად.

AGRARIAN SCIENCES

THE CONTENT OF ELEMENTS IN ARTICHOKE TUBERS *(Helianthus tuberosum L.)*

IAMZE CHKHARTISHVILI, SOPHIO PAPUNIDZE, NINO SEIDISHVILI,
GURAM PAPUNIDZE, ZURAB MIKELADZE

Shota Rustaveli State University
Institute of Agrarian and Membrane Technologies
Department of Agrarian and Food Technologies

The quantitative content of elements in induction-bonded argon plasma atomic-emission spectrophotometer (ICPE - 9820 Shimadzu, Japan) was studied for the first time in artichoke tubers grown in Adjara region. 28 items were quantified. K, Ca, P, Mg, Na, Si, Fe, Zn, Mn, which are vital for the human body, dominate the analytical samples. The content of Al, Cd, Ba, Pb, As, Sb, Hg from toxic elements does not exceed the maximum allowable daily level of mineral elements in vegetables and fruits, while the content of potentially toxic elements Be, Ti, Tl is below the detection limit. The obtained results clearly reflect the ecological condition of Adjara region and the peculiarity of the accumulation of mineral elements in the artichokes in the territory of Khulo, Keda, Khelvachauri municipality and the ecological purity of the raw material.

ლიტერატურა:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბ. 1984.-გვ.34.
2. Топинамбур–уникальное растительное сырье. В. И. Старовойтов, О.А. Старовойтова. П. С. Звягинцев. Е. А. Мандрыка, Ю. Т. Лазунин. Пищевая Промышленность. №8. 2015. с 16-20.

3. Ловкова М.Я., Рабинович А.М., Пономарева С.М., Бузук Г.Н., Соколова С.М. Почему растения лечат. М., 1989. 256 с.
4. Киселёва Т.Л., Карпеев А.А., Смирнова Ю.А., Амаликий В.В., Сафонов В.П., Цветаева Е.В., Блинков И.Л., Коган Л.И., Чепков В.Н., Дронова М.А. Лечебные свойства пищевых растений. М., 2007. 533 с.
5. Pohl P., Dzimitrowicz. A., Jedryczko. D., Szymczycha-Madeja. A., Welna. M., Jamroz. P. The determination of elements in herbal teas and medicinal plant formulations and their tisanes // J. Pharm. Biomed. Anal. 2016. Vol. 130. Pp. 326–335. DOI: 10.1016/j.jpba. 2016.01.042.
6. Zoroddu M.A., Crisponi J.A.G., Medici S., Peana M., Nurchi V.M. The essential metals for humans: a brief overview // Journal of Inorganic Biochemistry. 2019. Vol. 195. Pp. 120–129. DOI: 10.1016/j.jinorgbio. 2019.03.013.
7. Екутеч Р. Разработка технологии получения инулина и пищевых волокон из клубней топинамбура. Дисертация 2010.
8. Тарасенко Н.А., Филиппова Е.В. Кратко о пребиотиках: история, классификация, получение, применение. Ж. Фундаментальные исследования №6, 2014.
9. Екутеч Р., Шаззо Р. Купин Г и др. Способ комплексной переработки топинамбура/заявка №2009112304/13 // 2006.
10. Barta, jozef; Magyar Pichler, Eva; Torok, Szilveszter; Vukov, Konctantin (hug.) Inulin hydrolysis of Artichoke. Elemez.I p. 1989,43 (1) 9-15).
11. A. Erdei, Abstr. IX Seminar on Inulin Hungary 2002, PP 10-11.
12. Плетнова М.Б., Якубова И.Ш., Груздеви А.Е. и др. Биологически активные добавки к пище. Человек и лекарство: Тез. докл. V Рос. нац. конгресс. 21 апреля. 1998. М., с.395.
13. Ефремов А.А., Макарова Л.Г., Шаталина Н.В., Первышина Г.Г. Минеральные вещества – основа снижения антропогенного воздействия окружающей среды на организм человека // Химия растительного сырья. 2002. №3. С. 65–68.
14. Немерешина О.Н., Шайхутдинова А.А. Оценка содержания тяжелых металлов в тканях Polygonum aviculare L. на техногенно загрязненных территориях // Экология и промышленность России. 2012. №9. С. 46–49.
15. Попов, А.И. Изучение влияния антропогенных факторов на элементный состав и ресурсы лекарственных растений Кемеровской области и республики Тыва: дис. док. Фарм. Наук. 15.00.02.1995-945с.
16. Kathpalia R., Bhatla S.C. Plant Mineral Nutrition. In: Plant Physiology, Development and Metabolism. Springer, Singapore. 2018, pp. 37–81. DOI: 10.1007/978-981-13-2023-1_2.
17. Salahinejad. M., Aflaki. F. Biol. Trace Elem. Res., 2010, vol. 134, pp. 109–117. DOI: 10.1007/s12011-009-8449-z.
18. Попов А, И. Минеральные вещества корней и корневищ кровохлебки аптечной / А.И. Попов, К.Г. Громов, В.А. Попков //Вопросы питания. 1995. – С. 30-32.
19. Попов А.И. Кравченко С. Н. Дементьев Ю. Н. Кожура А.Г. Химические элементы плодов голубики (Vaccinium uliginosum L.) семейства вересковые (Ericaceae juss.) Вестник Кемеровского государственного университета. 2014 №2 (58) Т. 1.
20. Немерешина О. Н. Гусев Н.Ф. Филиппова А.В. Содержание микроэлементов и низкомолекулярных антиоксидантов в чае. Химия растительного сырья . 2014. №2. С. 155-168.
21. Лавриенко Ю.В. Плиева А.М. Христозова Г.Я. Фронтасьева М.В. Зиньковская И. Ткаченко К.Г. Элементный состав травяных чаев, исследованных с помощью инструментального нейтронного анализа и атомной абсорбционной спектрометрии. Химия растительного сырья. 2020. №3. С. 305-314.
22. Жучкова М.А. Скрипников С.Г. Топинамбур - Растение XXI Века. Овощи Расии. 2017. (1). 31-33.
23. Таланов А.А. Круглов Д.С. Фурса Н.С. Масс-спектрометическое определение элементного состава различных органов голубики. Российский медико-биологический вестник имени академика И.П. Павлова. №1 , 2012.

24. Нуруллаева Д.Х. Фарманова Н.С. Изучение элементного состава плодов овса посевного (AVENA SATIVA)// Аспирантский вестник Поволжья.-2020. №1-2 С. 142-145.
25. Определение содержания химических элементов в диагностируемых биосубстратах, препаратах и биологически активных добавках методом масс-спектрометрии с индуктивно-связанной плазмой: методические указания (МУК 4.1.1483-03). - М.: ФЦ ГСЭН МЗ РФ, 2003. - 36 с.
26. Дементьева Т.М., Компанцева Е.В., Санникова Е.Г., Фролова О.О. Макро- и микроэлементы коры и побегов некоторых видов ивы, произрастающих на северном Кавказе //Дальневосточный медицинский журнал.- 2017.-№3. С. 56-59.
27. Попов А, И. Минеральные вещества листьев одуванчика / А.И. Попов //Вопросы питания. -1993. №3.-. 57-58.
28. Wong M., Zhang Z., Wong J., Lan C. Environmental Geochemistry and Health. 1998, vol. 20, Pp. 87–94. DOI: 10.1023/A:1006545825302.
29. Markert B. Water Air Soil Pollut., 1992, vol. 64, pp. 533–538. DOI: 10.1007/BF00483363.

აგრარული მეცნიერება

გრანულირებული მწვანე ჩაის დამზადება მცენარეული დანამატებით

ნინო სეიდიშვილი, იამზე ჩხარტიშვილი, სოფია პაპუნიძე, დოდო აბულაძე, ციალა ბოლქვაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის
აგრარული და კვების ტექნოლოგიების განყოფილება

ანოტაცია: ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ გრანულირებული მწვანე ჩაის წარმოება მცენარეული ნედლეულის დანამატებით ზრდის ნედლეულის ბაზას და ჩაის პროდუქციის ასორტიმენტს, აგრეთვე იძლევა ჩაის ნედლეულის რაციონალურად გამოყენების შესაძლებელობას. გრანულირებული მწვანე ჩაი მცენარეული დანამატებით, ხასიათდება მაღალი ხარისხის მაჩვენებლებით და ბიოლოგიური თვისებებით. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც გამაგრილებელი ვიტამინიზირებული და სასმელი ჩაი ფართო მოხმარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: გრანულირებული მწვანე ჩაი, ჭინჭრის ფოთოლი (Folia Urticae), მოცვის ფოთოლი (Folia Vaccinium myrtillus), ასკილის ფოთოლი (Folia Roza), ექსტრაქტული ნივთიერება, ფენოლური ნაერთები, ვიტამინი C.

მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მრავალფეროვნებისა და წარმოების მასშტაბების პოტენციალისა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში, ყველა ტრადიციული დარგი ვერ იძენს კონკურენტუნარიანობას მომძლავრებული კონკურენციისა და სხვა ზემოქმედი გარემოებისა და ფაქტორების გამო. სწორედ ამითაა განპირობებული დღეისათვის ზოგიერთი ადრე სტრატეგიული მნიშვნელობის სოფლის მეურნეობის დარგების პრიორიტეტულობის რეინტინგული შეფასების ცვლილებები. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ცალკეულ კულტურათა ჩანაცვლების მცდელობისა მეჩაიეობის დარგის მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიების დაცვით, კომპლექსური გადამამუშავებელი ტექნოლოგიების შემუშავება.

ამიტომ ჩაის ქართული პროდუქციის წარმოების აღორძინება დღეისათვის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჩაის პროდუქციამ რომ მსოფლიო ბაზარზე თავისი ადგილი დაიმკვიდროს, უნდა იყოს კონკურენტუნარიანი - მაღალი ხარისხობრივი და ბიოლოგიური ღირსების მქონე [1].

საქართველოში მეჩაიეობისა და ჩაის აღორძინების პროგრამის მიხედვით ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, საწარმოების გადაიარაღებისა და ტექნიკური აღჭურვილობის მიზნით, სხვა აუცილებელ ღონისძიებებთან ერთად, ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით, ადგილობრივი არატრადიციული მცენარეული ნედლეულის გამოყენებით გრანულირებული ჩაისმაგვარი პროდუქციის წარმოების მოცულობის გაზრდა არომატიზირებული და ვიტამინიზირებული პროდუქციის წარმოების გზით.

ამჟამად, მთელ მსოფლიოში, აქტიური მოთხოვნაა ფუნქციონალურ სასმელებზე, რომელიც მზადდება ჩაის საფუძველზე,

მოსახლეობის ყველა კატეგორიისთვის [3] საერთაშორისო მარკეტინგული კვლევის თანახმად, მომდევნო 5-10 წლის განმავლობაში, ფუნქციური სასმელების და კვების სექტორის ზრდა გაიზრდება 40%-დე და მიაღწევს 15-20 მილიარდ აშშ დოლარს.

ნატურალური ჩაის ნაყენი წარმოადგენს ბუნებრივ საგემოვნო-კვებით პროდუქტს და შეიცავს ადამიანის ორგანიზმისათვის სასარგებლო მოქმედ ნივთიერებებს.

ჩაის საფუძველზე მომზადებული სასმელები მცენარეული დამატებით არის ვიტამინებისა და მიკროელემენტების მდიდარი წყარო. იგი ადამიანის კვების რაციონში აუცილებელი კომპონენტია. მსოფლიოს ყველა კუთხის ხალხისათვის, როგორც საგემოვნო, პროფილაქტიკური და სამკურნალო დანიშნულების პროდუქტი.

კვლევის სიახლე - კვლევის სიახლეს წარმოადგენს გრანულირებული მწვანე ჩაის წარმოებისათვის მცენარეული დანამატები. შერჩეული იქნა გამდიდრებული ინგრედიენტებით: ჭინჭრის ფოთოლი, მოცვის ფოთოლი, ასკილის ფოთოლი. ჩაის ფოთოლთან ერთდროულად გადამუშავებით მიიღება პროდუქტი, რომელიც ხასიათდება მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით;

- დადგენილია ჩაის ფოთლის მცენარეული ნედლეულის დანამატით გადამუშავების ოპტიმალური ტექნოლოგიური რეგლამენტი

- დამუშევებულია მცენარეული დანამატების წინასწარი მომზადების ტექნოლოგია; შესწავლილია მიღებული გრანულირებული მწვანე ჩაის პროდუქტების ძირითადი ქიმიური მაჩვენებლები, ორგანოლეპტიკური მახასიათებლები.

კვლევის ობიექტი და მეთოდები-კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა: ჩაის ფოთოლი, გრანულირებული მწვანე ჩაი მცენარეული დანამატებით, რომელიც ხასიათდება მაღალი ორგანოლეპტიკური და ბიოლოგიური ღირებულებით. მცენარეული დანამატებიდან გამოვიყენეთ - ჭინჭრის ფოთოლი (Folia Urticae), მოცვის ფოთოლი (Folia Vaccinium myrtillus), ასკილის ფოთოლი (Folia Roza). მიღებული პროდუქცია ხასიათდება ვალეოლოგიური - სამკურნალო და ვიტამინიზირებული თვისებებით.

ექსპერიმენტალური კვლევების დროს გამოყენებული იყო ფიზიკო-ქიმიური ანალიზის არსებული მეთოდები.

- ჩაის ფოთლის მექანიკური შემადგენლობა ისაზღვრებოდა გოსტ - 23725-76 -ის მიხედვით;

- ექსტრაქტული ნივთიერებები - ვ.ვორონცოვის მეთოდით გოსტ 28551-80 (ИСО 1574-80);

- ფენოლური ნაერთები - ლევენტალის მეთოდით,

- C ვიტამინის განსაზღვრა ტილმანსის მეთოდით;

- მწვანე ჩაის პროდუქტების შეფასება წარმოებდა ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების მიხედვით.

ცნობილია, რომ ჩაის მექანიკური და ქიმიური შემადგენლობა განსაზღვრავს მის ტექნოლოგიურ ღირებულებას, ამასთან მისი ცოდნა იძლევა საშუალებას შემუშავებული იქნას გადამუშავების ოპტიმალური რეჟიმი ნედლეულის პოტენციური შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენის მიზნით. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა 2019-2020 წლებში შპს აგროფირმა ქობულეთიდან მიღებული ჩაის ნედლეულის მექანიკური შემადგენლობა. დიაგრამიდან ჩანს, რომ ყველაზე ძვირფასი ნაწილის - ნაზი ფრაქციის შემცველობა სეზონის მიხედვით იცვლება. მაქსიმალური შემცველობა მაისის თვეშია (დიაგრამა 1.) და მცირდება სეზონის შემდეგ თვეებში, გაუხეშებული ფრაქციის შემცველობა კი იზრდება თვეების მიხედვით სექტემბერში აღწევს 42,7%-ს, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება მზა პროდუქციის ხარისხზე. გამანჯანსაღებელი,

ვალეოლოგიური გრანულირებული მწვანე ჩაის დამზადება მცენარეული ნედლეულის დამატებით (ჭინჭრის, მოცვის და ასკილის ფოთლები).



დიაგრამა 1.ნედლეულის მექანიკური შემადგენლობა ჩაის მცენარის ვეგეტაციის პერიოდში.

ჩვენს მიერ იყო გამოყენებული ჩაის ფოთლები მოკრეფილი მაისის და აგვისტოს თვეებში, სადაც ჩაის ნაზი ფრაქცია მაქსიმუმს მიაღწევს. ჩაის, ჭინჭრის, მოცვის და ასკილის ფოთლების ერთდროული გადამუშავებით ჩაის პროდუქციის მისაღებად საჭირო იყო გაგვერკვია გადასამამუშავებელი მასალის ოპტიმალური რაოდენობითი თანაფარდობა.

შევისწავლეთ სამი ვარიანტი ჩაის და ჭინჭრის, მოცვის და ასკილის ფოთლების ოპტიმალური რაოდენობითი თანაფარდობა 2:1; 3:1;4:1. დავადგინეთ, რომ (ჩაის და ჭინჭრის თანაფარდობა ყველაზე საუკეთესოა 4:1, ხოლო მოცვის და ასკილის ფოთლისათვის საუკეთესო თანაშეფარდება არის 1:1.

გრანულირებული მწვანე ჩაის მიღება მცენარეული დანამატებით მიმდინარეობს შემდეგი ტექნოლოგიური სქემით: ფოთლების დაორთქვლა (ფიქსაცია) 3 წუთის განმავლობაში, დაორთქვლილი ფოთლების დაყოვნება 1 საათის განმავლობაში, ზედაპირული წყლის მოსაცილებლად გრანულირება ხორცსაკეპ მანქანაში, გაშრობა 80° C ტემპერატურაზე და დაფასოვება.

ამისათვის ჩვენ აღებული გვქონდა მაისის და სექტემბრის თვეში მოკრეფილი ფოთლები. ფოთლის დორთქვლა ხდებოდა 3,5,7 და 10 წუთის განმავლობაში. როგორც გვაჩვენა ცდებმა გაზაფხულის ფოთლებში ყველაზე საუკეთესო აღმოჩნდა 3 წუთიანი დაორთქვლა ხოლო შემოდგომის ფოთლებისათვის საუკეთესო იყო 10 წუთიანი დაორთქვლა.

დაორთქვლის დროს მიმდინარეობს ფერმენტების ინაქტივაცია - ფიქსაცია [5]. ფოთლის დაორთქვლის შემდეგ ხდება მისი გატარება გრანულატორში, რაც საშუალებას გვაძლევს პრაქტიკულად განვახორციელოთ ფოთლის გრეხის პროცესი და მივიღოთ გაშრობის შემდეგ გრანულირებული ჩაი. მიღებულ გრანულებს თან ახლავს წვრილი ნაწილები მცირე რაოდენობით 2-5%, ამიტომ საჭიროა მისი გაცრა, ხოლო გამონაცერი წვრილი ფრაქცია გამოიყენება ერთჯერად პაკეტებში დასაფასოებლად. დარჩენილი მასა მიზანშეწონილია შეიფუთოს მუყაოს მაგარ ტარაში [2, 4].

განსაზღვრული იყო ფიზიკო-ქიმიური და ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები როგორც მწვანე ჩაის ასევა გრანულირებული მწვანე ჩაის მცენარეული დანამატებით (ჭინჭრის, მოცვის და ასკილის ფოთოლი) შესაბამისი მეთოდების მიხედვით.

ცხრილი 1

ჩაის ფოთლის და გრანულირებული მწვანე ჩაის მცენარეული დანამატებით (ჭინჭრის, მოცვის და ასკილის ფოთოლი) ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები

კვლევის ობიექტი	ექსტრაქტული ნივთიერება %	ფენოლური ნაერთები %	C ვიტამინი მგ/%
ჩაის ფოთოლი	34,05	12,85	200
გრანულირებული მწვანე ჩაი ჭინჭრის ფოთოლი შეფარდება (4:1)	35,07	14,25	
გრანულირებული მწვანე ჩაი მოცვის ფოთოლი შეფარდება (1:1)	35,0	14,05	48,5
გრანულირებული მწვანე ჩაი ასკილის ფოთოლი შეფარდება (1:1)	33,2	14,40	35,4

ცხრილი 2

ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები ჩაის ფოთლის და გრანულირებული მწვანე ჩაის მცენარეული დანამატებით (ჭინჭრის, მოცვის და ასკილის ფოთოლი)

დასახელება	ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები		
	ნაყენის ფერი	გემო	არომატი
ჩაის ფოთოლი	გამჭირვალე მწვანე	საკმაოდ მწკლარტე გემო	სასიამოვნო
ჭინჭრის ფოთოლი	ინტენსიური მწვანე, მუქი მწვანე	მწკლარტე ბალახისებრი	შეესაბამება ჭინჭრის ფოთოლს
გრანულირებული მწვანე ჩაი ჭინჭრის ფოთოლი შეფარდება (4:1)	ინტენსიური მწვანე, მუქი შეფერილობით	მწკლარტე მომჟავო გემოთი	სასიამოვნო სუსტი ჭინჭრის არომატით.
მოცვის ფოთოლი	ქარვისფერი	მჟავე	შეესაბამება მოცვის ფოთოლს
გრანულირებული მწვანე ჩაი მოცვის ფოთოლი შეფარდება (1:1)	ყვითელი	მწკლარტე მომჟავო გემოთი	სასიამოვნო
ასკილის ფოთოლი	ყვითელი	შერბილებული მჟავე	შეესაბამება ასკილის ფოთლებს
გრანულირებული მწვანე ჩაი ასკილის ფოთოლი შეფარდება (1:1)	ყვითელი ქარვისებრი შეფერილობით	სასიამოვნო მწკლარტე გემოთი	სასიამოვნო

დასკვნები და რეკომენდაციები - ყველა მცენარეული ჩაი შეიძლება დავყოთ ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო, პროფილაქტიკურ და სამკურნალოდ.

ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ჩაი მზადდება საკვებისა და სამკურნალო მცენარეებისგან, ძლიერმოქმედი ნივთიერებების გარეშე (აღმგზნები, დამამშვიდებელი), მაგრამ ორგანიზმისთვის აუცილებელი ფიზიოლოგიურად აქტიური ნაერთების მიმცემი: ვიტამინები , მიკროელემენტები და ა.შ. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას წყლის ნაცვლად ყოველდღიურად მთელი ცხოვრების განმავლობაში, ასე რომ მათ უნდა მოგიკლათ წყურვილი, ჰქონდეთ სასიამოვნო გემო და არომატი.

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან უნდა აღინიშნოს, რომ გრანულირებული მწვანე ჩაის წარმოება ჩვენი ტექნოლოგიით მცენარეული დანამატებით მიეკუთვნება ვალეოლოგიურ - მულტივიტამინებით მდიდარ პროდუქტს, რომლებიც არეგულირებს მეტაბოლიზმს, ახასიათებს მატონიზირებელი და დამამშვიდებელი თვისებები.

AGRARIAN SCIENCES

MAKING GRANULATED GREEN TEA WITH HERBAL SUPPLEMENTS

NINO SEIDISHVILI, IAMZE CHKHARTISHVILI, SOPHIO PAPUNISZE, DODO ABULADZE, TSIALA BOLKVADZE

Shota Rustaveli State University
Institute of Fgrarian and Membrane Technologies
Departament of Agrarian and Food Technologies

Studies have shown that the production of granulated green tea with herbal supplements increases the raw material base and range of tea products, as well as enables the rational use of tea raw materials. Granulated green tea with herbal supplements, characterized by high quality indicators and biological properties. It can be used as a refreshing, vitaminizing and tea for general consumption.

ლიტერატურა:

1. გ. პაპუნიძე., ა. დევაძე., ს. პაპუნიძე., ნ. სეიდიშვილი. მეციტრუსეობის და მეჩაიეობის დანერგვის განვითარება აჭარის რეგიონისათვის პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრი. შრომები III .გვ.69- 82. ბათუმი 2018 ISSN 2449-2507
2. Сейдишвили Н.,Кобахидзе М., Лазишвили Л.,- Холодный зеленый чай с витаминами Р и С- Ж. Пиво и напитки № 4, 2004г. ст.96-97.
3. Л.Я. Склярский.,И.А.Губанов .,- Лекарственные растения в быту Москва россельиздат 1986г.
4. Чхартишвили Июб Кобахидзе М., Папунидзе Г., Цинцадзе В., Гранулированный фиточай. Ж. «Пиво и напитки» № 1, Москва, 2009.
5. მ.კობახიძე, ნ.სეიდიშვილი, ი.ჩხარტიშვილი, ვ.ცინცაძე. მწვანე ჩაის ენერგოდამზოგი კომპლექსური ტექნოლოგიის დამუშავება.გამომცემლობა“ ალიონი“ ბათუმი 2013.

აგროქიმია

რძიანას ქიმიური შემადგენლობის კვლევა, სამკურნალო თვისებების გამოვლენის მიზნით

ნუნუ კუტალაძე
e-mail: nunukutaladze@gmail.com

ზურაბ მიქელაძე
e-mail: zurabi.mikeladze@bsu.edu.ge

დოდო აბულაძე
e-mail: dodo.abuladze@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: აჭარის ტერიტორია მდიდარია სამკურნალო მცენარეთა ნაირსახეობით. ასეთ ერთ-ერთ მცენარეს წარმოადგენს რძიანა (Eupforbia). მათი ბუნებრივი გავრცელება საკმაოდ მაღალია. საქართველოში გვხვდება რძიანას 45 სახეობა მათ შორის 3 საქართველოს ენდემია. ის ხშირად გვხვდება ზემო აჭარის მთიან სოფლებში. ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, რომ ამ მცენარის ქიმიური შემადგენლობა ნაკლებადაა შესწავლილი.

ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა კვლევები აჭარაში გავრცელებული რძიანას ერთ-ერთი ნაირსახეობის, შვრისფოთოლა-Euphorbia myzsintes Walzenwolfkmilch .რძიანას ნედლეული შეგროვებული იქნა აგვისტოს ბოლო რიცხვებში. კვლევები ჩატარდა, როგორც რძიანას ნედლეულის, ასევე რძიანას ექსტრაქტიში. ექსტრაქტის მოსამზადებლად ნედლეული აღებული იქნა 50გ მასა და ჩაუტარდა ორჯერადი ექსტრაქცია.

კვლევის მიზანი იყო გაგვეგო რა დოზით გადადიოდა რძიანას ექსტრაქტში მინერალური ნივთიერებები. გამოკვლეული იქნა რძიანას ნედლეული და მისი ექსტრაქტი, რომლებშიც განისაზღვრა ნაცარი გამოწვის მეთოდით, მაკრო და მიკრო ელემენტები. პლაზმური ატომური ემისიური სპექტრომეტრის გამოყენებით- ICPE-9820.

ჩვენი კვლევის შედეგებით შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა ,რომ რძიანა და მისი ექსტრაქტი შეიცავს მინერალურ ნივთიერებებს, კერძოდ კალიუმს, კალციუმს, ნატრიუმს, მაგნიუმს, რკინას, ფოსფორს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ადამიანის ჯამრთელობის შესანარჩუნებლად. ისინი არეგულირებენ სისხლის რეაქციას. მათი ნაკლებობა იწვევს შრომის უნარიანობის დაქვეითებას.

საკვანძო სიტყვები: სამკურნალო მცენარე, რძიანა, მინერალური ნივთიერებები, მიკრო და მაკრო ელემენტები, ექსტრაქტი.

მცენარეების სამკურნალო თვისებები განპირობებულია მათში ალკალოიდების, ფლავანოიდების, ლიკოზიდების, ვიტამინების, მთრიმლავი ნივთიერებების, არსებობით, რომლებიც ადამიანის, ცხოველის ორგანიზმზე ახდენენ ფიზიოლოგიურ ზემოქმედებას, ანდა გააჩნიათ ბიოლოგიური აქტიურობა სხვადასხვა დაავადებების გამომწვევ ბაქტერიათა მიმართ. განსაკუთრებულ ჯგუფშია გამოყოფილი ანტიბიოტიკების წარმომქმნელი მცენარეები სინთეზური საშუალებებისგან გამოირჩევიან ნაკლები ტოქსიკურობით.

მედიცინაში მოთხოვნილება მცენარეული წარმოშობის სამკურნალო პრეპარატების გამოყენების მიმართ ყოველწლიურად იზრდება. აჭარის ტერიტორია მდიდარია სამკურნალო მცენარეთა ნაირსახეობით. ასეთ ერთ-ერთ მცენარეს წარმოადგენს რძიანა (Eupforbia). მათი ბუნებრივი გავრცლების არეალი საკმაოდ მაღალია, მაგრამ მედიცინაში ნაკლებად გამოიყენებ. რძიანა (Eupforbia) - მცენარეთა გვარი რძიანასებრთა ოჯახისა, ფოთლები მარტივია ან რთული (თათისებრი); განლაგებულია მორიგეობით, იშვიათად მოპირისპირედ. ყვავილები ყოველთვის ცალსქესიანია, აქტინომორფული. ერთ სქესიანი ყვავილები შეკრებილია თავთავისებრ ყვავილედში. ნაყოფი კოლოფია. ზოგჯერ კურკიანისებრი და კენკრისებრი. 300-მდე გვარის 7 ათასამდე სახეობა გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ სარტყელში. ბევრი ბალახოვანი იზრდება ზომიერ და ნაწილობრივ ცივ სარტყელში (გარდა არქტიკისა და ანტრაქტიკისა. მრავალწლოვანი ბალახები და ბუჩქებია (სეკულენტები, კერძოდ კაკტუსისებრი), იშვიათად-ხისებრი ფორმებია ან ერთწლოვანები. შეიცავენ რძეწვენს(აქედანა სახელწოდება რძიანა).

საქართველოში გვხვდება 45 სახეობა მათ შორის 3 საქართველოს ენდემია. ბევრი სახეობის რძეწვენა შხამიანია, მდიდარია ფისით, თესლი ზეთს შეიცავს, ზოგიერთი რძიანა სარეველაა, ზოგი დეკორატიული, ზოგიც სამკურნალო. ის ხშირად გვხვდება ზემო აჭარის მთიან სოფლებში.

სამკურნალო მცენარე რძიანა იზრდება მთის შუა სარტყელში რუდელარულ ადგილებში და ნათესებში, როგორც სარეველა.

ხალხურ მედიცინაში რძიანას ფოთლები და ქერქი გამოიყენება სიფილისის წინააღმდეგ, სამკურნალო მიზნით გამოიყენება მცენარის მიწისზედა ნაწილები- ფოთლები და ღეროები, რომელსაც აგროვებენ მაისიდან ნოემბრის პირველი ნახევრის ჩათვლით. რძიანა იხმარებოდა შაკიკის დროს, როგორც გარეგანი საშუალება, სახსრების ტკივილის დროს. რძიანა შედის ისეთი რთული წამლების შემადგენლობაში, რომელიც გამოიყენება კრუნჩხვების დამბლის და სხვა ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ. მედიცინაში იყენებენ, როგორც გარეგანი საშუალება. რძიანას ზოგიერთი სახეობის ზეთი კი საფაღარათე დანიშნულებით.

რძიანას რძე წვენით ითეთრებენ სახის კანს, იცილებდნენ სახეზე ჭორფლს და ტალებს. მეცხოველეობაში იყენებდნენ ბინძური წყლის გასაწმენდად, მასში აწვეთებდნენ რძიანას წვენს რამდენიმე ხნის შემდეგ ასმევდნენ პირუტყვს. ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. ასეთი სამკურნალო თვისებების გამო ამ მცენარეს სპეციალურად აშენებდნენ ეზოებში. ძველ ქართულ ხელნაწერებში რძიანა გვხვდება როგორც: ფარფიონი, მაზარიონი, შუბრემი.

ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, რომ ამ მცენარის ქიმიური შემადგენლობა ნაკლებადაა შესწავლილი.

ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა კვლევები აჭარაში გავრცელებული რძიანას ერთ-ერთ ნაირსახეობის შვრისფოთოლა - Euphorbia myzsintes Walzenwolfkmilch. რძიანას ნედლეული შეგროვებული იქნა აგვისტოს ბოლო რიცხვებში. კვლევები ჩატარდა, როგორც რძიანას ნედლეულში, ასევე რძიანას ექსტრაქტში. ექსტრაქტის მოსამზადებლად ნედლეული გავატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, საიდანაც აღებული იქნა 50გ მასა და ჩაუტარდა ორჯერადი ექსტრაქცია, ორივე ექსტრაქტი შევაერთეთ.

კვლევის მიზანი იყო გაგვეგო რა დოზით გადადიოდა რძიანას ექსტრაქტში მინერალური ნივთიერებები. გამოკვლეული იქნა რძიანას ნედლეული და მისი ექსტრაქტი, რომლებშიც განისაზღვრა ნაცარი გამოწვის მეთოდით, მაკრო და მიკრო ელემენტები. ანალიზები ჩატარდა როგორც სველი, ასევე მშრალი დანაცვრით პლაზმური ატომური

ემისიური სპექტრომეტრის გამოყენებით- ICPE-9820 .სპექტრომეტრი (Shimadzu, Japan). პლაზმის ორმაგი დაკვირვება საშუალებას იძლევა სპექტრომეტრის გაზომვები ავტომატურად გადავიდეს მაღალი მგრძნობელობის მაქსიალურ და მაღალი სიზუსტის რადიალურ დაკვირვებებს შორის, რომელიც საშუალებას აძლევს ელემენტების ანალიზი ჩავატაროთ ერთიანი მეთოდით ფართე დიაპაზონში.სპექტრომეტრზე ანალიზის ჩასატარებლად წინასწარ მომზადდა სტანდარტული ხსნარები, რომელთა კონცენტრაცია იმყოფება დაკალიბრების დიაპაზონის ზღვრებში. სტანდარტული ხსნარები მომზადდა შემდეგი სტანდარტების გამოყენებით (Sigma-Aldrich, შვეიცარია):

- მულტიელემენტური სტანდარტული ხსნარი 6 ICP, 100 მგ/ლ თითოეული ელემენტი 5% HNO_3-ში;
- იტრიუმის შინაგანი სტანდარტი (Y) ICP, 1001 მგ/ლ ± 4 მგ/ლ 2% HNO_3 -ში.

საკალიბრო ხსნარების მომზადებისას გამოიყენება 1% აზოტმჟავა. საკალიბრო კონცენტრაციები 5 მკგ/ლ-დან 5 მგ/ლ-მდეა თითოეული ელემენტისთვის და 0.1 მგ/ლ-ში იტრიუმის სტანდარტისთვის. ნიმუშების წინასწარი დამუშავებისა და განზავების დროს გამოყენებული იქნა დეიონიზირებული წყალი 18.2 MΩ / სმ მაქსიმალური რეზისტენტობით მიღებული Purity Labwater D340 სისტემით. (Oxfordshire, დიდი ბრიტანეთი). ხსნარების შესანახად ვიყენებდით მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის კონტეინერებს. მიღებული მონაცემები (იხ. ცხრილი N1, N2, N3).

ცხრილი 1

მაკრო ელემენტები მგ/ლ

თუ ბავშვის აღზრდის გარდაქმნა გვსურს, გვასწავლის ილია, უნდა გარდავქმნათ ოჯახი, განვამტკიცოთ იგი ახალ საფუძველზე, ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით. მისი აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა ავამაღლოთ ოჯახის უფროს წევრთა შეგნების დონე. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება გამოუვალ, ჯადოსნურ წრესთან: გაუნათლებელი მშობლები გაუნათლებელ შვილებს გაზრდიან, გაუნათლებელი შვილები კი გაუნათლებელი მშობლები იქნებიან. ამიტომ დიდი ილია მოითხოვდა დედების მიერ აღზრდის ხელოვნების დაუფლებას, მათი გონების „გახსნას“ და ჭეშმარიტი ცოდნით შეიარაღებას. ამით, მისი აზრით, „დედაკაცი გაუთანასწორდება მამაკაცსა და მისებრივ ადვილად გაიგებს, ადვილად მიხვდება მოვალეობას კაი ცოლობისას, კაი დედობისას, და უკვე განათლებული ჭკუითა და გულით ადვილად შეიძენს იმ განსაკუთრებულს ცოდნასაც, რომელიც ოჯახში ასე თუ ისე მისთვის საჭირო იქნება“ (ჭავჭავაძე, 1938: 347).

ცოდნის შეძენასთან ერთად, მშობლებმა კარგად უნდა შეიგნონ ის საპასუხისმგებლო მისია, რაც მათ აკისრიათ. „ერთხელ და ერთხელ საჭიროა ვიცოდეთ რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდაესი და უდიდესი ვალია მშობლებისა, – წერდა დიდი მგოსანი,... გაზრდა შვილისა... ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნაწვავ-ნადაგი, ყოველივე ამაგი... ამას უნდა შევახმაროთ“ (ჭავჭავაძე, ტ. IV, 1987: 274).

ამრიგად, დიდი ილიას აზრით, მამობა და დედობა ადამიანის უდიდესი ღირსება და ფრიად საპატიო მოვალეობაა. ჩვენი ბავშვები არა მარტო ჩვენი შვილები და ჩვენი გვარის

გამგრძელებლები არიან, არამედ ისინი, როგორც მომავალი მოქალაქენი, ჩვენი საზოგადოებისა და მთელი ერის განუყრელ წევრებსაც წარმოადგენენ. ამიტომაც არიგებს ილია მშობლებს: „ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები-კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, – აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან“ (იქვე).

მაგრამ ბავშვის აღზრდაში მარტო მოვალეობის ღრმად შეგნება და სურვილი არაა საკმარისი. ამასთან ერთად, „მზრდელი ყრმისა“ „კაი კაციც უნდა იყოს და კაიკაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს“, რამეთუ აღზრდაში ისე არაფერი ფასობს, როგორც აღმზრდელის პირადი მაგალითი, მისი მორალური სახე. ამიტომ ამბობდა ილია: „ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე, იმიტომ რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოება არ არის“ (ჭავჭავაძე, ტ. IV, 1987: 276). თუ გვინდა ჩვენი შვილი წესიერ ადამიანად აღვზარდოთ და სწორ გზაზე დავაყენოთ, მას ლიტონი სიტყვებით კი არ უნდა ვმოძღვრავდეთ სიკეთესა და მამულიშვილობაზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საქმით, საკუთარი პირადი მაგალითით უნდა ვზრდიდეთ. სწორედ ასე იქცეოდა ოთარაანთ ქვრივი. იგი თავის ერთადერთ შვილს – გიორგის მორალური სენტენციებით კი არ „კვებავდა“, არამედ პირადი ყოფაქცევის საუკეთესო ნიმუშებით ზრდიდა. „სოფელმა კარგად იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილუბრალოდ ბაქიობა და მუქარა არ უყვარდა. იმის თქმა და ქმნა ერთი იყო“ (ჭავჭავაძე, თბ., 1984: 450). ამიტომაც მისი შვილი – გიორგიც „სიტყვაგაუტეხელი კაცია, რასაც ამბობს, იმას აკეთებს“ (აკაკი ბაქრაძე).

თუ მშობლის სიტყვა და საქმე ერთმანეთს სცილდება, თუ იგი ვერ ავლენს მაღალმორალურ თვისებებს, მის დადებით აღმზრდელობით ზეგავლენაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგალითად, რა ფასი აქვს შვილის თვალში ისეთ მშობელს, რომელიც ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. ცოტა როდია ისეთი მშობელი, რომელიც ბავშვისაგან მოითხოვს დისციპლინას, წესიერებას, თავაზიანობას, გულისხმიერებას, თვითონ კი სხვებისგან უდისციპლინობით, უხეშობით, სიცრუითა და ორპირობით გამოირჩევა.

სწორედ ეს გარემოება ჰქონდა ხალხს მხედველობაში, როცა შექმნა ანდაზები: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“, „კვიცი გვარზე ხტის“, „როგორც ალხანა, ისე ჩალხანა“ და სხვა მისთანანი.

ამ ანდაზების აზრი ის არის, რომ მსგავსისაგან მსგავსი წარმოიშობა, მშობლების ადამიანური ნაკლი შვილებსაც გადაეცემა. ამიტომ კარგი შვილი რომ აღზარდო, თვითონ შენ უნდა იყო კარგი ადამიანი, ზნემაღალი, ზნეკეთილი, რადგან „ბავშის ნორჩი სული და გული, – როგორც აღნიშნავს ილია, – მეტად მგრძნობიარეა და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და ამიტომაც წრე, საცა ბავში და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე“ (ჭავჭავაძე, ტ. IV, 1987: 207).

მოთხრობის „კაცია ადამიანი?!“ პირველ ვარიანტში ლუარსაბ თათქარიძეს შვილი ჰყავს, სახელად კოლა. მშობლები კოლას პატარაობიდანვე არასწორად ზრდიდნენ: ანებივრებდნენ, ასწავლიდნენ ხალხის უპატივცემლობას, დაცინვას, მასხრად აგდებას, ლანძღვა-გინებას. ყოველივე ეს კოლას ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდა, რადგან მშობლები გულისწყრომის ნაცვლად მის ასეთ საქციელს უწონებდნენ. ილია წერს: „აბა, – ეტყოდა მამა, – ერთი შენებურად შეუკურთხე შენ ბიძიას!..“ გათამამებული მამისაგან

კოლა მართლადაც შეუკურთხამდა, მერე ასე-რიგად, რომ აქ არ ითქმის, ჩემო მკითხველო! ასტყდებოდა სიცილი, ქება პატარა კოლასი, კოცნა და ხვევნა კმაყოფილ და ბედნიერ დედისა, რომელსაც არ ესმოდა, რომ აქვე, დედის კალთაში საუკუნოთ ხდება და ირყვნება შვილი“ (ჭავჭავაძე, 1938: 413-414). ასე ენატარტალობის, ენის გარყვნილობის, უდარდელობისა და ზარმაცობის გარდა, აღნიშნავს მწერალი, კოლას ოჯახში არაფერი უსწავლია.

„კაცია ადამიანის“ ბოლო ვარიანტში ილიამ ლუარსაბსა და დარეჯანს შვილი საერთოდ არ აღირსა, რათა ამით სავსებით ამოეგდო ჩვენი სინამდვილიდან თათქარიძეების ჯიში და ჯილაგი, „რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავისი სიკვდილით აკლებენ“ (ჭავჭავაძე, 1938: 445). ისინი ცხოვრობენ მხოლოდ იმისთვის, რომ სვან და ჭამონ და არა იმისთვის ჭამენ და სვამენ, რომ იცხოვრონ და აცხოვრონ თავიანთი შთამომავალი.

ასეთივე სასტიკი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი გამოაქვს ილია ჭავჭავაძეს ყველა კოლასნაირად აღზრდილი შვილის მიმართ, „რომელიც შინავე დედის კალთაში მიიღებს ხოლმე თესლსა მომავალ წარხდენისას და თავის უბედურებისას“ (ჭავჭავაძე, 1938: 414).

ბავშვის ჭეშმარიტ მამულიშვილად ჩამოყალიბებაში ილია ჭავჭავაძე გადამწყვეტ როლს აკისრებდა დედას. იგი თაყვანს სცემდა და აიდიალებდა იმ ძველ დედათა აჩრდილებს, ვინც „უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“ და მოუწოდებდა თანამედროვე ქალს „ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“.

ასეთივე დედის განსახიერებაა „ქართვლის დედა“. როცა იგი გაიგებს, რომ „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს“, უმალ ივიწყებს თავის სიბერეს, დედაშვილურ სიყვარულს და თავის ერთადერთ პირმშოს, რომლით უდგას „უძლურს ტანში უძლური სული“, მამულის დაცვისათვის საბრძოლველად მოუწოდებს:

„აჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,

სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი“, - ამაყად აცხადებს იგი.

ჭეშმარიტი დედის, მაღალი სულის ადამიანის განსახიერებაა ასევე ოთარაანთ ქვრივი. მისი არსებითი დამახასიათებელი თვისებაა შრომისმოყვარეობა. იგი „მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებს ოჯახში. იმისი ხელი და ფეხი დილიდამ საღამომდე არ დადგებაო“ (ჭავჭავაძე, 1984: 450), – ამბობენ ქვრივის მეზობლები. ამიტომ იყო, რომ მან ქმრისაგან დატოვებულ დოვლათს არა თუ დააკლო რამე, არამედ, პირიქით, მიუმატა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მარტოხელა ქალია და პატარა გიორგისაც თვითონ ზრდის.

მნახველის თვალს ახარებს ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამო და საცხოვრებელი ბინა. „სახლში რომ შესულიყავით, - ამბობს მწერალი, - ყველაზედ უწინარეს თვალში გეცემოდათ სიფაქიზე და დაგვილ-დაწმენდილობა იქაურობისა“ (ჭავჭავაძე, 1984: 455), რასაც, სამწუხაროდ, ბევრი დიასახლისი ვერ დაიკვეხნის.

ოთარაანთ ქვრივის ნამდვილი დედობა ყველაზე მეტად მაინც მის დედაშვილურ სიყვარულში მჟღავნდება. იგი ოცდაოთხი წლის იყო, როცა დაქვრივდა და საზრუნავად დაურჩა ერთი წლის ვაჟი გიორგი. იმ დღიდან მოკიდებული მან მთელი თავისი ყმაწვილქალობა შვილის მოვლა-პატრონობასა და მის წესიერად აღზრდას შეალია. ახალგაზრდა ქვრივს ბევრი მთხოვნელი ჰყავდა, „ბევრი ეხარბებოდა ოთარაანთ ქვრივის ოჯახში შესვლას“, მაგრამ ქალს ყველასათვის ერთი მტკიცე პასუხი ჰქონდა გამზადებული: „უწინამც დღე დაუბნელდეს

ოთარაანთ ქვრივს, მინამ მამინაცვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა“ (ჭავჭავაძე, 1984: 458-459).

ნამდვილად ჭკუის სასწავლი მაგალითია ზოგიერთებისთვის. სამწუხაროდ, ცოტა როდია დღეს ისეთი დედა, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ ტოვებს შვილებს და თავის ბედს სხვა კაცს უკავშირებს ან თუ მარტოხელაა, მამინაცვალი შემოჰყავს ოჯახში.

ყურადსაღებია თანამედროვე დედებისათვის ასევე ისიც, რომ ოთარაანთ ქვრივი, მიუხედავად იმისა, რომ მას ერთადერთი შვილი ჰყავს და მზე და მთვარე მასზე ამოსდის, თავის ამ უკიდეგანო სიყვარულს შვილს არ აგრძნობინებს, ზოგიერთებივით ზედმეტად არ ეალერსება, შრომას არ არიდებს და ყველა მოთხოვნას არ უსრულებს, რათა არ გაუთამამდეს. მისი დამოკიდებულება შვილისადმი ბუნებრივად მოგვაგონებს ალექსანდრე ყაზბეგის ცნობილ გმირს ხევისბერ გოჩას, რომელიც, ოთარაანთ ქვრივის მსგავსად, შვილისათვის ცოცხლობს და სულდგმულობს, მაგრამ მასთან დამოკიოდებულებაში თავი ისე უჭირავს, რომ ძნელად თუ ვინმე შეამჩნევს ამ სიყვარულს.

იმისათვის, რომ ოჯახმა წარმატებით გაართვას თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას, გვასწავლის ილია, მას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს სკოლასა და მასწავლებელთან. ამით მშობლები გაეცნობიან სხვათა მიერ საოჯახო აღზრდის დარგში დაგროვილ გამოცდილებას და გადაიღებენ, ასევე ისწავლიან საკუთარი გამოცდილების განზოგადებას, რაც სხვებს წაადგება შვილების აღზრდაში. თავის მხრივ მასწავლებლებმაც უნდა იქონიონ მჭიდრო კავშირი მოსწავლეთა მშობლებთან. ისინი ერთიანი ზემოქმედებით უნდა წყვეტდნენ მოზარდის სწავლა-აღზრდის საქმეში წარმოქმნილ ყველა პრობლემას. მაგრამ ილია გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ჩვენი პედაგოგები სკოლისა და ოჯახის კავშირის განმტკიცების ნაცვლად „ეურჩებიან იმას, რაც კი სკოლისა და ოჯახის კავშირის დამკვიდრებას შველის“ (ჭავჭავაძე, ტ. V, 1987: 236).

დაბოლოს, სკოლასა და ოჯახთან ერთად, მოზარდი თაობის ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბებაში ილია ჭავჭავაძე დიდ როლს აკისრებს იმ საზოგადოებას, იმ გარემოს, სადაც ამ თაობის აღზრდა მიმდინარეობს. აი, რას ამბობს მწერალი გადაგვარებული კოლას შესახებ: „ვინ იცის, ჩვენო მკითხველო, რა კაცი გამოსულიყო იგი სხვა საზოგადოებაში და სხვა-რიგ შინაურ გაზრდაში“ (ჭავჭავაძე, 1938: 414). ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ კოლას წახდენისა და დაცემის მიზეზად ილიას იმდროინდელი საზოგადოება და ოჯახი მიაჩნდა.

საზოგადოების დიდ როლსა და მნიშვნელობაზე პიროვნების ფორმირების საქმეში ყურადღებაა გამახვილებული ასევე ილია ჭავჭავაძის მთელ რიგ სხვა ნაწარმოებებში, მაგრამ ეს იდეა ყველაზე მეტად მაინც გამოკვეთილია მოთხრობაში „სარჩობელაზედ“. ამ ნაწარმოებში ავტორი ნათლად გვიჩვენებს, რომ ორი ახალგაზრდა ძმა ავაზაკობასა და „სარჩობელამდე“ მიიყვანა საზოგადოების უყურადღებობამ, ცუდმა საზოგადოებრივმა გარემომ და აღზრდამ. „ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის... ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო... განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთად-ერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელემდე!“ (ჭავჭავაძე, 1938: 447 და 449). – მიმართავს ჩამოხრჩობილის ძმა მეურმე პეტრეს, რომელსაც უშუალოდ არავითარი ბრალი არ მიუძღვის მისი ძმის ჩამოხრჩობაში, მაგრამ, როგორც

საზოგადოების წევრი, მორალურად მაინც პასუხისმგებელია მის წინაშე.

როგორც დავინახეთ, ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში ბევრი ისეთი ბრძნული აზრია, რომელიც დღევანდელი ჩვენი სატკივარიც არის, დღესაც გვაფიქრებს და გვაღელვებს. ამიტომ ამ აზრების საფუძვლიანი შესწავლა და პრაქტიკაში დანერგვა თითოეული ჩვენგანის, თითოეული აღმზრდელის, მშობლის უწმინდესი ვალია. იგი დაგვეხმარება იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრაში, რაც დღეს ჩვენი სკოლისა და ოჯახის წინაშეა დგას.

PEDAGOGY

ILIA CHAVCHAVADZE ABOUT FAMILY UPBRINGING OF CHILDREN

NODAR BASILADZE

Professor of St. Tbel Abuseridze University of the Patriarchate of Georgia

In Ilia Chavchavadze's work, among many other issues, the issues of family upbringing of children occupy a large place. The great Ilia considered the family to be "the first pillar of the upbringing of the boys." According to him, "a child is the head, the beginning of a great man." Therefore, parents should make every effort to prepare for country the true patriots. To do this, they must be the ones they want their children to be, because nothing is as valuable in upbringing as a personal example of a caregiver. A bad parent cannot raise a decent child.

In addition, Ilia Chavchavadze played a major role in the upbringing of children in the circle in which the child has to live and the close relationship between school and family.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასილაძე, 2017: ბასილაძე ნ., ილია ჭავჭავაძე და პედაგოგიკუის საკითხები, ბათუმი.
2. გოგებაშვილი, 1990: გოგებაშვილი, ი., რჩ. თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 3, თბ., „განათლება“.
3. ჭავჭავაძე, 1938: ჭავჭავაძე ი., პედ. თხზ., შემდგენელი პროფ. გ. თავზიშვილი, თბ., სახელგამი.
4. ჭავჭავაძე, 1984: ჭავჭავაძე ი. თხზ., შემდგენელი მ. ლებანიძე, თბ., „საბჭოთა საქართველო“.
5. ჭავჭავაძე, 1987: ჭავჭავაძე ი. რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., „საბჭოთა საქართველო“.
6. ჭავჭავაძე, 1987: ჭავჭავაძე ი. რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, თბ., „საბჭოთა საქართველო“.

POLITICAL SCIENCE

THE PLACE OF THE PUBLIC DIPLOMACY IN GEORGIAN AND ABKHAZIAN (GEORGIA) POLITICS

VAZHA KAKABADZE
e-mail: kakabadzev@hotmail.com

Doctor of Economics, Geologic-engineer, Associate fellow of Georgian Academy of Engineering

ABSTRECT: There are plenty of political and legal documents evidencing the special state interests of the Russian authorities in the Caucasus, in particular in Georgia. In this regard, it is noteworthy to highlight the political last will of the Russian emperor Peter I in 1709, in which he talks about the methods of making the Caucasus come under influence of Russia. Almost 200 years later, Russian President V. Putina and D. Medvedev's "up-to-date political will" substituted the previous one. Thus, Russia's basic and continuous interest has always been and is to maintain and strengthen geopolitical, geoeconomic and military influence in the Caucasus. Therefore, one of the ways for small nations to survive is to start two-tier negotiations on a compromise basis involving a state, within the first-tier negotiation, which would play an active role to make every effort to engage in the negotiations some powerful states claiming world governance; and using public diplomacy, within the second-tier negotiation, which would prioritize developing the ways of compromise with the other side of the conflict.

KEYWORDS: Public diplomacy, compromise, negotiation, Aggression, small countries, negotiation level, negotiation disruption algorithm, causal management.

Introduction: Abkhazia (Georgia) has always been an integral part of Georgia. After Tsarist Russia annexed Georgia and, subsequently, re-conquered Georgia in 1921, Russia constantly interfered in the relations between Georgians and Abkhazians thus trying to cut off the region from Georgia. The government of the Democratic Republic of Georgia confirmed the autonomy of Abkhazia in the very first days of the declaration of independence. Even before the adoption of the Constitution of the Democratic Republic of Georgia, Abkhazia enjoyed considerable autonomy. On 9 February 1918, when Georgia had not yet been declared a democratic republic, representatives of the Abkhaz People's Council and the National Council of Georgia held talks in Tbilisi. The parties reached an agreement, by virtue of which Abkhazia was granted broad autonomy within Georgia (based on the history of mutual relations between the Georgian, Abkhazian and Ossetian peoples, 1990: 11). However, this was against the interests of Russia and it first started disguised actions against Georgia that manifested in the creation of autonomous units of different levels, but later, it created the basis for a conflict situation in Abkhazia, Adjara, and Tskhinvali region. In the beginning, Russia called the conflict the Georgian-Abkhazian conflict but in 2008, it was definitely clear that Georgia was facing Russia's armed forces and unbridled desire to bring Georgia back to its knees and make the country come under the influence of Russia. It should be noted that the escalation of all new conflicts was preceded by a number of events. The chronology of the pre-war period shows that the Russian government was carefully preparing for all the new aggressions in Georgia (Svante E. Cornell, Johanna Popjanevski, Niklas Nilsson, 2008:3-9). For example, according to Andrei Ilarionov, a former adviser to Vladimir Putin, preparations for the 2008 war began in 1999, when Vladimir Putin came to power in Russia. In September 1999,

Vladimir Putin, who was appointed Prime Minister of Russia in August 1999, unilaterally lifted a ban of 19 January 1996 imposed by the presidents of the CIS countries barring men of military age from crossing the Russian-Georgian border in Abkhazia, and doing so the Russian authorities violated the agreement. On 25 December 2002, the Russian government repeatedly violated the 1996 agreement signed by the presidents of the CIS countries by opening the railway line between Russia and Abkhazia. In July 2003, Russia sent a tourist ship from Sochi to Sokhumi, thus violating the international embargo on Abkhazia from 1992-1993. In November 2000, the Russian government, without the consent of the Georgian central government and against its will, unilaterally introduced a visa regime at the Georgian-Russian border in Abkhazia and the so-called "South Ossetia" for Georgian citizens residing in Abkhazia and the former "South Ossetian" Autonomous Region. Russia violated the current agreement and unilaterally withdrew from the CIS visa-free travel agreement. At the same time, it imposed a simplified visa regime for Abkhazia, Adjara and the Tskhinvali region. In the following years, Russia adopted and is still pursuing another course of action to seize Georgian territory, which is known as the creeping annexation. It launched a social genocide of the Abkhaz population in Abkhazia, forcing Abkhazians to flee Abkhazia. The Abkhaz people understood Russia's insidious plan and realized that the Russians were only interested in the territory of Abkhazia and not in the welfare and independence of Abkhazians. The Russians noticed these awakenings in Abkhazia, so they began to encourage the criminal situation in Abkhazia led by Armenian criminals. After all this, the only one way to bring Georgians and Abkhazians closer and thus save Abkhazians is to make peace between Abkhazians and Georgians, and, in this process, public diplomacy is of great advantage!

The main reason for the annexation of Georgia:

Due to its geostrategic location, Georgia, especially Abkhazia, has been the object of interest of both Russia and the leading Western states for centuries. Abkhazia is of geostrategic importance to Russia, and this importance significantly exceeds the small geographical area of the region, namely: here passes a sea route to the west; a railway may connect Europe and Asia; there are many karst cavities in the depths of the land that are suitable for the placement of space-military equipment; and what is the most important - whoever controls Georgia controls the Caucasus, considering that the Caucasus is the strategic center of the world. Therefore, another main reason for Russia's annexation of Georgia is that Georgia does not get closer to NATO and does not join the organization. Otherwise, it would annul Russia's chances of Caucasian expansion and pose a threat to its positions at the regional and global levels [1; 2].

The basics of Georgian-Abkhazian public diplomacy:

People have, more or less, always been interested in various topical issues of relations. Relationships can develop at the micro and macro levels. At the macro level, basically the state, the society but rarely an individual, advance to the forefront; while at the micro-level, the equal action of all three entities (state, society, individual) is allowed.

The boundary object of society is the relationship of states, while the boundary object of an individual or group of people is public relations, which is viewed in the context of the interests of society and the state.

Relationships include such areas as history, politics, economics, geography, international law, religion, and the discussion of issues such as: Why does war arise? How to achieve stability? Why is there enormous socio-economic inequality between people?

The most common and complex of the relationships described above is political relations since politics is autonomous from economics, ethics, or other areas of human life. That is why actions in the field of politics are evaluated not according to universal moral norms and rules but according to political effectiveness. It does not mean that a politician should be flexible because he thinks that his country-related interests are the highest morals. In general, politics should be derived not from what it should be but from the real situation, from what it is. Due to this reality, public diplomacy takes a decisive place in political

relations, as it is released to some extent from the policy of coercion or the policy of pursuing unilateral interests. Besides, public diplomacy must not forget that the relationship perceived through political realism is an endless struggle for survival so that preaching peace is only an illusory form of action or even conflict, which is the best method of achieving the goal.

Public diplomacy, in its level of development, can be local, regional or international. The case of the Abkhazian conflict is both local (Abkhazia is Georgia) and regional because if we consider that Georgia's influence in the Caucasus is strong, the Georgian-Abkhazian conflict becomes of regional importance and, here, public diplomacy should serve the idea of Caucasian brotherhood, where Georgia should be a force for unity and security [1; 3]. Therefore, one could say that we are dealing with a well-designed regional policy here, in which the alliance with the representatives or organizations of both neighbouring and other states will take an important place [2].

The alliance means a mutual benefit where the unanimity and unity of opinion that must always exist between the allies, in times of both war and peace, are of particular importance. In some cases, the alliance may be treated as a coercive step taken owing to the current foreign political situation, and this coercive step is necessary to reveal the actual nature of the conflict.

As is well known, the ethnos has long faced a dilemma of whether to integrate with or oppose people alike, both of which are voluntary but cause conflict and a desire for the need for peace on the other hand. Thus, the most positive aspect of public diplomacy is to create conditions for the coexistence of different peoples and reconcile interests.

Optimal action plan for public diplomacy:

The following criteria must be observed for the implementation of any public diplomacy:

1. The action must not go beyond the norms recognized by international law toward the relations between peoples.
2. The effects of public diplomacy must serve the interests of both parties.
3. The action should bring more positive results than the damage that existed.

Based on these conditions, an action plan should be developed in the following steps:

1. Introduce the activity plan and goals through the press and television;
2. Establish a connection with the part of the society that is interested in this process;
3. Make the rest of the community interested and involve it in its activities;
4. Establish a connection with the other side of the conflict;
5. Find areas of common interest with the other side of the conflict;
6. Identify problems and outline ways to solve them;
7. Determine the field or condition that cannot be neglected and jointly conserve it;
8. Facilitate the implementation of joint activities in science, culture, education and sports;
9. Draw up a new action plan based on the achieved results.



Fig. 1 - Negotiation failure algorithm

In public diplomacy, the negotiation plan creates a consistent decision-making cycle; however, if the negotiation plan does not correspond to reality and is poorly designed, then the negotiation process leads to negative results, the algorithm of which is shown in the figure below (Fig. 1 - Negotiation failure algorithm).

Assessment of Georgian-Abkhazian public diplomacy:

The current situation in Abkhazia is especially important since the Western countries'

interest in Abkhazia has decreased because of arising more important circumstance of interest and threat - the conflict in Ukraine. This circumstance affected the Georgian authorities and government to some extent, and there appeared hopelessness of resolving the Abkhazian conflict as "nothing will come of it anyway," which led to a strategy of balancing the backward step. The first, as we have already mentioned, is driven by Western countries' interest in the Abkhaz conflict, also a reduction in US assistance and Russia's categorical statements that "they are ready to re-establish diplomatic relations with Georgia, but without discussing the issues related to Abkhazia and South Ossetia." The reason for the origin of the threat is the need to maintain the existing political situation within the country so as not to create a new political crisis, the leading idea of which is to balance a geographically close and aggressive state via a geographically distant state.

Negotiation in public diplomacy involves the search for a mutually acceptable solution. They exchange information about their interests and priorities, work together to identify problems that make them move away from each other, brainstorm alternatives to bring opposing interests closer together, and jointly evaluate them from a common welfare perspective. But open discussion between Georgians and Abkhazians is not always appropriate. The Abkhaz side may fear that Russia will take punitive measures against them if they reveal their position. In such a case, it is better to switch to a secret relationship or define the causes of the problem since this strategy reduces the risk of re-escalation. Raising the issue in this way does not pose a threat to the opposing sides, as such an approach will help to find a compromise and create integrative opportunities that will satisfy the interests of both sides and, at the same time, will not irritate Russia [3].

In the present situation, switching to an active relationship is risk-bearing, as Georgia will be an active party and this may lead to unilateral decision-making. A unilateral search for a solution could weaken the activities of Abkhazians and raise suspicions among them. Usually, after some time, the conflict starts to be resolved, but the undesirable intervention of the third force, the negotiation, brings it to a dead-end and again it takes time to start the negotiation again. At this time, time is running out in Russia's favour, and it may no longer be a third party but a direct another party to the negotiations.

Successful problem solving is known to lead to consequences that can be viewed as a compromise, agreements on winner-acknowledgement procedures, and integrated solutions.

I. In negotiation, compromise is an agreement where both parties agree in the middle of a dimension that everyone understands, for example:

a) The parties may agree on concession values that will be an interval between their initial positions, i.e. create a free economic zone.
b) The negotiating parties should start negotiations from a new starting point, for example by creating a confederation with a unified constitution.

Compromise is either very good or very bad for both parties. However, compromise more often yields mediocre results for both parties but, on the other hand, the degree of tension reduces and the conflict may completely be eliminated. Generally, it should be noted that many conflicts end in compromise.

II. Agreements in case of identification of the winner. The winner is revealed, i.e. the rule is that one side gets everything and the other gets nothing or very little. Usually, they use following procedures:

a. The winner is determined based on the superiority of forces.
b. They compare the needs and give victory to the one who is more concerned with the current situation.
c. They turn to a third party to resolve the issue and the victory goes to the one whose position is closest to the conciliator's position.

(III) Integrated decision-making or effectiveness in the negotiation process is to match the interests of the parties to the conflict, which is based on a system of alternatives giving rise to new solutions; therefore, it would be more accurate to say that integrated solutions are usually the result of creative thinking and each side of the conflict may arrive at such solutions separately or jointly in cooperation, or a third party as a mediator may find

such solutions, which may make the negotiations infinitely longer.

III. The integrated outcome of negotiation includes the following sense-based systems: negative (a) and positive (b):

a. Negative: If the aspirations are high and the parties are against the concession, the conflict becomes impossible to resolve until the way of uniting the interests of the parties is found with the help of the third party and taking into account the interests of the third party.
b. Positive: Solutions that involve higher joint profits, with economic profitability, make relationships valuable and, in turn, facilitate the subsequent process. In this case, integrated solutions usually add to the common good of the wider community, representatives of which are the parties directly involved in the conflict. But, the third party remains out of the game, which is hard to imagine in our reality, because Russia is the party that is the main player in the conflict.

It seems that integrated solutions are most desirable in negotiation, and this approach contributes more to the relationship between the parties and the common good than does compromise and agreements to determine the winner. However, due to the current reality, the form of compromise negotiations is more favourable for Abkhazians and Georgians, as it is more likely that the negotiations will lead to the desired outcomes for all parties involved in the negotiations. Besides, they tend to weaken the sense of conflict. And integrated decision-making is not always possible, because in most circumstances, the integrated potential may be higher than the parties realize since aspirations can be very high, expressed in various factors, such as high time pressure, a strong fear of deepening and escalating conflict.

Public diplomacy should be based on the following concepts:

a) The concept of time value, which manifests itself in the fact that time is of great importance in conflict resolution with the emphasis on the rational use of time. The reasons for this concept are: increased aggression; risk - conflict may not be resolved in the future; conflict conservation.
b) The concept of the need for compromise. This theory of the concept of public diplomacy implies that a conflict of interest may arise between the negotiating parties. And, the negotiation will have an outcome if the parties find a compromise.
c) c. The concept of compromise and risk, which lies in the fact that any concession in negotiation is associated with another new concession. Besides, there is a direct connection between them: the greater the concession, the higher the risk;
d) The concept of negotiation value, the essence of which is that any negotiation needs information and this information has intangible (time, emotion, morality) and material (money) value.
e) The concept of asymmetric information, which is closely related to the concept of negotiation value. The essence of this concept is that the negotiating parties manage relatively little information about the negotiation than the third party to the negotiation. As a result of asymmetric information, the parties to the conflict suffer some consequent loss of negotiation.

The research confirmed that in the conditions of acute controversy, it is impossible to successfully fulfill the tasks set by public diplomacy without a strategic systematic analysis. To achieve a positive outcome, it is necessary to: a) evaluate the possible dynamics of the development of negotiations; b) timely and correctly develop optimal solutions for the normal course of the negotiation process.

The public diplomacy concepts discussed above are causal in nature, which are important in the organizational management of public diplomacy. Therefore, effective management of public diplomacy is achieved through the implementation of causal principles (see Fig. 2).

Let us discuss each of them:

1) The format of negotiation directly or indirectly affects the formation of the following negotiation, because it is directly related to the will of the negotiating parties.

2) Complex nature of decision-making - all decisions are closely related to each other and affect the outcome of negotiations.
3) The preparation of each negotiating decision should include alternative variations of actions.
4) If the decisions made during negotiations contradict the main mission of negotiations, it needs to be reconsidered or should be postponed for future consideration.



Fig. 2 - Principles of causal management of public diplomacy

Conclusions:

The "Abkhazian crisis" was developing throughout the twentieth century through a "diversified evolution" with periodic alternations of the ups and downs of Russian-led Abkhaz ethnocratic "separatism." The Russian-led so-called "alliance" of separatism and Russian imperialism had an explicit anti-Georgian character ("Sitin Plan - 1992, the plan to create the so-called "resort republic" by uniting the Sochi region and Abkhazia - 1945-47, "Suslov Doctrine "- 1961, a series of civil-political coups in Abkhazia in the 50s-80s of the XX century, etc.).

There is one conflict in Georgia - this is the conflict with the Russian Federation and in this conflict, ethnic Abkhazian and Ossetian citizens of Georgia have been used by the Russian authorities as a means, which has taken place many times for the long history of Russian-Georgian relations.

Georgia's future will much depend on how principled the United States, NATO, and the European Union are in their relations with Russia, and how firmly and uncompromisingly they adhere to the principles of Georgia's sovereignty and territorial integrity.

One of the most important ways to resolve the conflicts in Georgia is to resolve them peacefully. In this regard, the resolutions and ordinances adopted through the efforts of international organizations are of great importance, under which the conflict regions illegally recognized by the Russian authorities are considered as part of Georgia, thus supporting the territorial integrity of Georgia.

Western countries have proved powerless both in preventing the 2008 war and in eliminating its dire consequences. Georgia for them is only a transit corridor for oil and gas pipelines.

A system of domestic and foreign policy priorities is to be developed to save the country from further impending threats and enable it to restore the unity and integrity of its territorial borders in the future.

The Russo-Georgian War was not a Georgian-Ossetian or Georgian-Abkhazian war. It was a confrontation between the United States and Russia in the territory of Georgia, which for some time became an apple of discord between them. Georgia needs to develop reasonable and realistic foreign principles and priorities to ensure lasting peace and the implementation of a peaceful neighbourhood policy.

The South Caucasus is one of the most interesting and, at the same time, complex regions, and Georgia will constantly appear in the process of geopolitical shifts.

The involvement of public diplomacy in conflict resolution can be considered a positive circumstance for Georgia.

Opinion: The Russo-Georgian War of 7-12 August 2008 may become the beginning of a new geostrategic "calendar" not only for our region, as the event involves the initiation of a new geopolitical process - the prospect of changing the existing model of world order.

The military intervention of Russia in Georgia and the occupation of Georgian territory have clearly outlined new global geopolitical contours - attempts to restore Russia's Eurasian empire and establish a new global pole around it.

Proposal: Providing strategic assistance to Georgia should be treated as preventing a global geopolitical revolution. Unless Georgia is seriously supported and unless the dynamics of support shifts to a state of constant strategic protection (especially military guarantees), the Kremlin's imperial project will become irreversible. In the consequence, Western civilization will be forced to accept the Russian-Eurasian model of international relations; strong impulses of transatlantic system-disintegration; while the EU will face a new wave of "threat strategy". The process will greatly damage and restrict US geostrategic interests.

NATO and Western structures membership remains a top priority of Georgia's foreign policy, but due to Georgia's geostrategic location and very complicated geopolitical situation, continuously calling on this issue is unacceptable. There is a need for a balanced foreign policy course here.

პოლიტოლოგია

სახალხო დიპლომატიის ადგილი ქართულ და აფხაზურ პოლიტიკაში

ვაშა კაკაბაძე
e-mail: kakabadzev@hotmail.com

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი.

კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან, განსაკუთრებული სახელმწიფო ინტერესების არსებობის შესახებ, უამრავი პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტი არსებობს. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რუსეთის იმპერატორ, პეტრე პირველის მიერ, 1709 წელს, დატოვებული პოლიტიკური ანდერძი, სადაც ის კავკასიის რუსეთის გავლენაში მოქცევის მეთოდებზე საუბრობს. თითქმის 200 წლის შემდეგ, იგი რუსეთის პრეზიდენტის - დ. მედვედევის „თანამედროვე ანდერძმა“ ჩაანაცვლა. ამდენად, რუსეთის უმთავრესი და მუდმივი ინტერესი კავკასიაში ოდითგანვე იყო და არის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და სამხედრო გავლენის შენარჩუნება-განმტკიცება. ამდენად, მცირე ერების გადარჩენის ერთ-ერთი გამოსავალია ორ დონიანი მოლაპარაკება კომპრომისების საფუძველზე, პირველ დონეზე აქტიური როლის შემსრულებელის სახელმწიფო, რომელმაც ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ მოლაპარაკებაში ჩართოს რამოდენიმე ისეთი ძლიერი სახელმწიფო, რომლებსაც პრეტენზია აქვს მსოფლიო მართვაზე, ხოლო, მეორე დონეზე უნდა მოქმედებდეს სახალხო დიპლომატია, რომლის პრიორიტეტი უნდა იყოს კონფლიქტის მეორე მხარესთან კონფრომისების გზების დაგეგმვა.

Bibliography:

1. Kakabadze V. International relations of georgia within the modern conditions; “Ekomobile”, tb., 1998.
2. Kakabadze V. Business administration (12 steps of perfection), Meridiani Publishing, Tbilisi, 2012.
3. Kakabadze V. Evaluation of economic and political transformation and the strategic dilemma of georgia - years 1942-2010 (first part). Georgia, Tbilisi, International Forum, may 27, 2015.

ისტორია

ნიკოლოზ ლენდერი აჭარის შესახებ

ოთარ გოგოლიშვილი
e-mail: otar.gogolishvili@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ლენდერი ბათუმს ორჯერ ეწვია. პირველად 1892 და მეორედ 1894 წელს. იგი ბათუმში ორივეჯერ ჩამოვიდა გემ „ზაპოროჟეცით“. ლენდერი დაწვრილებით გაეცნო არსებულ მდგომარეობას. ასე თუ ისე გაარკვია ზოგიერთი მტკივნეული საკითხის წარმოშობის მიზეზები და საინტერესო ცნობები შემოგვინახა.

ლენდერმა იცოდა, რომ ოსმალები არ ინდობდნენ აჭარლებს. ადგილობრივი მოსახლეობა მათ უღელქვეშ გმინავდა. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად აჭარა საქართველოს დაუბრუნდა. ბათუმი ევროპის სახელმწიფოებმა პორტო-ფრანკოდ ანუ თავისუფალ ნავსადგურად გამოაცხადეს. სწორედ პორტო-ფრანკოდ გამოცხადებამ შეავიწროვა და უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა აჭარის მოსახლეობა. ლენდერი მიუთითებს, რომ ამ რეჟიმმა მოუსპო გლეხს კუსტარული წარმოების საშუალება და სამაგიეროდ არც სხვა სამუშაო მისცა. ასე, რომ არც უცხოური საქონლის რუსეთში ბათუმიდან შემოტანითა და არც აქედან ნავთობის გატანით, აჭარელ გლეხს სარგებლობა არ უნახავს.

საკვანძო სიტყვები: მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ნავსადგური, კომისია, მუჰაჯირობა, პორტო-ფრანკო.

მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ლენდერი ბათუმს ორჯერ ეწვია. პირველად 1892 და მეორედ 1894 წელს. იგი ბათუმში ორივეჯერ ჩამოვიდა გემ „ზაპოროჟეცით“. ლენდერი დაწვრილებით გაეცნო არსებულ მდგომარეობას. ასე თუ ისე გაარკვია ზოგიერთი მტკივნეული საკითხის წარმოშობის მიზეზები და საინტერესო ცნობები შემოგვინახა.

ლენდერმა იცოდა, რომ ოსმალები არ ინდობდნენ აჭარლებს. ადგილობრივი მოსახლეობა მათ უღელქვეშ გმინავდა. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად აჭარა საქართველოს დაუბრუნდა. ბათუმი ევროპის სახელმწიფოებმა პორტო-ფრანკოდ ანუ თავისუფალ ნავსადგურად გამოაცხადეს. სწორედ პორტო-ფრანკოდ გამოცხადებამ შეავიწროვა და უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა აჭარის მოსახლეობა. ლენდერი მიუთითებს, რომ ამ რეჟიმმა მოუსპო გლეხს კუსტარული წარმოების საშუალება და სამაგიეროდ არც სხვა სამუშაო მისცა. ასე, რომ არც უცხოური საქონლის რუსეთში ბათუმიდან შემოტანითა და არც აქედან ნავთობის გატანით, აჭარელ გლეხს სარგებლობა არ უნახავს. აჭარელი გლეხისათვის ბევრი არაფერი არც პირველ გუბერნატორებს - კომაროვსა და სმეკალოვს გაუკეთებიათ, როგორც ეს ლენდერს მიაჩნდა (განსხვავებით სხვა რუსი თუ ევროპელი ისტორიკოსებისა და მოგზაურებისაგან, რომლებიც ბათუმის ოლქის პირველი

გუბერნატორების საქმიანობას ნათელ ფერებში ხატავდნენ). აჭარის ზღვისპირის ერთგვარი, ცალმხრივი ათვისება არც რუსეთის იმპერატორის და არც მისი ხელისუფლების სურვილმა, არამედ ბათუმის ნავსადგურმა, მისმა მოხერხებულმა მდებარეობამ განაპირობა. ბათუმში რკინიგზის შემოყვანამ (1883 წ.), შემდეგ მრეწველობის განვითარებამ (აშენდა ნავთობის ჩამომსხმელი და სახუფავი ქარხნები), აქ მუშახელის დიდ რაოდენობას მოუყარა თავი. კერძოდ, 1904 წლისათვის ქალაქის მოსახლეობამ 30 ათასს გადააჭარბა. ლენდერი მიუთითებს, რომ ნავთობის ჩამოსასხმელი და სახუფავი ქარხნები პირველად ბუნგემ და პალაშკოვსკიმ ააგეს, 1883 წელს კი რიხნერმა და კოჩეტკოვმა. ამ უკანასკნელმა აავსო ბათუმის ბაზარი დაბალი ხარისხის მაუდით, რომელიც ოსმალებსაც გაჰქონდათ არმიის საჭიროებისათვის [**რუსეთის სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი (ნ. ლენდერის ცნობები ბათუმის ოლქის შესახებ), ფ. 1516, აღწ. 12, საქ. 269, ფურც. 37**].

ლენდერი ამბობს, რომ ნავთობის საქმე რუსებმა წამოიწყეს, მოგება კი უცხოელებს ერგოთ. ეს ქარხნები სხვადასხვა ევროპელმა კაპიტალისტებმა შეიძინეს და სააქციო საზოგადოებები დააარსეს. ყველას აჯობა როტშილდმა, რომელმაც ნავთობის უზარმაზარი საექსპორტო საზოგადოება შექმნა. ლენდერი ამბობს, რომ როტშილდის მოხერხებულობას ჰიმნიც კი შეიძლება უძღვნა. ყველაფერ ამას უცხოელები ახერხებდნენ პეტერბურგელი, თბილისელი და ბათუმელი რუსი ჩინოვნიკების ენით აუწერელი მექრთამეობის, სიხარბისა და გაუმაძღრობის გამო. ამ ჩინოვნიკების მოსყიდვას და გადმობირებას უცხოელები იოლად ახერხებდნენ. ლენდერი პირდაპირ ამბობს, რომ ისეთი მექრთამე და უსინდისო ჩინოვნიკები, როგორიც მან ბათუმში ნახა, სხვაგან ნაკლებად თუ იარსებებსო. ეს იმიტომ, რომ – როგორც ლენდერი მიუთითებს –ბათუმში, ამ დაპყრობილ მხარეში, რუსეთის იმპერატორი სამუშაოდ აგზავნიდა საჯარო სამსახურიდან გამოყრილ ჩინოვნიკებს, რომლებიც პირწავარდნილი მექრთამეები იყვნენ და არც საქმის ცოდნით გამოირჩეოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა მათ უნდობლად უყურებდა და არ იჭერდა მათთან საქმეს. ესენი არცხვენდნენ რუსეთის სახელს – ამბობს ლენდერი. აქვე იგი აღნიშნავს, რომ რუსეთიდან შემოსული საეკლესიო მოღვაწეები მხარს უბამდნენ ჩინოვნიკებს და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ეს კეთდებოდა სპეციალურად, აჭარლების აქედან გასასახლებლად და აქ სხვა ერების ჩამოსასახლებლად. ლენდერი შეხვედრია მღვდელ ალექსი პოტაპოვს, რომელიც ადრე სარატოვში მსახურობდა და აგერ უკვე სამი წელია რაც ბათუმში ყუბანის პლასტუნთა ბატალიონის ეკლესიაში მსახურობს. ლენდერი გაოგნებულია ალექსი პოტაპოვის აზრებით, რომელიც მადლობას უხდის იმპერატორს აჭარლების აქედან გასახლებაში და ბათუმში რუსული იმპერიული სულის აღზევებისათვის. ასეთმა საუბარმა ლენდერზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. იგი ამბობს, რომ მისთვის გასაგები იქნებოდა ასეთი მოსაზრების მოსმენა რუსი ჩინოვნიკებისაგან, მაგრამ საეკლესიო მოღვაწისაგან კი ნამდვილად განსაცვიფრებელი იყო ესო.

ლენდერი ამბობს, რომ ევროპელები, თავიანთი ხალხის მეშვეობით, რომლებიც ბევრი იყო ბათუმის ოლქის ხელისუფლებაში, მთლიანად აკონტროლებდნენ ოლქის როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებას. ასევე საინტერესოა მისი ერთი ასეთი მოსაზრებაც. კერძოდ, ბათუმი, რომ ევროპელების ხელში ყოფილიყო და არა რუსების, მაშინ ამ კუთხის ცხოვრება სულ

სხვა მიმართულებით წავიდოდა და შეიძლება დადებითიც ყოფილიყო ამ მხარისათვის. შემდეგ ლენდერი მიუთითებს, რომ ნავთობი მაშინ გაჰქონდათ ჩვეულებრივი გემებით, რადგან ტანკერები არ იყო. ამიტომაც ნავთს ბიდონებში ასხამდნენ, ხუფავდნენ და ყუთებით გემებზე გადაჰქონდათ. გემები ეკუთვნოდა რუსეთისა და უცხოეთის სანაოსნო საზოგადოებებსა და კავშირებს [**რუსეთის სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი (ნ. ლენდერის ცნობები ბათუმის ოლქის შესახებ), ფ. 1516, აღწ. 12, საქ. 269, ფურც. 44**].

ნავსადგურის პროექტი ადმირალ გრევეს შეუდგენია. მან ბათუმელ ხელისუფლებას შესთავაზა ნავსადგურის აგება მდინარე ყოროლისწყალის შესართავამდე. ამით დავამშვენებთ ქალაქს, დავიცავთ მას ღელვისაგან, ამასთან ყურეში საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ხომალდებიც შეაფარენ თავსო – ამბობდა გრევე. სახსრების ნაკლებობის გამო, გრევეს პროექტი ამ სახით არ მიიღეს და 1884 წელს შეუდგნენ იმ ნავსადგურის აგებას რომელიც დღემდე არსებობს. მშენებლობაზე გამოიყენეს ბათუმის გალავნის ქვები და 1889 წელს ნავსადგური მთლიანად საექსპლუატაციოდ გადასცეს. 1888 წელს კი გემებში ნავთობის ჩასასხმელი უბანი მოაწყვეს. მშენებლობას ბუნგე და პალაშკოვსკი ხელმძღვანელობდნენ [**რუსეთის სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი (ნ. ლენდერის ცნობები ბათუმის ოლქის შესახებ), ფ. 1516, აღწ. 12, საქ. 269, ფურც. 59**].

ლენდერის ამ ცნობასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნო, რომ გრევე 1878 წლიდან ნავსადგურის უცვლელი უფროსი იყო. მას ქებით იხსენებენ ცნობილი დრამატურგი ა. ოსტროვსკი და ადმირალი ს. მაკაროვი, რომლებიც 1883 წლის ოქტომბერში ესტუმრნენ ბათუმს. გრევემ ბევრი გააკეთა ბათუმის კეთილმოწყობისათვის. ბათუმის პირველი მებაღე-დეკოლატორი ფრანგი დალფონსი შენიშნავს, რომ გრევე მას ქალაქის გალამაზების საქმეში ყოველმხრივ ეხმარებოდა. ასევე მას დიდი წვლილი მიუძღვის ნავსადგურის სწრაფად და ხარისხიანად აგებაში. უნდა აღინიშნოს, რომ იგივე დალფონსი ამბობს, რომ გრევესთან ერთად, ქალაქის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნაში, დიდი წვლილი მიუძღვის ბათუმელ ქართველებს: გიორგი დუმბაძესა და დავით ლორთქიფანიძეს.

მიუხედავად იმისა, რომ ლენდერი უკმაყოფილოა ზოგიერთი საკითხით, იგი ქალაქს მაინც დადებითად ახასიათებს. მისი შეფასებით ბათუმის ნავსადგური პირველხარისხოვანია შავ ზღვაზე. თვით ქალაქი კი ერთი საუკეთესოა შავი ზღვის სანაპიროზეო. ლენდერი იმაზეც მიუთითებს, რომ ბათუმის ფართო, სწორი ქუჩების დიდი ნაწილი აჭარის რუსეთთან შემოერთებამდე გაკეთდა. ქალაქს სილამაზეს მატებდა აგრეთვე მდიდარი მწვანე საფარველი, კარგი სასტუმროები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილი საქონლით სავსე მაღაზიები და ელექტროგანათება. ამით იგი ზოგიერთ ცენტრალურ ქალაქსაც უსწრებსო [**რუსეთის სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი (ნ. ლენდერის ცნობები ბათუმის ოლქის შესახებ), ფ. 1516, აღწ. 12, საქ. 269, ფურც. 65-67**].

ლენდერი ამბობს, რომ ბათუმს ამშვენებს სამხედრო-კათედრალური ტაძრის („სობორო“) შენობა, რომლის აგება ნახევარი მილიონი მანეთი დაჯდა. აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ეს თანხა საკმარისი იქნებოდა, რომ აჭარის ბევრ სოფელში გაეყვანათ გზა, აეგოთ საავადმყოფოები. ლენდერი შემდეგ დაასკვნის: ,,ბათუმი სწრაფად იზრდება და ვითარდება. იგი გახდება ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე”. აჭარას ლენდერი საფრანგეთის კუთხეს რივიერას ადარებს, მაგრამ იმაზედაც მიუთითებს, რომ

ეს მხარე ჯერ კიდევ ხელშეუხებელი და მიტ-ოვებულიაო. მხოლოდ მახინჯაური, მწვანე კონცხი და ჩაქვი არის ათვისებული და ისიც ნაწილობრივ. ქობულეთიც კარგია, მაგრამ კოლონისტებმა ჯერ-ჯერობით ვერ მოახერ-ხეს მიწის შეძენა, რათა მოაწყონ აგარაკები – წერს ლენდერი [**რუსეთის სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი (ნ. ლენ-დერის ცნობები ბათუმის ოლქის შესახებ), ფ. 1516, აღწ. 12, საქ. 269, ფურც. 88-90**].

წიგნში „შავი ზღვა და კავკასია“ საინტე-რესოა ქვეთავი „ოსმალეთის უღელი რუსე-თის განაპირა მხარეში“. აქ საუბარია იმაზედ, რომ აჭარის განთავისუფლების შემდეგ ადგილობრივ მცხოვრებლებს ოსმალეთში გადასახლების ნება დართეს, რასაც ბერ-ლინის კონგრესის გადაწყვეტილება ითვა-ლისწინებდა, მაგრამ მაინც დანაშაული იყო, რადგან იგი საბაბად გახადეს და არა თუ აჭარლების დამაგრების ღონისძიებანი არ განახორციელეს, არამედ ყოველნაირად შეუწყვეს ხელი ამ უსიამოვნო პროცესს. ყველაფერ ამას კოლონისტებმა მიაღწიეს პორტო-ფრანკოს გამოცხადებით, ძველი გადასახადების უცვლელად დატოვებით. მათ ხალხი ყოველმხრივ მოატყუეს, ძველ გადასახადებს ახალი დაუმატეს და ამით შეწუხებული მოსახლეობა იძულებული გახ-და ოსმალეთში მუჰაჯირად წასულიყო. ლენდერი აღნიშნავს, რომ ბევრმა მიატოვა სახლ-კარი და წავიდა. ჩამოსულებს კი მუქთად ჩაუვარდათ მათი მიწები ხელშიო. აგერ 25 წელია კოლონისტები არავითარ გა-დასახადს არ უხდიან რუსეთის ხელი-სუფლებას, რადგან მათ მიერ მიტაცებული მიწები სახელმწიფოს საკუთრებას არ შეადგ-ენდა, გლეხებს ეკუთვნოდათ, ისინი კი ოსმალეთში გადაიკარგნენო. მიწების მიტა-ცებას ისიც უწყობდა ხელს, რომ შეზღუ-დული იყო მათი გაყიდვა. ქობულეთში ერთ-მა ადგილობრივმა მცხოვრებმა საკუთარი ნაკვეთის გაყიდვა შეძლო მხოლოდ იმ პირობით, თუ მიწის ათვისებით გამოწვეულ ზარალს გადაუხდიდა მყიდველს ან ნაკვეთს შეუცვლიდა მას. რატომ უნდა შეეძინა კოლონისტს მიწის ნაკვეთი? კითხულობს ლენდერი, მაშინ როცა ბევრმა ყალბი საბუთით, ან მის გარეშეც ნოახერხა მიწის მითვისება-მიტაცებაო. ოსმალურ ,,თაფებში'' ეწერა, ამა თუ იმ ნაკვეთის საზღვარი ამ ხიდან იმ ქვამდეა, წადი და არკვიე რომელ ხეზე და ქვაზეა ლაპარაკი, ამიტომაც იტაცებდნენ კი ვისაც რამდენი შეეძლო. ამის გამოა რომ მიწები მეტწილად კოლო-ნისტების ხელთაა, აჭარელი კი უმიწობის გამო სულს ღაფავს – ნათქვამია წიგნში. ლენდერი შემდეგ ამბობს, რომ რუსეთის ხელისუფლება უსამართლოდ ექცევა ადგილობრივ მცხოვრებლებს. მას ასეთი რამ გაუგონია ბათუმში: ,,როდესაც მუჰაჯირების ერთმა ნაწილომა მოახერხა უკან დაბრუნება, მათი სახლ-კარი სხვისგან მიტაცებული დახვდათ. მათ მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ ხელისუფლებამ არა თუ არ მოუსმინა მათ, არამედ დაემუქრა, რომ სუყველას დააპატიმრებდა თუ არ შეწყვეტდნენ მიწებზე საუბარს. მათ უთხრეს პირდაპირ, რომ თქვენ ოსმალები ხართ, თანაც მოღალატეები და თქვენი ადგილი არის არა აქ, არამედ ოსმალეთშიო. გაოგნე-ბულ და აღშფოთებულ ხალხს გამოე-ქომაგნენ ადგილობრივი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები. მათ ხელისუფ-ლებას აუხსნეს თუ ვინც იყო ეს ხალხი. ისინი ამ კუთხის ძირითადი მოსახლეები არიან, სხვა კი აქ მოსულია ომის შემდეგო და თქვენ უფლება არა გაქვთ ხალხს მოღალატეები უწოდოთ, თანაც არ დააკმაყოფილოთ მათი კანონიერი მოთხოვნა. არ დაგავიწყდეთ ისიც, რომ თუ არა ეს და კიდევ სხვა ადგილობრივი მოსახლეობა, ამ ომში რუსეთს ძალიან გაუჭირდებოდა. ამ ხალხმა ჯარისკაცებზე არანაკლები გმირობა და თავდადება გამოიჩინეს. მათ ამოძრავებდათ

ერთი მიზანი, აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნება, ამ მიზანს კი ამ ხალხის თავდადებითა და შეუპოვრობით მიაღწია რუსის ჯარმა. და თუ ეს ხალხი მოტყუბით გადახვეწეს ოსმალეთში, ეს ამ ხალხის ბრალი არა არის, ამიტომ ისინი უნდა დაუბრუნდნენ მათ კანონიერ სახლ-კარსო" [5]. რუსმა კაცთმოძულე ჩინოვნიკობამ არ გაითვალისწინა ეს სავსებით სამართლიანი მოთხოვნები და ოსმალეთიდან ჩამოსულები იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. აქვე ლენდერი იმასაც ამბობს, რომ კავკასიის მთავარმართებლის მოთხოვნით ადგილობრივმა რუსულმა ხელისუფლებამ შექმნა კომისია, რათა დაედგინათ მიწების საზღვრები და მეპატრონეების ვინაობა გაეგო, მაგრამ ამ კომისიას ერთი წუთითაც არ უმუშავია. ალბათ იმიტომ – ამბობს ლენდერი – რომ ხელისუფლება არ იყო დაინტერესებული სიმართლის გაგებაში. აქვე მინდა აღვნიშნო ერთი რამ. დიმიტრი ბაქრაძე აღშფოთებული იყო იმ ყალბი საბუთებით, რომლებსაც ადგილობრივი ბათუმელი ჩინოვნიკები ადგენდნენ, რომლის ძალითაც კოლონისტები ახერხებდნენ მიწების უსინდისოდ ხელში ჩაგდებას. დ. ბაქრაძეს მოუთხოვია კიდეც ასეთი ნაძირალა ჩინოვნიკების დასჯა, მაგრამ ამაოდ, ისინი არავის არ დაუსჯია, ანდა ვინ დასჯიდა, როდესაც თვით იმპერატორი დაინტერესებული იყო იმით, რომ ბათუმის ოლქიდან რაც შეიძლება მეტი აჭარელი წასულიყო ოსმალეთში, რათა შემდგომ გაადვილებულიყო მათი მიწების ხელში ჩაგდება.

1881 წლისათვის გადაწყდა ბათუმის პირველი ქართული სკოლის გახსნა. ადგილობრივი პატრიოტები ცდილობდნენ საკუთარი წვლილი შეეტანათ ამ საქმეში. იბრაიმ აბაშიძემ სკოლისათვის მამულის გადაცემა ისურვა, მაგრამ იგი ვიღაცეებს უკვე მიეთვისებინათ. მაშინ მან დახმარება ბათუმში ჩამოსულ სერგეი მესხს სთხოვა, ხოლო მოგვიანებით კი დახმარება სთხოვა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას: „ისე მომწყინდა სასამართლოში სიარული, რომ აღარ მინდა მივმართო კანონს...სკოლისათვის ჩემი მიწის ნაკვეთის გადაცემა თქვენ უფრო შეგიძლიათ, თქვენ უფრო შეძლებთ ადგილობრივ თავხედ ჩინოვნიკობასთან საქმის მოგვარებას...ისინი ხელოვნურად ისე აჭიანურებენ საქმეს, ყველასთვის ნათელია, რომ მათ არ სურთ ქართველებს ბათუმში ჰქონდეთ სკოლა და აქაურები მშობლიურ ენაზე განათლებას ეზიარონ. მათთან ურთიერთობა არ მსურს და არც შეიძლება. მათი საქციელი არ ჯდება ადამიანურ ჩარჩოში. ამიტომ თქვენ უნდა მიხედოთ ამ სასიკეთო საქმეს". სერგეი მესხმა და წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, მთელი ბათუმელი ქართველებისა და არაქართველების დახმარებით შეძლეს ამ საშვილიშვილო საქმის მოგვარება. ლენდერი ამბობს, რომ ასეთი უსულგულო ბიუროკრატების ხელში ადვილი წარმოსადგენია, თუ რატომ სახლდებიან აქედან მასიურად ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა.

ლენდერი აღნიშნავს, რომ ბათუმის მხარე კარგა ხანია მიტაცებულია, რის გამოც აქ კომლზე ერთი დესეტინა მიწა მოდის. განა ასეთ პირობებში შეიძლება წარიმართოს ნორმალურად მეურნეობა? ამიტომაა, რომ აქ დარჩენილი მცხოვრებლები ღარიბები არიან, ფაცხებში ცხოვრობენ, რომელსაც არც ერთი მინის ფანჯარა არა აქვს.

ლენდერის ცნობებს ავსებს ცნობილი მწერლის გ. უსპენსკის ჩანაწერები, რომელიც 1883 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ოტეჩესტვენიე ზაპისკში". ეს ჩანაწერები უცვლელად, მაგრამ ახალი სათაურით, რომელსაც ეწოდება „კავკასიაში", შეტანილია მწერლის ნაწარმოებთა ახალ გამოცემებში. ასევე საყურადღებოა კავკასიის მთავარი

ცენზორის ლ. ისარლოვისა და ქართული გაზეთების ცნობებიც მუჰაჯირობისა და კოლონისტების მიერ მიწების ხელში ჩაგდების შესახებ. კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ გამოცემული 1890 წლის კანონით, ყოველგვარი მიწის მფლობელობის ოსმალური სისტემა გაუქმებულია და მოქმედებს მხოლოდ რუსული კანონებიო. ამ ცნობას გვაწვდის გაზეთი „დროება“.

ნიკოლოზ ლენდერის ნაშრომები საინ-ტერესო ცნობებს გვაწვდის XIX საუკუნის 70-90-იანი წლების ბათუმის ოლქის პოლიტი-კური და სოციალური ცხოვრების შესახებ და გვეხმარება მუჰაჯირობის მიზეზების სწო-რად ახსნაში [**ლენდერი, 1897:42-46**].

HISTORY

NIKOLAI LENDER ABOUT ADJARIA

OTAR GOGOLISHVILI

e-mail: otar.gogolishvili@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University

One of the famous Russian writers and journalists Nikolai Lender visited the district of Batumi in 1892 and 1894 years. He described the current political and economic situation of the district of Batumi, analyzed the reasons of "the Muhajirism" (religion refugees) and criticized the Russian government for supporting "the Muhajirism" (religion refugees). Nikolai Lender said that the town of Batumi had all the necessary conditions to become one of the beautiful ports on the Black Sea seaside.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. რუსეთის სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი (ნ. ლენდერის ცნობები ბათუმის ოლქის შესახებ), ფ. 1516, აღწ. 12, საქ. 269, ფურცლები 37, 44, 59, 65-67, 88-90
2. ლენდერი ნ, შავი ზღვა და კავკასია, (რუსულ ენაზე), სანკტ-პეტერბურგი, 1897.

ისტორია

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და ამერიკის შეერთებული შტატები

თამაზ დავითაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო თანამეგობრობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურ პრობლემას, კონფლიქტების დარეგულირება წარმოადგენს. ერთ-ერთი კონფლიქტური რეგიონი, მსოფლიოში გახლავთ კავკასია. უძველესი დროიდან დღემდე სამხრეთ კავკასია და მისი მოსაზღვრე ზღვები, გლობალური და რეგიონული მასშტაბის ზესახელმწიფოების მეტოქეობის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი სივრცეა. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი, საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების გაანალიზების თვალსაზრისით, აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. თანამედროვე მსოფლიოში ამ ომისადმი ინტერესი დიდია იმითაც, რომ იგი თვალნათლივ წარმოაჩენს XXI საუკუნის რუსეთის საგარეო პოლიტიკას და მეთოდებს, რომლის იმპერიული შინაარსი დღემდე არ შეცვლილა. საქართველოში, მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა, მათ შორის საზოგადოება, პოლიტიკური ელიტა და სამეცნიერო წრეები დღესაც დაუსრულებლად, მსჯელობენ აგვისტოს ომის თავისებურებებზე და ცდილობენ გაანალიზონ ომის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. რუსეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისას დიდი დიპლომატიური როლი ითამაშა, შეერთებულმა შტატებმა, რათა ომს უფრო ფართომაშტაბიანი მსვლელობა არ მიეღო და რუსეთს ჩვენი ქვეყანის სრულად განადგურების საშუალება არ მისცემოდა. წინა ესკალაციის პერიოდში, ამერიკის შეერთებული შტატები, კრიზისის მშვიდობიანად გადაწყვეტის და განმუხტვის დიდი გულშემატკივარი გახლდათ. სტატიაში განხილული იქნება, რუსეთ საქართველოს ომის გამომწვევი მიზეზები და აშშ როლი საქართველოსთვის მხარდაჭერის კუთხით. აღნიშნული თემა, დღესაც აქტუალურია და მისი შესწავლით უამრავი მკლევარია დაინტერესებული.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, რუსეთი, ომი, კოსოვო, აშშ, ჰუმანიტარული დახმარება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გლობალურმა წესრიგმა გარკვეული კორქტირება განიცადა. ახალი ქვეყნების სუვერენიზაციასთან ერთად გაჩნდა ახალი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სივრცეები, რომელიც მანამდე საერთაშორისო პოლიტიკისთვის ფაქტობრივად „დახურული“ იყო და დასავლეთთან მწვავე კონფრონტაციის პირობებში მხოლოდ სამხედრო-სტრატეგიული (ძირითადად რუსეთის ბუფერული ზონა) დატვირთვა ჰქონდა. მსგავს რეგიონს წარმოადგენდა სამხრეთ კავკასია, რომელიც მაღალი მილიტარიზაციის ზონას წარმოადგენდა, რადგან რეგიონი ნატოს წევრ ქვეყნას ესაზღვრებოდა. 1991 წლის შემდეგ, ახალი სუვერენული სახელწმწიფოების წარმოქმნამ რეგიონის გეოპოლიტიკური მომავალი მნიშვნელოვნად შეცვალა. სამხრეთი კავკასია გლობალურ პოლიტიკასა და ეკონომიკაში მნიშვნელოვან გეო-სტრატეგიულ და სატრანზიტო დერეფნად იქნა იდენტიფიცირებული. კერძოდ, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სახმელეთო (თურქეთი - სამხრეთ კავკასია - ირანი, თურქეთი სამხრეთი კავკასია - რუსეთი) საზღვაოს პლიუს სახმელეთო სატრანზიტო (შავი ზღვა - სამხრეთი კავკასია - კასპიის ზღვა ცენტრალური აზია) და ამავდროულად ენერგო დერეფანის ფუნქციაც შეიძინა, რის შედეგადაც მისდამი ინტერესი, როგორც

რეგიონალურ ისე გლობალურ ასპარეზზე, კიდევ უფრო გაიზარდა.

ახალი გეოპოლიტიკური რეალობის ფონზე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა, განსაკუთრებით საქართველომ პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი აირჩია და რუსეთის ტრადიციული გავლენის სფეროდან თავის დაღწევის მექანიზმად ევროატლანტიკურ სივრცესთან ინტეგრაცია მთავარ მიზნად განსაზღვრა. რეგიონში ტრადიციული გავლენების შენარჩუნების მიზნით, მოსკოვმა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში შექმნა საფუძველი, რომელიც რეგიონის ქვეყნებში ან ქვეყნებს შორის ეთნო-კონფლიქტების გაღვივებას, მათ შიდა საქმეებში ჩარევასა და ხშირად მათ წინააღმდეგ უხეში ძალის გამოყენებას გულისხმობდა. სუვერენულ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური არჩევანის ასევე მისი დემოკრატიული განვითარების წინააღმდეგ აგრესიული სამხედრო ზემოქმედების ნათელ მაგალითს წარმოადგენს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი, საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების გაანალიზების თვალსაზრისით, აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. თანამედროვე მსოფლიოში ამ ომისადმი ინტერესი დიდია იმითაც, რომ იგი თვალ-ნათლივ წარმოაჩენს XXI საუკუნის რუსეთის საგარეო პოლიტიკას, მისი განხორციელების საშუალებებსა და მეთოდებს, რომლის იმპერიული შინაარსი დღემდე არ შეცვლილა (ბულისკერია: 2016). საქართველოში, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები, დღესაც დაუსრულებლად მსჯელობენ აგვისტოს ომის თავისებურებებზე და ცდილობენ გაანალიზონ ომის მიზეზშედეგობრივი კავშირები. რუსეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისას დიდი დიპლომატიური როლი ითამაშა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (შემდ. აშშ), რათა ომს უფრო ფართომაშტაბიანი ხასიათი არ მიეღო და რუსეთს ჩვენი ქვეყანის სახელმწიფოებრიობის განადგურების საშუალება არ მისცემოდა.

ომის წინა ესკალაციის პერიოდში, ამერიკის შეერთებული შტატები, კრიზისის შვიდობიანად გადაწყვეტის და განმუხტვის დიდი გულშემატკივარი გახლდათ. ამერიკის შეერთებული შტატების იმ პერიოდის, სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის როლი, განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსეთ-საქართველოს ომის დროს, საქართველოსთვის დიპლომატიური თუ სხვა სახის მხარდაჭერის კუთხით. აშშ–ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დავალებით და მისი უშუალო ჩართულობის წყალობით, საქართველოს მთავრობის მთავარი მოთხოვნა, რუსების მიერ მომზადებულ ექვსპუნქტიან გეგმაში ცვლილებები შესულიყო, სწორედ შეერთებული შტატების წარმომადგენლების, აქტიური მონაწილეობით, ამასთან ოფიციალური პარიზის, მოსკოვისა და თბილისის მოლაპარაკებებში ჩართულობით, გახდა შესაძლებელი.

XXI საუკუნეში, აშშ-საქართველოს ურთიერთობები საკმაოდ გაღრმავდა, როცა იგი 2001 წლიდან აშშ–საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის სახით ჩამოყალიბდა. ყველაზე მეტად კი ეს პროცესი 2003 წლიდან გამყარდა და საერთოდ, 2003-2008 წლები, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერიოდში, აშშ-თან ურთიერთობების კუთხით, მეტად ნაყოფიერი გამოდგა. კონფლიქტოლოგთა უმრავლესობის ნაწილი თვლის, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს „აგვისტოს ომი“ წარმოადგენდა რუსეთის პასუხს დასავლეთის გადაწყვეტილებაზე ეცნოთ კოსოვოს დამოუკიდებლობა. თავის მხრივ საქართველო, თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, საუკუნეთა მანძილზე, როგორც რუსეთის, ასევე დასავლეთის წამყვან სახელმწიფოთა ინტერესის ობიექტი იყო.

„ცხინვალის რეგიონის გეოსტრატეგიული მნიშვნელობაც რუსეთისათვის, ასევე არსებითია და საგრძნობლად აღემატება ამ რეგიონის ძალიან მცირე გეოგრაფიულ მოცულობას. აქ გადის ტრანსკავკასიური მაგისტრალი, რომელიც რუსეთს აკავშირებს თავის მთავარ მოკავშირესთან ამიერკავკასიაში - სომხეთთან. ამ მნიშვნელოვანი გარემოებებიდან გამომდინარე, რუსეთის მთავარი ამოცანა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, შემდეგ მიზნებს მოიცავდა:

ა) პრეზიდენტ სააკაშვილის გადაყენება და პოლიტიკური რეჟიმის ცვლილება პრორუსული მმართველობის დამყარებით თბილისში;

ბ) საქართველოს იძულება, უარი თქვას ნატოში გაწევრიანების ამბიციებზე და ამგვარად ძლიერი მესიჯის გაგზავნა რუსეთის სხვა „სატელიტებისათვის“, რომ ნატოს წევრობისაკენ სწრაფვას შესაძლოა მოჰყვეს ომი;

გ) საქართველოსთვის მაქსიმალური ზიანის მიყენება მისი ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის დანგრევით;

დ) აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის აღიარება, რათა მოხდეს რუსული სამხედრო წარმომადგენლობის მუდმივი განლაგების ლეგალიზაცია საქართველოში. (KAKACHIA: 2009).

ე) კასპიის ენერგო მარაგების, (საქართველოს გავლით საერთაშორისო ბაზარზე მათი გატანის შესაძლებლობათა შეზღუდვა და აღნიშნული ბიზნესის საკუთარ ხელში შესაძლო -თ. დ.) მონოპოლიზაცია.

ვ) კოსოვოს აღიარების გამო „დასავლეთზე“ შურისძიება. (KAKACHIA: 2009).

ამ არგუმენტს უფრო ამტკიცებს, ის ფაქტი რომ, 2008 წლის 28 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭოს, სხდომაზე რუსეთი გააკრიტიკეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობასა და შემუშავებულ 6–პუნქტიან გეგმის შესრულებისადმი დამოკიდებულების საკითხში. გაეროში რუსეთის წარმომადგენლის ვიტალი ჩურკინის პასუხი ამაზე გახლდათ შემდეგი, - „გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებს არ უნდა დაერღვიათ გაეროს რეზოლუცია კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებით“. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კოსოვოს გამო რუსეთმა შური იძია დასავლეთზე საქართველოში მის მიერ დატრიალებული მოვლენებით. ამასთანავე ცხინვალის რეგიონი მისთვის გეოსტრატეგიულად ღირებული გახლდათ და მოახდინა მისი ოკუპაცია. 2008 წლის თებერვალში, სერბეთის ავტონომიურმა პროვინციამ (კოსოვო) დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზეც ახალი გეოპოლიტიკური ვითარება შეიქმნა. აშშ-მა ისევე, როგორც ევროპის ლიდერმა ქვეყნებმა, კოსოვოს დამოუკიდებლობა სცნეს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა ამის შესახებ განაცხადა, რომ კოსოვოს აღიარება იყო ევროპის დასასრულის დასაწყისი. (წერეთელი: 2018). მოსკოვი თვლიდა, რომ ამიერკავკასიაში ძალიან ბევრი ე.წ კოსოვო იყო, რუსეთს კი ამ ნაღმების სათავისოდ ამოქმედება ნებისმიერ დროს შეეძლო. მოსკოვი, ბუნებრივია, პირველ რიგში გულისხმობდა: აფხაზეთს და ე. წ. სამხრეთ ოსეთს. რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ნაწილის ოკუპაციის კიდევ ერთი განმაპირობებელი ფაქტორი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია გახდა, რომელიც იმ დროისთვის მკვეთრად პროდასავლური იყო და დღემდე ასეა. საქართველოს უმთავრესი საგარეო პოლიტიკური მიზანი არის „ნატო“-სა და ევროკავშირში ინტეგრაცია. ფრანგი მკვლევარი - ჟან რადვანი აღნიშნავს. „მოსკოვი კავკასიაში თავისი პოზიციების განსამტკიცებლად ცდილობს მოახდინოს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფა, ვინაიდან ამ ქვეყანას ტრადიციულად, სტრატეგიული ადგილი უჭირავს ამიერკავკასიაში, თურ-

ქეთის საზღვართან და წარმოადგენს ერთადერთ გზას დანარჩენ მსოფლიოსთან დასაკავშირებლად“. „2008 წლის აგვისტოს ომის მზადება, რუსეთმა აგვისტომდე დიდი ხნით ადრე დაიწყო და ომის დასრულების შემდეგ, გარკვეულწილად თავის მიზანს მიაღწია, 2008 წლის აგვისტოს ომით, რუსეთმა „ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკვლა“: ერთი მხრივ, მან გაიფართოვა თავისი გავლენის სფერო ცხინვალის რეგიონის ტერიტორიის ხარჯზე, რაც მისთვის ევრაზიული პოლიტიკის ფარგლებში წინ გადადგმულ ნაბიჯად ითვლება; მეორე მხრივ კი, მისი აზრით, საქართველოს „ნატო“-ში შესვლის სამომავლო შანსები შეუმცირა. უშუალოდ სანამ რუსეთი ომს დაიწყებდა, გაატარა შემდეგი ღონისძიებები. 2008 წლის მარტში რუსეთის იდეოლოგიის მთავარმა საკანონმდებლო ორგანოებმა, მთელი რიგი, ინიციატივები მიიღეს, რომლებიც რუსეთს სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობებთან პირდაპირი ხაზის სამხედრო–პოლიტიკური თანამშრომლობის უფლებას აძლევდა. საკუთარი თავისთვის მინიჭებული ამ უფლებებიდან აღსანიშნავია რეზოლუცია, რომელიც „რუსეთის აღმასრულებელ ხელისუფლებას“ რეკომენდაციას აძლევდა, მომხდარიყო აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება“.

2008 წლის 3 აპრილს, ბუქარესტის სამიტზე, „ნატო“-მ თავი შეიკავა საქართველოსა და უკრაინისთვის „ნატო“-ს წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP-ის) მიცემაზე და ეს საკითხი 2008 წლის დეკემბრისთვის გადადო. სწორედ, 1920 წელს, საქართველოს ერთა ლიგის წევრად მიღებაზე უარის თქმა გახდა რუსული აგრესიის გააქტიურების მიზეზი, რასაც შედეგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა მოჰყვა (ბულესკერია:2016). შეიძლება იგივე პარალელი გავავლოთ 2008 წლის ბუქარესტის სამიტთან. ცნობილი ამერიკელი დიპლომატი და ანალიტიკოსი რონალდ ასმუსი 2008 წლის აგვისტოს ომის წინ შექმნილ სიტუაციაზე წერს: „მოსკოვმა არაერთხელ გააფრთხილა საქართველო, რომ დასავლეთისკენ მის სწრაფვას სავალალო შედეგები მოჰყვებოდა და აფხაზეთსა თუ „სამხრეთ ოსეთში“ სეპარატიზმის პრობლემების მოგვარებაც, სწორედ იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, რამდენად გაითვალისწინებდა საქართველო რუსეთის მოთხოვნებს, (ასმუსი: 2011) საქართველო ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ამგვარ ზეწოლას, მაგრამ ამ დროისათვის მოსკოვი, ხისტ ქმედებებზე გადავიდა: დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარებასა და „ნატო“-ს მხრიდან საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების პირობას მან სეპარატისტულ რეგიონებთან კავშირების გაძლიერებით უპასუხა, რაც უკვე ე. წ. მცოცავი ანექსიის დასაწყისს წარმოადგენდა: 2008 წლის 16 აპრილს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის საფუძველზეც რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო პირდაპირი სამართლებრივი და დიპლომატიური კავშირის დამყარება ე. წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებებთან. „ასევე 2008 წლის 20 აპრილს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან შემოფრენილმა გამანადგურებელმა გალის რაიონში ჩამოაგდო ქართული უპილოტო საფრენი აპარატი. ეს ფაქტი დადასტურდა, საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის დასკვნით“. როგორც ვხედავთ, დაპირისპირება სამხრეთ ოსეთის რეგიონში ივლისის თვიდან განსაკუთრებული სიმწვავით განახლდა, როდესაც სეპარატისტებმა სცადეს სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დიმიტრი სანაკოევის ლიკვიდაცია. 8 ივლისს კი ოთხმა რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დაეშვა. (პიპინაშვილი: 2009). რუსეთის სამხედრო მინისტრის

განცხადებით, რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა განპირობებული იყო იმით, რომ ქართველების მიერ კონტროლილებადი ტერიტორიის მხრიდან სამხრეთ ოსეთზე შესაძლო თავდასხმის პრევენცია მოეხდინათ. 2008 წლის 29 ივლისს ოსმა სეპარატისტებმა ქართული მხარის სამშვიდობო ძალებს ცეცხლი გაუხსნეს. დაიბომბა ასევე ქართული სოფლები ოსების კონტროლილებადი ტერიტორიიდან. მას შემდეგ რაც ზაფხულის დასაწყისიდან ვითარება საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის კიდევ უფრო დაიძაბა, 2008 წლის ივნისში, ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ, დანიელ ფრიდიმ კონდოლიზა რაისს ურჩია, რომ პირადად უფრო აქტიურად ჩართულიყო მხარეებს შორის მოლაპარაკებებში კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. ასევე გაჟღერდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი საქართველოს ივლისის დასაწყისში ოფიციალური ვიზიტით ესტუმრებოდა და ეს ასეც მოხდა. 2008 წლის 10 ივლისს საქართველოში ჩამოვიდა კონდოლიზა რაისი. საქართველოში მსგავსი პოლიტიკური პირის ჩამოსვლა, გამამხნევებელი ხასიათის და ამასთან, შედეგის მომცემი უნდა ყოფილიყო. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი, პოლიტიკური გზავნილების ჩათვლით, საჭირო დროს გაჟღერებული საჭირო პოზიციაც იყო. ვიზიტისას შტატების სახელმწიფო მდივანი ხაზს უსვამდა, კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარების მნიშვნელობას. კონდოლიზა რაისის ვიზიტის შემდეგ რუსეთმა საქართველოსთან მიმართებაში კიდევ უფრო გააძლერა აგრესიული საგარეო პოლიტიკა რაც შესაბამის აქტივობებში გამოიხატა: საქართველოს მიერ არაკონტროლილებად რეგიონებში სამხედრო ძალის არაპროპორციული რაოდენობის მობილიზება. 2008 წლის ივლისის თვეში საქართველოს შეიარაღებული ძალები, თბილისთან ახლოს, მონაწილეობას ღებულობდა, ამერიკელი სამხედროების ხელმძღვანელობით მიმდინარე სამხედრო წვრთნებში; ხოლო რუსული ჯარი, პარალელურ რეჟიმში, სამხედრო სწავლებას ატარებდა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან, რომელიც 15 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით, მიმდინარეობდა. სამხედრო წვრთნების „კავკასია 2008“-ის პერიოდში რუსებს დაურიგდათ შემდეგი შინაარსის პროკლამაციები. „მეომარო, იცნობდე შენს სავარაუდო მტერს!“. (ბულესკერია: 2016). პროკლამაციაში ხაზგასმულია საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების სწრაფვა „ნატო“-ში შესასვლელად, რაც რუსეთის ხელისუფალთა ინტერესებს ეწინააღმდეგება. მასში საუბარია საქართველოს შეიარაღებული ძალების რაოდენობაზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტზე 2008 წლისთვის. პროკლამაციაში ნათქვამია, რომ 2008 წლის 26 იანვარს საქართველომ უარი თქვა კალაშნიკოვის სისტემის ავტომატებზე, ამერიკული წარმოების M-4 ტიპის ავტომატების სასარგებლოდ. ჩამოთვლილია საქართველოს სახმელეთო ჯარების ძლიერი მხარეები, რაც „ნატო“-ს ინსტრუქტორების მიერ, მომზადებით იყო განპირობებული. 2008 წელს აშკარად გამოიკვეთა, რომ საქართველოს პირისპირ რუსეთის შეიარაღებული ძალა იდგა მხოლოდ ერთი სურვილით - კვლავ დაეჩოქებინა საქართველო და საკუთარი გავლენის სფეროში მოექცია იგი. ღია დაპირისპირება ე. წ. სამხრეთ ოსეთის საზღ-ვრისპირა სოფლებში ივლისის შუა რიცხვებიდან დაიწყო,. სამხედრო წვრთნებში 8000 ჯარისკაცი და 700 სამხედრო ერთეული სამხედრო ტექნიკა მონაწილეობდა. მათ შორის იყო საავიაციო-სადესანტო ქვედანაყოფი. წვრთნების დასრულების შემდეგ, რუსული ჯარის უმეტესი ნაწილი საქართველო-რუსეთის საზღვრის ცხინვა-

ლის რეგიონის უშუალო სიახლოვეს განლაგდა. სამხედრო წვრთნები ღია და აგრესიული პროვოკაცია იყო, რომლის მიღმა რუსეთის იმპერიული მიზნები იმალებოდა. რუსული ჯარის საქართველოს საზღვართან განლაგება ფაქტიურად საქართველოსთან ომის მზადების ბოლო ეტაპი იყო. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების სარდლის თანაშემწის - იგორ კონაშენკოვის განცხადებით, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე წვრთნები გეგმიური იყო. იგი მთიან რეგიონში ტერორისტების აღმოჩენა-განადგურებას და საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის გამაგრებას ითვალისწინებდა. „წვრთნის დასრულების შემდეგ, რუსები გადავიდნენ ღია აგრესიაზე. 2008 წლის 6 აგვისტოს ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ შეიარაღებულმა ძალებმა ნაღმსატყორცნებით ცეცხლი გაუხსნეს ქართულ სოფლებს. დაიბომბა სოფლები: ერედვი, ფრისი, ავნევი, დვანი და ნული. იმავე დღეს, საღამოსთვის, ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობა ჯავაში განლაგდა, ხოლო რუსეთის სამხედრო ოლქის მეთაურები კოდორის ხეობის ქვედა ზონაში. საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან გადაუდებელი სატელეფონო საუბარი მოითხოვა, რათა განემუხტა ვითარება და თავიდან აეცილებინა მისი შემდგომი განვითარება. „7 აგვისტოს ოს სეპარატისთა ლიდერმა კოკოითმა განაცხადა, რომ იგი „რუსეთის გარეშე საქართველოსთან მოლაპარაკებას არ დაიწყებდა“. ამასთან, სეპარატისტთა ე. წ შინაგან საქმეთა მინისტრმა მიხეილ მინძაევმა დასძინა, რომ ცხინვალი, ცეცხლის გახსნისთვის მზადაა“. საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების პოზიციას სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი შემდეგნაირად ახმოვანებდა. „საქართველო საბრძოლო მოქმედებებში ჩართვას არ აპირებს და ოსურ მხარეს კვლავ მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებდა“. შეთავაზება კვლავ უპასუხოდ რჩებოდა; ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდგარი რუსული ბატალიონი საგანგებო მგომარეობაზე გადავიდა. სეპარატისტთა ლიდერი კოკოითი ცხინვალიდან აცხადებდა, რომ საქართველოს გასანადგურებლად მზად იყო. საქართველოს პრეზიდენტი სიტუაციის უკიდურესად ესკალაციის შესახებ შესაბამის ინფორმაციას აწვდიდა, როგორც ოფიციალურ ვაშინგტონს, ასევე ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის გენერალურ მდივანს და ევროპელ პარტნიორებს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაჩნდა, რომ სააკაშვილის მიერ შეთავაზებული სატელეფონო საუბრისათვის შესაფერისი სიტუაცია არ იყო. ცეცხლის ორმხრივ შეწყვეტაზე საქართველოს პრეზიდენტის წინადადების შეთავაზების შემდეგ ქართულ სოფლებზე თავდასხმებმა კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. არტილერიის ინტენსიური ცეცხლის ქვეშ მოექცა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ დროებითი ადმინისტრაციის შენობა - სოფელ ქურთას პოლიციის სადგური. მშვიდობიანი მოსახლეობა სოფლებიდან გაიხიზნა. 7 აგვისტოს ქართულ და რუსულ მხარეებს შორის მოლაპარაკებები შედგა, რომელთა თავდაპირველი მიზანი მაღალი დონის სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის ნიადაგის მომზადება იყო. მაგრამ იგი უშედეგოდ დასრულდა. სამაგიეროდ მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა, რომელმაც მხოლოდ საღამოს 10 საათამდე გასტანა (წერეთელი, ო 2018). შემდეგ კი რუსეთმა დაიწყო ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის სამხედრო გზით განხორციელება. ასეთ რთულ ვითარებაში, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულმა მოკავშირე ქვეყანამ, აშშ-მა საგანგებოდ მოიწვია უშიშროების საბჭო, სადაც ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მრჩევლმა სტეფან ჰედლიმ, სახელმწიფო

მდივან კონდოლიზა რაისსა და სხვა ამერიკელ მაღალჩინოსნებთან ერთად ვაშინგტონის მხრიდან საქართველოსთვის დახმარების გაწევის გეგმაზე იმსჯელეს. კონდოლიზა რაისის მემუარებში ვკითხულობთ, თუ როგორ იკითხა ჰედლიმ - იყო თუ არა შტატები მზად რუსეთთან ომისთვის საქართველოს გამო? ამ კითხვის შემდეგ რაისის თქმით, ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ კი, დაიწყეს საუბარი თუ რა შეეძლოთ გაეკეთებინათ, რეალურად საქართველოს დასახმარებლად (Rice, 2012). ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველი, სტეფან ჰედლი თვლიდა, რომ ვაშინგტონს დიპლომატიური გზების, მეშვეობით ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რომ საქართველოსთვის მძიმე პოლიტიკური შედეგი თავიდან აეცილებინა. თუმცა მან ისტორიული გამოცდილებიდან ისიც კარგად იცოდა, რომ რუსეთთან დიპლომატიური ენით საუბარი, ნაკლებად შედეგის მომცემი იყო (წერეთელი: 2018). ჰედლის აზრით ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი გზავნილი უნდა ყოფილიყო ის, რომ რუსეთს არ მისცემდა უფლებას მისი მეგობარი ქვეყანა დაეჩაგრა. პრეზიდენტი ბუში თავდაცვის მინისტრ რობერტ გეითსთან და ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველ სტეფან ჰედლისთან ერთად საქართველოს სამხედრო გზით დახმარებას განიხილავდნენ. მათ შორის ვიცე–პრეზიდენტი დიკ ჩეინი. ბუშის კაბინეტში ყველაზე რადიკალური პოზიციით გამოირჩეოდა და ვაშინგტონის მხრიდან საქართველოს სამხედრო გზით დახმარებას რეალურად ფიქრობდა. პრეზიდენტმა ბუშმა თეთრ სახლში მოიწვია პრესკონფერენცია. მის გვერდით იმყოფებოდნენ სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი და თავდაცვის მინისტრი რობერტ გეითსი. ჯორჯ ბუშმა გამოთქვა წუხილი, და აღშფოთება რუსეთის ხელმძღვანელობის ქმედებისადმი; ის „დაუყოვნებლივ მოუწოდებთ რუსეთს უარი თქვას ყველანაირ სამხედრო ჩარევაზე და უკან გაიწვიოს თავისი ტექნიკა და საჯარისო შენაერთები და დააბრუნოს ის კონფლიქტამდელ დისლოკაციის ადგილზე. ბუშმა ასევე დაანონსა უპრეცედენტოდ დიდი ჰუმანიტარული დახმარება საქართველოსთვის, რომელსაც აშშ-ის ერთ–ერთი დიდი სამხედრო შესაძლებლობის მქონე საზღვაო–გამანადგურებელი მაკფოლი (USS McFaul) ჩამოიტანდა საქართველოში. ბუნებრივია ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის წინააღმდეგ ღია სამხედრო კონფრონტაციის გზას ვერ დაადგებოდა, ამგვარ რისკზე ასე ადვილად ვერ წავიდოდა. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტ ბუშის კაბინეტში, გარდა ზემოხსენებულისა, მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საქართველოში ჰუმანიტარული მისიით გაიგზავნებოდა შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავები. საქართველოს დასახმარებლად აშშ-მა გაატარა შემდეგი ღონისძიებები:

1. ამერიკული სამხედრო თვითმფრინავებით მოხდა ერაყიდან საქართველოს სპეციალური ქვედანაყოფის სწრაფი გადმოსროლა საქართველოში;

2. რუსულმა ბომბდამშნებმა საქართველოს სტრატეგიული ობიექტების დაბომბვისას იერიში ვერ მიიტანეს თბილისის აეროპორტზე, რადგან ამერიკული ჰერკულესის ტიპის ბოინგი აეროდრომზე იმყოფებოდა და გაფრთხილების მიუხედავად ადგილი არ დაუტოვებია.

3. 14 აგვისტოს საქართველოს საზღვარი გადმოლახეს იორდანიიდან მომავალმა ამერიკული ჰერკულესის ტიპის ბომბდამშენებმა. მათი საჰაერო ფრენების ხელმძღვანელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მათ საწინააღმდეგოდ მიმართული ნებისმიერი რუსული საჰაერო აქტივობა საქართველოს ცაში, აღიქმებოდა თავდასხმად შეერთებულ შტატებზე, რასაც შესაბამისი პასუხი მოჰყვებოდა.

4. შავი ზღვის აკვატორიაში, კერძოდ ბათუმში 24 აგვისტოს შემოვიდა, ამერიკული საზღვაო გამანადგურებელი მაკფოლი (USS McFaul). რომელსაც თავისი სარადარო სისტემით შეეძლო, თბილისი-მოსკოვი-ვოლგოგრადის სრული საჰაერო კონტროლი დაემყარებინა. აღნიშნულმა პრინციპულმა ნაბიჯებმა, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია კრემლში. (წერეთელი ო. 2018). როგორც კულუარებიდან ირკვევა, სწორედ შეერთებული შტატების დავალებითა და თხოვნით ევროკავშირის თავჯდომარე, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი კონფლიქტურ მხარეებთან შუამდგომლობდა, რომელმაც შედეგი გამოიღო და 12 აგვისტოს მხარეებმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიაღწიეს. ეს იყო აშკარა გზავნილი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა თბილისისთვის ყველასთვის ნათელი გამხდარიყო. ამ პოლიტიკური ნაბიჯის მთავარი მიზანი იყო ის, რომ რუსეთის პრემიერ მინისტრს და ფაქტობრივ მმართველს, ვლადიმერ პუტინს აზრი შეეცვალა და თავის განზრახვაზე, თბილისის აღების შესახებ, ხელი აეღო. შეერთებული შტატების აღნიშნული დიპლომატიური ძალისხმევათაგან, გარდა ზემოთ ხსენებულისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოფიციალური ვაშინგტონი განიხილავდა არა მარტო საქართველოს სამხედრო გზით დახმარებას, არამედ, პირველ რიგში, დიპლომატიური გზებით კონფლიქტის მოგვარებას და რეგიონში მშვიდობის დამყარებას. მანამდე, სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ იქნა მოწვეული გაეროს უშიშროების საბჭო, სადაც სურდათ მიეღოთ სამშვიდობო რეზოლუცია, რომელიც რუსეთს აიძულებდა უკან გაეწვია თავისი საჯარისო შენაერთები. მაგრამ რუსეთმა და ჩინეთმა აღნიშნული რეზოლუციის რამოდენიმე ვარიანტს ვეტო დაადეს და საკითხი გაეროში დაბლოკეს; რის შემდეგაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, საფრანგეთმა და ბრიტანეთის გაერთიანებულმა სამეფომ გადაწყვიტეს სამშვიდობო რეზოლუციის განხილვა ევროკავშირის სტრუქტურებში გაეგრძელებინათ და ეფექტიანი გადაწყვეტილება მიეღოთ. ომის უშუალოდ მსვლელობის დროს, 10 აგვისტოს, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნისა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრს შორის შედგა სატელეფონო საუბარი. ლავროვის უწყებას საქართველოს მიმართ გააჩნდა შემდგომი მოთხოვნები:

1. ქართულ მხარეს ხელი უნდა მოეწერა, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებისთვის და მისი სამხედრო ნაწილები ომამდე არსებულ დისლოკაციის ადგილს დაბრუნებოდა.

2. სამაჩაბლოსა და აფხაზეთის სტატუსის განხილვა დროებით უნდა შეჩერებულიყო, ხოლო გრძელვადიანი პერსპექტივით ამის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა ემსჯელათ.

3. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უნდა წასულიყო ხელისუფლებიდან (წერეთელი 2018).

ულტიმატუმით წამოყენებულ პირველ და მეორე მოთხოვნაზე აშშ–ის სახელმწიფო მდივნისგან ლავროვმა დადებითი პასუხი მიიღო, მიუხედავად იმისა რომ იცოდა, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დათანხმება ამ პირობებზე ადვილი არ იქნებოდა; მაგრამ მისი გაღიზიანება გამოიწვია მესამე მოთხოვნამ, რომლის მიხედვითაც ოფიციალური კრემლი საქართველოს დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის, ხელისუფლებიდან წასვლას დაუყოვნებლივ ითხოვდა, რაც თავისი არსით არაკონსტიტუციური და საქართველოს საშინაო საქმეებში კვლავ უხეში ჩარევა იყო. როგორც აშშის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, კონდოლიზა რაისი თავის მემუარებში იხსენებს, რომ რუსეთის ხელისუფლების ამ მოთხოვნის შესახებ მან აცნობა გაეროს უშიშროების საბჭოს, რამაც ოფიციალური

კრემლის დიდი გაღზიანება გამოიწვია და მათ ქალბატონი რაისი არასწორ ინტერპრეტაციაში დაადანაშაულეს. შეერთებულმა შტატებმა და საერთასორისო თანამეგობრობამ, ევროკავშირის ხელმძღვანელობით, ძალისხმევა არ დაიშურა კონფლიქტი დიპლომატიურ ჭრილს არ გასცდენოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დანაკარგები ძალიან დიდი იყო, გაცილებით უარესიც შეიძლება მომხდარიყო. საინტერესოა აშშ-ის მერ ომ გამოვლილი საქართველოსათვის უდიდესი მხარდაჭერა და განვითარებისათვის ხელშეწყობა. შეერთებულმა შტატებმა გასწია დიდი ჰუმანიტარულ-ეკონომიკური დახმარებანი მსოფლიო კრიზისის ფონზე. შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის სექტემბრის თვე დატვირთული აღმოჩნდა უცხოეთიდან მიღებული სხვადასხვა დახმარებების თვალსაზრისით. თეთრ სახლში გადაწყდა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი და თავდაცვის დეპარტამენტი საქართველოს 40 მილიონამდე ამერიკულ დოლარს გამოუყოფდნენ. 2008 წლის 30 სექტემბერს აშშ-მა საქართველოსთვის დამატებით ჯერ 365 მილიონი დოლარი გამოყო, ხოლო შემდგომ, 50 მილიონი დოლარი კიდევ დაამტკიცა მისი დახმარებისათვის. აგვისტოს ომი ერთ-ერთი ყველაზე კრიზისული პერიოდი იყო, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ამ ომმა უმძიმესი შედეგები მოიტანა საქართველოსთვის. რუსეთის სახელმწიფომ ქართული ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაცია განახორციელა და 2008 წლის 26 აგვისტოს ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა ცნო. ომის შემდგომ ყველაზე მეტი ჰუმანიტარული დახმარება ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაგვიწია. ამერიკელი ანალიტიკოსების ნაწილი თვლის, რომ საქართველოში ინტერვენციით, რუსეთმა დიპლომატიური სილა გააწნა, რეგიონში დასავლეთის ფავორიტს. რუსეთი აგვისტოს ომისთვის დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა, მას სურდა საქართველოს სუვერენიტეტის მოსპობა. რაც მას, არ გამოუვიდა და მიუხედავად რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპაციისა, საქართველო სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოა დღეს. ჩვენი ქვეყანა განაგრძობს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენბლობას და რეფორმებს ევრო-ანტანტიკურ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად.

HISTORY

2008 RUSSIAN - GEORGIAN WAR AND THE USA

TAMAZ DAVITADZE

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Conflict settlement is one of the most urgent problems of the modern world. Caucasus is one of the most problematic regions nowadays. Since the ancient times, South Caucasus has been one of the most attractive space of rival for the superpower states. 2008 Russian-Georgian war is important issue with respect to the analysis of international political processes. In the modern world, the interest towards this war is great, due to the fact, that it reveals the policy and methods of XXI century Russia, which

keeps its imperial content. The majority of Georgian people, including politicians and political scientists, have been endlessly discussing the characteristics of August war and trying to analyze its causal links. During the war, the USA played the great diplomatic part in order to prevent the large-scale expansion of the war processes and not to give Russia the opportunity to destroy our country completely. During the previous escalation, the USA was an active supporter of the peaceful conflict settlement and solution. The article will discuss the causes of Russia-Georgia war and the US role in supporting Georgia. This topic is still relevant today and many scholars are interested in studying it.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასმუსი რონალდ - „მცირე ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“, ბაზინსტოკი და ნიუ-იორკი. გამომცემლობა: მაკმილანი. 2011
2. ბულისკერია მ. „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის საერთაშორისო შეფასების ისტორიისათვის“. დისერტაცია 2016
3. კაკაჩია კ. „ამერიკული დიპლომატიის ახალი ტონი და საქართველო“. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბილისი 2009
4. შურღულაია თ. „ამერიკის შეერთებული შტატების როლი საქართველოს საგარეო პოლიტიკურ სივრცეში“. თბილისი 2011
5. შურღულაია თ. „საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის, ისტორიულ–პოლიტიკური ასპექტები“ . თბილისი 2009
6. პიპინაშვილი დ. „სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები“. თბილისი 2009.
7. ქული ალექსანდრ - „აგვისტოს ომის თემა ამერიკაში ისევ აქტუალურია“, ამერიკის ხმა, ვაშინგტონი 2013
8. წერეთელი ო. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი: „აშშ-ის მიერ კრიზისის განსამუხტად გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯები“. თბილისი 2018
9. ჯიჯეიშვილი ქ. „შტრიხები საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკური პორტრეტისთვის“ . თბილისი 2009.
10. „2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი: ქრონოლოგია“, ევროპა და ევრაზია (GLOBAL VOICES: EUROPE & EURASIA) 8 Aug, 2013.
11. „2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი მსოფლიო გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ჭრილში“. ქართული სამხედრო პორტალი:მილიტარიუმი, თბილისი 08.07.2010.
12. “Saakashvili Speaks of August War”, Civil Georgia, Tbilisi, 8 Aug, 2013
13. “2008 Georgia Russia Conflict Fast Facts“, March 26, 2017
14. “Putin Promises Serbian Leader Russia Will Back Claim To Kosovo”, Radio Free Europe Radio Library, March 11, 2016
15. “2008 Georgia Russia Conflict Fast Facts”, CNN Library, March 26, 2017
16. Kornely Kakachia, „The Russo-Georgian Five-Day War: The Price To Be Paid And Its Unintended Consequences.

ისტორია

სახელმწიფო ორგანოები აჭარაში 1921-1940 წლებში

ოთარ თურმანიძე
e-mail: otar.turmanidze@bsu.edu.ge
ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

აბსტრაქტი: აჭარაში საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბება გასაბჭოებიდან დაიწყო. პირველი სახელმწიფო ორგანო იყო ბათუმის ოლქის რევოლუციური კომიტეტი, რომელიც 1921 წლის 20 მარტს შეიქმნა. იგი იყო დროებითი სახელმწიფო ორგანო, რომელიც 1922 წლის იანვრამდე მოქმედებდა. სტატიაში განხილულია ბათუმის ოლქის რევკომის სტრუქტურა, შემადგენლობა და საქმიანობა. რევკომის ხელმძღვანელობით აჭარაში 1921 წლის დეკემბერსა და 1922 წლის იანვარში ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო ორგანოები - მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები.

სტატიაში დახასიათებულია აჭარის როგორც უმაღლესი, ისე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების ფორმირების წესი, თვისებრივ - რაოდენობრივი შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობა. გაანალიზებულია ამ მიმართულებით განხორციელებული გარდაქმნები. მათგან არსებითი იყო 1937-1938 წლების გარდაქმნები, რის შედეგად საბჭოების არჩევნები გახდა შედარებით დემოკრატიული, ფარული და პირდაპირი.

ამასთან, საბჭოების ყრილობების ნაცვლად შეიქმნა აჭარის უზენაესი საბჭო. ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებს ეწოდა „მშრომელთა დეპუტატების საბჭოები“. ამ ახალი წესით 1938 წლის ივნისში ჩატარდა აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნები, ხოლო 1939 წელს - ადგილობრივი საბჭოებისა. ახალი ფორმის სახელმწიფო ორგანოები არსებითად მოქმედებდა ომისა და ომისშემდგომ პერიოდში.

საკვანძო სიტყვები: რევკომი, საბჭოები, არჩევნები, რეფორმები, ორგანოები.

სახელმწიფო ორგანოების რაციონალურად მოწყობას, მისი ყველა ნაწილის ნორმალურ ფუნქციონირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარებისათვის. ამ კუთხით საინტერესოა საქართველოს, კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების ფორმირებისა და განვითარების ისტორია. მართალია, 1918-1920 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები განვითარებული ქვეყნების სტანდარტების დონეზე იყო მოწყობილი და იმდროინდელი ეპოქის მოთხოვნებს პასუხობდა, მაგრამ აჭარა საქართველოს იურისდიქციაში 1920 წლის 20 ივლისს შევიდა და მოკლე დროში ვეღარ მოხერხდა ეროვნული სახელმწიფო ორგანოების სრულყოფილად ჩამოყალიბება. 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ხელისუფლება საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმით შეიცვალა. ამის შედეგად დაიწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების დემონტაჟი და კლასობრივ სიძულვილზე აგებული ახალი რეჟიმის ჩამოყალიბება.

აჭარაში საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბება განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში მიმდინარეობდა და მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩეოდა. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება მოგვიანებით, 1921 წლის 18

მარტს გამოცხადდა და აქედან მოკიდებული რეგიონში მიმდინარეობდა საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბება. აჭარაში საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების 1921-1940 წლების ისტორია, პირობითად, ორ ეტაპად იყოფა. პირველი ეტაპი მოიცავს 1921 წელს (18 მარტიდან), მეორე ეტაპი-1922-1940 წლებს

აჭარაში პირველი სახელმწიფო ორგანო იყო ბათუმის საოლქო რევოლუციური კომიტეტი (რევკომი). იგი წარმოადგენდა რეგიონის საგანგებო დროებით ხელისუფლებას, რომელიც შეიქმნა 1921 წლის 17-18 მარტს და მოქმედებდა 1922 წლის იანვრამდე. ეს იყო რეგიონისათვის უაღრესად რთული, წინააღმდეგობებით მოცული ისტორიის მონაკვეთი. 1921 წლის მარტში ბათუმი წარმოადგენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისთვის ბოლო საყრდენ პუნქტს. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ეროვნული მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით ბათუმიდან ემიგრაციაში წავიდა. ქ. ბათუმი და მთლიანად აჭარა ანარქიამ მოიცვა. ამ დროისათვის ყველაზე დიდი საფრთხე იყო თურქეთის ექსპანსია. თურქეთის სამხედრო ნაწილები 17-19 მარტს გააფთრებით იბრძოდნენ აჭარაში თავიანთი ხელისუფლების დამყარებისათვის. ასეთ რთულ ვითარებაში იქმნება საგანგებო ორგანო-ბათუმისა და მისი ოლქის დროებითი სამხედრო - რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც დადებითი როლი შეასრულა აჭარიდან თურქი ოკუპანტების განდევნაში.

დროებითი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი არალეგიტიმური ხელისუფლება იყო. იგი ჩამოაყალიბეს ბათუმის ციხიდან 1921 წლის 17 მარტს ნოე ჟორდანიას ბრძანებით განთავისუფლებულმა პოლიტიკურმა პატიმრებმა, რომელთა რაოდენობა 1000 კაცს შეადგენდა. ბათუმის დროებითი სამხედრო რევკომი თავდაპირველად შედგებოდა სამეულისაგან (სერგო ქავთარაძე, მალაქია ტოროშელიძე და დავით მახარაძე). 20 მარტს დროებითი სამხედრო რევოლუციური კომიტეტი გაუქმდა, რადგან მან შეასრულა მის წინაშე დადგმული ამოცანა-თურქეთის სამხედრო ნაწილები განდევნა ბათუმიდან და მთლიანად აჭარა იხსნა ოკუპაციისაგან. იმავე დღეს ჩამოყალიბდა ახალი საოლქო რევკომი, რომლის შემადგენლობაში, გარდა ზემოთ დასახელებული სამეულისა, შევიდნენ: კონსტანტინე ქაჯაია, თენგიზ ჟღენტი, სერაფიონ გუბელი, ივანე პევცოვი, კირილე თავბერიძე. 1921 წლის 3 აპრილს ბათუმის საოლქო რევკომის შემადგენლობაში შეიყვანეს ორი აჭარელი-მემედ აბაშიძე და რეჯებ ნიჟარაძე. რევკომის პირველი თავჯდომარე იყო ს. ქავთარაძე, მოადგილე - ს. გუბელი (მემმარიაშვილი).

ბათუმის ოლქის რევკომის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ბათუმის საოლქო კომიტეტი (1923 წლის თებერვლიდან-აჭარის). ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელსაც რევკომი პრაქტიკულად ახორციელებდა, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტი წინასწარ იხილავდა და შესაბამისი ინსტრუქციები და დავალებები ეძლეოდათ. პარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიოდნენ რევკომის წევრებიც: ს. გუბელი, ი. პევცოვი, კ. თავბერიძე, 1921 წლის 26 ივლისიდან - ა. ღამბაროვი. მართალია ბათუმის კომუნისტური ორგანიზაცია 900-იანი წლების დასაწყისიდან მოქმედებდა, მაგრამ 1921 წლისათვის მისუსტებული იყო. მის რიგებში 500 კომუნისტი ითვლებოდა. არაერთი მათგანი შემთხვევით იყო მიტმასნებული. პარტიული ორგანოების გაწმენდა სისტემატურად მიმდინარეობდა. საერთო მიმართულებასა და ტონს არაქართველები

აძლევდნენ. ისინი საოლქო კომიტეტში უმრავლესობას შეადგენდნენ. ამას მოწმობს პირველი საოლქო პარტიული ორგანიზაციის დელეგატების შემადგენლობაც. კონფერენციის 101 დელეგატიდან ქართველი იყო 21, რუსი-49 ევროპელი-13, სომეხი-5, აფხაზი-ამდენივე, იყვნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. ბათუმის მკვიდრი იყო მხოლოდ 15 დელეგატი [აცსა, ფ.პ-1, ან.1, ს.1, ფურც.8-9; ს.2, ფურც.8-10].

1921-1922 წლებში სისტემატურად იცვლებოდა პარტიის საოლქო კომიტეტის შემადგენლობა. ამ წლებში პასუხისმგებელი მდივნები იყვნენ: ა. ლიაკი, ვ. სიხარულიძე, გ. რამიშვილი, კ. ქაჯაია, დონენკო, ემელიანოვი, კ. ბერძენიშვილი, ს. ტაკოევი, გ. სვანიძე, ი. პევცოვი. ცხადია პოლიტიკური კრიზისი სახეზეა. მიუხედავად ამისა, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობა გამიზნულად და ამავე დროს ბრმად, გაუაზრებლად ასრულებდა ზემდგომი ორგანოების მითითებებს. საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმისა და სამდივნო სხდომებზე სისტემატურად განიხილებოდა აღა-ბეგების, სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის, არაკომუნისტური პარტიების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. პრეზიდიუმის დადგენილებით დაითხოვეს მეჯლისი, დაინიშნა ახალი არჩევნები. დაადგინეს სხდომის გახსნის ცერემონიები და ა.შ.

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტმა ორგანიზება გაუკეთა ღარიბ გლეხთა კომიტეტების ჩამოყალიბებას, „წითელი მეჯლისის“ და განახლებული [მხოლოდ კომუნისტების შემადგენლობით] რევკომის ფორმირებას. პარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის 1922 წლის 22 მაისის დადგენილებით სასოფლო თემების ღარიბ გლეხთა კომიტეტებში ტექნიკური მდივნის მოვალეობის შესასრულებლად გაიგზავნა 17 ადამიანი, რომელთაც საქმის წარმოებისათვის სათანადო განათლება ჰქონდათ [აცსა,ფ,პ-1,ან.1,ს,52,ფურც.7-8]

თურქი ოკუპანტების ბათუმიდან განდევნის შემდეგ რევკომის ძირითადი ამოცანა იყო აჭარაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების დემონტაჟი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ძალების ალაგმვა, ახალი სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება, დაწესებულებების გაწმენდა საბოტაჟიორებისა და „კონტრრევოლუციური“ ელემენტებისაგან. ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბათუმის საოლქო რევკომთან შეიქმნა საგანგებო კომისია („ჩეკა“) და „რევოლუციური ტრიბუნალი“. საგანგებო კომისიის ხელმძღვანელად დაინიშნა გ. ქავთარაძე, ხოლო „რევოლუციური ტრიბუნალის“ წევრებად: საჯაია, კუხალეიშვილი და ვარშანიძე

საგანგებო კომისიის ამოცანები განისაზღვრა რევკომის 1921 წლის 21 მარტის განცხადებით. მასში ნათქვამია: პიროვნება რომელიც შემჩნეული იქნება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებაში, მოროდიორობაში, სპეკულაციასა და პროვოკაციაში დაუყონებლივ მიეცემა პასუხისგებაში და საქმე გადაეცემა რევოლუციური ტრიბუნალის სასამართლოს [РКА, 1963: 12]. ბათუმის საოლქო რევკომის პრეზიდიუმის 1921 წლის 7 მაისის დადგენილებით „რევოლუციური ტრიბუნალის'' თავმჯდომარედ დაინიშნა გ. ქავთარაძე. სექტემბერში იგი შეცვალა ისაკ ოკუჯავამ. იმავე დროს შეიქმნა მუშურ - გლეხური მილიციის უწყება, რომლის უფროსად დაინიშნა ამბაკო ურუშაძე. ყველა ისინი სისასტიკით გამოირჩეოდნენ და ნამდვილი ინკვიზიტორები იყვნენ.

ბათუმის საოლქო რევკომმა საგანგებო ზომები მიიღო მილიციის უწყების ორგანიზებისათვის. ფაქტობრივად დემოკრატიული საქართველოს მილიცია დაშლილი იყო,

რადგან მილიციის მუშაკებმა თვითნებურად მიატოვეს სამსახური. რევკომმა სასწრაფო ღონისძიებები განახორციელა მილიციის მუშაკების სამუშაოზე გამოცხადებისა და თავიანთი მოვალეობის შესრულებისათვის. ამისათვის მათ სამი დღის ვადა ეძლეოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად დაისჯებოდნენ [РКА, 1963: 11]. უკვე 1921 წლისათვის აჭარაში მოქმედებდა მილიციის 5 რაიონი: კინტრიშის, ბათუმის, გონიოს, ქვემო აჭარისა და ზემო აჭარის. მილიციის უწყებაში საკმაო რაოდენობის მუშაკი ითვლებოდა, კერძოდ ქალაქ ბათუმში იყო 483, კინტრიშის რაიონში - 85, ბათუმის - 85, ქვემო აჭარის - 71, ზემო აჭარის - 59, გონიოს რაიონში - 22 მილიციის მუშაკი [აცსა, ფ. რ-1, ან.1, ს.13, ფურც.131; ფ.11, ან.1, ს.3, ფურც.4].

სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისათვის ასევე შეიქმნა განყოფილებები: მმართველობის განყოფილების ხელმძღვანელობა დაეკისრა კ. ქაჯაიას, სახალხო მეურნეობის - ი. პევცოვს, სასურსათო - დ. მახარაძეს, ფინანსთა და განათლების - მ. ტოროშელიძეს, სამხედრო - თ. ჟღენტს, იუსტიციის - ს. გუბელს, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება კ. თავბერიძეს [РКА, 1963: 11, 14-15].

რევკომის განსაკუთრებული ყურადღების არეალში მოექცა სასამართლოსა და პროკურატურის საკითხები. სახალხო სასამართლოების ორგანიზაციისათვის იუსტიციის განყოფილების ხელმძღვანელმა ს. გუბელმა კონსულტაციები გამართა თვალსაჩინო იურისტებთან რეჯებ ნიჟარაძესა და ხასან ლორთქიფანიძესთან. მათ დაევალათ, აჭარის მოსახლეობის თავისებურებათა გათვალისწინებით, ჩაეტარებინათ წინასწარი სამუშაოები სახალხო სასამართლოების ორგანიზაციისათვის. ამ მუშაობის შედეგად აჭარაში 1921 წლის დეკემბრისათვის მოქმედებდა ოთხი სახალხო სასამართლო [3 ქ.ბათუმი, 1 ქობულეთი]. მოგვიანებით სახალხო სასამართლოები ზემო და ქვემო აჭარაში შეიქმნა. ამასთან, აჭარაში 1921 წელს 7 საგამოძიებო ჯგუფი ჩამოყალიბდა.

იმ დროინდელ რთულ პირობებში სადაო საკითხები მრავლად იყო. 1921 წელს მხოლოდ ბათუმის საქალაქო სახალხო სასამართლოში განსახილველად შევიდა 1260-მდე საქმე. მათგან სამოქალაქო სამართლის-575, ხოლო სისხლის სამართლის-685 [აცსა, ფ. რ-1, ან.1, ს.13, ფურც.63]. რეგიონში 27 სახალხო მოსამართლე მუშაობდა [აცსა, ფ. 11, ან. 1, ს. 3, ფურც. 5], რაც არასაკმარისი იყო. ამასთან, უმაღლესი განათლებით იურისტები იშვიათობას წარმოადგენს. ასეთ პირობებში სასარჩლო საქმეების განხილვა თვეობით იწელებოდა. მრავალ შემთხვევაში განაჩენიც არაობიექტური იყო.

ბათუმის საოლქო რევკომი 1921 წლის აპრილიდან აქტიურად შეუდგა სამაზრო და სასოფლო რევკომების ჩამოყალიბება. ისინი, როგორც ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები, წარმოადგენდნენ საოლქო რევკომის ძირითად დასაყრდენ ძალას და პრაქტიკული სამუშაოების შემსრულებლებს. თავდაპირველად სამაზრო და სასოფლო რევკომების ერთი ნაწილი აჭარაში დისლოცირებული „წითელი არმიის“ პოლიტგანყოფილების მუშაკებმა ჩამოაყალიბეს. ასე მოხდა, მაგალითად, კინტრიშის, გონიოს, ქვემო აჭარის მაზრებში. „წითელი არმიის“ პოლიტგანყოფილების მუშაკები ნაკლებად ერკვეოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობასა და განწყობილებაში. ამიტომ რევკომების შემადგენლობაში მოხვდნენ კომუნისტებისათვის არასასურველი ადამიანები.

სამაზრო, სათემო და სასოფლო რევკომები, სადაც არჩეული იყვნენ კომუნისტებისათვის არასასურველი ადამიანები, დაშალეს და ხელმეორედ ჩაატარეს არჩევნები. მაგალითად, ქობულეთის მაზრის რევკომის არჩევნები სამჯერ ჩაატარეს, ქვემო აჭარისა -

ორჯერ ა.შ. ამიტომ ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების-რევკომების ჩამოყალიბება-განახლება თავიანთ ხელში აიღეს საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის რევკომის წევრებმა. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ: კ. საჯაია, თ. ჟღენტი, ა. ღამბაროვი, ვ. სიხარულიძე, ფ. ვასაძე, ი. ჩუპრინი, ი. ურუშაძე და სხვები.

აჭარაში 5 სამაზრო რევკომი შეიქმნა [კინტრიშის, ბათუმის, გონიოს, ქვემო აჭარისა და ზემო აჭარის]. ზემო აჭარის რევკომის შემადგენლობაში 6 კაცი შედიოდა. თავჯდომარედ აირჩიეს ჯეფერ ხიმშიაშვილი, თანაშემწედ - ალი წულიკიძე, მდივნად - ბარნაბ არუშინი [აცსა, ფ.1, ან.1, ს.8, ფურც. 16-17; ს. 33, ფურც. 130]. კინტრიშის რაიონის განახლებული რევკომი, რომელიც 1921 წლის 6 მაისს აირჩიეს, 4 კაცისგან შედგებოდა. რევკომის თავმჯდომარედ აირჩიეს ფ. ვასაძე, მოადგილედ-მ. გოგიბერიძე, წევრებად- ჯაში და ნამჩეიშვილი. რევკომის 4 წევრიდან 3 კომუნისტური პარტიის წევრი იყო [აცსა, ფ. რ-1, ან. 1, ს. 13, ფურც. 130].

ქვემო აჭარის პირველი რევკომის დაშლის შემდეგ აირჩიეს ახალი შემადგენლობა, რომლის თავჯდომარე იყო ფეიზულა სურმანიძე. მაგრამ იგი კომუნისტებისათვის არასასურველი პიროვნება აღმოჩნდა, რადგან სურმანიძეების წარჩინებულ გვარს ეკუთვნოდა. ამიტომ 1921 წლის 22 სექტემბერს აირჩიეს სამაზრო რევკომის ახალი შემადგენლობა: ხასან ბაირახტაროღლი, ყულფან დიასამიძე, ახმედ ბერიძე, შუქრი მახარაძე, რეჯებალი საბახტაროღლი [აცსა ფ. 11, ან. 1, ს.7, ფურც. 12]. აჭარისწყლის რაიონის განახლებული რევკომის შემადგენლობა ღარიბ გლეხთა კრებაზე აირჩიეს 1921 წლის 2 ოქტომბერს. კრებას წარმართავდნენ აჭარის ღარიბ გლეხთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე შ. აბდიბა, წევრები; მ. გოგიბერიძე, რ. გოგიტიძე, ო. ცენტერაძე, ს. სარჯველაძე. რევკომის შემადგენლობაში შედიოდნენ ფ. ლორთქიფანიძე, ხ. ცისკარაძე, ხ. გვიანიძე, ქ. ჟღენტი, ო. ბაირახტაროღლი, ო. წულუკიძე, ი. ყარა-ზადე [აცსა ფ. 1 . ან. 1, ს. 13, ფურც. 27].

სათემო რევკომი შეიქმნა ყველა თემში. მაშინ აჭარაში 13 სასოფლო თემი ითვლებოდა. კინტრიშის მაზრაში 4 სათემო რევკომი შეიქმნა: ჩაქვის, ჭახათის, კინტრიშის, ქობულეთის. რევკომის შემადგენლობაში შედიოდა თავჯდომარე, მოადგილე, ადმინისტრაციული და სამეურნეო ნაწილის გამგეები, რიგითი წევრები. მაგალითად, ჩაქვის სათემო რევკომი შედგებოდა 14 წევრისაგან. თავჯდომარე იყო სულეიმან ბარამიძე, ადმინისტრაციული ნაწილის გამგე-აზაპ ყურშუმბაძე, სამეურნეო ნაწილისა - ნიკოლოზ ამირიდი [აცსა, ფ. რ-1, ან. 1, ს.9, ფურც.12,20]

მართალია, აჭარის სათემო და სასოფლო რევკომები ფორმალურად ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებს წარმოადგენდნენ, მაგრამ ფაქტობრივად ვერ ახორციელებდნენ ხელისუფლების ფუნქციებს. მათ არასაკმარისი მატერიალური-ტექნიკური ბაზა ჰქონდათ. არ ჰყავდათ კადრები. რევკომების წევრების უმრავლესობა წერა-კითხვაც არ იცოდა. ცხადია, რევკომების მიმართ მოსახლეობის ნდობის დეფიციტი არსებობდა. ხელისუფლებისათვის ბრძოლაში რევკომს დაუპირისპირდა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი, როგორც რეგიონის სახალხო საკრებულო. იგი 1919 წლის 31 აგვისტოს დაარსდა მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით. მეჯლისი იბრძოდა სამუსლიმანო საქართველოს დედასამშობლოსთან გაერთიანებისათვის ავტონომიის ფორმით. საოლქო მეჯლისის დასაყრდენი ძალა იყო სამაზრო და სათემო ორგანიზაციები.

სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი მოსახლეობაში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა. ამას საქართველოს რევკომის ხელმძღვანელობაც აღიარებდა.

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის მდივანი კ. საჯაია, რომელიც ამავე დროს რევკომის წევრი იყო, 1921 წლის 12 ნოემბრის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მეჯლისის გარეშე ჩვენ არცერთი ნაბიჯის გადადგმა არ შეგვეძლო [აცსა, ფ. პ-1, ან.1, ს. 10, ფურც. 1]. სწორედ მეჯლისის დიდი გავლენის გამო რევკომის შემადგენლობაში შეიყვანეს მ. აბაშიძე და რ. ნიჟარაძე. ამასთან, ბათუმის საოლქო რევკომის 1921 წლის 24 მარტის ბრძანებით მეჯლისის წევრებისა და თანამშრომლების ქონება და საცხოვრებელი ბინები ხელშეუხებლად გამოცხადდა [РКА, 1963: 19], მაგრამ მალე შეიცვალა მეჯლისის მიმართ დამოკიდებულება. 1921 წლის მაისში მ. აბაშიძე და რ. ნიჟარაძე რევკომის შემადგენლობიდან გამოიყვანეს. კომუნისტებმა გააჩაღეს ბრძოლა მეჯლისის დისკრედიტაციისათვის. იგი მონათლეს, როგორც ანტისახალხო, შავი მეჯლისი, მენშევიკებისა და პრივილეგირებული საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი და სხვა. ამასთან, კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაიწყო სამაზრო და სათემო მეჯლისის წევრების გადაბირება, მათი დაპირისპირება საოლქო მეჯლისის წარმომადგენლობასთან. ასე მოხდა, მაგალითად, ორთაბათუმის სათემო მეჯლისის კრებაზე 1921 წლის 1 ივლისს, სადაც გადააყენეს ძველი და აირჩიეს სათემო მეჯლისის ახალი წევრები, პარტიის საოლქო კომიტეტისა და ოლქის რევკომის სასურველი ადამიანები [აცსა, ფ. რ-1, ან. 1, ს.10, ფურც. 25]

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის 1921 წლის 9 მაისის დადგენილებით არსებული მეჯლისი დაითხოვეს, დაინიშნა ახალი არჩევნები. იგი ჩატარდა 1921 წლის 6 ივნისს, რომელზედაც განახლებული მეჯლისის თავმჯდომარედ აირჩიეს ხასან ლორთქიფანიძე. მართალია, მემედ აბაშიძე ჩამოაშორეს მეჯლისის საქმიანობას, მაგრამ იგი მაინც აქტიურობდა, განსაკუთრებით აჭარის ავტონომიის შექმნისათვის. მემედ აბაშიძის, ხასან ლორთქიფანიძისა და სხვა პატრიოტების ენერგიული საქმიანობის შედეგად საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. უმაღლეს სახელმწიფო ორგანოდ გამოცხადდა მეჯლისი, ხოლო მართვის ორგანოდ სახალხო კომისართა საბჭო და ადგილობრივი საბჭოები. მართვის ორგანოები შეიქმნებოდა მომავალში.

საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტის გამოცემის შემდეგ აჭარაში შეიქმნა ორხელისუფლებიანობა. რეალური ხელისუფლება ეკუთვნოდა რევკომს, რომლის დასაყრდენი ძალა იყო აჭარაში დისლოცირებული „წითელი არმიის“ ნაწილები, საგანგებო კომისია, მილიცია, სამხედრო-რევოლუციური ტრიბუნალი, მაგრამ იურიდიულად ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ მეჯლისი ითვლებოდა. ხელისუფლებისათვის ბრძოლა გრძელდებოდა. მდგომარეობის განმუხტვისა და კომუნისტური ხელისუფლების განუყოფლად დაბატონებისათვის საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 23 ივლისის დადგენილებით ბათუმის საოლქო რევკომის თავმჯდომარედ დაინიშნა ა. ღამბაროვი. იგი მანამდე ფოთის რევკომის თავმჯდომარედ მუშაობდა და ტერორისტული საქმიანობის დიდი გამოცდილება გააჩნდა. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ა. ღამბაროვის მეშვეობით ცდილობდა აჭარაში საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბება-განმტკიცებას. ამასთან, საქართველოს რევკომის ხელმძღვანელობამ მეჯლისის დისკრედიტაციისათვის რეგიონის ღარიბი გლეხობა დარაზმა და გააძლიერა კლასობრივი დაპირისპირება. 1921 წლის ივლისიდან დაიწყო აჭარის სოფლად ღარიბ გლეხთა კომიტეტების ჩამოყალიბება.

საქართველოს ხელისუფლება გლეხთა კომიტეტებს მოიაზრებდა, როგორც მეჯლისის ოპოზიციას. 1921 წლის აგვისტოს ბოლოს აჭარის სასოფლო თემებსა და მსხვილ დასახლებებში შექმნილი იყო ღარიბ გლეხთა კომიტეტები. ამის შემდეგ ჩამოყალიბდა აჭარის ღარიბ გლეხთა ცენტრალური საბჭო, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ეროვნებით აფხაზი შერიფ აბდიბა.

ღარიბ გლეხთა კომიტეტების დახმარებით საქართველოს რევკომმა თანდათანობით მოარყია მეჯლისის ხელისუფლება და 1921 წლის სექტემბერში აჭარის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოდ რევკომი გამოცხადდა. ამით დასრულდა ორხელისუფ-ლებიანობა. რევკომის შემადგენლობაში პარიტეტულ საწყისებზე შევიდნენ მეჯლისის, გლეხთა კომიტეტისა და პროფკავშირების წარმომადგენლები (სულ 9 კაცი). რევკომის მუდმივმოქმედი ორგანოს-პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიოდნენ ხ. ლორთქიფანიძე (თავმჯდომარე), ა. ღამბაროვი (მოადგილე), თ. ჟღენტი, კ. საჯაია, ხ. ბერიძე (წევრები). მიუხედავად იმისა, რომ მეჯლისის წარმომადგენლები რევკომში გაერთიანდნენ, იგი მაინც ითვლებოდა კომუნისტური ხელისუფლების მთავარ ოპოზიციურ ძალად. ამიტომ დაითხოვეს არსებული მეჯლისი. 1921 წლის ნოემბერში ჩაატარეს გლეხთა ყრილობა, სადაც აირჩიეს მეჯლისის ახალი შემადგენლობა. იგი ისტორიაში შევიდა „წითელი მეჯლისის“ სახელწოდებით [თურმანიძე, 2012: 65].

„წითელი მეჯლისის“, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს, თავმჯდომარედ აირჩიეს თახსიმ ხიმშიაშვილი, თანაშემწეებად - შერიფ აბდიბა და მემედ გოგიბერიძე, მდივნად - ოსმან მოწყობილი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბათუმის საოლქო კომიტეტის დადგენილებებით განხორციელდა რეგიონის რევკომის განახლება. მის შემადგენლობაში შეიყვანეს მხოლოდ კომუნისტები: ა. ღამბაროვი (თავმჯდომარე), თ. ჟღენტი, გ. ქავთარაძე ი. ჩუპრინი, გ. რამიშვილი (წევრები). ამრიგად, აჭარაში 1921 წლის ნოემბერში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა დასრულდა. ამავე წლის ნოემბერში „წითელი მეჯლისის“ დადგენილებით დანიშნეს პირველი სახალხო კომისრები: განათლების - თ. ხიმშიაშვილი, ჯანმრთელობის დაცვის - ა. გოგო, იუსტიციის - რ. ნიჟარაძე, მიწათმოქმედების - ჯ. ფაღავა, ფინანსთა - ს. დიასამიძე, სოციალური უზრუნველყოფის - ხ. ბერიძე.

მართალია, რევკომი, როგორც საგანგებო მართვის დროებითი ორგანო, რეგიონის სამეურნეო და სოციალურ - ეკონომიკურ სფეროებსაც აქცევდა ყურადღებას, მაგრამ მის საქმიანობაში მაინც ძირითადი იყო პოლიტიკური საკითხები. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რევკომის მთავარი ამოცანა იყო ახალი სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბება. როგორც საერთოდ საქართველოში, ისე აჭარაში იქმნებოდა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ტიპიური სახელმწიფო ორგანოები: მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. 1921 წლის დეკემბერში, საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობით შედგებოდა ქალაქ ბათუმის, ზემო აჭარის, ქვემო აჭარის, აჭარისწყლის, ჭოროხის და ქობულეთის მაზრებისაგან.

საქალაქო სამაზრო და სასოფლო საბჭოების არჩევნები ჩატარდა 1921 წლის დეკემბერში. მას საფუძვლად ედო რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია. არჩევნები იყო არადემოკრატიული, ღია და საფეხურებიანი. საარჩევნო ხმის უფლება ჩამოართვეს საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს: მემამულე-თავადაზნაურებს, კაპიტალისტებს, სასულიერო პირებს,

შემლებულ გლეხებს, არაკომუნისტური პარტიებისა და ორგანიზაციის წევრებს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო მოხელეებს და სხვებს. 1921 წლის დასასრულს აჭარაში შეიქმნა ახალი ფორმის ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები: საქალაქო, სამაზრო, სათემო და სასოფლო საბჭოები მათი აღმასრულებელი კომიტეტებით.

აჭარის პოლიტიკურ ლექსიკონში პირველად გაჩნდა სიტყვები: „მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები". საქალაქო და სამაზრო საბჭოების ყრილობებზე აირჩიეს აჭარის საბჭოების პირველი ყრილობის დელეგატები 184 კაცის შემადგენლობით. აჭარის საბჭოების პირველი ყრილობა გაიმართა 1922 წლის 10-14 იანვარს ქ. ბათუმში. საბჭოების ყრილობის სახით გაფორმდა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი სახელმწიფო ორგანო. ყრილობის გამართვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების შემდეგ რევკომმა შეასრულა თავისი ამოცანა. ბათუმის საოლქო რევკომი, როგორც სახელმწიფო მართვის დროებითი საგანგებო ორგანო, გაუქმდა.

მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების აჭარის საბჭოების პირველ ყრილობაზე აირჩიეს მუდმივმოქმედი ორგანო-ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი [ცაკი] 31 წევრის შემადგენლობით. დაწესდა ცაკის სამუშაო რეჟიმი. ცაკის სესიებს წელიწადში ორჯერ, ზოგჯერ - სამჯერ იწვევდნენ, ხოლო პრეზიდიუმის სხდომებს თვეში - 2 ჯერ. ცაკის პირველ თავჯდომარედ აირჩიეს თახსიმ ხიმშიაშვილი, რომელიც ამავე დროს იყო განათლების სახალხო კომისარი. ა. ღამბაროვთან დაპირისპირების გამო თ. ხიმშიაშვილი 1922 წლის მარტში გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და რამდენიმე თვით ზემო აჭარაში იმყოფებოდა. თ. ხიმშიაშვილის შემდეგ 1925 წლის 20 ოქტომბრამდე აჭარის ცაკის თავჯდომარე იყო ო. მოწყობილი.

მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ჩამოყალიბების, ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების პირველი ყრილობის ფორმით ახალი სახელმწიფო ორგანოების ფორმირების შედეგად წითელმა მეჯლისმა ასევე ამოწურა თავისი ფუნქციები. მაგრამ იგი, ტაქტიკური მოსაზრებით, 1923 წლის ბოლომდე ფუნქციონირებდა. მისი გაუქმების შედეგად წითელი მეჯლისის ადგილობრივი ორგანოები შესაბამის საბჭოებთან გაერთიანდა. „წითელი მეჯლისის" მნიშვნელოვანი დამსახურებაა ადგილობრივი კადრების მოზიდვა, დანიშვნა-დაწინაურება.

აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს [სახკომსაბჭო] პირველი შემადგენლობის ფორმირება მოხდა ცაკის სესიაზე 1922 წლის 15 ინვარს. თავჯდომარედ დანიშნეს ა. ღამბაროვი, მოადგილედ - გ. ქავთარაძე, წევრად - რ. ნიჟარაძე. ა. ღამბაროვი 1922 წლის მარტში მოსკოვში გადაიყვანეს პარტიულ სამუშაოზე. ამის შემდეგ აჭარის სახკომსაბჭოს თავჯდომარედ მუშაობდა ს. დიასამიძე, რომელიც ამავე დროს ფინანსთა სახალხო კომისარი იყო. აჭარის სახკომსაბჭოში შედიოდა ათი სახალხო კომისარი და სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე. პირველი სახალხო კომისრები იყვნენ: გ. ქავთარაძე- შინაგან საქმეთა, რ. ნიჟარაძე - იუსტიციის, ვ. სიხარულიძე - მუშათა და გლეხთა ინსპექციის, თ. ხიმშიაშვილი - განათლების, ა. გოგო - ჯანმრთელობის დაცვის, ხ. ბერიძე - სოციალური უზრუნველყოფის, დ. ფაღავა - მიწათმოქმედების, ს. დიასამიძე - ფინანსთა, გ. გათენაძე - სასურსათო, ბლიუმზაკი - შრომის. სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს კუპრაძე [ასყ, 1971:84; თურმანიძე, 2012; 125- 126]. ამრიგად,

საბჭოების ყრილობა, ცაკი და სახკომსაბჭო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო აღმასრულებელ საკონტროლო ორგანოებს წარმოადგენდნენ. სამაზრო, სასოფლო თემის სოფლის საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები-ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებს.

თავდაპირველად სახელმწიფო სტრუქტურებში იმაზე მეტი მოხელე მუშაობდა,

ვიდრე რეალურად იყო საჭირო. მაგალითად, 1923 წელს ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში 3000 მოხელე ითვლებოდა. პატარა რეგიონისათვის მოხელეთა ასეთი სიმრავლე კიდევ მეტად ზრდიდა ბიუროკრატიზმს და ამუხრუჭებდა სახელმწიფო აპარატის ოპერატიულ ფუნქციონირებას. მართალია, სახელმწიფო მოხელეთა რიცხოვნობა 1924 წლისათვის 1984 ერთეულამდე შემცირდა [ასყ 1971; 19-48], მაგრამ იგი მაინც არ იყო ოპტიმალური.

აჭარის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს - საბჭოების ყრილობის არჩევნების ვადები კანონმდებლობით დადგენილი არ ყოფილა. 1922-1937 წლებში ჩატარდა 13 ყრილობა. საბჭოების ყრილობა ზოგჯერ წელიწადში ორჯერ ტარდებოდა [1922, 1923, 1927], ზოგჯერ - ყოველწლიურად. ზოგიერთ შემთხვევაში ინტერვალი 3-4 წელი იყო. საბჭოების ყრილობის, როგორც უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს, წარმომადგენლობით მასშტაბს მოწმობს დელეგატების რიცხოვნობა. ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც 1923-1937 წლებში 130 ათასიდან 200 ათასამდე მაცხოვრებელი ითვლებოდა, ყრილობის დელეგატებად ირჩევდნენ 300-დან 500-მდე კაცს. მაგალითად 1923 წელს საბჭოების მესამე ყრილობის დელეგატი იყო 316 კაცი. მეშვიდე ყრილობის [1929 წ.] - 497, მე-8 ყრილობის [1929 წ.] - 478 დელეგატი [ასყ, 1971: 101, 241,].

XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან სახელმწიფო ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა რამდენადმე გაუმჯობესდა. ამ დროისათვის დაძლეული იყო საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში არ4სებული კრიზისი. შედარებით ნორმალური ურთიერთობა დამყარდა პარტიის საოლქო კომიტეტს, ცაკსა და სახკომ საბჭოს შორის. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ 1922 წლის ივნისში პარტიის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად დაინიშნა ნიკოლოზ სვანიძე, რომელიც სიმპათიითა და პატივისცემით ეპყრობოდა აჭარელ კადრებს. ამ მიმართულებით ნაყოფიერად მუშაობდნენ პარტიის საოლქო კომიტეტის მომდევნო პასუხისმგებელი მდივნები თ. ჟღენტი, ს. მამულია, მ. გობეჩია და ა. გეურქოვი. ამჯერადაც ყველა ძირითად საკითხს, რომელსაც პრაქტიკულად სახელმწიფო ორგანოები ასრულებდნენ, პარტიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი და სამდივნო წინასწარ იხილავდნენ. ამ განხილვაში სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო აპარატის ფორმირების, კადრების შერჩევის, განაწილებისა და საქმიანობის შეფასების საკითხებზე 1922-1925 წლებში სერიოზული პრობლემები შეიქმნა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, ცაკისა და სახკომსაბჭოს ხელმძღვანელები. თ. ხიმშიაშვილი, რომელიც 1922 წლის დეკემბერში სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს, დაბეჯითებით იცავდა სახელმწიფო აპარატის ზოგიერთ მუშაკს, რომელთა მიმართ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი უკმაყოფილებას გამოთქვამდა. მათ რიცხვში დასახელებულია ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი სედათ რეშადი და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ექიმი აბდულ გოგო.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის შეფასებით, სედათ რეშადი, რომელიც

განათლების სახალხო კომისარი იყო თახსიმ ხიმშიაშვილის შემდეგ, ზღუდავდა სკოლებში ქართულ ენას და ცდილობდა თურქულ ენაზე სწავლების შემოღებას. ამ ბრალდებას სედათ რეშადი უარყოფდა. მიუხედავად იმისა, რომ სედათ რეშადს თ. ხიმშიაშვილი იცავდა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა იგი 1923 წლის 13 აგვისტოს სამუშაოდან გაათავისუფლა. განათლების სახალხო კომისრად დაინიშნა სელმან ლორთქიფანიძე. 1923 წლის 5 დეკემბრიდან აჭარის განათლების სახალხო კომისარი იყო სულეიმან ვარშანიძე. ა. გოგო შემჩნეული იყო ანტისაბჭოთა საქმიანობაში. იგი მონაწილეობდა ხულოს მაზრის ღორჯომის თემის მოსახლეობის ანტისაბჭოთა აქციაში. ამის გამო იგი ა. გოგო 1923 წელს გაათავისუფლეს თანამდებობიდან. ინტრიგის გამოვლენის, ბეგებთან კავშირის, მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის ბრალდებით ა. გოგო, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის 1923 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით აჭარიდან გააძევეს. [აცსა, ფ. 3-1, ან. 1, ს. 115, ფურც. 111]. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრად დანიშნეს მემედ გოგიბერიძე, რომელიც მანამდე ცაკის მდივნად მუშაობდა.

ასევე სერიოზული დაპირისპირების საგანი იყო ავტონომიის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შექმნილი იყო, ცაკისა და სახკომ საბჭოს ხელმძღვანელები მოითხოვდნენ მის აღიარებას საქართველოს საბჭოების ყრილობის მიერ. ამასთან, სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევით აჭარის საბჭოების მეორე ყრილობაზე [1922 წლის 3-5 დეკემბერი] მიიღეს დადგენილება, რომლის საფუძველზე უქმდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასურსათო, ფინანსთა, შრომის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები. მათ ნაცვლად იქმნებოდა საქართველოს სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა სამმართველოები [თურმანიძე, 2012: 127].

ცხადია, ამ გარდაქმნებით მნიშვნელოვნად იზღუდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება. 1924 წლის დასაწყისში აჭარაში არსებობდა საქართველოს ფინანსთა და საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა სამმართველოები. მომდევნო წლებში შეიქმნა სხვა სამმართველოები. ამის გამო თ. ხიმშიაშვილისა და ო. მოწყობილის ინიციატივით 1925 წლის 12 ოქტომბერს ქედაში ჩაატარეს აჭარის ცაკის სესია, რომელზედაც მისმა მონაწილეებმა გააკრიტიკეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აჭარის ავტონომიის უფლებამოსილების შეზღუდვის გამო და მოითხოვეს აჭარის რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისადმი დაქვემდებარება. ეს იყო სერიოზული შეცდომა, რის გამოც თ. ხიმშიაშვილი და ო. მოწყობილი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს. ცაკის თავმჯდომარედ აირჩიეს მოედინ სურმანიძე, ხოლო სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს მემედ გოგიბერიძე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს თენგიზ ხიმშიაშვილის პიროვნების შესახებ. იგი იყო საკმაოდ განათლებული, პრინციპული და გაბედული პიროვნება. მამა ხულოს მაზრის სოფელ ნიგაზეულიდან იყო, რომელიც ოჯახით ოსმალეთში მუჰაჯირად წავიდა. თახსიმ ხიმშიაშვილი ბავშვობიდან ნიჭიერებით გამოირჩეოდა. ამას მოწმობს ისიც, რომ თურქეთში მიიღო უმაღლესი განათლება, შემდგომში დაამთავრა ოქსფორდის [დიდი ბრიტანეთი] უნივერსიტეტი. საცხოვრებლად აჭარაში ჩამოსვლის შემდეგ აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1920 წლის პირველ ნახევარში გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“

რედაქტორი იყო. აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარე იყო. შემდგომში მუშაობდა ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, ბოლოს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლად. 1927 წელს გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში აჭარის სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო აპარატის ცვლილებები განუწყვეტლივ მიმდინარეობდა. 1924-1927 წლებში შეიქმნა სახელმწიფო მართვის ახალი უწყებები: სამხედრო. კომუნალური მეურნეობის, საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატები, საგეგმო კომისია, სტატისტიკის, ვაჭრობა - მრეწველობის, ფოსტა - ტელეგრაფის სამმართველოები. საგანგებო კომისია გარდაიქმნა პოლიტიკურ სამმართველოდ. 1924 წელს აჭარაში ფუნქციონირებდა სამხედრო, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, შრომის, მიწათმოქმედების, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები, ვაჭრობა - მრეწველობის, სტატისტიკის, მილიციის, სახელმწიფო სამშენებლო სამმართველოები, საქართველოს ფინანსთა და საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა სამმართველოები.

მართალია, 1921 წელს სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების ჩამოყალიბებისათვის პირველი ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ მართლმსაჯულების ორგანოები სრულყოფილად ჩამოყალიბებული არ ყოფილა. XX საუკუნის 20-იან წლებში დაარსდა საოლქო სასამართლო და საოლქო პროკურატურა მათ პარალელურად შეიქმნა შრომის სასამართლო და შრომის პროკურატურა. 1928 წელს საოლქო სასამართლო და საოლქო პროკურატურა გაუქმდა, სანაცვლოდ მაზრებში შეიქმნა პროკურატურის ორგანოები, ხოლო სამაზრო სასამართლოების საქმიანობის სფერო და უფლებამოსილება გაიზარდა.

XX საუკუნის 30-იან წლებში სახელმწიფო მართვის სტრუქტურების ახალი ცვლილებები განხორციელდა. 1930 წელს ცაკთან გაერთიანდა სახკომსაბჭო. გამსხვილებული ორგანოს- ცაკის თავჯდომარედ დაინიშნა ზექერია ლორთქიფანიძე, რომელიც მანამდე სახკომსაბჭოს თავჯდომარე იყო. ოპერატიული მართვის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა ცაკის მცირე პრეზიდიუმი, რომელშიც შედიოდნენ: ცაკის თავჯდომარე, მოადგილეები, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი, პროფესიული კავშირების საოლქო საბჭოს თავჯდომარე და სხვები [აცსა, ფ.რ-4, ან.1, ს. 533, ფურც. 19]. 30-იან წლების პირველ ნახევარში შეიქმნა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა სამმართველოები. ცვლილებები შეეხო საგეგმო, სტატისტიკის, მრეწველობის უწყებებს, სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა ორგანოებს. კონკრეტულად, ერთ ორგანოდ გაერთიანდა საგეგმო კომისია და სტატისტიკის სამმართველო, რის შედეგად შეიქმნა ცაკის განყოფილება. მრეწველობის სამმართველო 1931 წელს გარდაიქმნა უმაღლეს საბჭოდ, 1932-წელს საქართველოს მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოდ, 1934 წელს - აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატად.

1930 წელს გაუქმდა აჭარის იუსტიციის სახალხო კომისარიატი. მის ნაცვლად შეიქმნა დამოუკიდებელი ორგანოებიავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო და პროკურატურა. 1935 წელს

აღადგინეს იუსტიციის სახალხო კომისარიატი, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას ექვემდებარებოდა. კომისარი ამავე დროს იყო პროკურორის მოადგილე. იუსტიციის დამოუკიდებელი კომისარიატი 1936 წელს აღადგინეს. 1935 წელს ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გარდაიქმნა საქართველოს ამავე უწყების აჭარის სამმართველოდ. აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი 1937 წლის დასაწყისში აღადგინეს. XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში გააუქმეს საქართველოს სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა სამმართველოების უმრავლესობა.

სახელმწიფო ორგანოების გაუთავებელ გარდაქმნებს თან ახლდა კადრების ხშირი ცვლილებები, რაც უარყოფითად მოქმედებდა მუშაობის ხარისხზე. ამასთან, არაერთი გარდაქმნა გაუაზრებელი და საქმისათვის საზიანო აღმოჩნდა. ამ ცვლილებათა შედეგად 1937 წლისათვის აჭარაში ითვლებოდა 10 სახალხო კომისარიატი [განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ადგილობრივი მრეწველობის, მიწათმოქმედების, ფინანსთა, საშინაო ვაჭრობის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, სამხედრო] და 7 სამმართველო [სააფთიაქო, კურორტების, სტატისტიკის, ფოსტა-ტელეგრაფის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, ხორცის დამზადების, „აჭარგზატრანსი“']. აჭარის სამომხმარებლო კოოპერაციული კავშირი და ერთიც საგეგმო კომისია. სამმართველოებიდან მხოლოდ ორი იყო საკავშირო და საქართველოს რესპუბლიკის კომისარიატების რწმუნებულთა სამმართველოები [დამზადებისა და ფოსტა-ტელეგრაფის]. სახელმწიფო სტრუქტურებში კვლავ მრავალრიცხოვანი მოხელე იყო დასაქმებული. მაგრამ 1937-1938 წლების რეპრესიების დროს მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გაანადგურეს.

საბჭოთა კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის საფუძველზე საკავშირო მასშტაბით განხორციელდა სახელმწიფო ორგანოების ახალი გარდაქმნები. არსებითად შეიცვალა არჩევნების წესი, ფორმა, სისტემა, სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურები. ეს გარდაქმნები საკანონმდებლო წესით გაფორმდა საქართველოსა და აჭარის 1937 წლის კონსტიტუციებით. საბჭოების არჩევნები გახდა თანასწორი, ღია და პირდაპირი. შეიცვალა საბჭოების სახელწოდებაც. ამ ახალი წესით ეწოდა „მშრომელთა დეპუტატების საბჭოები“, გაუქმდა საბჭოების ყრილობები და მათ ნაცვლად დაწესდა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. უზენაესი საბჭოს პირველი არჩევნები, კონსტიტუციის თანახმად, ყოველ ოთხ წელიწადში ტარდებოდა. ცაკი გაუქმდა და შეიქმნა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო - ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და სახალხო კომისართა საბჭო [საბჭოთა აჭარა, 1937, 26 ოქტომბერი].

ამ ახალი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა 1938 წლის 12 ივნისს. საბჭოს შემადგენლობაში აირჩიეს 63 დეპუტატი. კონსტიტუციის მიხედვით, არჩევნების პერიოდს შორის უმაღლესი ორგანო იყო უზენაესი საბჭოს სესია, რომელსაც წელიწადში ორჯერ იწვევდნენ, სესიებს შორის-პრეზიდიუმი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესია გაიმართა 1938 წლის ივლისში. სესიაზე აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს დავით დავითაძე, რომელიც ამ თანამდებობაზე 1954 წლამდე მუშაობდა. უზენაესი საბჭოს სესიაზე პირველად აირჩიეს აგრეთვე სამი კომისია: სამანდატო, საკანონმდებლო განზრახულებათა და საბიუჯეტო [საბჭოთა აჭარა, 1937, 26 ოქტომბერი; 1938, 13, 14, 15 ივლისი].

აჭარის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე შეიქმნა მთავრობა- სახალხო კომისართა საბჭო, რომლის თავმჯდომარედ დანიშნეს ისმაილ ფუტკარაძე. მთავრობაში შედიოდა საგეგმო კომისია, 9 კომისარიატი 4 სამმართველო (კავშირგაბმულობის, საგზაო, ხელოვნების საქმეთა და დამზადების). განათლების სახალხო კომისრად დაინიშნა ნ. ნიჟარაძე, ჯანმრთელობის დაცვის - მ. კომახიძე, სოციალური უზრუნველყოფის - ა. ვანაძე, მიწათმოქმედების - მ. გოგოლიშვილი, ადგილობრივი მრეწველობის - მ. ბეჟანიძე, კომუნალური მეურნეობის - ე. ბახტაძე, ვაჭრობის- ვ. ლელაძე, ფინანსთა- ბ. ხალვაში, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად - ვ. ზაქარაია [საბჭოთა აჭარა, 1938, 16 ივლისი; თურმანიძე, 2012: 138, 148-149].

აჭარის 1937 წლის კონსტიტუციის საფუძველზე ახალი ცვლილებები განხორციელდა სასამართლოს, პროკურატურის ფორმირების, უფლებამოსილების განხორციელების მიმართულებით. 1938 წლიდან გაიმიჯნა იუსტიციის კომისარიატის, სასამართლოს, პროკურატურის ჩამოყალიბების წესი, საქმიანობის სფერო და უფლებამოსილება. ახალი წესის მიხედვით მართლმსაჯულების განხორციელება დაეკისრა აჭარის უზენაეს სასამართლოს. იგი აირჩეოდა ხუთი წლის ვადით აჭარის უზენაესი საბჭოს სესიაზე და ხელმძღვანელობდა სახალხო სასამართლოებს, ხოლო ეს უკანასკნელი აირჩეოდა მოსახლეობის მიერ სამი წლით პირდაპირი და საყოველთაო კენჭისყრით. ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს ნიშნავდა საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი ხუთი წლის ვადით. ქალაქისა და რაიონების პროკურორს ნიშნავდა საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი და ამტკიცებდა საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში არსებითი რეფორმა განხორციელდა ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების მიმართულებით. პირველი რეფორმა განხორციელდა 1923-1925 წლებში, მეორე-1929-1930, ხოლო მესამე-1938-1940 წლებში. როგორც უკვე ითქვა, 1922 წლისათვის აჭარაში ითვლებოდა ერთი საქალაქო 5 სამაზრო, 12 სათემო და 271 სოფლის საბჭო. 1923 -1925 წლების რეფორმის შედეგად განხორციელდა სოფლების გადანაწილება და შეიქმნა ჭოროხისა და აჭარისწყლის მაზრები. ჭოროხის მაზრას ეწოდა ბათუმის, კინტრიშისას - ქობულეთის, ზემო აჭარისას - ხულოს, ქვემო აჭარისას-ქედის. 1925 წლის ნოემბერში ჭოროხის მაზრა გაერთიანდა ქალაქ ბათუმთან და ეწოდა „ქალაქ ბათუმი და მისი მაზრა“. 1927 წლის 15 თებერვალს აჭარის წყლის მაზრა გაუქმდა და მასში შემავალი სოფლები „ქალაქ ბათუმისა და მისი მაზრის“ შემადგენლობაში გაერთიანდა.

ამ ცვლილებათა შედეგად მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სამაზრო ყრილობები, როგორც ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები, ახალ პირობებში და შეცვლილ ტერიტორიულ ფარგლებში ტარდებოდა. ამასთან, გაუქმდა სოფლის საბჭოები და ამის შედეგად ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების პირველად რგოლს სათემო საბჭოები წარმოადგენდნენ. 1923-1927 წლებში 6 ახალი სათემო საბჭო შეიქმნა და მათი რაოდენობა 18-მდე გაიზარდა. 1929-1930 წლების რეფორმის შედეგად ,,ქალაქი ბათუმი და მისი მაზრა'' გაიყო და შეიქმნა ბათუმის საქალაქო საბჭო და ბათუმის რაიონის საბჭო, როგორც ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები. შეიცვალა მაზრებისა და თემის საბჭოების სახელწოდება. სამაზრო საბჭოს ეწოდა რაიონული საბჭო, ხოლო თემის საბჭოს-სასოფლო საბჭო. ამრიგად 1930 წლისათვის აჭარაში ითვლებოდა ერთი საქალაქო, 4 რაიონული და 20 სასოფლო საბჭო.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში, რაოდენობრივთან ერთად არსებითი

თვისებრივი ცვლილებები განიცადეს რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა.

XX საუკუნის 20-იან წლებში ადგილობრივი საბჭოები აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში შედიოდა. მათ უშუალოდ ხელმძღვანელობდა კომისარიატის საინფორმაციო-საინსტრუქტურო განყოფილება. იგი ატარებდა საბჭოების არჩევნებს, აძლევდა დავალებებს, ისმენდა ანგარიშებს, აკონტროლებდა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების საქმიანობას. 1924 წლის არჩევნების დროს აჭარაში აირჩიეს ერთი საქალაქო და 5 სამაზრო საბჭოს შემადგენლობა. ბათუმის საქალაქო საბჭო 230 წევრისაგან შედგებოდა, ხოლო პრეზიდიუმში 18 კაცი ითვლებოდა. ბათუმის საქალაქო საბჭოს შემადგენლობა მთლიანად დაკომპლექტებული იყო კომუნისტებისა და კონმკავშირლებისაგან. საბჭოს წევრები განათლებით, მაშინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე სამაზრო საბჭოების შემადგენლობა [აცსა, ფ. პ-1, ან.1, ს.267, ფურც 8-10].

სამაზრო საბჭოების აღმასკომების შემადგენლობაში მთლიანად 69 წევრი შედიოდა. მათგან ქობულეთის მაზრაში-15, ჭოროხის-13, აჭარისწყლის-11, ქედის-15, ხულოს მაზრაში ამდენივე. თვისებრივი მდგომარეობით სამაზრო საბჭოების აღმასკომის წევრების შემადგენლობა არადამაკმაყოფილებელი იყო. მაგალითად, საბჭოების აღმასკომის 69 წევრიდან საოჯახო ჰქონდა 32 კაცს, დაბალი-19 ხოლო წერა კითხვის უცოდინარი იყო 18 პიროვნება. განათლების დაბალი დონე უარყოფით გავლენას ახდენდა მათ საქმიანობაზე. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყო ხულოს მაზრაში, სადაც საბჭოს აღმასკომის 15 წევრიდან 9 კაცი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მხოლოდ 5 კაცს ჰქონდა საოჯახო, ხოლო ერთს დაბალი განათლება. წერა-კითხვის უცოდინარი იყო ჭოროხის, აჭარისწყლის და ქედის მაზრების აღმასკომების წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი [აცსა, ფ. პ-1, ან.1, ს.267, ფურც. 12].

ცხადია, მაზრებში სახელმწიფო მართვის სტრუქტურები და მათი თვისებრივი მდგომარეობა არასახარბიელო იყო. XX საუკუნის 20-იან წლებში სამაზრო საბჭოებში სამი განყოფილება არსებობდა: მიწათმოქმედების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის. ხოლო, ქობულეთის მაზრაში დამატებით არსებობდა კომუნალური მეურნეობის განყოფილება. საქართველოს სხვა მაზრებისაგან განსხვავებით, აჭარაში სამაზრო საბჭოების განყოფილებები ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მათ არ ჰქონდათ კანცელარიები, არ ჰყავდათ სახელმწიფო აპარატი, არ გააჩნდათ დაფინანსება. განყოფილებებს ემსახურებოდა მაზრის აღმასკომის საერთო კანცელარია, რომელიც შედგებოდა სამი მოსამსახურისაგან: საქმეთა მმართველი, ბუღალტერი და მბეჭდავ-მემანქანე. სამაზრო მილიცია საერთოდ არ არსებობდა. განათლების განყოფილებას მაზრის აღმასკომის ერთ-ერთი წევრი ემსახურებოდა, რომელიც მხოლოდ სკოლების სამეურნეო საკითხებს აგვარებდა. სასწავლო პროცესს ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის ინსპექტორები განაგებდნენ. გასაბჭოებისას კომისარიატში სამი ინსპექტორი ითვლებოდა. 1923 წლის აპრილის მდგომარეობით მათი რაოდენობა 5-მდე გაიზარდა. 1923 წელს აჭარაში 60 სკოლა ითვლებოდა. მათგან ხულოს მაზრაში - 11, ქედის - 8, აჭარისწყლის - 8, ჭოროხის - 10, ქობულეთის მაზრაში - 18 სკოლა [აცსა. ფ. რ-2, ანა.1, ს.187, ფურც. 151-153].

სოფლად მიმდინარე საქმიანობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა სათემო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებიც აირჩეოდა საბჭოს კრებაზე. აღმასკომი შედგებოდა სამი წევრისაგან (თავმჯდომარე,

მოადგილე, წევრი) და მდივნისაგან, რომელიც ტექნიკურ სამუშაოს ასრულებდა. სათემო საბჭოს აღმასკომი (1930 წლიდან - სასოფლო საბჭო), როგორც სახელმწიფო მართვის პირველადი რგოლი, ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობას, სოფლის კეთილმოწყობის, მოსახლეობას შორის სადავო საკითხების მოგვარებას, მაგრამ ძირითადი საქმიანობა მაინც იყო გადასახადების ამოღება.

თემის საბჭოს აღმასკომის წევრების თვისებრივი მდგომარეობა კიდევ მეტად უარესი იყო. XX საუკუნის 20-იან წლებში სასოფლო თემის აღმასკომის შემადგენლობის მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონდა საოჯახო განათლება. მნიშვნელოვანი ნაწილი კი წერა - კითხვის უცოდინარი იყო [აცსა, ფ. პ-1, ან.1, ს.267, ფურც.11]. მართალია, 30-იან წლებში სასოფლო საბჭოების აღმასკომის წევრების თვისებრივი მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ ამ მიმართულებით არსებითი გარდატეხა მაინც არ ყოფილა.

XX საუკუნის 20-იან წლებში სოფლების თემებთან, მაზრებთან კავშირურთიერთობის საშუალებები, სატელეგრაფო და სატელეფონო ქსელის აპარატურა და სისტემები საერთოდ არ არსებობდა. სოფლიდან თემისა და მაზრის ადმინისტრაციულ ცენტრებში ინფორმაციები და პატიმრები გადაეცემოდა მილიციის საგუშაგოების მეშვეობით. ასეთი საგუშაგოები რამდენიმე იყო.

XX საუკუნის 30-იან წლები დასაწყისში ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები ავტონომიური რესპუბლიკის ცაკის გამგებლობაში გადავიდა. მათ უშუალოდ ხელმძღვანელობდა ცაკის საორგანიზაციო - საინსტრუქტურო განყოფილება. ამ დროისათვის შესამჩნევი ცვლილება ის იყო რომ რაიონებში შეიქმნა ახალი განყოფილებები: სოციალური უზრუნველყოფის, კომუნალური მეურნეობის, საგზაო, ფინანსთა, შინაგან საქმეთა, საგეგმო-სტატისტიკის. რაიაღმასკომებთან დაარსდა ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების მდივნის, საბჭოთა მშენებლობისა და მასობრივი მუშაობის ინსპექტორის თანამდებობები. განყოფილებებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებში მოეწყო მართვის ახალი აპარატი: საქმეთა მმართველობა, კანცელარია, ბუღალტერია და სხვა სამსახურები. მნიშვნელოვნად გაიზარდა რაიონული კადრების თვისებრივი შემადგენლობა. 1937 წლისათვის სახელმწიფო ორგანოების რაიონულ რგოლში წერა-კითხვის უცოდინარი კადრები აღარ დაფიქსირებულა.

ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების პირველადი რგოლის - სასოფლო საბჭოების მიმართულებით რაოდენობრივ ცვლილებათა შედეგად მათი რიცხოვნობა 1930-1938 წლებში 20-დან 50-მდე გაიზარდა. მათგან ქობულეთის რაიონში ითვლებოდა ერთი სადაბო და 13 სასოფლო საბჭო, ბათუმის-12, ქედის-7, ხოლო ხულოს რაიონში 17 სასოფლო საბჭო [აცსა, ფ.რ-178,ან.1, ს.35, ფურც. 1-4; ს. 631, ფურც. 3]. მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო საბჭოს აღმასკომის წევრების, უწინარესად თავმჯდომარეების განათლების დონე. საგულისხმოა, რომ 20-იან წლებში სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივნებად საქართველოს დანარჩენი რაიონებიდან წარგზავნილი კადრები მუშაობდნენ, რადგან ადგილობრივი მოსახლეობიდან წერა-კითხვის მცოდნე შესაფერისი კადრის გამოძებნა-შერჩევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. სასოფლო საბჭოების აღმასკომების შემადგენლობის წერა-კითხვის მცოდნე, დაწყებითი, არასრული საშუალო განათლების მქონე კადრებით დაკომპლექტება, მაშინდელი პირობების გათვალისწინებით, მნიშვნელოვან მიღწევად ჩაითვლება.

სახელმწიფო საქმიანობის მთელი სიმძიმე ადგილობრივი საბჭოებსა და მათ აღმასკომებზე მოდიოდა, მაგრამ 1937-1938

წლების რეპრესიების შედეგად ფიზიკურად გაანადგურეს, ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელებთან ერთად, სახელმწიფო მართვის აპარატის მუშაკები. აღსანიშნავია, რომ აჭარაში 1937-1938 წლებში რეპრესირებული იყო საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომის თავჯდომარეები, მოადგილეები, განყოფილებათა გამგეები, აპარატის სხვა მოხელეები. ასევე რეპრესიები განიცადა სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავჯდომარეთა ნახევარზე მეტმა [თურმანიძე, 2019:235-292].

ამ ტრაგიკულ ვითარებაში 1939 წელს ჩატარდა აჭარის ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების არჩევნები იგი გაიმართა ახალი კანონმდებლობით, რომლის თანახმად არჩევნები ტარდებოდა თანასწორი, ფარული (დახურული). და პირდაპირი წესით. სინამდვილეში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ყველაფერი სიცრუე იყო. 1939 წლის არჩევნების შედეგად აჭარაში აირჩიეს საქალაქო, რაიონული და სასოფლო (სადაბო) საბჭოების ახალი შემადგენლობა, შეიქმნა აღმასრულებელი ორგანოები, ჩამოყალიბდა ადგილობრივი ხელისუფლების სახელმწიფო აპარატი. მომდევნო წლებში არსებითად არ შეცვლილა ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები, მათი არჩევისა და აპარატის ფორმირების წესი.

HISTORY

STATE BODIES OF ADJARA IN 1921-1940

OTAR TURMANIDZE

e-mail: otar.turmanidze@bsu.edu.ge

Chief Researcher, Niko Berdzenishvili Institute, BSU

The creation of Soviet state bodies in Adjara began after the establishment of Soviet power. The first state body was the Batumi Regional Revolutionary Committee, created on March 20, 1921. It was a temporary government body that operated until January 1922. The article examines the structure, composition and activities of the Revolutionary Committee of the Batumi region. Under the leadership of the Revolutionary Committee in December 1921 - January 1922, new state bodies were created in Adjara - the Soviets of Workers', Peasants' and Soldiers' Deputies and executive committees.

The article describes the rules for the formation of both the highest and local state bodies of Adjara, the qualitative and quantitative composition, powers and types of activities. The transformations carried out in this direction are analyzed. Among them were the transformations of 1937-1938, which made the Soviet elections relatively democratic, secret and direct.

At the same time, instead of congresses of councils, the Supreme Council of Adjara was created. Local government bodies were called "Soviets of Working People's Deputies." According to this new rule, elections to the Supreme Council of Adjara were held in June 1938, and in 1939 - to local councils. The new form of state bodies mainly functioned during the war and post-war period.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აცსა - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი [ფ.], რ-1, ანაწერი [ან.] 1, საქმეები [სს.] 8,9,10,13,33.
2. აცსა, ფ. რ-2, ან.1, ს.187.
3. აცსა, ფ. რ-4, ან. 1, საქმე [ს.] 533.
4. აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 13 .
5. აცსა, ფ. 11, ან.1, სს.3,7.
6. აცსა, ფ.რ-178, ან.1, სს.35,631.
7. აცსა, ფ, პ-1, ან.1, სს.1,2,10,52,115,267.
8. ასყ - აჭარის საბჭოების ყრილობები, 1922-1937 წწ., დოკუმენტებისა და მასალების კრებული. ბათუმი, 1971 წელი.
9. თურმანიძე - ოთარ თურმანიძე, აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია [1921-1940 წლები], ბათუმი, 2012.
10. თურმანიძე - ოთარ თურმანიძე, საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში [1921-1952 წლები]. ბათუმი, 2019
11. გაზეთი საბჭოთა აჭარა, 1937,26 ოქტომბერი. გაზეთი საბჭოთა აჭარა, 1938 16 ივლისი.
12. გაზეთი საბჭოთა აჭარა, 1938 16 ივლისი.
13. РКА – революционные комитеты Аджарий в борьбе за становление и упрочнение советской власти. [Март, 1921г. – Январь 1922г.], сборник документов и материалов. Сухуми, 1963.

ისტორია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 80 წლისაა

როინ მალაყმაძე
ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის დოქტორი

ნოდარ კახიძე
ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი: ნაშრომში აღწერილია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსების ისტორია და მისი საქმიანობის ძირითადი მიღწევები და შედეგები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია სათავეს იღებს განათლებისა და მეცნიერების მდიდარი ტრადიციებიდან, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ საეკლესიო-სამონასტრო და სხვა ცენტრებში. საქართველოს ცენტრებიდან აღსანიშნავია ფაზისის რიტორიკული სკოლა, გელათის, იყალთოსა და გრემის აკადემიები. შორეული საბერძნეთის წარმომადგენლებმა განათლება კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში მიიღეს და ტრაბახობდნენ, რომ განათლება კოლხეთში მიიღეს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აღიარებულია იყალთოსა, გელათის და გრემის აკადემიების მემკვიდრედ.

ნაშრომში დეტალურადაა განხილული აკადემიისა და მისი რეგიონული სამეცნიერო დაწესებულებების წვლილი ქართული ეროვნული მეცნიერების განვითარებაში. საუბარია მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო სკოლების არსებობაზე, წინა ხელისუფლების დროს აკადემიის საქმიანობაში შექმნილ რთულ ვითარებაზე (მეცნიერებათა აკადემიიდან სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების გაყვანა და უნივერსიტეტებთან შერწყმა, შენობების გასხვისება. ასეთ დაწესებულებებში მომუშავე ზოგიერთი მეცნიერის სურვილი სხვაგან ეძებონ სამუშაო, მეცნიერთა დაფინანსების დაბალი დონე და ა.შ.).

ბოლოს ნაშრომში განხილულია თავად აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებში მომუშავე მეცნიერთა საქმიანობა, აკადემიის როლი სამეცნიერო სტრუქტურული ურთიერთობების ექსპერტიზაში სხვადასხვა დაქვემდებარებულ ფილიალებში, აკადემიის მჭიდრო თანამშრომლობა უცხოეთის აკადემიებთან და უნივერსიტეტებთან.

საკვანძო სიტყვები: საქართვრელო, ეროვნული აკადემია, მეცნიერება

2021 წლის თებერვალში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას 80 წელი შეუსრულდა. აკადემიის დაარსება დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო და ასეთად დარჩება საქართველოს მრავალსაუკუნოვანი განათლებისა და მეცნიერების ისტორიაში, ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. აკადემიის 80 წლისთავს ეძღვნება აკადემიკოსების, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის გიორგი კვესიტაძისა და ვიცე-პრეზიდენტის როინ მეტრეველის საგაზეთო ნარკვევების სერია, რომლებიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2021 წლის თებერვლის თვის ნომრებში დაიბეჭდა. ამ ნარკვევების გაცნობით დაინტერესებული მკითხველი მიიღებს ვრცელ და ამომწურავ ინფორმაციას აკადემიის დაარსების ისტორიისა და მისი საქ-

მიანობის შესახებ. სხვა მონაცემებთან ერთად ნარკვევები იქნა გამოყენებული წინამდებარე ნაშრომის დასაწერად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აღმოცენდა განათლებისა და მეცნიერების იმ მდიდარ ტრადიციებზე, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ საეკლესიო-სამონასტრო და სხვა ცენტრებში.

საქართველოში არსებული ცენტრებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია ფაზისის რიტორიკული სკოლა, გელათის, იყალთოსა და გრემის აკადემიები. ფაზისის რიტორიკულ სკოლაში სწავლა-განათლებას ეუფლებოდნენ იმდროინდელი მსოფლიოს, მათ შორის საბერძნეთის, წარმომადგენლები და თავი მოჰქონდათ იმით, რომ განათლება კოლხეთში ჰქონდათ მიღებული. ერთ-ერთი მათგანი იყო IV საუკუნის ფილოსოფოსი და დახელოვნებული ორატორი თემისტიოსი (ბრაუნდი, 1990:77). გელათის აკადემია წარმოადგენდა მაღალი დონის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს, რომელიც XII-XVI საუკუნეებში არსებობდა. აქ ასწავლიდნენ ყველა იმ საგანს (გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია), რომლებიც ბიზანტიის უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლებოდა (კვესიტაძე, მეტრეველი, გაზ, „საქართველოს რესპუბლიკა“, 2021, 1-2 თებერვალი, გვ. 6; მენაბდე, 1962:533, 544).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია იყალთოსა და გრემის აკადემიების მემკვიდრედაა აღიარებული.

საქართველოში განათლებისა და მეცნიერების უძველესი ტრადიციების დახასიათებისას გვერდს ვერ ავუვლით მწიგნობრიობის, დამწერლობის ისეთი უძველესი კერების არსებობას, როგორიცაა: ოპიზა, ოშკი, ხახული, პარხალი, ბანა, შატბერდი, ტბეთი, ხანძთა, ზარზმა და სხვა, სადაც დიდძალი ორიგინალური და თარგმნითი ლიტერატურა იქმნებოდა. დამწერლობის უძველესი ძეგლები კი V საუკუნიდან მოგვეპოვება.

ზოგიერთ ეკლესია-მონასტერში იქმნებოდა სულთა მატიანეები, რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან მეცნიერულ მასალას ამ ეკლესია-მონასტრების სამოქმედო რეგიონების ისტორიისა და რელიგიური ცხოვრების შესახებ. ამ სულთა მატიანეებიდან ერთ-ერთი გამორჩეული იყო შავშეთის ტბეთის ეკლესიაში ნაპოვნი ნუსხა-ხუცურით შესრულებული ხელნაწერი (XII-XVII საუკუნეები) „ტბეთის სულთა მატიანის“ სახელწოდებით, რომელიც ამავე დროს მდიდარ მასალას იძლევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მათ შორის, კერძოდ, მაჭახლისა და ლიგანის ხეობების, ისტორიული გეოგრაფიის, საგვარეულოთა ისტორიისა და შემწირველთა შიდამიგრაციული პროცესების შესასწავლად (მატიანე, 1977:6; კახიძე, 2013).

საზღვარგარეთის ქართულ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებიდან აღსანიშნავია პალესტინა (V ს.), სინას მთა (VI ს.), ათონის მონასტერი ათონის მთაზე (X ს.), შავი მთა ანტიოქიის მახლობლად (XI ს.), ბაჩკოვოს მონასტერი პეტრიწონში (ბულგარეთი) (XIს.) და სხვ. ამ ცენტრებში მოღვაწეობდნენ იმდროისთვის სახელგანთქმული სწავლულები: პეტრე იბერი, იოანე პეტრიწი, იოანე მინჩხი, იოანე სინელი, ილარიონ ქართველი, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, გრიგოლ ბაკურიანისძე, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და სხვები. ისინი იცნობდნენ იმდროინდელ მოწინავე ქრისტიანულ და აღმოსავლურ კულტურას, მეცნიერებასა და მწერლობას, ავითარებდნენ და ამდიდრებდნენ ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობას (ინტერნეტმასალა – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ისტორიული ნარკვევი. ინტერნეტმასალა).

ზოგადად ასეთია ის შორეული წანამძღვრები, რომლებმაც ხელი შეუწყო ქართული

განათლებისა და მეცნიერების აღმოცენებასა და განვითარებას.

მოკლედ შევჩერდებით იმ ახლო წანამძღვრებზე, რომლებზეც უშუალოდ დაფუძნდა და განვითარდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ეს წანამძღვრებია 1918 წელს დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მაშინდელი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, რომელიც 1935 წელს შეიქმნა.

ამ ორ უმაღლეს სამეცნიერო ცენტრში შედიოდა სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციები, ლაბორატორიები და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები, სადაც მოღვაწეობდნენ მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრები. 1940 წლისათვის მარტო ფილიალში მუშაობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამი ნამდვილი წევრი და სამი წევრ-კორესპონდენტი, 50-ზე მეტი მეცნიერების დოქტორი და პროფესორი, 70-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი. ფილიალში შედიოდა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგები, რომლებშიც გაერთიანებული იყო ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის, მათემატიკის, ქიმიის, ბოტანიკის ინსტიტუტები, ზოოლოგიისა და ენერგეტიკის სექტორები, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სოხუმში (ჯორბენაძე, 1981:63).

ამგვარად, 1940 წლისათვის საქართველოში უკვე არსებობდა მყარი ნიადაგი იმისათვის, რომ გახსნილიყო მეცნიერებათა აკადემია, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო მაშინდელი საკავშირო ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერა, თანხმობა და ნებართვა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია საქართველოს კომპარტიის მაშინდელი ხელმძღვანელის, შემდეგში ცნობილი ქართველი მეცნიერის, კანდიდ ჩარკვიანის სტალინთან შეხვედრის (1940 წლის ზაფხული) ერთი ეპიზოდი. კანდიდ ჩარკვიანს სტალინთან საუბარში დაუსვამს საკითხი საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის დაარსების თაობაზე და შესაბამისი არგუმენტებიც დაუსახელებია. თუმცა, მაშინ სტალინს საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის გახსნაზე სხვადასხვა მიზეზის გამო თავი შეუკავებია. კ. ჩარკვიანის გადმოცემით, სტალინის პასუხი დაახლოებით ასეთი ყოფილა: „უკრაინისა და ბელორუსიის გარდა აკადემია არცერთ რესპუბლიკაში არ გვაქვს, არ არის ყველგან შემზადებული ნიადაგი ასეთი რანგის სამეცნიერო ორგანიზაციის შესაქმნელად. თქვენ რომ აკადემია მოგცეთ, რა ვუთხრათ უზბეკეთს, ყაზახეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს. იქ აკადემიები ნაადრევია: არც სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელია საკმარისი და არც მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა კადრები. საკავშირო აკადემიის ფილიალი ხომ გაქვთ? არა უშავს, ჯერჯერობით მაგითაც იოლად გახვალთ“ (ჩარკვიანი, 2015:38-39).

საქართველოში ამ პერიოდისათვის მართლაც მეტად ხელსაყრელი პირობები არსებობდა აკადემიის გახსნისათვის. რადგან სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელიც და აქ მომუშავე მაღალკვალიფიციური მეცნიერთა კადრებიც მრავლად იყო. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ განმეორებით დასვა საკითხი საკავშირო კომპარტიის წინაშე საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის გახსნის თაობაზე. ამჯერად, 1941 წლის 3 იანვარს საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა კ, ჩარკვიანმა ჯერ წერილობით და შემდეგ სატელეფონო საუბრისას მიმართა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა. ჟდანოვს, რომელიც მაშინ იდეოლოგიის საკითხებს განაგებდა და სთხოვა დახმარება საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის გახსნასთან დაკავშირებით. საკითხი დადებითად გადაწყდა და

საბჭოთა კავშირის მთავრობამ 1941 წლის 14 იანვრის დადგენილებით ნება დართო საქართველოს მთავრობას მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ეს აისახა საქართველოს მთავრობის 1941 წლის 10 თებერვლის დადგენილებაში, რითაც ოფიციალურად გადაწყდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება. დადგენილებაში ნათქვამი იყო: საქართველოში შექმნილია სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ფართო ქსელი და გაიზარდა მეცნიერ მუშაკთა მაღალკვალიფიციური კადრები. ამის გამო, მხედველობაში ღებულობს რა საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი განვითარების ინტერესებს და ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ხელმძღვანელობის გაერთიანებას ერთიან ხელმძღვანელ ცენტრში, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა დაარსდეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია (ჯორბენაძე, 1981:61). ამავე დადგენილებით აკადემიას გადაეცა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ყველა სამეცნიერო დაწესებულება, აგრეთვე, საქართველოს მაშინდელი სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ინსტიტუტი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, ფსიქოლოგიისა და ყოფილი ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორა-ტორიები. ახლადდაარსებული აკადემია 14-მდე სამეცნიერო დაწესებულებას აერთიანებდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, როგორც ქვეყნის უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, ყოფილ საბჭოთა კავშირში რიგით მესამე აკადემია იყო უკრაინის (დაარსდა 1919 წელს) და ბელორუსიის (დაარსდა 1928 წელს) აკადემიების შემდეგ და, ამავე დროს, პირველი, რომელიც უშუალოდ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალიდან აღმოცენდა (ჯორბენაძე, 1981:63).

1941 წლის 21 თებერვალს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა აკადემიის პირველი პერსონალური შემადგენლობაც, რომელშიც შევიდა 16 წევრი-დამფუძნებელი აკადემიკოსი: გიორგი ახვლედიანი (ენათმეცნიერება), ივანე ბერიტაშვილი (ფიზიოლოგია), კირიაკ ზავრიევი (სამშენებლო მექანიკა), ფილიპ ზაიცევი (ზოოლოგია), ალექსანდრე თვალჭრელიძე (მინერალოგია, პეტროგრაფია), კორნელი კეკელიძე (ფილოლოგია), ნიკოლოზ კეცხოველი (ბოტანიკა), ტარასი კვარაცხელია (სუბტროპიკული კულტურები), ნიკოლოზ მუსხელიშვილი (მათემატიკა, მექანიკა), დიმიტრი უზნაძე (ფსიქოლოგია), აკაკი შანიძე (ენათმეცნიერება), არნოლდ ჩიქობავა (ენათმეცნიერება), გიორგი ჩუბინაშვილი (ხელოვნება), გიორგი ხაჭაპურიძე (ისტორია), სიმონ ჯანაშია (ისტორია), ალექსანდრე ჯანელიძე (გეოლოგია) (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ისტორიული ნარკვევი. ინტერნეტმასალა). მეორე დღეს კი შედგა აკადემიის წევრთა პირველი საორგანიზაციო კრება, რომელმაც აკადემიის პირველ პრეზიდენტად აირჩია ნიკოლოზ მუსხელიშვილი. იგი აკადემიას 30 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა. ამავე კრებაზე პირველ ვიცე-პრეზიდენტად არჩეულ იქნა სიმონ ჯანაშია.

შემდეგ წლებშიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემია განიცდიდა სრულყოფას. 1944 წლის 6 იანვარს ჩატარებულმა აკადემიის საერთო კრებამ აკადემიის მეორე ვიცე-პრეზიდენტად აირჩია ნიკო კეცხოველი. 1945 წლის 5 ნოემბერს კი აკადემიკოსმდივნად არჩეულ იქნა გიორგი ახვლედიანი. ამავე წელს ჩატარდა აკადემიის რიგგარეშე არჩევნები და მის რიგებში დამატებით არჩეულ იქნა 13 აკადემიკოსი (ნიკო ბერძენიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ვარლამ თოფურია, გიორგი ლეონიძე, შალვა ნუცუბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, პეტრე შარია,

ლეო დავითაშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე, ალექსანდრე ნათიშვილი, გრიგოლ წულუკიძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი, კარპეზ დონდუა) და 13 წევრ-კორესპონდენტი (ბორის კუფტინი, გიორგი ჩიტაია, გიორგი წერეთელი, გიორგი გედევანიშვილი, ილია ვეკუა, ივანე კაჭარავა, პეტრე ქომეთიანი, იოველ ქუთათელაძე, ვლადიმერ გულისაშვილი, ლეონიდ დეკაპრელევიჩი, მიხეილ საბაშვილი, დიმიტრი სოსნოვსკი) (კვესიტაძე, მეტრეველი, დასახ. საგაზეთო ნარკვევი, 2021, 4-7 თებერვალი).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია მოკლე ხანში გადაიქცა მძლავრ უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებად, სადაც მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო პრობლემებიც მუშავდებოდა. ფართოდ იყო ცნობილი ქართული სამეცნიერო სკოლები ივანე ბერიტაშვილის – ფიზიოლოგიაში, დიმიტრი უზნაძის – ფსიქოლოგიაში, ნიკო მუსხელიშვილისა და ილია ვეკუას – მათემატიკაში, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანისა და არნოლდ ჩიქობავასი – ენათმეცნიერებაში.

ახალი მნიშვნელოვანი მიღწევებით გამდიდრდა თანამედროვე ქართული ისტორიული მეცნიერება, რომლის სათავეში იდგნენ ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ ბერძენიშვილი. ისტორიული კვლევა-ძიების ძირითად კერას წარმოადგენდა სიმონ ჯანაშიას თაოსნობით შექმნილი ისტორიის ინსტიტუტი (იგი ამ ინსტიტუტის პირველი დირექტორი იყო), რომელსაც მოგვიანებით ეწოდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი და მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელი. ძირითადად ამ ინსტიტუტში მომუშავე მრავალწლიანი კვლევა-ძიების შედეგად გასული საუკუნის 70-იან წლებში შეიქმნა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეული, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო პრემია მიეკუთვნა. მომზადდა და გამოიცა სხვა ნაშრომებიც საქართველოს უძველესი, ძველი და ახალი ისტორიის საკითხებზე.

1930-იანი წლების მეორე ნახევარში ყალიბდება ქართული ეთნოგრაფიული სკოლა აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით და სხვა გამოჩენილ ეთნოგრაფთა (ვერა ბარდაველიძე, რუსუდან ხარაძე, ალექსი რობაქიძე, მიხეილ გეგეშიძე) მონაწილეობით. ფართოდ განვითარდა ქართული არქეოლოგიური მეცნიერება, რომელიც, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთაშორისო მნიშვნელობის დარგად ჩამოყალიბდა (აფაქიძე, 1972:4).

ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები ეთნოგრაფიასა და არქეოლოგიაში, მეცნიერების სხვა დარგებში ფართოდ იყო ცნობილი ჩვენში და მის ფარგლებს გარეთ.

მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ტარდებოდა აკადემიის სისტემაში შემავალ რეგიონალურ სამეცნიერო ცენტრებში (ბათუმი, სოხუმი, ცხინვალი, ქუთაისი, ზუგდიდი, გორი, ახალციხე). 1970-1980-იანი წლებისათვის აკადემიის სისტემაში შედიოდა 60-მდე სამეცნიერო დაწესებულება სამეცნიერო-კვლევითი ინსიტუტების, ლაბორატორიების, ბოტანიკური ბაღების, მუზეუმებისა და თუ სხვათა სახით.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აკადემიის სისტემაში შემავალ ამ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს ქართული მეცნიერების წინსვლა-განვითარებაში, ეს კარგად ჩანს ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის, სოხუმისა და ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მაგალითზე. ეს ინსტიტუტები მალე აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის, ეკონომიკისა და მეცნიერების სხვა დარგების რეგიონალური მეცნიერული შესწავლის კერებად ჩამოყალიბდა.

ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი შედარებით გვიან, 1958 წელს შეიქმნა. იგი ქართველოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო დაწესებულებად ჩამოყალიბდა (ვრცლად იხ.: ქართველოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვანი კერა, 1986). იგი საკუთრივ აჭარის გარდა, მისი მომიჯნავე რეგიონების მეცნიერულ პრობლემებსაც სწავლობდა. 2018 წელს მას დაარსების 60 წელის შეუსრულდა.

ინსტიტუტის მეცნიერთა ძალებით განვლილი 60 წლის მანძილზე მომზადდა და ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნდა სამი ათასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ინსტიტუტის შრომების, ცალკეულ ავტორთა მონოგრაფიების, სტატიების, დარგობრივი კრებულების (არქეოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, დიალექტოლოგია, ზეპირსიტყვიერება) და სხვა სახით. არქეოლოგიის დარგში ინსტიტუტის ყველაზე დიდ სამეცნიერო მიღწევად უნდა ჩაითვალოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში (ქობულეთ-ფიჭვნარი) და ჭოროხის ქვემო ზოლში გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა (დ.ხახუტაიშვილი, ა.კახიძე, ს.გოგიტიძე და სხვები), რომლებმაც შუქს ჰფენს ძველი კოლხური ცივილიზაციის ისეთ პროცესებს, როგორიცაა ადრემწარმოებლური და ადრესამიწათმოქმედო მეურნეობა, ანტიკურ სამყაროსთან კოლხეთის ურთიერთობისა და კოლხური რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარება. ეს პროცესები მსოფლიო არქეოლოგიის მიღწევებად შეფასდა. ისტორიის მეცნიერების დარგში დიდ სამეცნიერო მიღწევად ითვლება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების აჭარის ოთხტომეულის მომზადება და გამოცემა, რომელშიც შესწავლილია აჭარის ისტორია უძველესი დროიდან 1990-იანი წლების ჩათვლით (რედაქტორები: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით ხახუტაიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები ამირან კახიძე, ნოდარ კახიძე, ოთარ თურმანიძე). ოთხტომეულის ძირითადი ავტორები არიან ინსტიტუტში მომუშავე მეცნიერები. მასში მონაწილეობდნენ თბილისში მომუშავე წამყვანი ისტორიკოსები. პროფესორ შუშანა ფუტკარაძის ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა ორტომიანი ნაშრომი „მასალები სტამბოლის ქართული სავანიდან“, რომლებშიც პირველადაა შესწავლილი ამ სავანის ბიბლიოთეკის არქივში დაცული დღემდე სრულიად უცნობი და ნაკლებად ცნობილი ქართული დოკუმენტური მასალები. პირველი წიგნი მომზადდა დ გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, როგორც საგრანტო პროექტი.

აღსანიშნავია ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა აქტიური ჩართულობა აჭარის სამთავრობო პროექტის - „მაჭახლის ხეობის ეთნოსოფელი“ და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში. ინსტიტუტის თაოსნობით რამდენიმე წელია ზედიზედ ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები თემებზე: „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“, „ჩვენი სულიერების ბალავარი“, რომლებშიც ჩართული არიან მეცნიერები საქართველოსა და საზღვარგარეთის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებიდან. წიგნებადაა გამოცემული კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის სხვა მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეულ ძირძველ ქართულ რეგიონებში, რომლის საფუძველზე მომზადდა და გამოიცა რამდენიმე სტატია და მონოგრაფია. ამ უკანასკნელიდან

აღსანიშნავია „ლიგანის ხეობა“ (როინ მალაყმაძე, 2008) და „ზედა მაჭახელი (როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელებაძე, თამილა ლომთათიძე, ელზა ფუტკარაძე, 2019), რომლებშიც პირველადაა მეცნიერულად შესწავლილი ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ორად გაყოფილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების ყოფისა და კულტურის საკითხები.

რომ არ ყოფილიყო ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ჩვენ არ გვექნებოდა აჭარისა და მისი მომიჯნავე რეგიონების მეცნიერული შესწავლის ჩამოთვლილი მიღწევები, რომლებიც მნიშვნელოვანი წვლილია საერთოდ ქართველოლოგიური მეცნიერების შესწავლაში, რომელსაც საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინირებას უწევდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აკადემიის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის (ხელმძღვანელი აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე) შექმნა და არსებობა აჭარაში. იგი ყოველწლიურად გამოსცემს შრომებს რეგიონული კვლევის პრობლემებზე.

ასეთია ზოგადად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსებისა და მისი ძირითადი საქმიანობის ისტორია იმ მძიმე სირთულეებამდე, რომელშიც იგი აღმოჩნდა საქართველოს წინა ხელისუფლების პერიოდში, ე.წ. სამეცნიერო რეფორმების გატარების შედეგად. როგორც აკადემიკოსების გ.კვესიტაძისა და რ.მეტრეველის ზემოთ დასახელებულ საგაზეთო ნარკვევშია მითითებული, „აკადემია, ერთი მხრივ, უნდა გამხდარიყო ქვეყნის წინაშე წამოჭრილი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და, მეორე მხრივ, მას საკუთარი პოტენციალის არსებული დონის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისთვის ოპტიმალური გზები უნდა ეძია, რაც სასურველ შედეგებამდე მიგვიყვანდა აკადემიის პოზიციების შეჯერებისა და რეფორმების არსში შეთანხების მიღწევაში, მაგრამ ასე არ მოხდა“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2021, 11-14 თებერვალი, გვ. 5).

მაშინდელმა ხელისუფლებამ პირველ ეტაპზე აკადემიას ჯერ მისი ძირითადი დასაყრდენი – სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ჩამოაშორა და სხვადასხვა უნივერსიტეტებს შეუერთა, რომლებსაც მიზერული დაფინანსების გამო ისედაც უჭირდა თავის გატანა. შენობა-ნაგებობანი კი, რომლებშიც ეს ინსტიტუტები არსებობდა, გასხვისდა, გაქირავდა და გაიყიდა. ინსტიტუტში მომუშავე ბევრი მეცნიერი იძულებული გახდა სამუშაო სხვაგან ეძებნა. ამის გამო მეცნიერთა რაოდენობაც საგრძნობლად შემცირდა, დაიკარგა ლტოლვა და ინტერესი მეცნიერებისადმი პირველ რიგში ახალგაზრდობის მხრიდანაც, რადგან მეცნიერთა შრომის ანაზღაურებაც მცირე იყო, ათჯერ ნაკლები, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული რიგითი მუშაკის ხელფასთან შედარებით.

უშედეგო აღმოჩნდა მეცნიერებათა აკადემიასა და სხვაგან მომუშავე ქართველ მეცნიერ გულშემატკივართა მცდელობა ამ პროცესის შეჩერებისა და მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის.

სამწუხაროდ, ისიც უნდა ითქვას, რომ ვერც ამჟამინდელმა ხელისუფლებამ გამოიჩინა სათანადო მზრუნველობა და საჭირო მხარდაჭერა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმართ. გვეგონა, რომ ახალი ხელისუფლება დაპირებისამებრ იზრუნებდა აკადემიის სისტემიდან გამოთიშული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების უკან დაბრუნებისა და მეცნიერთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების სააკადემიო სამეცნიერო სისტემაში

დაბრუნების წახალისებისთვის, დიდი სახელისა და ინტელექტუალური მემკვიდრეობის მატარებელი სამეცნიერო სკოლების პოპულარიზაციისთვის, საერთოდ, აკადემიის ავტორიტეტის ამაღლებისათვის, აქ ჰუმანიტარული და ეროვნული ქართველოლოგიური მეცნიერების უპირატესი განვითარების ხელშეწყობის მიზნით დამატებითი სუბსიდიების გამოყოფისათვის. მოლოდინი არ გამართლდა.

მიუხედავად ამისა, საკუთრივ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს მნიშვნელოვანი მეცნიერული რესურსი განვითარებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, როგორც უძველესი გელათისა და იყალთოს აკადემიების მემკვიდრე, საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი, ქართული მეცნიერების ფლაგმანი, მისთვის მინიჭებული უფლებების საფუძველზე დღესაც აგრძელებს მუშაობას. მისი მიზანია მსოფლიო მიღწევების შესაბამისად ქვეყანაში მეცნიერების განვითრებისათვის ხელშეწყობა, მოპოვებული წარმატებების წარმოჩენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საერთაშორისო ასპარეზზე.

ამ ამოცანის განხორციელებას ემსახურება აკადემიის ამჟამინდელი დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგში, მასთან შექმნილი საგანგებო კომისიები, რომლებშიც შედიან აკადემიის წევრები და ქვეყნის სხვა წამყვანი მეცნიერები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, როგორც ქვეყნის უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, კოორდინაციას უწევს მეცნიერულ კვლევებს საქართველოში, სადაც 40-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ცენტრი არსებობს. აკადემია, რომელიც 50-ზე მეტ ნამდვილ წევრს (აკადემიკოსი) და 80-მდე წევრ-კორესპონდენტს ითვლის, წარმატებით თანამშრომლობს საზღვარგარეთის 20-ზე მეტ აკადემიასა და უნივერსიტეტთან. მათი ნაწილი მსოფლიოს სხვადასხვა აკადემიებისა და უნივერსიტეტების საპატიო უცხოელი წევრები და საპატიო დოქტორები არიან. თავის მხრივ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში საპატიო წევრის სტატუსით არჩეული არიან გამოჩენილი უცხოელი მეცნიერები.

განათლებისა და მეცნიერების უძველესი ტრადიციების მქონე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მისი ხელმძღვანელობა პრეზიდიუმის სახით, არსებობის 80 წლისთავზე განსაკუთრებული გამოწვევებისა და ამოცანების წინაშე დგას. აკადემიას ძალუძს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქართული მეცნიერების მაღალ დონეზე განვითარების საქმეში.

საქართველო დღეს წარმატებით ისწრაფვის ევროსაბჭოსა და ნატოში გაწევრიანებისთვის. ამისთვის მას მაღალგანვითარებული მეცნიერებაც სჭირდება, რისთვისაც აუცილებელია აკადემიამ ძველი თაობის მეცნიერებთან ერთად შემოიკრიბოს მრავალმხრივ განათლებული ახალგაზრდა მეცნიერთა ეროვნული კადრები, იზრუნოს ქვეყნის გარეთ წასული წარმატებული სამეცნიერო კადრების უკან დაბრუნებისა და მათი ნაყოფიერი მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. ეს კი აკადემიას ქვეყნის ხელმძღვანელობის, პარლამენტის შესაბამისი მხარდაჭერითა და დახმარებით შეუძლია.

HISTORY

GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES IS 80 YEARS OLD

ROIN MALAKMADZE

Director of Niko Berdzenishvili Institute of BSU, Doctor of History

NODAR KAKHIDZE

Niko Berdzenishvili Institute of BSU, Chief Researcher, Doctor of History

The paper describes the history of the establishment of the Georgian National Academy of Sciences and the main achievements and results of its activities.

The Georgian National Academy of Sciences originated from the rich traditions of education and science that have been established for centuries in ecclesiastical-monastic and other centers in Georgia and abroad. Among the centers in Georgia, the Phasis Rhetorical School, Gelati, Ikalto and Gremy Academies are noteworthy. Representatives of faraway Greece received their education at the Colchis Rhetorical School and boasted that they had received their education in Colchis. The Gelati Academy was a high-level educational-scientific center in the XII-XVI centuries, where all the subjects taught here were the same as those in the higher education institutions of Byzantium at that time. Georgian Academy of Sciences is recognized as the successor of Ikalto and Grammy academies.

The work narrates about the centers of Georgian writing and literature (Opiza, Oshki, Khakhuli, Parkhali, Bana, Shatberdi, Tbeti, Khandzta, Zarzma, etc.), where a lot of original and translated literature was created in educational-scientific centers outside Georgia (Palestine - 5th century, Mount Sinai - 6th century, Mount Athos - 10th century, Black Mountain near Antioch - 11th century, Bachkovo Monastery in Petritson (Bulgaria)) - XI century, etc.). There were famous Georgian scholars at that time, who were well acquainted with the Christian culture, science and literature of their time, developed and enriched the national cultural heritage.

Special attention is paid to the close prerequisites (Tbilisi State University, founded in 1918, Georgian branch of the Soviet Academy of Sciences, established in 1935). The Georgian Academy of Sciences was established and developed based on the scientific staff working there.

The paper discusses in detail the contribution of the Academy and its regional scientific institutions to the development of Georgian national science. We are talking about the existence of scientific schools of world importance, the difficult situation that was created in the activities of the academy during the previous government (removal of scientific research institutions from the Academy of Science and merging with universities, alienation of the buildings of these institutions, the desire of some of the scientists working here to look for work elsewhere, the low level of funding for scientists, etc).

Finally, the paper discusses the activities of scientists working in the scientific departments of the academy itself, the role of the academy in the expertise of scientific structural relations in various subordinate branches, the close cooperation of the academy with foreign academies and universities.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აფაქიძე – ანდრია აფაქიძე. ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა. თბ. 1972.

2. კახიძე – ნოდარ კახიძე. ეტრატზე ამეტყველებული ისტორია. ტბეთის სულთა მატიანე (XII-XVII საუკუნეები) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიური შესწავლის წყარო. ბათუმი, 2013.
3. კვესიტაძე, მეტრეველი – გიორგი კვესიტაძე, როინ მეტრეველი. ეროვნული აკადემია თავად დიდი აკადემიკოსი. - გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2021, №№21-30.
4. მენაბდე – ლეო მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I, ნაკვეთი მეორე. თბ. 1962.
5. ქართველოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი კერა – ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 25 წელი. თბილისი, 1986.
6. მატიანე – ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო თინა ენუქიძემ. თბილისი, 1977.
7. ინტერნეტმასალა - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ისტორიული ნარკვევი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდი (http://science.org.ge/?page_id=2549).
8. ჩარკვიანი – კანდიდ ჩარკვიანი. სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები. თბილისი, 2015.
9. ჯორბენაძე – სერგო ჯორბენაძე. სამეცნიერო დაწესებულებები და სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაცია საბჭოთა კავშირში. - წიგნი „მეცნიერული ცოდნის საფუძვლები“, §6. „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“. თბილისი, 1981.

ისტორია

მართლმადიდებლობა და ეროვნული იდენტობა ადრე შუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოში

ანნა ვარშანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

ანოტაცია: ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ მოციქულების დროიდან ჩნდება. ზოგიერთი გადმოცემის თანახმად დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობას ავრცელებდნენ ანდრია პირველწოდებული, მატათა და სვიმონ კანანელი. III-IV სს მიჯნაზე აფსაროსის ციხეში ქრისტიანობის მიღების გამო აწამეს ორი რომაელი ჯარისკაცი ფირმოსი და ფირმანიოსი.

325 წელს პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე. უკვე IV-V სს. ჩნდება საეკლესიო ნაგებობები თუმცა ჯერ კიდევ საკამათოა დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხი. მეცნიერთა ერთი ნაწილი ამ ფაქტს IV საუკუნეს ნაწილი კი VI საუკუნეს უკავშირებს. ნებისმიერ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით დასავლეთ საქართველოში კონსტანტინეპოლის როლი განუზომლად დიდი იყო. დასავლეთ საქართველოს ანუ ლაზიკის ეპარქია კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა.

საკვანძო სიტყვები: მართლმადიდებლობა; ეროვნული იდენტობა; ნაციონალიზმი; ეროვნული ცნობიერება; კულტურული თვითმყოფადობა.

მართმადიდებლური კულტურა ქართულ ცნობიერებაში განისაზღვრება, როგორც ეროვნული იდენტობის ფუნდამენტურ ღირებულება! როდესაც ვსაუბრობთ ეროვნულ იდენტობაზე, პირველ რიგში აუცილებელია განვმარტოთ რომელი ძირითადი მარკერები განსაზღვრავს ერის იდენტობას; რის საფუძველზე უყალიბდება საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფს საერთო ეროვნული იდენტობა. ინდივიდის ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია კულტურული იდენტობა, რომელსაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს: ენა, რელიგია, ისტორია, ტერიტორია. სწორედ იდენტობის საფუძველზე ადამიანი განარჩევს ვინ ექცევა ჯგუფში “ჩვენ” და ვინ ჯგუფში “სხვა”. “იდენტობა გვაძლევს ადგილს სამყაროში და წარმოადგენს კავშირს ჩვენსა და იმ საზოგადოებას შორის, რომელშიც ვცხოვრობთ” [სმითი:2008:19]

ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იდენტობის თითოეული კატეგორია მნიშვნელობას კონკრეტულ სოციო-კულტურულ გარემოში იძენს. მაგალითად, ისევე, როგორც ადრე შუასაუკუნეებში, ევროპისა და მათ შორის საქართველოს სახელმწიფოებრივ იდენტობას რელიგიური ასპექტი განსაზღვრავდა. შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში იქმნებოდა სხვა დამოუკიდებელი ხელისუფლებებიც, როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ სივრცეში. სხვადასხვა მმართველი ფენის დაწინაურებით იქმნებოდა სამეფო დინასტიები. ისინი თავიანთი და მათი მემკვიდრეებისთვის ხელისუფლების შენარჩუნების საუკეთესო საშუალებად ქრისტიანული სახელმწიფო

მოდელის მიღებას და ღვთით კურთხეული ხელისუფლების იდეოლოგიას იყენებდნენ. დასავლეთ ევროპული სივრცისთვის ამის საფუძველი, შეიძლება იურიდიული დოკუმენტიც გამხდარიყო, მაგალითად, როგორც ე.წ. „კონსტანტინეს ნაბოძვარი". ამჟამად ის ნაყალბევ საბუთად არის მიჩნეული. თავად ეს დოკუმენტი შეიქმნა პაპებისთვის საერო ხელისუფლებაზე პრეტენზიის წარმოშობის სამართლებრივად დაკანონებისთვის, კონსტანტინე დიდის სახელთ, ეს დოკუმენტი ხაზგასმით აღნიშნავს პაპების ხელისუფლების ღვთისგან მომდინარეობაზე. მასში პეტრე მოციქული „ღმერთის ძის ნაცვლად" არის განხილული, ხოლო პაპები, მის მიმდევრებად: „ნეტარი პეტრე არის ღმერთის ძის ნაცვალი დედამიწაზე, დაე, პონტიფიკებმა, რომელნიც ცვლიან თვით მოციქულთა თავს, მიიღონ ჩვენგან და ჩვენი იმპერიისაგან დათმობილი უმაღლესი ხელისუფლება, უფრო დიდი, ვიდრე ის, რომელიც აქვს ჩვენი მიწიერი იმპერატორის ბრწყინვალებას". [**დიასამიძე:2001:143**]

საქართველოში შუა საუკუნეები იწყება ერთიან ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობით. ევროპის მთავარ ძალას იმ დროისათვის კვლავ წარმოადგენდა ქრისტიანული რომი, ანუ ბიზანტიის იმპერატორი, რომელიც იმპერიას განაგებდა ახალი ქრისტიანული რომიდან - კონსტანტინოპოლიდან.

ქართული შუა საუკუნეები წარმოიქმნა, როგორც ზოგადევროპული ფენომენი ანტიკური კულტურისა და ქრისტიანობის შეპირისპირებისა და მათი სინთეზის შედეგად.

მართალია, დიდი საეკლესიო განხეთქილების შედეგად, საქართველო ბიზანტიასთან ერთად დარჩა მართლმადიდებლურ სივრცეში, მაგრამ მას, როგორც სახელმწიფოს, ბიზანტიის იმპერიისაგან განსხვავებული მიზნები და ამოცანები ჰქონდა. ამ უკანასკნელის მიზანს ერთიანი, ქრისტიანული მსოფლიო იმპერიის შექმნა და შენარჩუნება წარმოადგენდა. [**ჯავახია 2005:02**]

ქართული შუა საუკუნეების თანდათან უფრო და უფრო უახლოვდება ბიზანტიურს, რაც, რა თქმა უნდა, განაპირობა იმანაც, რომ მის წანამძღვრებში ისევე როგორც ბიზანტიურისა, ჭარბობდა ელინისტური ელემენტი.

IV საუკუნისათვის რომის იმპერიის აღმავლობა თავის პიკს აღწევდა, მისი ტერიტორია გრანდიოზული მასშტაბებსა გახდა, იგი გადაიჭიმა ბრიტანეთიდან და პირენეის ნახევარკუნძულიდან, ვიდრე მესოპოტამიამდე. მის შემადგენლობაში სხვადასხვა მოდგმის ხალხი და ტომი შედიოდა, რომლებიც განვითარების თვალსაზრისით სხვადასხვა კულტურულ და პოლიტიკურ საფეხურზე იდგნენ, რის გამოც, მათი გაერთიანება საკმაოდ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. რთული ხდებოდა რომის აღმოსავლეთის პროვინციების დამორჩილება და იქ სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარება. აღმოსავლეთ და დასავლეთ პროვინციათა შორის არსებულმა კულტურულ-პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა განსხვავებებმა თანდათანობით შექმნა საფუძველი იმპერიის ორად გაყოფისა.

კონსტანტინე I (306-327 წწ) დროს ახალი დედაქალაქის დაარსებამ ბოსფორის სრუტის ნაპირას, ძველბერძნულ ქალაქ ბიზანტიონში, რომელსაც შემდგომ კონსტანტინოპოლი ეწოდა, აღმოსავლეთის პროვინციებს გაუჩინათ ერთიანი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. კონსტანტინეპოლი და რომი გახდნენ ორი სამყაროს - ლათინური დასავლეთის და ბერძნული აღმოსავლეთის ცენტრებად.

უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო კონსტანტინე დიდის მიერ ახალი რელიგიის, ქრისტიანობის, ჯერ თანასწორუფლებიან

რელიგიად, ხოლო შემდეგ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინოპოლის დაარსებით და და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით იწყება აღმოსავლეთის პოლიტიკურ სარბიელზე ახალი ძალის - ე.წ ბიზანტიიის იმპერიის ჩამოყალიბება.

როგორც უკვე ვთქვით, შუა საუკუნეების ცივილიზაცია ორ ნაწილად იყოფა და ყალიბდება ერთის მხრივ ბიზანტიური და მეორეს მხრივ დასავლეთევროპული ცივილიზაცია. საქართველოსთვის გეოგრაფიულადაც და პოლიტიკურადაც უფრო ახლოს ბიზანტიის იმპერია იყო და სწორედ ამიტომ ამ პერიოდის ქართულ კულტურას ხშირად ბიზანტიურ ცივილიზაციას მიაკუთვნებენ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ დასავლეთის ქვეყნებსა და საქართველოს განვითარების გზებს შორის არსებობდა მსგავსება. ბიზანტიისაგან განსხვავებით, რომელიც იმპერია იყო, ქართველ და დასავლეთევროპელ ხალხებში შუა საუკუნეებში ყალიბდება ეროვნული სახელმწიფო იდეოლოგია [ჯავახია:2002:4].

როგორც ვნახეთ, საქართველოსა და რომის იმპერიაში ქრისტიანობა იქცა ახალ ეროვნულ იდენტობად, სახელმწიფოს გაერთიანება სწორედ რელიგიის საშუალებით ხდებოდა; ჩამოყალიბდა ახალი იდენტობის მარკერი - რელიგიური და ეთნიკური მახასიათებელი გაერთიანდა და შეიძლება ითქვას, რომ უკვე ქართველი, ავტომატურად ნიშნავდა ქრისტიანს - მართლმადიდებელს.

თუ გადავხედავთ ნაციონალიზმის პარადიგმებს, ერთ-ერთი უძველესია პრიმორდიალიზმი[1] რომელიც შეიძლება მოვარგოთ ქართველი ერის სტრუქტურას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველი ერი უძველესი ერია და მისი თვითმყოფადობა სწორედ მისმა ისტორიამ და კულტურამ განსაზღვრა. მართლმადიდებლობა კი ქართველი ერის ყოფა-ცხოვრებასა და ეროვნულ ცნობიერებაზე უძველესი დროიდან ახდენდა გავლენას. პრიმორდიალისტური[2] მიდგომის ჩამოყალიბება და განვითარება უკავშირდება ცნობილი ფრანგი მოაზროვნეების და საზოგადო მოღვაწეების ჟან-ჟაკ რუსოს და მანუელ-ჟოზეფ სიიესის სახელებს. სიიესი, ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ჯერ კიდევ 1789 წელს დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ სუვერენიტეტი არა სამღვდელოებას და არისტოკრატიას, არამედ ერს (ხალხს) უნდა ეკუთვნოდეს. საფრანგეთში და შემდგომ დასავლეთ ევროპაში მოქალაქეობის ინსტიტუტის დამკვიდრებამ გააძლიერა რწმენა ერის სიდიადეში.

გამომდინარე იქიდან, რომ ქრისტიანული რწმენა ქართველი ხალხის წინამოდერნისტული ნაციის, ანუ ქართველი ეთნოსის ჩამოყალიბების უმთავრესი ფაქტორი გახდა, ადვილად გასაგები ხდება ეკლესიის გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ ჩამოყალიბების პროცესში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში.

სმითის[3] განმარტებით, ეთნოსი წარმოადგენს საკუთარი ეთნონიმის მქონე ადამიანთა ერთობას, რომლისთვისაც დამახასიათებელია: მითები საერთო წარმომავლობაზე, საერთო ისტორიული მეხსიერება, ერთიანი კულტურული ელემენტები, გარკვეულ ისტორიულ ტერიტორიასთან კავშირი, სოლიდარობის ერთგვარი გრძნობა. განსხვავება ერისა და ეთნოსისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს შორის არის ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორებიცაა: ეთნოსისთვის კულტურული თვითმყოფადობა, გარკვეულ ტერიტორიასთან კავშირი, ელიტის სოლიდარობა, ხოლო ერისთვის –

[1] პრიმორდიალიზმი - ამ თეორიის თანახმად ეთნიკურობა ადამიანის,მისი პიროვნების ფუნდამენტური საწყისი თვისებაა.

[2] ქართველი ერი და ქრისტიანობა - ავტორი: თემურ ბუაძე2012; http://www.orthodoxtheology.ge/

[3] ენტონი დ. სმითი - „ნაციონალური იდენტობა“

საერთო საზოგადოებრივი კულტურა, გარკვეული ტერიტორიის ფლობა, საერთო უფლებები და მოვალეობები და საერთო ეკონომიკა.

ერთიანი პოლიტიკური ცენტრის არარსებობის შემთხვევაში, თვით, შინაგანი დაქსაქსულობისა და დაძაბული ურთიერთმტრობის პირობებშიც კი, ეკლესია ერთიანი ეროვნული თვითშეგნების, იდენტობის კერა გახლდათ, რადგან იგი ეროვნული სხეულის ტერიტორიულ საზღვრებს პოლიტიკურ კატეგორიებში კი არ გამოსახავდა, არამედ რელიგიურში.

ეკლესია ერთიანი პოლიტიკური ცენტრის არსებობის შემთხვევაში კი, მეფეს საკრალურ ლეგიტიმაციას სძენდა და ამით ქვეყნის დინასტიური სტაბილურობის ერთ-ერთი საფუძველი იყო; უმეტესწილად ეკლესიის წიაღში იწერებოდა ისტორიული ქრონიკები და ფიქსირდებოდა საერთო ისტორიული ეროვნული მეხსიერება; ეკლესიის წიაღში ითარგმნებოდა წიგნები და იქმნებოდა ორიგინალური სასულიერო ლიტერატურა; ხშირ შემთხვევაში, ეროვნული ტერიტორიის მთელ სივრცეზე მხოლოდ ეკლესია იყენებდა საერთო ლიტერატურულ ენას; მართლმადიდებელი ეკლესიისადმი კონფესიონალური კუთვნილება ყველაზე ეფექტური იმუნიტეტი იყო უცხო დამპყრობელ ხალხებში ასიმილაციის წინააღმდეგ. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, თვით ახალ დრომდე, ქართველი უპირველეს ყოვლისა სარწმუნოებრივ იდენტობად აღიქმებოდა და შემდეგ ეროვნულად [ბუაძე :2012: 5].

ქართული ეთნოსების მსგავს ეთნოსებს წინამოდერნულ ეთნოსებსაც უწოდებენ, რომელთათვისაც დამახასიათებელია, რელიგიის მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევა, რაც საბოლოო ჯამში დიდი ზეგავლენას ახდენს ერის ჩამოყალიბებაზე. მართალია ერთი რელიგიის ირგვლივ სხვადასხვა ეთნოსით შეიძლება გაერთიანდეს, თუმცა ამისათვის სხვადასხვა გარემოებები არსებობს, მაგალითად პოლიტიკური ნება, რომლის მთავარ მამოძრავებლად, ხშირ შემთხვევაში ერთი კონკრეტული პოლიტიკური გაერთიანება გვევლინება. ამის ნათელი მაგალითია ქართული სახელმწიფო და ბაგრატიონთა დინასტია. ბაგრატიონთა დინასტიის მეფეები თავს უფლისგან კურთხეულად მიიჩნევდნენ და ძალიან კარგად აანალიზებდნენ თუ რა მნიშვნელობა ქონდა რელიგიას ქვეყნის გაერთიანების საქმეში. შესაბამისად ისინი დიდ პატივს სცემდნენ ქართულ ეკლესიას და მის სიძლიერეს. მოგეხსენებათ თავის მხრივ სასულიერო პირებიც სახელმწიფო სამსახურში იყვნენ და მეფის ინსტიტუტს უზენაესად აღიარებდნენ.

როგორც უკვე ვნახეთ, შუა საუკუნეების მთავარ იდეოლოგიას სწორედ რელიგია წარმოადგენდა. საქართველოს და ბიზანტიის შემთხვევაშიც, მართლმადიდებლობა აღმოჩნდა სახელმწიფოს იდენტობის მთავარი მარკერი, რომლის ძალითაც ხელისუფლების წარმომადგენლები ადვილად ახერხებდნენ სახელმწიფო ერთიანობის შენარჩუნება.

HISTORIY

ORTHODOXY AND NATIONAL IDENTITY IN EARLY MEDIEVAL WESTERN GEORGIA

ANNA VARSHANIDZE

Batumi Shota Rustaveli State University Faculty of Humanities

PhD student

Christianity in Western Georgia appears from the apostels era. According to different sources Christianity in western Georgia was popularized by Andrew the Apostle, Saint Matthias and Simon the Zealot. In III-IVth centuries AC in the castle of Apsaros two Roman soldiers Firmos and Firmianos was tortured for Christian Baptism.

Bishop of Bichvinta Stratofile was one of the member of the First Council of Nicaea in 325. In IV-Vth centuries AC first Christian buildings are found in western Georgia, however the main topic of declaring Christianity as State religion still remains unknown. Some scientist acknowledge that declaration took place in IVth century, some in VIth century. In any case, the influence of Constantinepole on western Georgia was greater than in Eastern Georgia. Western Georgia, also known as Lazika, was subordinated to Bishop of Constantinepole.

While creating united republic of Georgia in IX-Xth century, the issue of creating united Georgian church was established. As it was accepted in middle ages, political affairs assisted the issue of uniting Georgian Christianity and establishing Georgian national identity.

Considering criterion of nationalism Primordialism is one of the most ancient which can comply with nationality of Georgian structure. According to that, Georgian nation is ancient and its outstanding character was determined by culture and history. However, Orthodoxy always had great impact on lifestyle and consciousness of Georgian nationality. Establishment of Primordialism was managed by well-known French dissenters and public figures Manuel José de Jesus and Jean-Jacques Rousseau. Manuel José was the first who in 1789 declared that the state sovereignty belongs not to priesthood and aristocracy, but to the nation itself. Formation of concept of citizenship, firstly in France and in western Europe afterwards, enhanced the sense of nation's magnificence.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. **ბუაძე 2012** : ბუაძე თ. ქართველი ერი და ქრისტიანობა; თბილისი 2012
2. **ჯავახია 2002 :** ჯავახია ბ,. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბილისი 2002
3. **სმითი 2008 :** სმითი.ე.დ. ნაციონალური იდენტობა. ლოგოს პრესი, 2008
4. **დიასამიძე 2001 :** დიასამიძე ბ. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში. ბათუმი 2001
5. **დიასამიძე 1998 :** დიასამიძე ბ. დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ზოგიერთი საკითხი. ჟურ. „ჯვარი ვაზისა“ თბილისი 1998.
6. **დიასამიძე 1999 :** დიასამიძე ბ. ქრისტიანობის ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში. ბათუმი 1999.
7. **საქართველოს ისტორიის ნარკვევები.** ტ II, თბილისი 1973.

ისტორია

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და ქართულ გერმანული ურთიერთობები 1914 -1918 წლებში

ნუგზარ ზოსიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ენვერ დიასამიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დოქტორანტი

ანოტაცია: მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპაში უკვე არსებობდა ორი დიდი ურთიერთ-დაპირისპირებული მტრული კოალიცია - „სამთა კავშირი“ და „სამთა შეთანხმება“ - ანუ „ანტანტა“. „სამთა კავშირში“ თავდაპირველად შედიოდა: გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ეს უკანასკნელი გამოეთიშა ბლოკს, მაგრამ შეუერთდა ოსმალეთი და ბულგარეთი. ასე ჩამოყალიბდა „ოთხთა შეთანხმება“. მასში შემავალმა სახელმწიფოებმა მოითხოვეს „ადგილი მზის ქვეშ“ და ვარაუდობდნენ ომის გზით წაერთმიათ კოლონიები „ანტანტის“ ქვეყნებისათვის. „ანტანტის“ ძირითად ბირთვს შეადგენდა იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე დიდი კოლონიური იმპერიები - დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი. სწორედ ამ ორ იმპერიალისტურ დაჯგუფებას შორის გაჩაღდა პირველი მსოფლიო ომი - 1914-1918 წწ., რომელშიც სხვადასხვა კონტინენტის 38 სახელმწიფო მონაწილეობდა.

გერმანიისა და მისი მოკავშირეებისათვის მნიშვნელოვანი იყო ამიერკავკასიიდან რუსეთის განდევნა. ინტერესთა ამ ერთიანობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა მათთან ოსმალეთის დაახლოება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა „ახალგაზრდა თურქთა“ 1908 წ. რევოლუციის შემდეგ.

საკვანძო სიტყვები: პირველი მსოფლიო ომი; საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი; ბათუმის 1918 წლის 11-25 მაისის საზავო კონფერენცია; ფოთის 1918 წლის საქართველო - გერმანიის „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამო-კიდებულების დამყარების შესახებ“

1914 წ. 1 აგვისტოს ევროპაში გაჩაღდა პირველი მსოფლიო ომი. მეორე დღესვე ოსმალეთმა გერმანიასთან ხელი მოაწერა საიდუმლო სამხედრო-სამოკავშირეო ხელ-შეკრულებას. პარალელურად, ოსმალეთის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია ნეიტ-რალიტეტის შესახებ. ეს იყო დიპლომატი-ური დემარში, რომლის მიზანს შეადგენდა „ანტანტის“ სახელმწიფოების სიფხიზლის მოდუნება. ოსმალეთის იმჟამინდელ პოლი-ტიკურ ცხოვრებაში გამოიკვეთა სამი ლიდერი: ენვერ ფაშა (სამხედრო მინისტრი და ოსმალეთის ფაქტობრივი დიქტატორი), თალაათ-ფაშა (შინაგან საქმეთა მინისტრი), და აჰმედ ჯემალ-ფაშა (სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრი). ისინი აშკარა „გერმა-ნოფილობით“ გამოირჩეოდნენ.

მართალია, საომარი ფრონტი ამიერკავ-კასიიდან შორს, დასავლეთის ფრონტზე მიმდინარეობდა, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამიერკავკასია, ევროპის უმსხვილეს

სახელმწიფოთა ამ ჭიდილში, შორეული ზურგის მდგომარეობას დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა. მას უშუალოდ ესაზღვრებოდა ოსმალეთის იმპერია, რომლის ხელისუფლება იყო რა, გერმანია-ავსტრიის ბლოკის წევრი სახელმწიფო აქტიურად ემზადებოდა ამ ბრძოლისათვის. ამის შესახებ ჯემალ-ფაშა თავის მემუარებში წერდა: „ჩვენ ნეიტრალიტეტი გამოვაცხადეთ მხოლოდ იმიტომ, რომ დრო მოგვეგო. ჩვენ ველოდით მომენტს, როდესაც მობილიზაცია დამთავრდებოდა და შევძლებდით ომში ჩაბმას“ (9: 101-102).

1914 წ. 2 აგვისტოს ოსმალეთის მთავრობამ, გამოაქვეყნა დეკლარაცია ნეიტრალიტეტის შესახებ, მაგრამ ეს იყო მოწინააღმდეგის მოდუნების განსაზღვრული ქმედება, სინამდვილეში ოსმალეთის მთავრობა უკვე იწყებდა ომს, რადგან ამავე დღეს ხელი მოაწერა გერმანიასთან სამოკავშირეო ხელშეკრულებას (10:12).

რუსეთის გენერალურ შტაბს შემუშავებული ჰქონდა მოქმედებისა და ძალთა სტრატეგიული დაჯგუფების ოთხი ვარიანტი, რომელიც დეტალურად იყო დამუშავებული კავკასიის სამხედრო ოპერატიული განყოფილების მიერ. ესენია 1) რუსეთ-ოსმალეთის ორთაბრძოლა; 2) ოსმალეთი ომის დაწყებისთანავე რუსეთის მტრულ კოალიციაში შედის; 3) ოსმალეთი დასაწყისში ნეიტრალიტეტს აცხადებს, ხოლო დასავლეთში რუსეთისათვის მძიმე მომენტში, თავს ესხმის ამიერკავკასიას, 4) ოსმალეთის სრული ნეიტრალიტეტი დასავლეთში კოალიციური ომის დროს(3: 1; 11: 20).

1914 წლის 2 ნოემბერს რუსეთმა თურქეთს ომი გამოუცხადა. ისმება კითხვა: აწყობდა რუსეთს ოსმალეთის იმპერიის ნეიტრალიტეტი? რუსულ ისტორიოგრაფიაში დღესაც დომინირებს მოსაზრება, რომ რუსეთს არ აწყობდა ოსმალეთის ნეიტრალიტეტი, რადგან გეგმავდა მასთან წარმატებული ომით გადაეწყვიტა მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონების სანუკვარი მიზანი (11: 3). „მესამე რომის“ იდეის რუსული ოცნება სტამბოლზე გადიოდა. აგვისტოს დასაწყისში გერმანელებმა შავ ზღვაში შემოიყვანეს და ოსმალებს გადასცეს ჯავშნოსანი დრედნოუტი ,,გებენი'' და კრეისერი „ბრესლაუ“ ადმირალ სუშონის მეთაურობით. იგი მალე გამოცხადდა ოსმალეთის საზღვაო ძალების მთავარსარდლად.

1915-1916 წლებში რუსეთის არმიის კავკასიის ფრონტზე მიღწეული წარმატებების შედეგად (განსაკუთრებით გამოვყოფდით სარიყამიშისა და ერზერუმის ოპერაციებს) რუსეთის ჯარების მიერ არზრუმისა და ტრაპიზონის დაუფლებით ფრონტის ხაზმა ბათუმიდან შორს, სამხრეთ-დასავლეთით გადაიწია. ამიერიდან ოსმალეთის არმიას ძალა აღარ შესწევდა შეტევითი ოპერაციებისათვის. ოსმალეთის გენშტაბის უფროსი გენერალი ფონ ბრონსარტი 1917 წ. 2 ივნისს ლუდენდორფისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში წერდა, რომ იმ სამმილიონიანი მებრძოლიდან, რომელიც ოსმალეთის ომის დასაწყისში ჰყავდა, 1917 წ. 1 მარტისათვის მწყობრში იყო მხოლოდ 1 200 000კაცი (132: 252).

პირველი მსოფლიო ომის წინ, 1913 წელს საზღვარგარეთ, ჟენევაში, საქართველოდან გადახვეწილმა ეროვნულ-დემოკრატთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა პატრიოტული ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველო'' და შეუდგა ასეთივე სახელწოდების ჟურნალის გამოცემას. მათი ძირითადი ამოცანა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდა და მისი პრაქტიკული განხორციელება იყო. ცარიზმის აგენტურის მონაცემებით ამ ორგანიზაციის დამფუძნებლები და აქტიური წევრები იყვნენ: პ. სურგულაძე, ვ. ჩერქეზიშვილი, მ. წერეთელი, გ. მაჩაბელი, ძმები კერესელიძეები, ნ. მაღლაშვილი, გ. ქიქოძე, ალ. შანშიაშვილი და სხვ.

„თავისუფალი საქართველოს'' ხელმძღვანელი შტაბის - „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის'' ძირითადი ბირთვი, ჟენევაში იმყოფებოდა. ევროპის დიდ სახელმწიფოთა ომისათვის გამალებული სამზადისის ფონზე ქართულ პოლიტიკურ წრეებში აქტიურად დაისვა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. აშკარად ჩანდა ქართული ინტელიგენციის ნაწილისა და ეროვნული პლატფორმის პარტიების გერმანოფილური განწყობილება. ამას ისიც აძლიერებდა, რომ ომის წინ გერმანია აშკარად აცხადებდა „ანტანტის“ მიერ დაპყრობილი ქვეყნებისა და ხალხებისათვის თავისუფლების მინიჭების პროგრამას. ცნობილი სოციალისტ-ფედერალისტის, მომავალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის გიორგი ლასხიშვილის თქმით, ქართული ინტელიგენცია საკმაოდ იმედიანად შეჰყურებდა, მომავალ ომში, გერმანიის გამარჯვებას და ამ განწყობას აშკარად აღარ მალავდნენ **(14: 294-295).**

პეტრე სურგულაძეს და მის თანამოაზრეებს მართებულად მიაჩნდათ, რომ მომავალ ომში ძირითადი საომარი ოპერაციების ეპიცენტრი ევროპა იქნებოდა და ომის შედეგებიდან გამომდინარე მსოფლიო პოლიტიკურ რუკაში შესაბამისი ცვლილებებიც აქვე გადაწყდებოდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ დადგა ჟამი, როცა ევროპის საზოგადოება კარგად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული საქართველოს საკითხით. პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოს საკითხის გააქტიურება და ქართველი ერის სასარგებლოდ ობიექტურად გადაწყვეტა ევროპის ქვეყნების პოლიტიკური წრეებისათვის მიმზიდველი უნდა ყოფილიყო.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ქართულ ეროვნულ საქმეზე მოფიქრალმა პოლიტიკური ემიგრანტების გარკვეულმა ნაწილმა თავი მოიყარა საქართველოს მეზობლად, თურქეთში (იმჟამად ბრწყინვალე პორტად წოდებულ ოსმალეთის იმპერიაში ძირითადად, სტამბოლსა და ტრაბზონში). 1911 წელს სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანესთან დაარსდა „ქართველთა კლუბი'', რომლის ინიციატორი იყო სავანის ხელმძღვანელი პატრი შალვა ვარდიძე. კლუბის წევრებს წარმოადგენდნენ ქართველები განურჩევლად რწმენისა და სოციალური მდგომარეობისა. მათ რიცხვში იყვნენ: ფაშები, ვექილები, ექიმები, მასწავლებლები, გენერლები, ოფიცრები, მოხელეები, ვაჭრები და სტუდენტები. მათ შეიმუშავეს თავიანთი წესდება, რომელიც ოსმალეთის მხარემ უცვლელად დაამტკიცა **(15:15-16)**.

სტამბოლში ქართულ სათვისტომოს კლუბის შექმნა განსაკუთრებით მოსწონდათ ჟენევის ჯგუფის ქართველობას. პეტრე სურგულაძის თაოსნობით დამყარდა კავშირი სტამბოლელ მაჰმადიან ქართველებთან. ორივე მხარეს საერთო ინტერესები გაუჩნდა. მათთვის ორმხრივად მისაღები იყო რუსეთის მარცხი მომავალ ომში. როგორც ჩანს, თურქეთის პოლიტიკურ წრეებში მომწიფებული იყო ჯანსაღი პოლიტიკური აზრი იმისა, რომ საქართველოს რუსეთიდან ჩამოცილება და დამოუკიდებლობის გამოცხადება მათი მომავალი უსაფრთხოებისათვისაც კარგი იქნებოდა. ამიტომაც ოსმალეთში მცხოვრებ ქართველთა გააქტიურება ამ მიმართულებით თურქეთის საგარეო პოლიტიკისათვის აბსოლუტურად მისაღები იყო და, ცხადია, ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს მოვლენათა ასეთ განვითარებას. ინტერესთა ასეთი თანხვედრის შედეგი იყო იმავე წელს შექმნილი ე.წ. ,,დადიანის კომიტეტი“. ეს იყო აბსოლუტურად საიდუმლო ორგანიზაცია...წმინდა სამხედრო მიზნებით. იგი სავარაუდოდ პირდაპირ იყო დაკავშირებული ოსმალეთის უმაღლესი

ეშელონის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებთან. დღემდე ვერ ხერხდება დადგინდეს ვინ იყო ამ ორგანიზაციის შექმნის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. ყოველ შემთხვევისათვის ქართული წყაროებით ამის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია.. (5:4). საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივსა და ბათუმის სახელმწიფო არქივში დაცული ცნობებით ზოგიერთი საკითხის გარკვევა შესაძლებელია. კერძოდ, რუსული კონტრდაზვერვის პატაკებში კომიტეტის თავმჯდომარედ დასახელებულია პეტრე სურგულაძე (1: 18). პროფესორ გურამ შარაძის ვარაუდით ხელმძღვანელი უნდა იყოს ლეო კერესელიძე, ხოლო „დადიანი" კი მისი ფსევდონიმია. ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ფსევდონიმ დადიანის ქვეშ პეტრე სურგულაძის მოაზრება. საარქივო წყაროებიდან ირკვევა, რომ „დადიანის კომიტეტი" სამხედრო-საბრძოლო მიზნებს ემსახურებოდა. მას უნდა უზრუნველეყო სამხედრო რაზმების შექმნა ოსმალეთში მცხოვრებ ქართველ და კავკასიელ მუსლიმ ქვეშევრდომებისაგან **(5 : 8).** ამ კომიტეტის საქმიანობის კორდინაციისათვის შეიქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელშიც შევიდა სამი გერმანელი, ოთხი ოსმალო ოფიცერი და ოთხი ქართველი სეპარატისტი -ა სე წერია ქართველებზე ჟანდარმერიის ცნობაში (3: 9). ჩვენ ვიზიარებთ პროფესორ მალხაზ სიორიძის მოსაზრებას, რომ პირველ მსოფლიო ომში რუსეთ-გერმანიის ომის დაწყებამდე (1 აგვისტო 1914 წ.) და ბერლინში „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" დაარსებამდე, სტამბოლში მოქმედი „დადიანის კომიტეტი" იყო საზღვარგარეთული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავარი კოორდინატორი (17: 35).

ჟენევისა და სტამბოლის ქართულმა პოლიტიკურმა ცენტრებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ევროპასა და მეზობელ ოსმალეთში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის გაცოცხლებასა და მყარად ფეხზე დადგომაში. პრაქტიკულად ამ ორგანიზაციებმა მოამზადეს მყარი საფუძველი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შეუქცევად პროცესში.

მსოფლიო ომის გარდაუვალობა 2013 წლისათვის აშკარად თვალშისაცემი გახდა მთელს ევროპაში. მასზე აღარ დაობდნენ თვით ყველაზე სკეპტიკოსი პოლიტიკოსებიც კი. საერთაშორისო ვითარების შესატყვისად ჟენევის „დამოუკიდებლობის ჯგუფმა" მიზანშეწონილად მიიჩნია აქტიურად დაეწყო გერმანიის მთავრობის მაღალ ეშელონებში მოლაპარაკებების გამართვა. ამ მხრივ ნიშანდობლივია ლეო კერესელიძის მიერ დასმული წინადადება, რომელიც მარტივად გამოიხატებოდა შემდეგში, ოფიციალურად ეღიარებინათ გერმანული ორიენტაცია, მიემართათ გერმანიის მთავრობისათვის თხოვნით, რომ მომავალ საზავო კონფერენციაზე გერმანიას მხარი დაეჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის (იმჟამად ყველა დარწმუნებული იყო მომავალ ომში გერმანიის უპირობო გრანდიოზული გამარჯვებით). ამ მიმართებით გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა „დამოუკიდებლობის ჯგუფის" „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტად" (დამკომი) გარდაქმნა. დამკომის თავმჯდომარედ აირჩიეს პეტრე სურგულაძე. წევრები იყვნენ-მიხაკო წერეთელი, ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები, ნესტორ მაღალაშვილი, გიორგი მაჩაბელი (ბელგია), ვარლამ ჩერქეზიშვილი (ლონდონი), მელიტონ ქარცივაძე (ოსმალეთიდან). დამკომის მიმართვა გერმანიის მთავრობისადმი ოფიციალურად ბერლინში წარადგინეს პეტრე სურგულაძემ და ლეო

კერესელიძემ. დამკომის ეროვნული ინტერესები სრულ თანხვედრაში მოვიდა გერმანიის საგარეო პოლიტიკური კურსის აღმოსავლეთ მიმართულებასთან. 1914 წელს გერმანიის კანცლერმა შესაბამის საელჩოებს დაუგზავნა საიდუმლო ცირკულარი-ინსტრუქცია მეფის რუსეთის სტრატეგიულ ოლქებში, მათ შორის ამიერკავკასიაში ძირგამომთხრელი დეზინფორმაციული და შპიონური საქმიანობის გააქტიურების შესახებ. ქართული საკითხის შესწავლა და შესაბამისად სამოქმედო გეგმის შედგენა დაევალა საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს რუდოლფ ნადოლნის და გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციის უფროსს ოტო ვეზენდოკს. შემდეგ დამოუკიდებლობის კომიტეტთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომელშიც პირდაპირ ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ **გერმანია გამარჯვების შემთხვევაში სცნობდა და აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას.** აქ გერმანიის მთავრობასა და ქართული კომიტეტს შორის მიღწეული იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ თუ გერმანია ომში გაიმარჯვებდა და საქართველო დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა, გერმანიის მთავრობა არა მარტო მხარს დაუჭერდა საქართველოს სუვერენიტეტს, არამედ აქტიურად დაიცავდა მას.

თავის მხრივ ქართული მხარე იღებდა ვალდებულებას საქართველოში მოამზადებდა ანტირუსულ აჯანყებას. მეზობელი ოსმალეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდში ჩასახლებულ ქართველ მუჰაჯირთა და მათ შთამომავალთა ბაზაზე შექმნიდა სადივერსიო საბრძოლო რაზმებს. თავდაპირველად ამ რაზმებს გამოიყენებდნენ პროვოკაციების მოსაწყობად რუსეთ-ოსმალეთის საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ საზღვრისპირა მიდამოებში, რაც დიდი ალბათობით გახდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების საბაბი. ადგილზე სამუშაოს ჩატარების მიზნით გერმანიის შესაბამისი სამინისტროს მიერ გამოწერილი დიპლომატიური პასპორტით შალვა ვარდიძესთან და „დადიანის კომიტეტის“ წევრებთან შესახვედრად სტამბოლში დამკომის სხვა წევრებთან ერთად გაემგზავრა ლეო კერესელიძე. ფაქტობრივად, სტუმრებისა და დამხვდურთა ბაზაზე შეიქმნა არაფორმალური საქართველოს ემიგრანტული მთავრობა. სწორედ მას უნდა გაეწია ოსმალეთის ტერიტორიაზე და საქართველოს მოსაზღვრე პროვინციებში მომავალი ოპერაციებისა თუ იდეოლოგიური საქმიანობის საერთო კოორდინაცია. ცხადია ყოველივე ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ ოსმალეთის სპეც. სამსახურებს, ამიტომაც გერმანიის მთავრობამ იმთავითვე განუმარტა სტამბოლს, რომ საქართველო მიიღებდა გერმანიის მხარდაჭერას იმ შემთხვევაში, თუ ქართველები იმოქმედებდნენ ოსმალებთან ერთად, ან მათი მოქმედება შეთანხმებული იქნებოდა ოსმალეთის მთავრობასთან.

ოსმალეთში ქართველთა საქმიანობის საერთო კურატორობა გერმანიის მთავრობამ დაავალა სტამბოლში თავის რწმუნებულს ლოის მოზელს. ის ლეო კერესელიძესთან ერთად გაემგზავრა ოსმალეთის შავიზღვისპირეთში სადივერსიო ჯგუფების შექმნის მიზნით, მაგრამ, ოსმალეთის მოქალაქე, ქართველ მუსლიმთა შორის ძალიან ცოტა აღმოჩნდა გაწევრიანების მსურველი. ფაქტობრივად შორსმიმავალ გეგმებსა და დაწყებულ საქმეს კრახით დასასრული ელოდებოდა, რომ არა ლეო კერესელიძის რჩევა. მოზელმა კერესელიძის რჩევის საფუძველზე გერმანიის მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი სადივერსიო რაზმების ნაცვლად შეექმნათ ერთიანი ქართული სამხედრო ფორმირება, რომელიც დაკომპლექტდებოდა ევროპაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებით, დასავლეთის ფრონტებზე ტყვედ ჩავარდნილი ქართველი ოფიცრებითა და

ჯარისკაცებით. ფაქტობრივად ასე იშვა ისტორიული ქართული ლეგიონის შექმნის იდეა და იგი ქართველი მამულიშვილის ლეო კერესელიძის სახელთანაა დაკავშირებული.

1914 წლის 14 სექტემბერს სტამბოლში ლეო კერესელიძეს გერმანიის საელჩოსაგან გადაეცა დოკუმენტი, რომელშიც პუნქტობრივად იყო გაწერილი თუ საქართველოს რა მოთხოვნებს დაუჭერდა მხარს მომავალ სამშვიდობო მოლაპარაკებებში გამარჯვებული გერმანია. დოკუმენტი უაღრესად საყურადღებოა და იგი მოგვყავს უცვლელად:

„1. საქართველო გახდება დამოუკიდებელი სახელმწიფო, ვერც რუსეთი და ვერც ოსმალეთი ვერავითარ სუვერენულ უფლებას ვერ მიიღებენ;

2. საქართველოს ტერიტორია მომავალში შედგება კავკასიის იმ ქვეყნებისგან, რომლებიც ისტორიული ან არსებული მდგომარეობის გამო დღეს უნდა ჩაითვალოს როგორც საქართველოს ტერიტორიები;

3. ბათუმი, ისე როგორც აჭარა უნდა შეადგენდეს საქართველოს ნაწილს. ამასთან ერთად გასაგებია, რომ რაიონები სადაც მუსლიმანი ქართველები ცხოვრობენ ამ ახალ სახელმწიფოს - საქართველოს ფარგლებში უნდა მოექცნენ“ **(8:63)**.

ომის დაწყებისთანავე „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ სამუშაოდ ჟენევიდან ბერლინში გადავიდა. როგორც უკვე აღინიშნა, დამოუკიდებლობის კომიტეტის მოღვაწეობის მთავარი ამოცანა - საქართველოს გათავისუფლება, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური პრობლემა იყო. ამიტომ საჭირო შეიქმნა წმინდა პოლიტიკური მუშაობა და პროპაგანდა, რათა გერმანიას ეცნო საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის უფლება. ამ მიზნით ქართულმა კომიტეტმა ბერლინში დიდი მუშაობა გააჩაღა, რომელიც სამი მიმართულებით მიმდინარეობდა. პირველი - ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდა არა მარტო გერმანიაში, არამედ ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო. ეს საქმე მინდობილი ჰქონდა მიხეილ წერეთელს, რომელიც კომიტეტის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების ავტორი იყო. კომიტეტის საგარეო საქმიანობას წარმართავდა გიორგი მაჩაბელი, მას ფართო კავშირები ჰქონდა გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, შვეიცარიის, ბელგიის და სხვა ევროპული ქვეყნების გავლენიანი წრეების ხელმძღვანელ პირებთან. ასევე მჭიდროდ იყო იგი დაკავშირებული საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ თანამემამულეებთან და საქართველოს ეროვნულ ძალებთან. ამიტომ მასვე ევალებოდა სამშობლოში მოქმედ პოლიტიკურ ძალებთან კავშირურთიერთობა, რასაც იგი წარმატებით ახორციელებდა.

მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე მიღწეული წარმატებების მიუხედავად, რუსეთი 1916 წელს ომში დამარცხების აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ეს კი რუსეთის ჩაგრულ ხალხებს ცარიზმის კოლონიური უღლისაგან განთავისუფლების იმედს უძლიერებდა. ამასთან დაკავშირებით, შექმნილი ახალი ვითარების გასაცნობად, დამოუკიდებლობის კომიტეტი აწყობს პირველ საზღვაო ექსპედიციას საქართველოში წყალქვეშა ნავით 1916 წლის ზაფხულში. ეს ექსპედიცია მოეწყო გიორგი მაჩაბლის ინიციატივით, გერმანიის სამხედრო-საზღვაო შტაბის დახმარებით და ხელშეწყობით. მაშინ საქართველოში მძიმე პირობები იყო არალეგალური მუშაობისათვის, მაგრამ მაჩაბელმა მაინც შეძლო გერმანიის სამხედრო-საზღვაო სარდლობის დახმარებით საქართველოში იარაღის შემოტანა და საჭირო ცნობების შეგროვება. რ. გაბაშვილის მოგონებით პირველი წყალქვეშა ნავი ანაკლიასთან მო-

სულა. გადმოუტვირთავთ ცოტაოდენი იარაღი და სამი მგზავრიც გადმოუსხავთ ნაპირზე: „ლეიტენანტი ვლ. მძინარიშვილი,[4] ერთი სოციალ-დემოკრატი, ვინმე კერესელიძე და ერთიც მთიელი სახელად შამილი“ (16: 162-163).

იმავე მარშრუტით გერმანული წყალქვეშა ნავით შემდეგი ექსპედიცია შედგა 1916 წლის ივნისში. წყალქვეშა ნავ U-3-ით გიორგი მაჩაბელთან ერთად ანაკლიის ნაპირზე გადმოვიდნენ ჩეჩენი გაზავათი, აზერბაიჯანელი სელიმ ბეი ბებუთოვი და ორი ქართველი, რომელთა გვარებიც უცნობია (8:72.). ჟანდარმერია კუდში სდევდა მაჩაბელს, მაგრამ ამ უკანასკნელის სანიმუშო კონსპირაციის წყალობით ვერ ახერხებდა მის დაჭერას (3:1).

გ. მაჩაბელი 1917 წ. აგვისტოში დაბრუნდა ბერლინში. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი წარდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში 180 კაცი გადაუბირებია, შემდეგ ბაქოში ადგილობრივ ნაციონალისტებს შეხვედრია, იქედან ვლადიკავკაზში ჩეჩენ გაზავათს შეხვედრია, რომელსაც უკვე მოეხერხებინა პატარა კონსპირაციული ჯგუფის შექმნა. დასკვნაში გიორგ ბმაჩაბელი აღნიშნავს, რომ ოსმალეთის შეტევის შეჩერებამ ცუდად იმოქმედა ამ საქმის განვითარებაზეცო (8:72).

1916 წლის ზაფხულში საქართველოში არალეგალურად ჩამოვიდა ლეო კერესელიძეც. იგი წლის ბოლომდე დარჩა თანმხლებ პირებთან ერთად სამშობლოში, მაგრამ აჯანყებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად ყველა მისი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა (8: 72-73). 1917 წლის ნოემბერში ქართულმა ეროვნულმა კომიტეტმა შეიმუშავა „საქართველოს დამოუკიდებლობის უფლებანი“, რომელიც ფრანგულ ენაზე ჟენევაში დაიბეჭდა, ხოლო ბერლინში „ქართულმა გაზეთმა“ გამოაქვეყნა.

რუსეთის იმპერიაში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებისა და მეფის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა რუსეთის კოლონიური უღლისგან საქართველოს განთავისუფლებისთვის; რეალობასთან ახლოს მივიდა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოპოვების იდეაც. ამიტომ იყო, რომ სოციალ-დემოკრატებმა და ეროვნულ დემოკრატების გარკვეულმა ნაწილმა დაიწყეს დისკუსიები, ხომ არ დაეკავშირებინათ საქართველოს მომავალი პოლიტიკური მოწყობის პრობლემები ერთიან რუსულ სახელმწიფოს მომავალთან (17: 61). შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე და ახალი რეალობების გათვალისწინებით გადაწყდა წყალქვეშა ნავით ახალი ექსპედიციის მოწყობა საქართველოში, რომლის ხელმძღვანელობა ითავეს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებმა: გ. მაჩაბელმა, მ. წერეთელმა, მ. ქარცივაძემ. გერმანელებმა სამხედროებმა წყალქვეშა ნავი დატვირთეს იარაღით და სოლიდური თანხაც ჩააბარეს მ. წერეთელს თბილისის კომიტეტისათვის გადასაცემად. დ. ვაჩნაძის მოგონებების მიხედვით „1917 წლის 8 ოქტომბერს, შავი ზღვის ნაპირზე, ფოთსა და ანაკლიას შორის გერმანულმა წყალქვეშა ნავმა U-42, რომელსაც ობერ ლეიტენანტი კურტ შვარცი მეთაურობდა, გადმოსხა ექსპედიცია მ. წერეთლის ხელმძღვანელობით. ექსპედიცია შედგებოდა ხუთი კაცისაგან და თან მოჰქონდა მრავალი იარაღი და ფული“ (18:141). ექვსი დღის მგზავრობის შემდეგ წყალქვეშა ნავი მიადგა საქართველოს ნაპირს წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე, ფოთთან ახლოს. იარაღი (1600 გერმანული თოფი და 1500 პისტოლეტი) გადამალეს

[4]ვლ. მძინარიშვილი 1915 წლის ოქტომბერში გაიგზავნა თბილისიდან გ. მაჩაბელთან შესახვედრად. ამ მიზნით იგი ჯარში წავიდა მოხალისედ და ხელსაყრელ მომენტში გერმანელებს ჩაბარდა. ამ გზით მოახერხა მაჩაბელთან შეხვედრა და საქართველოდან ჩაუტანა ინფორმაცია წყალქვეშა ნავით დაპირებული იარაღის მიწოდების შესახებ.

ტყეში, ნ. ხორავას ხელშეწყობით, რომელსაც ამ დახმარებისათვის გადასცეს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ 1915 წელს დაწესებული თამარ მეფის ორდენი (20:67).

1918 წ. თებერვალში ოფიცერ კაიზერის მეთაურობით მოავლინეს სპეციალური სამხედრო მისია, რომელსაც ევალებოდა გერმანელი სამხედრო ტყვეებისაგან, აგრეთვე, აქ მცხოვრები გერმანელი კოლონისტებისაგან რაზმების ჩამოყალიბება და მათი განლაგება საქართველოს სარკინიგზო პუნქტებში. გერმანიის გენშტაბმა დროებით სრულუფლებიან წარმომადგენლად ამიერკავკასიაში დანიშნა სამხედრო დაზვერვის მაიორი გ. მეი, რომელიც აქ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე შემოგზავნეს (21:99-100).

მოკლე დროში საქართველოს ქალაქებში გამოჩნდნენ გერმანიის სავაჭრო და სამრეწველო ფირმების წარმომადგენლებიც. გერმანელები ინტენსიურად სწავლობდნენ მხარის ეკონომიკურ რესურსებს, გერმანიაში გაგზავნილ მოხსენებით ბარათებსა და ანგარიშებში სვამდნენ საკითხს ამიერკავკასიაში წიაღისეული სიმდიდრეების ექსპლოატაციისა და სამრეწველო კონცესიების მიღების საკითხზე (21). გერმანიის სამხედრო მეურნეობას სჭირდებოდა ბაქოს ნავთობი, აგრეთვე, საქართველოს მარგანეცი და სპილენძი.

1918 წლის 3 მარტის ბრესტის ზავით გაუთვალისწინებელ ტერიტორიებზე თურქთა შეჭრამ საკმაოდ გააღიზიანა გერმანული მხარე. ისინი ამას თვლიდნენ მათი ინტერესების ხელყოფად. ამიტომ აიძულეს ოსმალეთის მთავრობა, ტრაპიზონის საკმაოდ დრამატული საზავო მოლაპარაკების შემდეგ, დათანხმებოდა სამშვიდობო მოლაპარაკების შემდგომი რაუნდის განახლებას. შეხვედრის ადგილად შეირჩა ბათუმი.

გერმანიის სრულუფლებიან წარმომადგენლად ბათუმის კონფერენციაზე დაინიშნა გენერალი ფონ ლოსოვი - გერმანიის სამხედრო წარმომადგენელი კონსტანტინოპოლში. მას თან ახლდნენ ომამდე გერმანიის გენერალური კონსული თბილისში გრაფი შულენბურგი და აღმოსავლეთის საქმეთა სპეციალისტი ო. ვეზენდონკი (7:54). გერმანიის დელეგაცია ცდილობდა მიეღწია კონფერენციის სწრაფად დამთავრებისათვის, რომ თურქეთს კავკასიის ფრონტიდან ჯარები ინგლისის წინააღმდეგ გადაესროლა. კონფერენციის მსვლელობისას ამიერკავკასიის დელეგაცია კარგად ითვალისწინებდა გერმანიის ინტერესებს ამ რეგიონში და ოსმალეთის მადასთან მის შეუთავსებლობას. ამიტომ ცდილობდა ეს თავის სასარგებლოდ გამოეყენებია. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 14 მაისის მემორანდუმი, რომელიც მოითხოვდა ოსმალთა მიერ შემოთავაზებული „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულების“ პროექტის განხილვასა და საბოლოოდ დოკუმენტების ხელმოწერაში მონაწილეობა მიეღოთ არა მარტო ოსმალეთს, არამედ ოთხთა კავშირის ყველა სახელმწიფოს (6: 68-269).

ოსმალეთის ზღვარგადასულმა მოთხოვნებმა გააღიზიანა გერმანიაც. აღშფოთებული გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ლუდენდორფი 1918 წ. 24 მაისს ოსმალეთის გენშტაბის უფროსის მოადგილეს გენერალ ფონ სექტს წერდა: „კიდევ ერთხელ გთხოვთ ენვერ-ფაშას ტერიტორიული მოთხოვნები მოაქციოთ ბრესტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში... ვინაიდან საქართველოში თურქეთის შეჭრა გამოიწვევს გართულებებს ამ უკანასკნელსა და გერმანიას შორის“ (12: 270). ამჯერად, გერმანიის სამხედრო წრეებიც დარწმუნდნენ, რომ „ენვერი და თურქეთის მთავრობა კავკასიაში პანისლამისტურ მიზნებზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე ინგლისთან ომზე“ (19:187). „ბათუმის დაკავების შემდეგ პორტა ოცნებობს შექმნას კავკასიურ-თურქული სახელმწიფო“, ჩვენ ვცდილობთ

გავლენა მოვახდინოთ მასზე, მაგრამ უშედეგოდო (22: 29-30). აღსანიშნავია, რომ ლუდენდორფი კატეგორიულად თხოვდა ფონ სექტისს გამოეყენებინა თავისი გავლენა, რათა შეჩერებულიყო ოსმალთა შემდგომი წინსვლა კავკასიაში, აეძულებინა თურქები თავისი მოქმედების ცენტრი გადაეტანათ მესოპოტამიასა და სპარსეთში“ (13: 271).

მიმდინარე საომარ დაპირისპირებაში გერმანიის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. ამიტომ ქართული პოლიტიკური ძალების მიერ მასზე ორიენტაციის აღება მართებულ ნაბიჯად მიგვაჩნია. დასუსტებულ საქართველოს მხოლოდ ამ გზით შეეძლო ოსმალური აგრესიის შეჩერება. ისიც ცხადი იყო, რომ ბათუმის გარეშე რაიმე წარმატებული ეკონომიკური ღონისძიებები ამიერკავკასიაში რეალური შედეგის მომტანი ვერ იქნებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობა და მომავალი ქართულ-გერმანული ურთიერთობები ბათუმის კონფერენციაზე დაინტერესებულ მხარეთა - გერმანია, საქართველო, პარალელური, კონფიდენციალური განსჯის საგნად იქცა. სავარაუდოდ, მოქმედების ასეთი სქემა ჩამოყალიბდა: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაიდებოდა საქართველო-გერმანიის დროებითი შეთანხმება. ამასთან დაკავშირებით გენერალი ფონ-ლოსოვი და აკაკი ჩხენკელი წავიდოდნენ გერმანიაში და შეხვდებოდნენ იმპერატორ ვილჰელმსა და კანცლერს. საბოლოოდ, მომზადდებოდა დიდი შეთანხმება, რომლითაც გერმანია ვალდებულებას აიღებდა დაეცვა საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

1918 წლის 28 მაისს კი ფოთში გერმანიასა და საქართველოს შორის დაიდო დროებითი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც გერმანიამ ფაქტობრივად ცნო 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი და საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ ხელშეკრულებით, როგორც ზ. ავალიშვილი შენიშნავს, გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობის ნათლიის როლში გამოვიდა (7: 84-90).

1918 წლის ივლისში დაიწყო გერმანიასა და საქართველოს შორის სამხედრო ტყვეების გაცვლა. ამასთან დაკავშირებით გაზეთის მოწინავე წერილში ნათქვამია: „ქართული გაზეთის“ ერთადერთი მისწრაფება იყო დღიდან მისი დაარსებისა, გაერთიანება ქართველი ერისა ერთი იდეის გარშემო, ესაა საქართველოს დამოუკიდებლობა, საქართველოს ბედნიერი და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. ჩვენ ვიცით ჩვენი მკითხველის აზრი. „ქართული გაზეთი“ და მისი მრავალრიცხოვანი მკითხველი გაერთიანდნენ ამ იდეით. მალე დაიწყება ჩვენი მკითხველის სახლში დაბრუნება. მოგიწოდებთ ყველას - არ დაგვავიწყდეს ის, რაც გვტანჯავდა, რისთვისაც შეთანხმებით ვმუშაობთ აგერ სამი წელია - დავიცვათ ჩვენი დამოუკიდებლობა (იქვე).

დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს ფართო კავშირურთიერთობა და კონტაქტები ჰქონდათ ევროპის სახელმწიფოების და, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის გავლენიან დიპლომატიურ წრეებთან, რაც ქმნიდა პირობებს საქართველოს დელეგაციის მუშაობისათვის. თუმცა გერმანია არ ჩქარობდა ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და ამის აუცილებელ პირობად საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას თვლიდა. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო არწმუნებდა საქართველოს დელეგაციის წევრებს, რომ თუ რუსეთი დათანხმდებოდა საქართველოს გამოყოფას, მაშინ გერმანიის მთავრობა დაუყოვნებლივ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა სპეციალურად შეისწავლა საერთაშორისო სამართლის ცნობილმა სპეციალისტმა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა ფრანც ფონ ლისტმა, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გერმანიის მიერ საქართველოს

დამოუკიდებლობის ცნობისათვის არავითარი შემაფერხებელი დაბრკოლება არ არსებობდა (20:76).

გერმანია-რუსეთის ბრესტ-ლიტოვსკის დამატებით ხელშეკრულებაში, რომელიც ხელმოწერილ იქნა ბერლინში 1918 წლის 27 აგვისტოს, კერძოდ მის მე-13 მუხლში ნათქვამი იყო: რუსეთი აცხადებს თავის თანხმობას იმაზე, რომ გერმანიამ ცნოს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად. მიუხედავად ამისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიული ცნობა გერმანიის მხრიდან გაჭიანურდა. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ: გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო 1920 წლის 24 სექტემბერს ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტოდ ცნობის ორ წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ.

1918 წლის ივნისში ბერლინში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ჩასვლის შემდეგ, დამოუკიდებლობის კომიტეტმა თავისი ფუნქციები შესრულებულად ჩათვალა და კომიტეტის საქმიანობის შესახებ ანგარიში ჩააბარა აკაკი ჩხენკელს, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა მის ნაყოფიერ მუშაობას - უდიდესი საქმე გაგიკეთებიათ და ჩვენთვის კარგი ნიადაგი მოგიმზადებიათო.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულმა კომიტეტმა“ პირველი მსოფლიო ომის წლებში ნაყოფიერი მუშაობა გასწია საზღვარგარეთ ქართული ეროვნული საკითხის პროპაგანდისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობის თაობაზე ევროპის საზოგადოებრივი აზრის მომზადებისათვის, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის, ქართველი ტყვეების სულიერი მოთხოვნილებისა და ინტერესების დაცვისათვის. დამოუკიდებლობის კომიტეტის საქმიანობის ბოლო ეტაპს წარმოადგენდა 1917-1918 წლები. ამ პერიოდში რუსეთში მომხდარი დიდი სოციალ-პოლიტიკური ძვრების შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი დღის წესრიგში დადგა და ეროვნულ-დემოკრატიული ძალების მცდელობით პრაქტიკულადაც გადაწყდა. 1917 წლის დასაწყისიდან დამოუკიდებლობის კომიტეტი თავისუფალი საქართველოს წარმომადგენლის როლს ასრულებდა ევროპაში და სწორედ მაშინ მიიღო საქართველომ თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე პირველად ევროპის ქვეყნების, კერძოდ კი გერმანიის რეალური დახმარება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ღვაწლი და მუშაობა, წერდა კალისტრატე სალია თავის ჟურნალში „ბედი ქართლისა“ დაუვიწყარი იქნება მომავალი თაობათათვის განსაკუთრებით იმიტომ, რომ საქართველოს მთელი მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ევროპის რეალური დახმარება პირველად მაშინ მიიღო. დასავლეთი დაეხმარა ქართველ ერს მის დათრგუნვილ უფლებათა აღსადგენად (32: 16).

საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის მოღვაწეობა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფრიად მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელმაც პრაქტიკული განხორციელების ლოზუნგად დასახა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა, საქართველოს საკითხი საერთაშორისო არენაზე გაიტანა და ამით დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა. გერმანიაში 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ საქართველოს დელეგაციის ყოფნამ ბერლინში აზრი დაკარგა. აკაკი ჩხენკელი ლონდონში გაემგზავრა საქართველოს

დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე ინგლისის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, ხოლო ამავე მისიით მიხაკო წერეთელმა სკანდინავიის ქვეყნებს მიაშურა. ამ ქვეყნებში გამართულმა მოლაპარაკებებმა ერთგვარად შეამზადა ნიადაგი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის.

HISTORY

"GEORGIAN INDEPENDENCE COMMITTEE" AND GEORGIAN-GERMAN RELATIONS IN 1914-1918

NUGZAR ZOSIDZE

Batumi Shota Rustaveli State University

ENVER DIASAMIDZE

PhD student in the Department of International Relations, Georgian Technical University

Before World War I, in 1913, in Geneva, an emigrated group of National-Democrats from Georgia formed the patriotic organization "Free Georgia" and began publishing a magazine of the same name. Their main task was to propagate the idea of Georgia's independence and its practical implementation.

The head of “Free Georgia” and the main core of the headquarter “Georgian National Independence Committee” was in Geneva.

During the struggle for the large countries of Europe, Georgia’s political orientation was a serious issue. Germanophile attitude of the Georgian intelligentsia and the Parties of the National Platforms was obvious. This was reinforced by the fact that before the war, Germany was clearly announcing a program of granting freedom to the countries and peoples conquered by the Entente countries. Before the outbreak the World War I, the part of the political emigrants gathered in Turkey. (Mainly, in Istanbul and Trabzon)

The Georgian political centers in Geneva and Istanbul played an important role in reviving the idea of Georgian state independence in Europe and Ottoman Empire. An agreement was reached between the German government and the "Independence Committee" that if Germany won the war and Georgia declared independence, the German government would not only support Georgia's sovereignty, but also actively defend it.

At this time, the Georgian side undertook to prepare an anti-Russian uprising in Georgia. It set up subversive combat units on the basis of Georgian Muhajirs and their descendants who settled in the Ottoman territory at different times. Initially, these units were used to organize provocations in the border areas of Russian-Ottoman territories of Georgia, which would most likely be the reason for the start of the Russo-Ottoman war.

In November 1917, the Georgian National Committee developed the "Rights of Independence of Georgia", which was printed in the French language in Geneva, and published in Berlin by the Georgian newspaper. The invasion of the territories not foreseen by the Turkish treaty of Brest-Litovsk (signed on 3 March, 1918) irritated the German side quite a bit. They saw this as a violation of their interests.

They forced the Ottoman government to agree to resume a further round of peace talks. Batumi was chosen as the meeting place. General Von Lossow, the German military representative in Constantinople, was appointed Plenipotentiary Representative of Germany at the Batumi Conference. He was accompanied by the Consul General of Germany in Tbilisi before the war, Count Schulenburg, and the Oriental Specialist Wesendonk.

On May 28, 1918, an interim agreement was signed between Germany and Georgia in Poti, according to which Germany actually recognized Georgia's independence. With this agreement, as Z. Avalishvili notes that Germany acted as the godfather of Georgia's independence.

The work of the Georgian National Independence Committee during the First World War is a very important stage of the national liberation movement of the Georgian people, which put the idea of Georgia's independence as a slogan for practical implementation, raised the issue of Georgia in the international arena and thus created favorable conditions for the establishment of an independent state.

გამოყენებული წყაროები:

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, (შემდგ. სცსსა), ფ.13, ან. 12, ს. 2464 ფურც. 9.;
2. სსცია, ფ. 83, ანაწ. 9, საქ. 39, ფურც. 1;
3. სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 5020. ფურც. 9.
4. სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 5020. ფურც. 1.
5. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდგომში აცსა), ფ.1, ან. 12, ს. 708, ფურც.4; 8
6. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 268-269.
7. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილ. 2011.
8. Bihl W, დასახელებული ნაშრ., გვ. 63
9. Джемал-паша. Записки, 1913-1919 гг., Тиф., 1923, сс. 101-102.
10. Карл Мюльман, Германо-турецкий военный союз в мировой войне, გვ. 12.
11. Корсун Н.Г. Первая мировая война на Кавказском фронте (оперативно-стратегический очерк), М., 1946, с. 3.
12. Мюльман К. Германо-Турецкий военный союз в мировой мойне (машинописное издание).
13. Мюльман К. Германо-турецкий военный Мюльман К. Указ. соч.,.
14. გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 294-295.
15. ქართველები კონსტანტინეპოლსა და სპარსეთში,.
16. რ. გაბაშვილი, ,,რაც მახსოვს'', ქართული ემიგრანტული ლიტერატურა ,,დაბრუნება'', ტ. III, თბილ., 1993 წ.,
17. მ.სიორიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), ბათ, 1998.
18. დ. ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში(მოგონებები)ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი „ივერია“ №1, 1992 წ.
19. Людендорф Э. Мой воспоминания о войне 1914-1918 гг., т.2, М., 1924.
20. რ. გრძელიძე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1900-1924), თბ. 1998.
21. Пипия Г.В., Германский империализм в Закавказье и Грузии .
22. Пипия Г.В., Политика Германии в Закавказье в 1918 году (сборник документов), Тб., 1971. „Bedi Kartlsa”, 1952, #39-40.

ლიტერატურათმცოდნეობა

მოდერნისტული ტექსტის ერთი პარადიგმის გაგებისათვის (ანდრეი ბელის „პეტერბურგი“)

მარინე დონგუზაშვილი
e-mail: marydonguzashvili@yahoo.com

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი: ანდრეი ბელი რუსული მოდერნიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მის თხზულებაში „პეტერბურგი“ იგი ასახავს რუსეთის ისტორიის ყველაზე ტრაგიკულ ეპიზოდს - მე 20 საუკუნის 10-იანი წლების რევოლუციების პერიოდს. ავტორი აღგვიწერს დიდი იმპერიის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქის გეოგრაფიულ და ეგრეთწოდებულ „სულიერ“ ლანდშაფტებს.

ავტორის ლიტერატურული მანერა მოგვაგონებს დალის მხატვრობის და ასევე, ლუის კეროლის თხრობის სტილს.

ჩვენ შევისწავლეთ გამზირის/ქუჩის პარადიგმა მის ნაწარმოებში. ქუჩების ხატვისას არა მხოლოდ მწერლად, თითქოს ფერმწერადაც გვევლინება ბელი, პალიტრაზე კვლავ მწვანეს გამოარჩევს (გავიხსენოთ აპოკალიფსის „მწვანე ცხენის“ პარადიგმაც): „ალექსანდრ ივანოვიჩი შეშინებული გამოვარდებოდა ხოლმე მოყვითალო-მომწვანო ნისლში (მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ის შეენიშნათ); დარბოდა პეტერბურგის ქ უ ჩ ე ბ შ ი, შეირბენდა დუქნებში“ აღნიშნულ პასაჟშიც „სირბილი“ და „ქუჩა“ აქცენტირდება.

პროსპექტიცა და ქუჩაც ანდრეი ბელის კოსმოგონიურ მოდელში არის ადგილი, სადაც, ავტორის კონცეპტით, რევოლუციურ გარემოში („როცა ირყევა საძირკველი თვითონ ძირკველთა“ - შეშინებული, საყრდენგამოცლილი ხალხი იყრის თავს და სადაც გამვლელები, პეტერბურგის მისტიკური და ნისლში გახვეული ქუჩების (მეტაფორულ დონეზე კი, ჟამის ჟამიანობის) „წყალობით“, აჩრდილებად იქცევიან.

საკვანძო სიტყვები: მოდერნიზმი, ავტორის მანერა, პეტერბურგის გამზირის/ქუჩის პარადიგმა, ანდრეი ბელის შემოქმედება.

ანდრეი ბელის „პეტერბურგი“ რუსული მოდერნიზმის გამორჩეული თხზულებაა. ტექსტის, ფაქტობრივად, კონგენიალური თარგმანი ქართულ ენაზე შეასრულა ნინო ქუთათელაძემ, რომლის გარჯაც, ვფიქრობთ, ასევე კონგენიალურად შეაფასა შესანიშნავმა ლიტერატურათმცდოდნემ, ნიკა სანებლიძემ თარგმანისადმი მიძღვნილ წერილში [**სანებლიძე ნ., 2018: 68**].

მოდერნიზმის ეპოქის პეტერბურგი ანდრეი ბელიმ საოცარი, ერთქროულად, ისტორიული(ავთენტ(იკ)ური და წარმოსახული (არაავთენტ(იკ)ური) შტრიხებით წარმოაჩინა: „უფრო პეტერბურგზე ვილაპარაკოთ: არს პეტერბურგი, ანუ სანკტ-პეტერბურგი, ანუ პიტერი (რაც იგივეა) [**ბელი, 2015: 24**].

ზემოთ მოხმობილი ციტატა, ერთდროულად, ტრაგიკული და გროტესკული მონასმია, რომელიც ხაზს უსვამს ქალაქის ისტორიულობას, დროში ხანგრძლივობა-განფენილობას, მემკვიდრეობითობას კულტურული ტრადიციისა, რაც დროის სხვადასხვა ჰიპოსტასს აერთებს, ერთგვარად, კრავს „დროთა დარღვეულ კავშირს.“

ელექტრონულ მისამართებზე ქალაქთან დაკაშირებით შემდეგი ინფორმაცია იძებნება: „სანქტ-პეტერბურგი (რუს, Санкт-Петербург; 1914 წლამდე სანქტ-პეტერბურგი, 1914-1924 წწ. - პეტროგრადი, 1924-1991წწ. - ლენინგრადი) - ფედერალური მნიშვნელობის ქალაქი რუსეთში. ქალაქი პეტრე დიდმა დააარსა 1703 წლის 16/27 მაისს. 1712-1918 წლებში იყო რუსეთის დედაქალაქი. ქალაქში მოხდა სამი რევოლუცია: პირველი - 1905-07 წლების, მეორე - 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და მესამე - 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია. დიდი სამამულო ომის დროს, 1941-1945 წლებში, ქალაქი დაახლოებით 900 დღის განმავლობაში ბლოკადაში იყო, რომლის დროსაც, სხვადასხვა წყაროს მიხედვით, შიმშილისაგან დაიღუპა 650 ათასიდან 1,2 მილიონამდე ადამიანი.

სანქტ-პეტერბურგს 1965 წელს გმირი ქალის წოდება მიანიჭეს“ [ელ.რესურსი] https://ka.wikipedia.org/wiki/სანქტ-პეტერბურგი უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.10.2020].

მშრალი ისტორიული ექსკურსის მიღმა ილანდება სილუეტი საოცარი ქალაქისა, რომელიც რუსეთის ისტორიაში წარმოუდგენლად მნიშვნელოვან როლს თამაშობს, იმდენად მნიშვნელოვანს, რომ მას ხშირად „რუსეთის კულტურული დედაქალაქის“ ან „ჩრდილოეთის ვენეციის“ სახელითაც იხსენიებენ.

ზემოთქმულის დასტურად, თუნდაც ის ფაქტი იკმარებდა, რომ პეტერბურგი ფიოდორ დოსტოევსკისა და იოსიფ ბროდსკის მშობლიური სივრცეა.

სწორედ ამ ქალაქის სახელი წარმოადგენს გამოჩენილი რუსი მწერლის, პოეტისა და კრიტიკოსის, რუსული სიმბოლიზმის ერთ-ერთი წამყვანი მოღვაწის - ანდრეი ბელის რომანის სათაურს.

ნაწარმოებზე „პეტერბურგი“ ვრცლად და, ფაქტობრივად, ამომწურავად საუბრობს რუსი მოაზროვნე, მეცნიერი და მწერალი დმიტრი ლიხაჩოვი და წარმოაჩენს, თუ რა აქცევს ნაწარმოებს მსოფლიო მნიშვნელობის მქონე, სრულიად გამორჩეულ ტექსტად რუსულ ლიტერატურაში (მოვიხმობთ მოცულობით ამონარიდს): „პეტერბურგის“ თემატიკა წარმოიშვა პეტერბურგის ორასწლიანი მითოლოგიისაგან, რომელიც თავად ამ ქალაქის დაარსებისთანავე შეიქმნა. ბელის „პეტერბურგი“ ყველაზე მწვავე ფორმით უპირისპირდება პუშკინის „ბრინჯაოს მხედარს“ და, ამავე დროს, თითქოს აგრძელებს და ავითარებს მის იდეებს. შემთხვევითი არ არის, რომ ბელი - როგორც პოეტი, მხატვრული ნაწარმოებით უპასუხებს პუშკინს. იგი უარყოფს როგორც ინდივიდუალურ, ასევე - სახელმწიფო ტერორიზმს, რაც ასე შორსაა ყოველგვარი რომანტიზმისაგან. სახელმწიფო ტერორიზმი შობს ინდივიდუალურ ტერორიზმს...

თუკი ევგენი ემუქრება პეტრეს და დაუძლურებული იცავს თავის უფლებას პირად ბედნიერებაზე, თუ რასკოლნიკოვი კლავს მოხუც მეპროცენტე ქალს ხალხის ბედნიერებაზე ზრუნვის სახელით, ბელის დუდკინი არანაკლები ძალით ცდილობს თავი წარმოაჩინოს, როგორც პროლეტარიატის ნების წარმომადგენელმა - ტერორიზმის ამ თავისებურ ახსნაში მდგომარეობს ბელის რომანის მსოფლიო მნიშვნელობა.

ბელის „პეტერბურგში“ პეტერბურგი არის არა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, არამედ ის არის ერთდროულად აღმოსავლეთიცა და დასავლეთიც, ანუ მთელი მსოფლიო. ასეთი ფორმით აყენებს ბელი რუსეთის პრობლემას, რაც რუსულ ლიტერატურაში პირველი შემთხვევაა. სწორედ ამის წყალობით გააჩნია ანდრეი ბელის ამ რომანს მსოფლიო მნიშვნელობა“ [ელ. რესურსი, http://lib.ru/POEZIQ/BELYJ/peterburg.txt

[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2021] (სწორედ ეს/ასეთი პეტერბურგი ირეკლება გალაკტიონის პოემაში „მოგონებები დღეებისა, როცა იელვა“ და გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ პასაჟში „პეტერბურგი).

ანდრეი ბელის თანამოსაგრემ, ვალერი ბრიუსოვმა, ვალერიან გაფრინდაშვილის შეფასებით, „დითირამბით შექმნა ქალაქის ჭეშმარიტი მითი“ („ვალერი ბრიუსოვი“) **[გაფრინდაშვილი ვ., 1990: 599].**

ფაქტობრივად, „პეტერბურგით“ ანდრეი ბელიც ქალაქის ახალ მითს ქმნის.

ტექსტი პარადიგმულია. თითოეული პარადიგმა, ერთდროულად, უაღრესად ღრმაცაა და გამჭვირვალეც. წერილში ყურადღებას გავამახვილებთ პროსპექტის (გამზირის), ქუჩისა და კარიატიდას კონცეპტუალურ პარადიგმებზე.

ანდრეი ბელის ლიტერატურულ კოსმოგონიაში „ნევის პროსპექტი არის პეტერბურგული პროსპექტი - უმნიშვნელოვანესი ამ არარუსულ სატახტო ქალაქში. სხვა რუსული ქალაქები ხის ხუხულათა გროვას წარმოადგენს და განსაცვიფრებლად გამოირჩევა მათგან პეტერბურგი.“ **[ბელი ა., 2015:24].**

ბელის სიტყვისმიერ-ვიზიონერული კონსტრუქციები საოცრად ჰგავს ლუის კეროლის კონცეპტუალური ტექსტის - „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ „სტრუქტურას“, იმავდროულად, სიურეალიზმის მეტრისა და ადეპტის - სალვადორ დალის ტილოების პერსპექტივებსა და პროექციებს. პოსტმოდერნიზმში თხრობის მსგავსი მანერა აქვს ხორხე ლუის ბორხესს (მაგალითად, სტრუქტურა ტექსტებისა „ბაბილონის ბიბლიოთეკა“, ან „სადაც გზები იტოტებიან“).

ბელის თვალთახედვის არეში ხვდება პეტერბურგის მთავარი პროსპექტის არსებითი თავისებურება: „არსებობენ უსაზღვროებისკენ მავალი პროსპექტები გამჭოლი აჩრდილების უსაზღვროებით. მთელი პეტერბურგი უსაზღვრო პროსპექტი გახლავთ, n ხარისხში აყვანილი. პეტერბურგს მიღმა არაფერია“ **[ბელი, 2015: 37].**

ტექსტის სხვა ციტატაში რიგით პეტერბურგელზე პროსპექტის იდუმალი ზეგავლენა, გამზირის ერთგვარი მისტიკური ენერგეტიკაა ხაზგასმული: „გულში ესობოდა პეტერბურგი პროსპექტების ისრებითა და ქვის ტიტანთა ჯარით“ **[ბელი,2015:39].** „ქვის ტიტანებში“, ცხადია, ქალაქის სკულპტურული მემკვიდრეობა იგულისხმება, „ჩრდილოეთის ვენეციის“ (პეტერბურგის) ქანდაკებები.

მწერალს არ ავიწყდება ქვის ქალაქის დომინანტური ფერის ხაზგასმაც. ქანდაკთა მონაცრისფრო სითეთრეში იჭრება ე.წ. „ვან დეიკის მწვანე“ (შდრ. „და ვან დეიკის ლანდებივით მწვანდება ღამე“ გალაკტიონთან): „ღრუბლის ფთილებმა მომწვანო ნაყარივით გადაიქროლა. ეს მომწვანო ნაარი შეუჩერებლად მიემართებოდა ზემოთ, ნევის პროსპექტის უსასრულობისაკენ; პეტერბურგის მხრიდან მომწვანო ნაყარში ლივლივებდა შპილი“ **[ბელი, 2015: 57]** (საინტერესოა, რომ „ქვის სიმფონია“, სვეტიცხოველიც, „ხვლიკისფერს“ (მწვანეს) გადაიკრავს დროდადრო **[გამსახურდია კ, 1976: 9].** ვფიქრობთ, მოდერნიზმის ეპოქის ფერთა გამა კვლევის უაღრესად ფართო სივრცეს გადაშლის ლიტერატურათმცოდნეთა წინაშე).

რევოლუციების ჟამის პეტერბურგის მეტაფორული სურათი პროსპექტისა და ხალხის მისტიკურ (საბედისწერო) ერთობა-ერთიანობასაც წარმოაჩენს, რასაც განსაკუთრებით ამკვეთებს ტერმინი „მრავალფეხა“ - ერთდროულად, შემაძრწუნებელიცა და ანტიციპაციურიც - წინასწარმეტყველებითი: „მღელვარება სარტყელივით გარს ერტყმოდა პეტერბურგს, და ცენტრისკენ მიიწევდა; მან ჯერ კუნძულები მოიცვა, შემდეგ

ლიტეინისა და ნიკოლაევის ხიდებზე გადა-
იარა; ნევის პროსპექტზე ხალხის მრავალ-
ფეხა ააფუთფუთა“ [**ბელი, 2015: 84**].

ბელის ქრონოტოპოსში დრო და სივრცე უმჭიდროეს კავშირშია, დრო-სივრცის ფილოსოფიური კატეგორიები თანაბრად „ფარავს“, მოიცავს როგორც ცხადის (ისტორიულ), ასევე სიზმრის (ფანტასმაგორიულ) „რეალობას.“ პერსონაჟზე თქმულია: „ცხადსა და სიზმარში უკან იტოვებდა დღეებს, წლებსა და ნესტიან პეტერბურგულ პროსპექტებს.“ [**ბელი, 2015: 270**] - ლაპიდარულ მონასმში უვრცესი ქალაქი კონკრეტული სივრითი დეტალით - პროსპექტის პედალირებით წარმოჩნდება.

პეტერბურგი, როგორც რუსეთის სულიერი ცენტრი, რომანის სხვა პასაჟშიც იკვეთება (კვლავ წარმოჩნდება თხრობა-ხატვის ბელისეული, ე.წ. „ცენტრიდანული“ მოდელი - ცენტრი - [„არარუსული ქალაქი“] პეტერბურგი, დანარჩენი რუსეთი - პერიფერია: „ნევის პროსპექტზე როკვა გრძელდებოდა, რომ ღრუბელთა ნაყარი განედევნა პეტერბურგიდან სამარის, ტამბოვის, სარატოვის მიყრუებული ადგილებისაკენ, ღრანტების, ქვიშრობების, ნარშავების, ყინულოვანი ხევებისკენ, მოეგლიჯა მაღალი ზვინები და კალოზე ჭანჭრობები გაემართა“ [**ბელი ა., 2015: 281**].

თუკი ზემოთმოყვანილ პასაჟში რუსული ლანდშაფტი იკვეთება მწერლის დიდოსტატური მონასმით, სხვაგან ისტორიული კონცეპტი მკვეთრდება - რუსეთის ისტორიის ის პერიოდი პედალირდება, როცა აღმოსავლური ურდოები რუსულ სახელმწიფოებრიობას დაეღირნენ. „მანჯურიული ქუდი“ და „წყვდიადი“ შემთხვევით როდი დაწყვილდება ტექსტში: „პეტერბურგში, ნევის პროსპექტზეც გამოჩნდა წყვდიადი მანჯურიული ქუდის სახით; მრავალმილიან ქარხანათა რკალიდან შეწყდა კვამლის ფრქვევა“ [**ბელი ა., 2015: 290**]. იგივე კონცეპტი მკვეთრია ანდრეი ბელის სულიერი მოსაგრის - ალექსანდრ ბლოკის ნააზრეშიც (ტერმინი „პანმონგოლიზმი“).

როგორც ზემოთ მოხმობილი რამდენიმე ციტატითაც ცნაურდება, ანდრეი ბელი ქმნის პეტერბურგის უაღრესად მნიშვნელოვან, ორიგინალურ ქრონოტოპოსს - გეოგრაფიულ ლანდშაფტს აქ დახვეწილად ჩაერთვის ისტორიული და მკითხველის ცნობიერებაში ირეკლება კულტურული და სულიერი ქალაქის ტრაგიკული ბედისწერა. ნევის პროსპექტის პარადიგმა კი, ცხადია, ქალაქის გულის მნიშვნელობით გავამკვეთრეთ - ამ გამზირს ახსოვს პეტერბურგის ისტორიის უმძაფრესი, უმნიშვნელოვანესი მომენტები/ დეტალები.

თუკი რუსი მწერლის - „რუსული რეალიზმის მამად“ წოდებული ნიკოლოზ გოგოლის სიტყვებს მოვიშველიებთ, არ გაგვიჭირდება პეტერბურგული პროსპექტის, კერძოდ, ნევის პროსპექტის მნიშვნელობისა და დანიშნულების გაცნობიერება:

„ნევის პროსპექტზე უკეთესი, ყოველ შემთხვევაში პეტერბურგში, არაფერია. პეტერბურგისათვის იგი ყველაფერს წარმოადგენს. რით გსურთ, რომ არ ბრწყინავდეს ჩვენი დედაქალაქის ეს ულამაზესი ქუჩა?

მე ვიცი, რომ არც ერთი აქ მცხოვრები, უჩინო თუ ჩინოსანი, არ გასცვლის ნევის პროსპექტს სხვა დანარჩენ სიკეთეზე“ [ელ. რესურსი,
http://www.biblioteka.litklubi.ge/view-nawarmoebi.php?id=9041].

დავაკვირდეთ სტილს რეალისტი და მოდერნისტი ავტორებისა. გოგოლის მანერა რეალისტურია, „მისი“ პროსპექტი (ნევის პროსპექტის მისეული აღქმა) შუქიანია, მზიანი, განსხვავებით მოდერნისტისეული გამზირისა და ზემოთქმული მხოლოდ ლიტერატურულ მიმდინარეობათა ფერთა პა-

ლიტრის განსხვავებულობას როდი წარმოაჩენს - მკითხველი აცნობიერებს, რომ კონცეპტუალური სხვაობაა რეალისტური და მოდერნისტული ეპოქის პეტერბურგის ისტორიას, ყოფით რუტინასა და ისტორიულ პერსპექტივას შორის.

ბელი ამ ნესტიან, უსასრულო პროსპექტს „უმნიშვნელოვანეს ქალაქს“ (არა ქალაქის უმნიშვნელოვანეს პროსპექტს, არამედ - სწორედ ქალაქს!) უწოდებს და აღნიშნავს, რომ ის „თვით ქალაქში არსებული ქალაქია.“ სწორედ აღნიშნულ რაკურსს ვგულისხმობდით, როდესაც ბელისეული აღქმა კეროლისეულს, დალისეულს, ბორხესისეულს შევადარეთ - „ჩინური ყუთებისა“ თუ რუსული „მატრიოშკას“ კომპოზიციურ მოდელს.

პროსპექტის პარადიგმას უმჭიდროესად უკავშირდება **ქუჩის** ენიგმა, ფერწერული ელემენტი ამ შემთხვევაშიც დომინანტურია: „პეტერბურგის ქუჩებს ერთი უცნაური თვისება გააჩნია - გამვლელებს აჩრდილებად აქცევს“ [**ბელი, 2015: 49**].

აჩრდილი, როგორც კონცეპტუალური ენიგმა, პროსპექტთან მიმართებიც ჩნდება და უმძიმეს ისტორიულ ეტაპზე, დიდი კატაკლიზმების (რევოლუციების) ქრონოტოპულ ველში ღვთის ხატად და მსგავსებად ქმნილი ადამიანის ღვთაებრივი მნიშვნელობის წანისვლაზე, წაშლაზე, იგნორირებაზე მიგვანიშნებს - ადამიანი იქცევა „აჩრდილად“ (შევადაროთ მოარული გამოთქმა: „ერთი ადამიანის სიკვდილი ტრაგედიაა, მრავლი ადამიანისა - სტატისტიკა“).

იმავდროულად, „პროსპექტიცა“ და „ქუჩაც“ ის ტოპოსია, სადაც ეპოქალური ტრაგედიები (გა)თამაშდება. ანდრეი ბელი ტრაგიკულ სათქმელს მათემატიკოსის მომჭირნე, ლაპიდარული სტილით არეკლავს: „ხალხს რაღაცის ეშინოდა, ხალხი იმედს ებღაუჭებოდა; დარბოდნენ ქ უ ჩ ე ბ შ ი, გროვდებოდნენ ჯგუფებად; და კვლვ იშლებოდნენ; არხანგელსკში, ნიჟნი-კოლიმსკში, სარატოვში, პეტერბურგში, მოსკოვში - ყველა ისე იქცეოდა; ყველას რაღაცის ეშინოდა, ყველას რაღაცის იმედი ჰქონდა; დარბოდნენ ქ უ ჩ ე ბ შ ი. გროვდებოდნენ ჯგუფებად და კვლავ იშლებოდნენ“ [**ბელი ა., 2015: 83**].

„ქუჩებში სირბილი“ და ამაო „მიმოდაზრუნვა“ ლაპიდარულად რეფლექსირებს რევოლუციური ჟამიანობის ტრაგიკულ ენერგეტიკას.

ქუჩების ხატვისასაც არა მხოლოდ მწერლად, თითქოს ფერმწერადაც გვევლინება ბელი, პალიტრაზე კვლავ მწვანეს გამოარჩევს (გავიხსენოთ აპოკალიფსის „მწვანე ცხენის“ პარადიგმაც): „ალექსანდრ ივანოვიჩი შეშინებული გამოვარდებოდა ხოლმე მოყვითალო-მომწვანო ნისლში (მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ის შეენიშნათ); დარბოდა პეტერბურგის ქ უ ჩ ე ბ შ ი, შეირბენდა დუქნებში“ [**ბელი ა., 2015: 93**]. აღნიშნულ პასაჟშიც „სირბილი“ და „ქუჩა“ აქცენტირდება.

პროსპექტიცა და ქუჩაც ანდრეი ბელის კოსმოგონიურ მოდელში არის ადგილი, სადაც, ავტორის კონცეპტით, რევოლუციურ გარემოში („როცა ირყევა საძირკველი თვითონ ძირკველთა“ - ესმა ონიანი [**ონიანი, 2011, 211**], შეშინებული, საყრდენგამოცლილი ხალხი იყრის თავს და სადაც გამვლელები, პეტერბურგის მისტიკური და ნისლში გახვეული ქუჩების (მეტაფორულ დონეზე კი, ჟამის ჟამიანობის) „წყალობით“, აჩრდილებად იქცევიან.

ამ რუხ-მწვანე, გრანიტის (მანდელშტამის „სოლომინკას“ კონცეპტი [**მანდელშტამი, 1991: 59**], ქალაქში ლალისფერ ნათელს (როგორც იმედის პარადგმულ ნათებას) მხოლოდ მშვენიერი კარიატიდები ჭვრეტენ: „ნევაზე დიდი და მეწაული მნათობი მიქროდა: პეტერბურგული შენობები თითქოს მიყუჩდნენ; ამეთვისტოს დაბინდულ, მსუბუქ მაქმანებად ქცეულნი; მინებს კი ოქროცეცხლოვანი ბზინვა აღმოხდათ; მაღალი

შპილებიდანაც ლალი აციაგდა; შვერილები და საფეხურები, აგურის აივნების კარიატიდები და კარნიზები აალებულ ელვარეგაში განიბნენ“ [**ბელი ა., 2015: 143**]

მკითხველს გამუდმებით თანსდევს მწერლისეული - განგაშის განწყობა: „გაცამტვერდება პეტერბურგი; ჩამოინგრევა კარიატიდა“ [**ბელი ა., 2015: 270**]. (ეს იგივე განცდაა, რაც მოდერნიზმისავ ეპოქაში გალაკტიონს ათქმევინებს: „ჯოჯოხეთური სამოთხე შენდება“).

ანდრეი ბელის დამოკიდებულება პეტერბურგის, როგორც დიადი ქალაქის მიმართ მრავალშროვანი მოდერნისტული ტესტის სხვადასხვა კონტექსტში რეფლექსირდება. გამორჩეულად ნატიფ (და იმავდროულად, მოწყვლად) ელფერს სძენს ქალაქს მშვენიერი არქიტექტურული ანტიკური შტრიხი - პროსპექტებსა და ქუჩებზე აღმართული კარიატიდას სახით.

წერილში ყურადღება მხოლოდ ორიოდ პარადიგმაზე გავამახვილეთ, მაგრამ ზემოთქმულიც რეფლექსირებს, რომ გამორჩეულმა რუსმა მოდერნისტმა - ანდრეი ბელიმ პარადიგმულ ველში

ენიგმებითა და ალეგორიებით არეკლა ჟამის უმძიმესი გამოცდილება და შარლ ბოდლერის, ფრანც კაფკას, ტომას სტერნზ ელიოტის მსგავსად, მოდერნიზმის ეპოქის ქალაქის განსაკუთრებული ქრონოტოპოსი შექმნა.

LITERARY STUDIES

ONE PARADIGM OF MODERNIST TEXT (ANDREI BELYI, “PETERSBURG”)

MARINE DONGUZASHVILI
e-mail: marydonguzashvili@yahoo.com

Sokhumi State University

Andrei Belyi is one of the most important representatives of Russian modernism. His novel “Petersburg” reflects the most tragic episode of Russian history – epoch of revolutions in 10s of 20th century. The novelist describes geographical and so called “spiritual” landscapes of the most important city of the Empire.

Literary manner of the writer looks like the style of Dali`s paintings as well as notes of Louis Carrol.

We have studied paradigm of avenue/street in the novel. While describing streets Belyi can be considered to be not only a writer but a painter too. Green color is standing out on his palette. (Remember the paradigm of “The Green Horse” of the apocalypse): “Alexandre Ivanovich runs in the streets of Petersburg through yellow-greenish fog (despite of the risk of being noticed); In the passage mentioned above “run” and “street” are highlighted.

According to the concept of the author both of them the street and the avenue are the places where terrified and unsupported people gather and where passers-by turn into shadows with the help of mystical, foggy streets of Petersburg.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბელი ა., 2015 -** ბელი ანდრეი, პეტერბურგი, თარგმანი ნინო ქუთათელაძისა, თბ., 2015;
2. **გამსახურდია კ.,** - გამსახურდია კონსტანტინე, დიდოსტატის მარჯვენა, თხზულებანი 10 ტომად, ტ. 4, თბ., 1976;
3. **გაფრინდაშვილი ვ., 1990** - გაფრინდაშვილი ვალერიან, ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, 1990;
4. **გოგოლი ნ.,** - გოგოლი ნ., ელექტრონული რესურსი [http://www.biblioteka.litklubi.ge/view-nawarmoebi.php?id=9041]
5. **ონიანი ე.,** 2011 - ონიანი ესმა, ლექსები, თბ., 2011;
6. **სანებლიძე ნ., 201** - სანებლიძე ნიკა, ანდრეი ბელის „პეტერბურგი“ ქართული თარგმანი, „ცისკარი“ N3, 2018;
7. **ლიხაჩევი დ.,** - ლიხაჩევი დმიტრი, ელექტრონული რესურსი [http://lib.ru/POEZIQ/BELYJ/peterburg.txt]
8. **Мандельштам О.,** 1991 - Мандельштам Осип, Собрание сочинении в 3-х томах, т.1, М., 1991.

თარგმანმცოდნეობა

თარგმანი და თარგმანმცოდნეობა საქართველოში

ანასტასია მახარაძე
e-mail: amakharadze@ukr.net

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: თარგმანი საქართველოში არსებობდა მეტნაკლებად ყველა ისტორიული ეპოქის განმავლობაში, მაგრამ ქართული თარგმანის ისტორიის განხილვისას, შეიძლება გამოვყოთ ეგრეთ წოდებული მთარგმნელობითი ბუმის ეტაპები, რომლებიც ითვალისწინებენ ისეთ მახასიათებლებს, როგორც ქვეყნის განვითარების ისტორიულ-თავისებურებები, თარგმანის ენა, თარგმანის სტრა-ტეგიები, ცნობილი ქართველი მთარგმნელების მუშაობა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ფოკუსირება იმაზე, თუ რა ტიპის თარგმანი იყო გავრცელებული კონკრეტულ პერიოდში, ან როგორი იყო ის, ანუ რა იყო სოციალური მოთხოვნა თარგმანის ბუმზე.

I ეტაპი იწყება ძვ.წ. IV-V საუკუნეებიდან. (ან უფრო ადრეც) და გრძელდება XI-XII საუკუნეებამდე. თარგმანი ძირითადად ლათინური და ბერძნული ენებიდან ხდებოდა და თარგმნილი მასალა რელიგიური იყო. თარგმანის ტიპი უფასო იყო. მეორე ეტაპი დაიწყო დაახლოებით XII საუკუნიდან და გაგრძელდა XVI-XVII საუკუნეებამდე. სიტუაცია ოდნავ შეიცვალა და რელიგიურ ტექსტებთან ერთად ქართველმა მთარგმნელებმა დაიწყეს საერო ლიტერატურის თარგმნა, რომელიც ძირითადად ითარგმნებოდა სპარსულიდან.

ქართული თარგმანის ახალი ეტაპი იწყება მე-18 საუკუნეში და გრძელდება მე-20 საუკუნის ბოლომდე. ეს პერიოდი ხასიათდება რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობით, რამაც გამოიწვია ძირითადად რუსულიდან თარგმანები. ეს არის ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ინტენ-სიური თარგმანის გრძელი პერიოდი, რომელიც კიდევ უფრო განვითარდა საბჭოთა პერიოდში. საქართველოში სამეცნიერო თარგმანის მდგომარეობაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ნაკლოვანებები თარგმანის სფეროში, რაც განპირობებულია იმით, რომ ქვეყანა გასულ საუკუნეში საკმაოდ დახურულ სივრცეში ცხოვრობდა და საზოგადოება იცნობდა უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურას, ძირითადად რუსულად.

ოცდამეერთე საუკუნეში, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სწრაფი განვითარების ფონზე, გაიზარდა მოთხოვნა დასავლურ თუ ამერიკულ სამეცნიერო ნაშრომებზე და შესაბამისად გაიზარდა ქართული თარგმანის ინტენსივობა, მათ შორის სამეცნიერო სფეროში. სამეცნიერო თარგმანის ხარისხის პრობლემა დღეს გადამწყვეტია სხვადასხვა ლინგისტური და სოციოკულტურული ფაქტორების გამო.

საკვანძო სიტყვები: ქართული თარგმანი, თარგმანის თეორია, ქართული თარგმანის ისტორია, თარგმანის განვითარება.

საქართველო - უძველესი კულტურის პატარა ქვეყანაა, რომელშიც თარგმანის მნიშვნელობა ოდითგან იყო გააზრებული. საქართველოს უამრავი პოლიტიკური, ეკო-ნომიკური, კულტურული ურთიერთობები აერთიანებდა როგორც ევროპის, ასევე აზიის ქვეყნებთან (დიდი აბრეშუმის გზა და სხვ.), ამიტომაც, არ არის გასაკვირი, რომ მთარგმნელობითი საქმიანობას საქართვე-ლოში უძველესი ტრადიციები ახასიათებს.

მთარგმნელობითი საქმიანობა საქართ-ველოში მეტ-ნაკლებად ყველა ისტორიულ

ეპოქაში მოქმედებდა, მაგრამ, ქართული თარგმანის ისტორიის მიმოხილვისას, მ.არაშიძისა და ნ.არაშიძის აზრით, იკვეთება ე.წ. მთარგმნელობითი ბუმის რამდენიმე ეტაპი:

I ეტაპი - დაახლოებით ჩვ. წ. აღ. IV-V საუკუნიდან (ან უფრო ადრე) XI-XII საუკუნემდე;

II ეტაპი - დაახლოებით XII საუკუნიდან და გაგრძელდა XVI-XVII საუკუნემდე;

III ეტაპი - XVIII-XX საუკენეები;

IV ეტაპი - XX –ის ბოლოდან დღემდე (არაშიძე).

შემოთავაზებული პერიოდიზაცია ითვალისწინებს რამოდენიმე ნიშანთვისებას: ქვეყნის განვითარების ისტორიულ-თავისებურებებს, მთარგმნელობით ენობრივ ფოკუსს, მთარგმნელობით სტრატეგიებს, ცნობილი ქართველი მთარგმნელების მოღვაწეობას, მაგრამ, პირველ რიგში ორიენტირებულია იმაზე, თუ რა ტიპის ტექსტების თარგმნა იყო გაბატონებული კონკრეტულ პერიოდში, ანუ როგორი იყო იმდროინდელი მთარგმნელობითი ბუმისწ სოციალური მოთხოვნა.

დავახასიათოთ ისინი:

I ეტაპი - რომელიც გრძელდებოდა დაახლოებით ჩვ. წ. აღ. IV-V საუკუნიდან (ან უფრო ადრე) XI-XII საუკუნემდე. თარგმნა ძირითადად ბერძნული და ლათინური ენებიდან ხდებოდა. ნათარგმნი მასალა ძირითადად იყო რელიგიური ხასიათის, კერძოდ კი ბიბლია და სხვა წმინდა წერილები, რაც გამოწვეული იყო ქრისტიანული რელიგიის გავრცელებით. ამას ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ საგანმანათლებლო კერებს მთელს საქართველოში, ისევე როგორც დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროში, ეკლესია-მონასტრები ხელმძღვანელობდნენ. ასეთ საგანმანათლებლო ცენტრების მიზანი მხოლოდ რელიგიის გავრცელება როდი იყო. აქ ახალგაზრდა ნიჭიერი თაობა განათლებას იღებდა, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობდა ცოდნის გავრცელებას მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო ცენტრები წარმოადგენენ განათლებისა და მეცნიერების კერებს, მათ შორისაა გელათისა და იყალთოს აკადემიები. ხოლო რაც შეეხება იმდროინდელი თარგმნის ტიპს - ხდებოდა თავისუფალი თარგმნის პრინციპით.

მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ქართული მთარგმნელობით სფეროს და ზოგადად, ლიტერატურული საქმიანობის განვითარებას ქართულმა ეკლესია-მონასტრებმა როგორც საქართველოში (გელათი, შატბერდი, შიომღვიმე, იყალთოს აკადემია) ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ (ათონის მთის მონასტერი - საბერძნეთი; პეტრიწონის მონასტერი - ბულგარეთი; შავი მთის მონასტერი - სირია; ჯვრის მონასტერი – პალესტინა).

თარგმნა ეხებოდა იმ პერიოდის გამორჩეული და გამოჩენილი საეკლესიო პირების მიერ: ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმინდელი, იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, და ა.შ.

იოანე პეტრიწის ფილოსოფიური მემკვიდრეობა წარმოდგენილია თარგმანებითა და ორიგინალური თხზულებით („განმარტება პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისად“). მან თარგმნა არისტოტელეს ორი თხზულება: „ტოპიკა“ და „განმარტებისათვის“ („პერი-ჰერმენეია“), ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ (გამოიცა 1914), პროკლეს „კავშირნი ღვთის მეტყველებითნი“ („თეოლოგიის ელემენტები“), ამონიოს ჰერმიას „მოსახსენებელი ხუთთა ხმათადმი პორფირი ფილოსოფოსისა“ და „მოსახსენებელი ათთა კატიღორიათადმი არისტოტელისთა“ (ზოგი მეცნიერი ამ უკანასკნელი თხზულების მთარგმ-

ნელად თვლის იოანე ტარიჭისძეს. არისტოტელეს ტრაქტატთა თარგმანებს ჩვენამდე არ მოუღწევია.
(https://ka.wikipedia.org/wiki/იოანე_პეტრიწი)

პროკლე დიადოხის „თეოლოგიის“ პირველი თარგმანი იოანე პეტრიწმა შეასრულა მე-12 ს-ში, რომელიც შემდგომ დაიკარგა და მისი აღდგენა მოხდა მხოლოდ მე-18 ს-ში იოანე ორბელიანის და ფილიპე კაიტმაზიშვილის მიერ სომხური ხელნაწერიდან, რომელიც თავის მხრივ იოანე პეტრიწის თარგმანიდან ითარგმნა სომხურად მე-17 ს-ში.

დიდია ეფრემ მცირის დამსახურება ქართულ და ბერძნულ სასულიერო ფილოსოფიურ ლიტერატურაში. მისი თხზულებები ეხება საეკლესიო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, მასვე ეკუთვნის ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი დიონისე არეოპაგელის ხუთი თხზულება, მათ შორის არის ფსალმუნების „კომენტარები“, „წმინდა მოციქულთა წერილები“ და სხვ.

ეფრემმა შექმნა თარგმნის საკუთარი თეორია, რომელიც შემდეგში გახდა შუა საუკუნეების საქართველოში ყველა ნათარგმნი ლიტერატურის საფუძველი.
(https://ka.wikipedia.org/wiki/ეფრემ_მცირე)

არსენ იყალთოელმა თარგმნა და ერთ კრებულში „დოგმატიკონში“ (ყველაზე სრული ნუსხაა S-1463, XII-XIII) გააერთიანა ბიზანტიელ მწერალთა ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულებები: ანასტასი სინელის „წინამძღვარი“, იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“, მისივე რამდენიმე პოლემიკური ნაშრომი, თეოდორე აბუკურას პოლემიკური ეპისტოლენი, მიქაელ ფსელოსის „პირმშოსათვის“, კირილე ალექსანდრიელის, ნიკიტა სტითატის, ლეონ პაპის დოგმაგიკურ-პოლემიკური ეპისტოლენი, სტატიები და ტრაქტატები, მრავალი უავტორო პოლემიკური თხზულება და სხვ. (http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000822/)

ამ პერიოდში შესრულდა „ბალავარიანის“ თარგმანი ექვთიმე ათონელის მიერ - ქართულიდან - ბერძნულ ენაზე, რომელიც შემდეგ ლათინურ ენაზე ითარგმნა და რის შემდეგაც ის მთელმა მსოფლიომ გაიცნო.

რაც შეეხება ქართული მთარგმნელობითი მოღვაწეობის მეორე ეტაპს, ის დაიწყო დაახლოებით XII საუკუნიდან და გაგრძელდა XVI-XVII საუკუნემდე. ამ პერიოდიდან სიტუაცია იცვლება და ქართველი მთარგმნელები აქტიურად იწყებენ საერო ლიტერატურის თარგმნას. თუ რელიგიური ხასიათის ლიტერატურა ძირითადად ბერძნული და ლათინური ენებიდან ითარგმნებოდა, საერო ლიტერატურის თარგმანი ძირითადად სპარსული ენიდან ხდებოდა. ამ პერიოდის გამოჩენილი ძეგლებია „ამირანდარეჯანიანი” და „ვისრამიანი“. თარგმნის ტიპი იყო თავისუფალი. ხდებოდა კონკრეტული პასაჟების „გადმოქართულება“, ქართული ელემენტებით ჩანაცვლება.

XVIII საუკუნიდან იწყება ახალი ეტაპი ქართულ მთარგმნელობით მოღვაწეობაში და გრძელდება XX საუკუნის ბოლო პერიოდამდე. ეს პერიოდი ხასიათდება რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობით, რამაც გამოიწვია ძირითადად რუსულიდან თარგმანები.

აღსანიშნავია ანტონ კათოლიკოსის მთარგმნელობითი საქმიანობა. მან რუსულიდან თარგმნა ვოლფის „ფიზიკა“ და ბაუმაისტერის „ლოგიკა“. მისი ინიციატივით იქმენბოდა და ითარგმნებოდა ნაშრომები ფიზკაში, გეომეტრიაში, გეოგრაფიასა და მედიციანში. მის მიერ ითარგმნა კვინტუს კურციუსის „ალექსანდრე მაკედონელის ისტორია“. ასევე პორფირის „არისტოტელეს კატეგორიების შესავალი“ და არისტოტელეს „კატეგორიები“, აგრეთვე სომხურიდან თარმნა მხიტარ სებასტაცის „რიტორიკა“.

სწავლა-განათლების განვითარებამ ხელი შეუწყო სამეცნიერო ნაშრომების შექმნასა და თარგმნას. დიდი იყო იმდროინდელი

მოწინავე საზოგადოების ინტერესი მსოფლიო ისტორიის შესწავლისადმი. 1783 წ. ძმებმა მონგოლფიემბა გამოიგონეს აეროსტატი, რამაც გამოხმაურება ჰპოვა ქართულ საზოგადოებაში. ერეკლე მეორის ბრძანებით ქართულად იტარგმნა ამ ფაქტის შესახებ გამოცემული წიგნი.

1772 წელს ბაქარ ბატონიშვილმა ფრანგულიდან თარგმნა წიგნი „ეკონომიკა“, ხოლო გაიოზ რექტორმა (ბარათაშვილმა) უცხოური ენიდან თარგმნა არტილერიის საკითხებიდამი მიძღვნილი კრებული.

დიდი იყო ქართველების ინტერესი ევროპული მეცნირების მიღწევებისადმი. ქრისტიანულ-ზნეობრივ „სწავლათა“, მაქსიმე აღმსარებლის, არისტოტელეს და ანაქსაგორეს პარალელურად ითარგმნა მარკ ავრელიუსის „საყოფაცხოვრებო სჯანი“. (http://adjara.gov.ge/uploads/Docs/0affa183eab0456cac69d3bfd29f.pdf).

ამ პერიოდში არ შეიძლება არ აღინიშნოს სულხან საბა ორბელიანის მოღვაწეობა და მისი ლექსიკონი «სიტყვის კონა», ასევე ღირშესანიშნავია მის მიერ უძველესი სპასრული იგავების კრებულის «ქილილა და დამანას» ქართული თარგმანის რედაქცია.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ფიგურა ქართული თარგმანის ისტორიაში გახლავთ ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც კარგად იცნობდა რუსულ და ევროპულ მეცნიერებას, მას ასევე მიიჩნევენ საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებლად. მან გერმანულიდან ქართულად თარგმნა გეოგრაფიის სახელმძღვანელო, რომლესაც თან დაურთო ქართული რუკები. „ბატონოშვილი ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია. თფილისი, 1904 წ.“ (http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/5076/4/Sakartvelos%20geograpia.pdf).

აღსანისნავია დავით ბატონიშვილის (1767-1819) თარგმანები, რომელიც რუსეთში ძირითადად მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა. ქართულად თარგმნა მოტესკიეს „კანონთა სული“, რომელსაც დაურთო საკუთარი კომენტარებით. მან სულხან–საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ შეავსო ახალი მასალით – დაუმატა სიტყვები რუსული, სომხური და თურქული განმარტებებით. იგი თავმჯდომარეობდა კომიტეტს, რომელსაც ვახტან VI-ის სამართლის რუსული თარგმანის განხილვა და რედაქცია ევალებოდა.
(http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000450/)

მასვე ეკუთვნის ვოლტერიანული თხზულებების თარგმანი.
(http://adjara.gov.ge/uploads/Docs/0affa183eab0456cac69d3bfd29f.pdf)

XVIII საუკუნის ბოლოს ქვეყანამ მკვეთრი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები განიცადა, ეს იყო ჯერ 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატი და შემდეგ 1801 წელს საქართველოს რუსეთის გუბერნიად გამოცხადება. ამ პერიოდში ადგილი ქონდა ქვეყნის იძულებით რუსიფიკაციას, საეკლესიო სფეროშიც კი, როდესაც ლიტურგია ქართულად აღარ სრულდებოდა ეკლესიებში. ადმინისტრაციული ენა რუსული იყო, და ვინაიდან ძირითადი მოსახლეობა მონოლინგვური იყო, საჭირო გახდა ამ ყველაფრის რუსულიდან თარგმნა. ეს გახლავთ ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ინტენსიური თარგმანის ხანგრძლივი პერიოდი.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო ჩანაწერებში მოცემულია მონაცემები მე-18-19 საუკუნეების თარგმანების შესახებ.

მე-18 ს-ში ბაგრატ სოლოღაშვილის, არჩილ მეფე 1-ის (1647-1713) და მათი დამხმარე გუნდის მიერ ბერძნული და რუსული ენებიდან ითარგმნა ბიზანტიელი და ახალბერძენი ქრონიკოსების ნაშრომი „ქრონოგრაფია“.

ითარგმნებოდა სომეხი ისტორიკოსების შრომები მე5დან მე18 საუკუნემდე, მათ შორის ასლან ათაბეგოვის თარგმანი 65-ე თავისა „კნიაზ ორბელიანების ისტორია“ სტეპანოს ორბელიანის ისტორიული ნაშრომიდან „სიუნიკის ოლქის ისტორიიდან“, რომლის ხელნაწერი თარიღდება 1816 წლით.

დავით ბაგრატიონმა სპარსულიდან თარგმნა მირზა მერხი ასტერაბადის „ნადირ შახის ისტორია“ 1802 წ.

გავრილე გელოვანს ეკუთვნის 1730 წ. რუსულიდან „გეოგრაფიის, ანუ დედამიწის მოკლე აღწერის“ თარგმანი, რომლეიც თავის მხირვ ლათინურიდან იყო თარგმნილი.

აქტიურად ითარგმნემოდა ანტიკური და ჩვენი წ.აღ. პირველი საუკუნეების ფილოსოფიური ტრაქტატები, ასვე სომეხი ავტორების შრომები და მე-17-18 სს-ის დასავლეთ ერვოპელი სწავლულების შრომები, რაც განპირობებული იყო ქართული მეცნიერებისა და ლიტერატურის აღორძინებითა და განმანათლებლური ტენდენციებით. აღნიშნული ტრაქტატების ძირითადი ნაწილი მე-18 ს-ში ითარგმნა ანტონ 1-ის, გაიოზ ნაცვლიშვილისა და დავით ბაგრატიონის მიერ.

აღსანიშნავია ასევე ფილოსოფიური ხელნაწერი „დიალექტიკის წიგნი“, რომელიც წარმოადგენს 1728 წ. კონსტანტინოპოლში გამოცემული ფილოსოფიურ თხზულებათა სრულ თარგმანს, ავტორი და ხელნაწერის ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ სავარაუდოდ ეკუთვნის მე-18 ს.

თეიმურაზ ბაგრატიონის დაკვეთით მისმა ძმამ ილია ბაგრატიონმა ფრანგულიდან თარგმნა ორი ფილოსოფოსის მიმოწერა „კლარკის ლეიბნიცთან დისპუტი“, რომელიც 1844 წლით თარიღდება.

ითარგმნებოდა აგრეთვე იურიდიული ხასიათის დოკუმენტები, როგორიცაა მაგალითად მეფე ალექსეის „Уложения“ თარგმნილი ვახტანგ მეექვსის ვაჟის უფლისწული ბაქარისა და შვილიშვილის ლევანის მიერ. ასევე ვასილი ჭილაძის მიერ იქნა თარგმნილი პეტრე პირველის „რეგლამენტი“.

დიდ ინტერესს წარმოადგენს სპარსი ავტორის მეხა ად-დინ მუხამედ ამილის ტექსტი მუსულმანური კანონის შესახებ, რომელიც შაჰ-აბას პირველის ბრძანებით სპარსულიდნა ქართულად თარგმნა ისტორიკოსმა ფარსდან გოგრიჯანიძემ. ხელნაწერი დათარიღებულია 1691 წ. და იგი შეიცავს მთარგმნელის საინტერესო ჩანაწერებს ავტობიოგრაფიული ხასიათის და ასევე ჩანაწერებს თარგმანის თეორიის შესახებ.

აღსანიშნავია იოანე ბაგრატიონსიეული „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, რომლის მხოლოდ ფრაგმენტია ჩვენამდე შემორჩენილი. დიდ ინტერესს წარმოადგენს იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონების მიერ შექმნილი ოთხი საბუნებისმეტყველო - სამეცნიერო ტერმინების ლექსიკონი, რომლებშიც გარდა ქართული ტერმინებისა შესულია ასევე არაბული, სპარსული, ბერძნული, ლათინური, ებრაული, სომხური, რუსული და თათრული ტერმინები. აღსანიშნავია ასევე პლატონ იოსელიანის „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, რომელშიც ასევე მოიპოვება ლინგვისტური ხასიათის ჩანაწერები.

ვახტანგ მე-6 ეკუთვნის თარგმანი სამეცნიერო ნაშრომისა „მეცნიერება ქმნილებების შესახებ, რომელიც ასევე მოიცავს მათემატიკური და ასტრონომიული ხასიათის ინფორმაციას.

არსებობს ასევე სამედიცინო სახელმძღვანელო, რომელიც შექმნილია ფრანგული, რუსული და სპარსული წყაროებიდან და აქვე გვინდა აღვნიშნოთ სპეციალური სამედიცინო ტერმინოლოგიის ლექსიკონი, რომელიც შეიცავს ქართულ, სომხურ, არაბულ, სპარსულ, ლათინურ და სხვა ტერმინებს.

საყურადღებოა ასევე რუსულიდან თარგმნილი სამხედრო-არტილერიული შინაარსის ლიტერატურა. დავით ბაგრატიონმა თარგმნა „არტილერიის“ კურსის მეორე გამოცემა, რომელიც პეტერბურგში გამოიცა 1795 წ.

მე-19 ს-ის პირველ მეოთხედში თეიმურაზ ბაგრატიონმა თარგმნა „არტილერიული მანევრების წესები, მათი მიზანი და გამოყენება“. 1784 წ. არქიმანდრიდმა გაიოზმა თარგმნა პეტრე პირველის წესდება. გოდერძი ფირალოვმა თარგმნა პავლე პირველის წესდება 1807 წ.

საბჭოთა პერიოდამდე, ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანებში, თარგმნის ტიპი ძირიდად არის თავისუფალი. ამ პერიოდში ითარგმნებოდა როგორც მხატვრული, ასევე მეცნიერული, ტექნიკური, სამხედრო ტიპის ტექსტები და ა.შ.

ტექსტები ძირითადად ითარგმნება რუსული ენიდან. თუმცა ასევე ცალკეული მთარგმნელები ახორციელებდნენ თარგმანს ფრანგული, გერმანული, ინგლისური ენებიდან. მაგალითად, ივანე მაჩაბელის მიერ შესრულებული თარგმანი შექსპირის შემოქმედებისა, დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოში და დღემდე მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთ-ერთ გამორჩეულ ძეგლად მიიჩნევა.

ამ პერიოდის გამორჩეული ფიგურაა ილია ჭავჭავაძეც, რომელიც თარგმნის პირველ კრიტიკოსად არის მიჩნეული.

ხოლო რაც შეეხება საბჭოთა პერიოდს, ამ პერიოდში თარგმანები ძირითადად სრულდება რუსული ენიდან. მათ შორის, არარუსულენოვანი ტექსტების თარგმნაც შუამავალი ენიდან, რუსულიდან ხდებოდა. ითარგმნებოდა როგორც მხატვრული, ასევე მეცნიერული, ტექნიკური, სამხედრო ტექსტები. თარგმნის ტიპი იყო ცენზურული, რადგანაც საბჭოთა პერიოდში თარგმანი იყო პოლიტიზირებული. ანუ, მასზე ვრცელდებოდა პოლიტიკური ცენზურა. რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ რედაქტორი იძულებული იყო ამოეჭრა ის კონკრეტული სცენები და პასაჟები ორიგინალი ტექსტიდან, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიას ეწინააღმდეგებოდა. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდში შესრულებული თარმანები შორს დგას წყარო ტექსტისგან და შესაბამისად, უმეტეს შემთხვევებში დგას ამ პერიოდში ნათარგმნი ტექსტების ხელახლა, ორიგინალი ენიდან თარგმნის საჭიროება.

ნ. საყავრელიძე თავის ნაშრომში ხაზს უსვამს მთარგმნელობითი შემოქმედების როლს ერვონული ლიტერატურების ჟანრობრივი გამდიდრების საქმეში და ზოგადლიტერატურული სტანდარტების ჩამოყალიბებაში, რამეთუ მას წარმოუდგენლად მიაჩნია რომელიმე ეროვნული ლიტერატურის იზოლირებულად განვითარება, სხვა ლიტერატურებთან კავშირის გარეშე, რომლესაც მხატვრული თარგმანი ამყარებს. ლიტერატურათმცოდნეობით მიმართულებას საფუძველი ჩაეყარა ლირეტატურული ურთიერთობების ადრეულ ხანაში და ქართული მეცნიერული აზრიც, მისი მოსაზრებით, ბოლო დრომდე თითქმის ამ მიმართულებით ვითარდებოდა, გარდა ცალკეული გამოკვლევებისა, რომლებიც წარმოდგენილი იყო სპეციალურ კრებულებში, სადაც მხედველობაში აქვს კ. კეკელიძის, ალ. ბარამიძის, დ. კობიძის, გ. იმედაშვილის, ლ. ასათიანის გამოკვლევები ძველი ქართული მთარგმნელობითი მემკვიდრეობის საკითხებზე, რასაც მოგვიანებით შეემატა გ. გაჩეჩილაძის კომპლექსური კვლევები მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხებზე და ქ. ბურჯანაძის მონოგრაფია მე-19 საუკუნის მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხებზე, რომელიც: „ ფაქტობრივად ,პირველი ცდაა წარმოგვიდგინოს თარგმანის მეთოდთა და პრინციპტა კავშირი ლიტერა-

ტურულ მიმდინარეობებთან საქართველოში, თარგმანის ისტორიის ისეთ გადამწყვეტ ეტაპზე, როგორიც იყო მე-19 საუკუნე.“ (ნ. საყავრელიძე, გვ. 7-8).

საქართველოში სამეცნიერო თარგმანის ვითარებაზე საუბრისას არ შეიძლება არ აღინიშნოს მთარგმნელობით სფეროში არსებული უკმარისობა, რაც იმით არის განპირობებული, რომ ქვეყანა გასულ საუკუნეში საკმაოდ ჩაკეტილ სივრცეში ცხოვრობდა და საზოგადოება უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურას, ძირითადად, რუსულ ენაზე ეცნობოდა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ხშირად, ქართული თარგმანი სწორედ რუსული, როგორც შვალედური ენიდან სრულდებოდა. რაც წლების მანძილზე ცივი ომისა და რკინის ფარდის პირობებში ხელს არ უწყობდა ქართული მთარგმნელობითი სკოლის სათანადო განვითარებას.

დასკვნის სახით გვინდა დავაჯამოთ, რომ, მსოფლიო მთარგმნელობითი საქმიანობის ისტორია და მისი თავისებური ფუნქციონირება საქართველოში მეტყველებს იმაზე, რომ ეს თავისებურებები ყალიბდებოდა უამრავი გეო-პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული დაფაქტორის ზეგავლენით.

ოცდამეერთე საუკუნეში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უსწრაფესი განვითარების ფონზე გაიზარდა მოთხოვნილება დასავლურ თუ ამერიკულ სამეცნიერო ნაშრომებზე, ბუნებრივია, იმატა ქართული თარგმნის ინტენსივობამ, მათ შორის სამეცნიერო სფეროში. დღესდღობით საკმაოდ მწვავედ დგას სამეცნიერო თარგმანის ხარისხის პრობლემა, რომელიც სხვადასხვა ფაქტორებით არის გამოწვეული, მათ შორის: კონკრეტულ სამეცნიერო სფეროზე ორიენტირებული რესურსების ნაკლებობა, მწირე პრაქტიკული გამოცდილება, სამეცნიერო თარგმანის უნივერსალური კანონზომიერების ფონზე ქართული სამეცნიერო თარგმანის სპეციფიკის შესწავლის ნაკლებობა.

TRANSLATION STUDIES

TRANSLATION AND THEORY OF TRANSLATION IN GEORGIA

ANASTASIA MAKHARADZE
e-mail: amakharadze@ukr.net

Batumi Shota Rustaveli State University

Translation has been existing in Georgia for more or less all historical epochs, but when reviewing the history of Georgian translation, according to M. Aroshidze and N. Aroshidze, the stages of so-called translation boom can be distinguished, which take into account such features as the historical-peculiarities of the country's development, translation language focus, translation strategies, the work of famous Georgian translators, but primarily focus on what type of translation was prevalent in a particular period, or what it was like, i.e. what was a social demand for a translation boom.

I stage starts from IV-V centuries B.C. (or even earlier) and continues till XI-XII centuries. Translation was done mainly from Latin and Greek languages and translated material was religious. The type of translation was free.

The second stage began from about XII century and lasted till XVI-XVII centuries. The situation changed a bit and along with religious texts, Georgian translators began translating secular literature which was mainly translated from Persian.

A new stage in Georgian translation begins in the 18th century and lasts until the end of the 20th century. This period is characterized by close relations with Russia, which led mainly to translations from Russian.

At the end of the XVIII century the country underwent drastic socio-economic changes, this was first the Treaty of Giorgievski in 1783 and then in 1801 the proclamation of Georgia as a Russian province. During this period, the country was forcibly Russified. This is a long period of Georgian-Russian and Russian-Georgian intensive translation, which developed even more during the Soviet period.

Speaking about the situation of scientific translation in Georgia, the shortcomings in the field of translation should be mentioned, which is due to the fact that the country lived in a rather closed space in the last century and the society was acquainted with foreign scientific literature, mainly in Russian.

In the twenty-first century, against the background of the rapid development of science and technology, the demand for Western or American scientific papers increased and the intensity of Georgian translation increased accordingly, including in the scientific field. The problem of the quality of scientific translation is crucial today due to various factors, including: lack of resources focused on a specific scientific field, scarce practical experience, lack of study of the specifics of Georgian scientific translation against the background of universal regularity of scientific translation.

ლიტერატურა:

1. დ. ფანჯიკიძე, „თარგმანის ახალი ტეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა“, თბ.1995.
2. დ. ფანჯიკიძე, „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, თბ. 1988.
3. ნ. საყვარელიძე, „თარგმანის თეორიის საკითხები“, თბ.2001.
4. გ. წიბახაშვილი, „თარგმანის თეორიის და პრაქტიკის საკითხები“, თსუ. 2000.
5. „ქართული ხელნაწერები“, გამომც. „ხელოვნება“, თბ. 1970.
6. მარინე არაშიძე, ნინო არაშიძე. „თარგმანის თეორიის საფუძვლები და პრაქტიკა“. ბათუმი, 2018.
7. Marine Aroshidze, Nino Aroshidze. The Language of Science - the Language of Translation. Balkanistic forum, Vol. 3/2020, p.286-305.
8. Семенец О.Е/Панасьев А.Н., «История перевода», Киев, 1989.
9. Семенец О.Е/Панасьев А.Н., «История перевода», Киев, 1991.
10. Тер-Петросян Л.А. «Древнеармянская переводная литература», Ереван, 1984.
11. Ученые записки института востоковедения. Том 9. Москва. Ленинград. 1945
12. საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი. http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000822
13. არხეიონი XV. http://adjara.gov.ge/uploads/Docs/0affa183eab0456cac69d3bfd29f.pdf

ენათმეცნიერება

ორსახელიანობის ზოგიერთი სოციოლინგვისტური ფაქტორის შესახებ (ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის მაგალითზე)

თემურ ავალიანი
e-mail: temur.avaliani@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკატერინე ბარამიძე
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი: წინამდებარე ნაშრომის ავტორები განიხილავენ ზემო აჭარის ანთროპონიმიაში ორსახელიანობის კონკრეტულ სოციოლინგვისტურ ფაქტორებს, რომლებსაც ჰქონდა ადგილი საბჭოთა პერიოდში. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ მსოფლიოს ხალხთა ანთროპონიმული სისტემებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური მოვლენა - ორსახელიანობა საკმაოდ საინტერესოდ და თავისებურად გამოვლინდა ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის აღნიშნულ ეტაპზე, რაც განაპირობა ძირითადად პოლიტიკურმა ფაქტორმა, კერძოდ, 1940-იანი წლებიდან სსრკ-სა და თურქეთის მტრულ ბანაკებში აღმოჩენის გამო ამ ორი ქვეყნის სასაზღვრო ზოლის აჭარის მონაკვეთზე სსრკ-ს მხრიდან გატარებულმა უმკაცრესმა პოლიტიკამ. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, გადაეჯაჭვა რელიგიურ ფაქტორს და შედეგად მივიღეთ ორი, არათანაბარი საკომუნიკაციო დატვირთვის მქონე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პიროვნული სახელი: ოფიციალური არამუსლიმანური, სახელმწიფო დოკუმენტებში დაფიქსირებული, ფართო საზოგადოებრივ საკომუნიკაციო სივრცეში მოქმედი და არაოფიციალური მუსლიმანური, საოჯახო და სანათესავო წრეების საკომუნიკაციო სივრცით შემოფარგლული.

საკვანძო სიტყვები: ორსახელიანობა, ანთროპონიმი, გვარსახელი, სახელი, სოციოლინგვისტიკა, ონიმია.

ორსახელიანობა მსოფლიოს ხალხთა ანთროპონიმული სისტემებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური მოვლენაა, თუმცა მისი განმაპირობებელი ფაქტორები მრავალფეროვანია და განსხვავდება ხალხების მიხედვით. ასე მაგალითად, ისრაელში გავრცელებული ჩვეულების მიხედვით ორმაგი კომბინირებული სახელების პირველი კომპონენტი ივრიტული სახელია, მეორე - იდიშური (მელიქიძე, 2018, 45). ძალიან ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ის ძირითადად დაკავშირებულია რელიგიურ, უმთავრესად ქრისტიანობის ფაქტორთან, კერძოდ: მართლმადიდებელი აღმსარებლობის ქართველთა ერთი სახელი კალენდარულია და ნათლობისაა, მეორე - საერო (მაგალითად სულხან-საბა). ორსახელიანობის ფენომენი ფიქსირდება ქართული საისტორიო წყაროების მაგალითზეც: *აბდალ-მელიქი; აბდულ-კასიმი, ვარაზ-ბაკური, ფარსმან-ფარუხი* და სხვა. ამავე დროს, მკვლევრები აღნიშნავს იმასაც, რომ იშვიათია შემთხვევები, რომლებშიც ერობისა და ბერობის სახელები ერთდროულადაა აღნიშნული (კირთაძე, 2009: 71).

ჩვენ დავინტერესდით აღნიშნული პრობლემით ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის მაგალითზე, რადგან სწორედაც რომ

რელიგია იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი მისი არაერთგზის ძირეული ტრანსფორმაციისა. (ბარამიძე, 2021: 115). აღნიშნული ტრანსფორმაციის პროცესის პირველი ეტაპი განხორციელდა მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ოსმალეთის იმპერიის მიერ აჭარის დაპყრობის შემდეგ, რის შედეგადაც ქართული ან/და კალენდარული ანთროპონიმია ჩანაცვლდა თურქულით/ მუსლიმანურით. მეორე ეტაპზე კი წარიმართა პირუკუ პროცესი - სამი საუკუნის მანძილზე დამკვიდრებული თურქული გვარსახელები და მუსლიმანური პიროვნული სახელები ადგილს უთმობს ქართულ გვარსახელებს და ქართულ ან/და არამუსლიმანურ სახელებს. წინამდებარე სტატიაში განხილულია სწორედ მეორე ეტაპი - საბჭოთა პერიოდი, კერძოდ, 1922 წლიდან 1950-იანი წლების პირველ ნახევრამდე მონაკვეთი, რომელიც ინერციით მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში მუსლიმანური/ თურქული ანთროპონიმიის (გვარსახელების, პიროვნული სახელების და მამის სახელების) გამოცვლა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი (ბარამიძე, 2021: 111). ყოველივე ეს ძირითადად რელიგიურ-პოლიტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. კერძოდ, 1930-იანი წლების მიწურულიდან თურქეთი და სსრკ ერთმანეთის მიმართ უკიდურესად მტრულ ბანაკებში აღმოჩნდნენ, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა სსრკ-ს სახელმწიფო პოლიტიკა სსრკ-თურქეთის საზღვრისპირა რეგიონში და გავლენა იქონია ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის პროცესის დაჩქარებაზე. ყოველივე ეს კეთდებოდა ცხადია, არა ქართული ეროვნული პოლიტიკის გატარების, არამედ სულ სხვა მიზნებით და მიზეზებით, თუმცა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მიერ ეს პროცესი უშუალოდ ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებად იქნა შეფასებული: „მზარდი ეროვნული თვითობის ამსახველია აჭარაში „მოულოდნელად“ გაჩაღებული სახელების გამოცვლა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, სახელების დაბრუნება აღდგენა, ... „ჩემი სახელი სამას წელიწადს ტყვედ ჰყავდათ თურქებს“ (ვაშაკიძე, 2008: 110)

ამ მიმართულებით გატარებული სახელმწიფო პოლიტიკის არსის წარმოსაჩენად მოვიშველიებთ ამონარიდს სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ლ. ბერიას ი. სტალინისადმი 1944 წლის 24 ივლისს მიწერილი წერილიდან (№789/6): „საქართველოს სსრ-ის თურქეთთან მოსაზღვრე რაიონებში ცხოვრობს თურქული მოსახლეობა. ამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ნათესაურ კავშირშია თურქეთის მოსაზღვრე რაიონების მცხოვრებლებთან, წლების განმავლობაში ამჟღავნებს ემიგრაციულ განწყობას, ეწევა კონტრაბანდას და თანამშრომლობს თურქეთის დაზვერვასთან აგენტების გადმობირებისა და ბანდიტური ჯგუფების შექმნისათვის. საქართველოს სსრ მონაკვეთზე სსრკ-ის საზღვრის დაცვის გაძლირების მიზნით საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი მიზანშეწონილად მიიჩნევს გადაასახლოს ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონებიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოდან თურქების, ქურთების და ხემშილების 16700 ოჯახი, სულ 86 000 სული ყაზახეთის, უზბეკეთისადა ყირგიზეთის სსრ-ში“ (მუდმივად... 1999).

ცხადია, ასეთ პირობებში საბჭოთა ხელისუფლება ვერ შეეგუებოდა ამ რეგიონში მუსლიმანური ფაქტორის და თურქული ანთროპონიმიის ხანგრძლივად შენარჩუნებასაც. ამის შესახებ წერს არაერთი მკვლევარი: „ჩანს, რომ ხოჯების ნაწილი ანგარიშს უწევდა **დროის მოთხოვნებს და**

ცდილობდა ადაპტირებას შესაბამის რეალობასთან ... სწორედ პროგრესულად მოაზროვნე ხოჯებს შორის გამოირჩეოდა რასიყ ბერიძე, რომელიც მორწმუნეებს განუმარტავდა, რომ **მუსლიმანური სახელის გამოცვლა ცოდვა არ არის"** (ფუტკარაძე, 2013:14). 1940-50-იან წლებში ამ მიმართულებით უამრავი ნაბიჯი გადაიდგა. ამ პერიოდში არაერთი ოფიციალური თუ არაოფიციალური დოკუმენტი იქნა მიღებული, რომელთა მიხედვითაც ნათლად ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობდა პიროვნული სახელების გამოცვლის პროცესი. ასე მაგალითად, „საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის აჭარის განყოფილებასთან არსებული პარტიული ორგანიზაციის 1953 წლის 2 თებერვლის სხდომაზე (ოქმი №1) განიხილეს შემდეგი საკითხი: *„ჰოეტ ხემიდ იშიღის ძე ხალვაშის განცხადება სახელის შეცვლის შესახებ"*. მოისმინეს: *„ამხ. ხალვაშმა სახელი „ხემიდი" შეიცვალა სახელით ,,ფრიდონი". განცხადებას თან ერთვის მმაჩის ბიუროს სათანადო ცნობა".* დაადგინეს: *,,ეთხოვოს სკკპ ბათუმის საქალაქო კომიტეტს, რომ ამხანაგ ხემიდ ხალვაშის სახელის შეცვლასთან დაკავშირებული სათანადო ცვლილებები შეიტანოს მის პარტიულ დოკუმენტებში"* (ასს, ცსა. ფ-P-330, ა-1, ს-1, გვ.4). შედეგად ბატონ ფრიდონს შერჩა **ორი სახელი** - ხემიდი და ფრიდონი.

პარტიული და სახელმწიფო თანამდებობის პირებისგან ითხოვდნენ არა მხოლოდ სახელის, არამედ მამის (ცხადია, ცოცხალის) სახელების გამოცვლასაც, თუმცა ბევრი მათგანი საკუთარი სურვილით დგამდა ამ ნაბიჯებს. ცხადია, უკვალოდ არ გამქრალა მათი ძველი სახელებიც. ისინი არაოფიციალურ, ოჯახურ და საახლობლო წრეებთან საკომუნიკაციო სფეროში გადავიდა. სწორედ ამან შექმნა **ორსახელიანობის** ფენომენი, ოღონდ განსხვავებული სახით: ეს არის არა „სულხან-საბას" და „ლაშა-გიორგის" ტიპის კომბინირებული ან სახელი-მეტსახელის ფორმულით მოქმედი მეტსახელები, არამედ **ერთი პიროვნების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე, სხვადასხვა საკომუნიკაციო სივრცეში და ამასთანავე ერთდროულად მოქმედი ორი პიროვნული სახელი.**

როგორც ჩვენი კვლევის მასალები გვიჩვენებს, ოსმალო დამპყრობლებისგან განთავისუფლების შემდეგ აჭარაში თურქული გვარსახელებიდან ქართულზე გადასვლის პროცესი გაცილებით სწრაფად წარიმართა და ფაქტობრივად 1920-იან წლებში დასრულდა. პიროვნული სახელების ტრანსფორმაციის პროცესი კი 1960-იან წლებამდე გაგრძელდა.შესაბამისად ორსახელიანობის მოვლენა სწორედ ამ პერიოდიდან მკვიდრდება, რაც ნათლად ჩანს, მაგალითად, 1922 – 1960 წლებში პედაგოგთა კორპუსის პიროვნულ სახელთა სურათის ცვლის სახით.

1922 წლის მონაცემების მიხედვით იმდროინდელ სასწავლო დაწესებულებებში ასწავლიდა 35 მასწავლებელი. მათგან აბსოლუტურად ყველას მუსლიმანური პიროვნული სახელი ერქვა, რომელთაგანაც 12 „ეფენდი" კომპონენტის შემცველია: *ახმედ ეფენდი, ოსმან ეფენდი, მუსტაფა ეფენდი, აბდულ ეფენდი, იაყუფ ეფენდი, ალი ეფენდი, იაუზ ეფენდი* და სხვა (აცსა; ფ.178; აღ.1; საქ. 8.).

ანალოგიურია ვითარება 1927 წლის მონაცემების მიხედვითაც: ხულოს და რაიონის (შუახევთან ერთად) სკოლების 58 პერსონალიდან თითქმის ყველა მუსლიმანური სახელების და მამის სახელების მატარებელია: *ახმედ (ასლანის ძე, ისმაილის ძე, ალის ძე); იუნუს (დურსუნის ძე, მევლუდის ძე, ხუსნის ძე); მემედ (ემინის ძე, ესადის ძე, შამილის ძე); მუხამედ (უსუფის ძე, ხასანის ძე, ზაბითის ძე); ხასან (ბაირამალის ძე, ოსმანის ძე, სულეიმანის ძე); დემურალი (ზაბითის ძე; მამუდის ძე); ზექერია (მემედის ძე. ხუსეინის ძე); ისმაილ ასანის ძე;*

ისმაილ (?); ოსმან (ეუბის ძე, სულეიმანის ძე) და სხვა (ასს, ცსა, ფ.P-178;ა #1; ს. 84).

ვითარება რადიკალურად იცვლება 1940-1950-იან წლებში, კერძოდ, სწორედ ამ პერიოდიდან გადადის არაოფიციალურ (საოჯახო, სანათესავო) საკომუნიკაციო სივრცეში მუსლიმანური (თურქული) პიროვნული სახელები, რადგან მათ ცვლის ოფიციალური, ე.წ. ახალი სახელები. მაგალითად, საარქივო დოკუმენტში ,,ქედის და ხულოს სახელმწიფო პედსასწავლებლების IV კურსზე ჩასატარებელი სახელმწიფო გამოცდების ოქმი“ (1951 წელი) (ასს ცსა. ფ.№5, ა. №2, ს. №. 267) დაფიქსირებულია ქედის პედსასწავლებლის 21 და ხულოს პედსასწავლებლის 50 კურსდამამთავრებლის სახელები, გვარები და მამის სახელები. სურათი თითოეულ ამ სასწავლებელში ერთმანეთისგან განსხვავებულია.

ქედის პედსასწავლებლის 1951 წლის კურსდამამთავრებლების სახელებია: *ავთანდილ, აკაკი, გიორგი, გურამ, დავით, დურმიშხან, ვალერიან, ვახტანგ, ვლადიმერ, ზურაბ, იაშა, ილია, მიხეილ, ნოდარ, ნუგზარ, ოთარ, საშა, შალვა, შოთა;*

ქედის პედსასწავლებლის 1951 წლის კურსდამამთავრებელთა მამის სახელებია: *აბდული, ახმედი,* ***გიორგი, დავითი,*** *დემურალი, მემედალი, მემედი, მერჯანი, მეჯიდი, მირალი, მურადი, რამიზი, რეჯები, სადიყი, შეიდალი, შირინი, ხასანი, ხუსეინი.*

ხულოს პედსასწავლებლის 1951 წლის კურსდამამთავრებლების სახელებია: *ამირანი, ასლანი, აღალი, ახმედი, ბინალი, გიორგი, გურამი, ვახტანგი, ვლადიმერი, ლალი, მამია, მევლუდი, მუხამედი, ნიაზი, ნოდარი, ოთარი, სოფიო, შალვა.*

ხულოს პედსასწავლებლის 1951 წლის კურსდამამთავრებლების მამის სახელებია: *აღალი, ახმედი, დურსუნი, ემინი, ეუბი, ზაბითი, ზაქარია, ზექერია, ინუსი, ისკენდერი, ისმაილი, მევლუდი, მემედალი, მემედი, მურთაზი, მუხამედი, ნური, ოსმანი, რაღიბი, რეჯები, რიზა, სევფითინი, სულეიმანი, ქამილი, ყადირი, შახველედი, შეიდალი, ხასანი, ხუსეინი, ჯივანი, ჰაიდარი.*

ქედის რაიონის 51 სკოლაში 1951 წელს მუშაობდა 119 მასწავლებელი, რომელთა 77 სახელიდან 45 (57%) მუსლიმანურია: *აბდულ, აიშე, ალი, ალიოსმანი, ასიე, აქიფი, ახმედი, დურსუნი, ელმასი, ენვერი, თუნთული, ისკენდერი, ისმეთი, იუსუფი, მევლუდი, მელექი, მემედი, მეხფულე, მინერი, მიქაილი, მოედინი, ნიაზი, ომერი, ოსმანი, რამიზი, რასიმი, რეჯები, რიზალი, სალიხი, სულეიმანი, უზეირი, ფადიმე, ფერიდე, ფოათი, ქაზიმი, ქემალი, შერიე, შუქრი, ხასანი, ხემიდი, ხუსეინი, ხუსნი, ჯელილი.* (ასს ცსა. ფ.№5, ა. №2, ს. №. 271)

ხულოს რაიონის სკოლების მასწავლებელთა (1951 წელი) 75 პიროვნული სახელიდან მუსლიმანურია 44 – *აბდული, აიშე, ალი, ალიოსმანი, ასიე, აქიფი, ახმედი, დურსუნი, ელმასი, ენვერი, ისკენდერი, ისმეთი, იუსუფი, მავილე, მევლუდი, მელექი, მემედი, მეხფულე, მინერი, მიქაილი, მოედინი, ნიაზი, ომერი, ოსმანი, რამიზი, რასიმი, რეჯები, რიზალი, სალიხი, სელვა, სულეიმანი, უზეირი, ფადიმე, ფერიდე, ფოათი, ქაზიმიი, ქემალ, შერიე, შუქრი, ხასანი, ხემიდი, ხუსეინი, ხუსნი, ჯელილი.* (ასს ცსა. ფ.№5, ა. №2, ს. №. 272).

აღარ გავაგრძელებთ საარქივო მასალების მოშველიებას. აშკარაა, რომ აჭარაში ორსახელიანობის ფენომენი მყარად იკიდებს 1940-1950-იან წლებში, მას შემდეგ რაც იწყება მუსლიმანური პიროვნული სახელების გადარქმევის და პარალელურად ბავშვებისთვის დაბადებისთანავე ერთდროულად ორი (მუსლიმანური და არამუსლიმანური) სახელის დარქმევის პროცესი. ცხადია, საარქივო მასალებში არ ფიქსირდება ის

არაოფიციალური მუსლიმანური პიროვნული სახელები, რომლებმაც ახალი სახელის დარქმევის შემდეგ გადაინაცვლეს არაოფიციალურ საკომუნიკაციო გარემოში. სამაგიეროდ ამ სურათს ნათლად წარმოაჩენს ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვის მასალები. მოვიშველიებთ ფრაგმენტს ამ მასალებიდან, რომელიც ასახავს ამ კონკრეტულ პრობლემას (მთხრობელთა სტილი დაცულია):

- **„ ... რომან ბეჟანიძე, 34 წლის (შუახევი, ჭვანა):** „ორსახელიანობა ჩვენ ოჯახშიც იყო, დედასაც აქვს და მამასაც მეორე სახელი, მაგალითად დედას ***ნაზიბროლა და აიგული*** ჰქვია. აიგულს ოჯახში ვეძახით, ოფიციალურ დოკუმენტებით კი ნაზიბროლა სწერია. ახლა, ძირითადად ქართულ სახელებს ვარქმევთ“.
- **ვარდო შანთაძე, 56 წლის (ხულო, ოქრუაშვილები):** ოჯახში ბევრს აქვს მეორე სახელი, დედას ერქვა ***გუგული და გუნეში,*** გუგული იყო ოფიციალურად, ოჯახში და ნათესავები გუნეშს ვეძახით, მამას არ აქვს მეორე სახელი, ნევზეთი ჰქვია და ასეა ოფიციალურ დოკუმენტებშიც. ჩემს ქმარს ***რევაზი*** ჰქვია ოფიციალურად, თუმცა ყველა ***ხასანს*** ეძახის“.
- **თენგიზ თავართქილაძე, 57 წლის (ხულო, ოქრუაშვილები):** ,,სოფელში ახალდაბადებულს თითქმის ყველა ქართულ სახელს არქმევს, მუსლიმური სახელები ოფიციალურად იშვიათად შეგხვდება, თუმცა ოჯახში ეძახიან. ალბათ ტრადიციაა და მაგიტომ. მე ორი სახელი მაქვს, ***თენგიზი და ჯემალი.*** მამას ჯემალის დარქმევა უნდოდა და რადგანაც ოფიციალურად ვერ დამარქვა ასე შემრჩა მეორე სახელად. ოფიციალურად თენგიზი ვარ“.
- **ნუგზარ ქედელიძე, 32 წლის (ხულო, ქედლები):** „ჩემი ***მეორე სახელი მუხამედია,*** ზოგი ***ნუგზარს*** მეძახის, ზოგიც კი ***მუხოს.*** მუხოს უფრო ოჯახში მეძახიან, ოფიციალურად ნუგზარი ვარ, ახლა აღარაა სოფელში მეორე სახელის დარქმევა წესად, ჩემს ბავშვობაში გამიგია, რომ ***მუსლიმური სახელის დარქმევა მადლი იყო*** და ამიტომ გვეძახდენ ოჯახში მუსლიმურ სახელებს“.
- **თამაზ ჯორბენაძე, 48 წლის (ხულო, ქედლები):** „ოჯახში მუსლიმანური სახელი აუცილებლად უნდა ყოფილიყო, დედას ***ემინეს*** ვეძახით, ოფიციალურად ***თამარაა,*** მამის არაოფიციალური სახელი ***ჯემალია,*** გატარებულია ***ოთარი.*** მე ***უსუფი*** მქვია ოფიციალურად და ***თამაზის*** მეძახის ყველა“.
- **მამია კახაძე, 48 წლის (ხულო ბეღლეთი):** „ჩემი მეორე, არაოფიციალური სახელი ***მევლუდია,*** დედაჩემს ***გულიკო და ფატყუმე ჰქვია.*** ფატყუმეს სახლში ვეძახით, ოფიციალურად გულიკოა. ახალ თაობაში აღარაა ორსახელიანობა“.
- **ჯამბულ კახაძე, 46 წლის (ხულო. ბეღლეთი):** „თუ მუსლიმანურ დღესასწაულზე დაიბადება ბავშვი, მას აუცილებლად უნდა დაერქვას რელიგიური სახელი, იტყოდნენ მადლიან დღეს არის დაბადებულიო“.
- **ნუგზარ სოლომონიძე, 57 წლის (ხულო, ღურტა):** „ჩემი მეორე, არაოფიციალური სახელი ***სელიმია,*** მეორე სახელი, რომელიც რელიგიურია, უფრო კაცებს აქვთ, ვიდრე ქალებს, მიზეზი, თუ რატომ, არ ვიცი“.
- **ამირან თავართქილაძე, 78 წლის (ხულო, ოქრუაშვილები):** „ქაზიმი მერქვა, მანამდე ვიდრე სკოლაში შევიდოდი, სკოლაში, რომ შევედი ამირანი დამარქვეს, ასე შემრჩა ორი სახელი“.
- **მედიკო დეკანაძე, 48 წლის (ხულო, დეკანაშვილები):** „ოჯახში დედ-მამას მეორე, არაოფიციალური სახელი აქვს და ყველა ამ სახელს ეძახის. დედას ოფიციალურად ***შუშანა,*** არაოფიციალურად ***შადიე,*** მამას ოფიციალურად ***ომარი,*** არაოფიციალურად ***აბდული*** ქვია. ახლა თანამედროვე სახელებს

ვარქმევთ, ჩემს შვილებს მარიკა და მამუკა დავარქვი“.“ (ბარამიძე, 2021; 116-118).

- **თემურ ავალიანი, 59 წლის (ქედა, დანდალო)** – „მამაჩემს ხუსნი ერქვა, ის ხშირად იგონებდა, როგორ დაიბარეს 1948 წლის ერთ მშვენიერ დღეს თემის საბჭოში და უთხრეს, სახელი უნდა გამოიცვალოო. დაირქვა ნოდარი. სიცოცხლის ბოლომდე და-ძმები და მისი თაობის ახლობლები ხუსნის ეძახდნენ. ასეთი შემთხვევა ჩემს სანათესაოში უამრავია: შოთა მგელაძეს ხემიდი ერქვა, შალვა ავალიანს - შევქეთი, გივი ავალიანს - ფოათი, ოთარ ავალიანს - ხემიდი და ა.შ.“

ამრიგად, მსოფლიოს ხალხთა ანთროპონიმული სისტემებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური მოვლენა - ორსახელიანობა საკმაოდ საინტერესოდ და თავისებურად არის წარმოჩენილი ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის ზემოთ აღნიშნულ კონკრეტულ ეტაპზე, რაც განაპირობა ძირითადად პოლიტიკურმა ფაქტორმა, რომელიც, თავის მხრივ, გადაეჯაჭვა რელიგიურ ფაქტორს და შედეგად მივიღეთ ორი, არათანაბარი საკომუნიკაციო დატვირთვის მქონე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პიროვნული სახელი: ოფიციალური (არამუსლიმანური, სახელმწიფო დოკუმენტებში დაფიქსირებული, ფართო საზოგადოებრივ საკომუნიკაციო სივრცეში მოქმედი) და არაოფიციალური (მუსლიმანური, საოჯახო და სანათესაო წრეების საკომუნიკაციო სივრცით შემოფარგლული). პროცესი გაგრძელდა მომდევნო წლებშიც, ოღონდ განსხვავებული გზით: ბავშვს უკვე დაბადებისთანავე არქმევდნენ ამ ორ სახელს.

LINGUISTICS

ON SOME SOCIOLINGUISTIC FACTORS OF BILINGUAL NOMINATION (BASED ON THE EXAMPLE OF THE ANTHROPONYMIC PROFILE OF UPPER AJARA)

TEMUR AVALIANI
e-mail: temur.avaliani@bsu.edu.ge

Batumi Shota Rustaveli State University

EKATERINE BARAMIDZE
Doctor of Philology

The authors of the paper discuss specific sociolinguistic factors for establishment of the phenomenon of bilingual name-giving in the anthroponymy of Upper Ajara which was the case in 1922-1960. The researchers note that the universal phenomenon characteristic to the anthroponymic systems worldwide such as dualism demonstrates interesting and peculiar characteristics in the anthroponymic profile of Upper Ajara at that particular stage of transformation. This was mainly due to the political factor, in particular, the strict policy pursued by the USSR along the border in Adjara since the 1940s after the USSR and Turkey formed the opposite hostile camps. All these factors, in turn, were intertwined with the religious factor, and as a result, the common

practice was to give two individual personal names that have unequal communication purpose: one was an official non-Muslim name recorded in state documents, operating in the broad public communication space and another one was an unofficial Muslim name used in households and families.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ავალიანი და სხვ..., 2019 -** ავალიანი თემურ, ბარამიძე ეკატერინე. გვარის განშტოებათა ზოგიერთი სახელწოდების შესახებ ზემო აჭარაში//საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო ცენტრი. შრომები. V. ბათუმი. 2019. გვ. 214-226;
2. **ბარამიძე, 2021** - ბარამიძე ეკატერინე. „ანთროპონიმია სამყაროს ენობრივ სურათში და მისი დინამიკა (ზემო აჭარის მაგალითზე)." სადოქტორო დისერტაცია. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_15357_1.pdf.
3. **ვაშაკიძე, 2008** -ვაშაკიძე ია. ეროვნული თვითობის აღორძინების საკითხი აჭარაში ფრიდონ ხალვაშის რომანის - „ომრის" მიხედვით. /ქართველური მემკვიდრეობა. XII. 2008. https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/issues/XII/VashakidzeIa.pdf
4. **კირთაძე, 2009** - კირთაძე დარეჯან. საკუთარი სახელი ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებში. თსუ. 2009. https://www.tsu.ge/data/file_db/disertaciebi/Kirtadze.pdf.
5. **მელიქიძე, 2018 -** მელიქიძე ნათელა. თურქული ლექსიკა ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმიაში. XXXVIII რესპუბლიკური დიალექტური კონფერენციის მასალები. თბილისი, 2018.
6. **მუდმივად... 1999** - Page 1 -18 - „მუდმივად სამშობლოს ძიებაში (მესხეთიდან დეპორტირებულები". განთავსებულია ვებ გვერდზე: http://www.ca-c.org/journal/cac-02- 1999/st_19_mamulija.shtml.
7. **ფუტკარაძე, 2013** - ფუტკარაძე თამაზ, სურმანიძე მზია. რელიგიური ორგანიზაციები და თემები 1940-1950-იან წლებში (რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულის ფონდში დაცული დოკუმენტების მოკლე მიმოხილვა)//რელიგიური ორგანიზაციები და თემები 1940-1950-იან წლებში (დოკუმენტების კრებული) II. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო. „უნივერსალი". თბილისი. 2013 http://adjara.gov.ge/uploads/Docs/3986b08bd54f4af7a265a1167eb1.pdf

საარქივო მასალები

1. **ასს ცსა. ფ.№1 P-178; ა. №1; საქმე №84**. მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა 1927 წლის 15 დეკემბრისთვის
2. **ასს ცსა. ფ.№5, ა. №2, ს. №. 267** - ,,ქედის სახელმწიფო პედსასწავლებლის IV კურსზე ჩასატარებელი სახელმწიფო გამოცდების ოქმი". 1951
3. **ასს ცსა. ფ.5, ა. 2, ს. 271.** ,,ქედის რაიონის სკოლების მასწავლებელთა შტატი 1951 წელს".
4. **ასს ცსა. ფ-5, ა-2, ს-272** - ,ხულოს რაიონის სკოლების მასწავლებელთა შტატები". 1951
5. **ასს, ცსა. ფ-P-330, ა-1, ს-1** „საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის აჭარის განყოფილებასთან არსებული პარტიული ორგანიზაციის კრებების ოქმები"

იუბილე

გამოჩენილი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი მიხეილ მახარაძე - 75

ნოდარ ბარამიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ქართული ფილოსოფიური სკოლის აღიარებულ წარმომადგენელს, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს – პროფესორ მიხეილ მახარაძეს 2021 წლის 13 ნოემბერს უსრულდება საიუბილეო თარიღი – დაბადებიდან 75 წელი. ღვაწლმოსილი შემოქმედი ხელდამშვენებული ხვდება თავის საიუბილეო თარიღს, რის დასტურიცაა მისი 32 წიგნი (სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომები, ლიტერატურული და პუბლიცისტური კრებულები, თარგმანები), მათ შორის 11 მონოგრაფია, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, ათეულობით კრიტიკული სტატია და რეცენზია, 500-მდე პუბლიცისტური წერილი და სხვ.

მიხეილ მახარაძე დაიბადა 1946 წლის 13 ნოემბერს ხულოს რაიონის სოფელ ფაჩხაში ადრეულ ასაკში გარდაცვლილი პედაგოგის - ქაზიმ მახარაძის (1925-1949) ოჯახში. 1964 წელს დაამთავრა ყინჩაურის საშუალო სკოლა. 1965-1970 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ფილოსოფიის სპეციალობით. 1979 წელს დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გერმანული ენის განხრით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის (1997 წლიდან სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი) ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებაში. 1978 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1989 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე - „არეოპაგიტიკის ფილოსოფიური შინაარსი“. ის პირველი მეცნიერებათა დოქტორია ხულოს რაიონიდან.

აკადემიკოს შალვა ხიდაშელის გარდაცვალების შემდეგ მ. მახარაძე 1994-2006 წლებში ხელმძღვანელობდა ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებას. ფილოსოფიის ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ, 2007-2010 წლებში იყო ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და ჟურნალ „მაცნეს“ ფილოსოფიის სერიის მთავარი რედაქტორი.

1992-2006 წლებში მ. მახარაძე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დარგში ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი. 2000-2006 წლებში ამავე უნივერსიტეტის პროფესორი. სამი ათეული წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ტბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და დედაქალაქის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. 2013 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორია. ხელმძღვანელობს ფილოსოფიის პროგრამულ მიმართულებას. იყო და არის არაერთი ასპირანტისა და დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი.

მ. მახარაძე ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას. მისი კვლევების მთავარი სფეროებია: ქართული და შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, რენესანსის, ჰუმანიზმის და ქართული რენესანსის საკითხები, კულტურის ფილოსოფია.

მ. მახარაძის ფილოსოფიური ნაშრომებიდან აღსანიშნავია: “არეოპაგიტიკის ფილოსოფიური წყაროები” /1983/, “არეოპაგიტიკის ფილოსოფიური პრობლემები” /1986/, “წერილები ქართულ ფილოსოფიაზე” /1988/, “философское содержание ареопагитики” /1991/, “ძიებანი ქრისტიანული ფილოსოფიის ისტორიაში” /1999/, “რენესანსი, ჰუმანიზმი და ქართული რენესანსის საკითხები” /2009/, “არეოპაგიტიკა” /2011/, “ფილოსოფიური ეტიუდები” /2015/, “ძიებანი ქართული ფილოსოფიის თემებზე” /2015/, “თანამედროვე ქართული ფილოსოფია. ნარკვევები” /2020/, “ფილოსოფია მოზარდთათვის” /მე-4 გადამუშავებული და გაფართოებული გამოცემა. 2020/, “შალვა ხიდაშელი” /2021/.

მ. მახარაძის ქართულ ენაზე გამოცემული ნაშრომები ქართულ ფილოსოფიასა და არეოპაგიტიკაზე ინახება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკაში, კოლუმბიისა და ჰიუსტონის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში.

მისი სამეცნიერო ნაშრომები მშობლიური ქართულის გარდა, გამოქვეყნებულია რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და უკრაინულ ენებზე. მათ შორის ისეთ პრესტიჟულ გამოცემაში, როგორიცაა სამსაუკუნოვანი – „ბრილი“ /აშშ/ (2002 და 2014) და, აგრეთვე, ნიუ-ორკის ერთ-ერთ პრესტიჟულ გამოცემაში.

მ. მახარაძემ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ნეოპლატონიზმის, არეოპაგიტული მოძღვრების, იოანე პეტრიწის ფილოსოფიისა და რენესანსის საკითხების შესწავლა-დამუშავებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია:

1. ქართულ მეცნიერებაში (და არა მხოლოდ ქართულში) მან პირველმა ყოველმხრივ გამოიკვლია არეოპაგიტიკა, რომელიც რენესანსის მთავარ მსოფლმხედველობრივ წყაროდ ითვლება, კერძოდ: არეოპაგიტიკის წყაროები, მისი ფილოსოფიური შინაარსი და გავლენები ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაზე; ცხადად აჩვენა თუ რის საფუძველზე შეიძლება ჩაითვალოს არეოპაგიტული მოძღვრება რენესანსის მთავარ მსოფლმხედველობრივ წყაროდ.

მანვე თავისი ნაშრომებით გააძლიერა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია, რომლის თანახმადაც, არეოპაგიტიკული თხზულებების ნამდვილი ავტორია ქართველი საეკლესიო მოღვაწე პალესტინაში – პეტრე იბერი (411-491).

2. იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში გამოკვეთა სამი ორიგინალური პუნქტი, რომლებიც არ გვხდება სხვა ფილოსოფოსებთან, კერძოდ: 1. ღმერთისა და მატერიის მსგავსება ერთიანობის თვალსაზრისით; 2. ღმერთში არსებათა უკუ-დაბრუნება მისკენ მისწრაფების ჩაუქრობელი სურვილით; 3. შედეგიდან მიზეზის წარმოუშობლობა, რაც 4 საუკუნის შემდეგ დეკარტთან ღმერთის არსებობის დასაბუთების არგუმენტის საფუძველი გახდა..

3. პირველად მის მონოგრაფიაში - “რენესანსი, ჰუმანიზმი და ქართული რენესანსის საკითხები” (2009) გადმოცემულია რენესანსის პრობლემატიკა სრულყოფილად. ამასთან, ლაკონურობით, სიცხადითა და ნათელი სტილის გამო, ეს ნაშრომი სტუდენტების სახელმძღვანელოდაც გამოიყენება.

გამორჩეული და განსაკუთრებულია მ. მახარაძის ხელმძღვანელობით მომზადებული და ორჯერ გამოცემული ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია ოთხ ტომად (პირველი

გამოცემა – 1996-2010 წლები, მეორე – 2013 წ.), რისთვისაც 2011 წელს მას მიენიჭა ქართული მეცნიერების უმაღლესი ჯილდო – **ეროვნული პრემია მეცნიერებაში.**

2009 წელს მ. მახარაძეს წიგნისთვის – "ფილოსოფია, პოლიტიკა, მცირე პროზა" (2004) მიენიჭა აკად. **შალვა ნუცუბიძის სახელობითი პრემია ფილოსოფიაში.**

1993 წლიდან მ. მახარაძე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მისი მოთხრობები, ნოველები და ჩანახატები გამოქვეყნდა ცალკე წიგნად სათაურით - "მერიემი" (2020). მასვე ეკუთვნის წერილები შოთა რუსთაველის, დავით კლდიაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ფრიდონ ხალვაშის, ზურაბ გორგილაძის, ჯემალ ქათამაძის და, აგრეთვე, გამოჩენილი უცხოელი მწერლების - თომას მანის, ჰალდუნ თანერისა და მაქს ფრიშის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტებზე.

მ. მახარაძე ეწევა აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას. ამ მიმართებით გამოქვეყნებული ნაშრომებიდან აღსანიშნავია კრებული – "ავანტიურა აჭარის სახელით", რომელსაც 2004 წელს მიენიჭა **სახელმწიფო პრემია ლიტერატურის, ხელოვნების და არქიტექტურის დარგში (პუბლიცისტიკა).**

მეტად მნიშვნელოვანია მ. მახარაძის წვლილი ისეთ სერიოზულ გამოცემაში, როგორიცაა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა" (2007-2012 წლები, 4 ტომად). ცნობილი ქართველი მეცნიერების მიერ გამოსაცემად გამზადებული ოთხტომეული გაუგებარი მიზეზების გამო 12 წელი თაროზე იყო შემოდებული. მისი გამოცემა განხორციელდა ბატონ მიხეილის ინიციატივით. მისივე ძალისხმევის შედეგია სათაურიც და მანვე აქტიური მონაწილეობა მიიღო მეოთხე ტომის რედაქტირებაში.

მ. მახარაძემ თავი გამოიჩინა პოლიტიკურ ასპარეზზეც. ის აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში. 2004-2008 და 2008-2012 წლებში იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორი მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრი, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. 2012 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ნოემბრამდე საქართველოს პარლამენტის წევრია.

ასეთი საზოგადოებრივი დატვირთვის მიუხედავად, მ. მახარაძეს ოდნავადაც არ შეუნელებია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, პირიქით, ბევრი მნიშვნელოვანი საქმე განახორციელა მან სწორედ სახელმწიფო სამსახურში ყოფნის პერიოდში, რითაც ნათლად აჩვენა, რომ საქვეყნო საქმეების კეთება, კეთილ ნების შემთხვევაში ყოველთვის და ყველა პოზიციიდან შეიძლება, თანამდებობა კი მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი.

მ. მახარაძე დაჯილდოებულია: ღირსების (2004 წ.), ვახტანგ გორგასალის I ხარისხისა (2007 წ.) და ბრწყინვალების საპრეზიდენტო (2012 წ.) ორდენებით. პატრიარქისგან მიღებული აქვს საჩუქრად ძოწით შემკული ჯვარი.

2019 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ – ფილოსოფიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის, მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, პროფ. მ. მახარაძე დააჯილდოვა იუნესკოს მიერ დაწესებული საპატიო სიგელით.

მიხეილის წარმატებებთან ასოცირდება, მისი ცხოვრების აწ გარდაცვლილი მეგობარი – ქალბატონი ციალა დავითაძე, უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, ოთხი შვილის აღმზრდელი დედა.

ასეთია, მოკლედ მიხეილ მახარაძის – მრავალმხრივი შემოქმედის, ფილოსოფიის ჭეშმარიტი პროფესორის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზა, რომელიც დღესაც წარმატებით გრძელდება. ვუსურვოთ მას ხანგრძლივი სიცოცხლე ჩვენი მეცნიერების, ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ.

მიზანსწრაფული სიცოცხლის დასანანი დასასრული

რაოდენ სამწუხაროა, რომ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, პროფესორი, პაატა გიორგაძე, ეს უჩვეულო პიროვნება აღარ არის ამ ქვეყნად. პაატა ისეთი ხასიათის ადამიანი იყო, ღრმა მოხუცებულიც რომ წასულიყო წუთისოფლიდან მაინც უდროო იქნებოდა მისი გარდაცვალება, მაგრამ ამ ასაკში (61 წლის) და იმ დროს, როცა მის არაჩვეულებრივ ენერგიას შენელების ნიშანიც არ ეტყობოდა?! სწორედ რომ გამაოგნებელი იყო მისი ასე ელვასავით წასვლა! რამდენის გაკეთება შეეძლო კიდევ მეცნიერებისათვის, მისი სათაყვანებელი დედასამ-შობლოსათვის.

საბედნიეროდ, უამრავ ღირსეულ და საინტერესო ადამიანებთან მქონი ურთიერთობა, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩემს მეხსიერებაში. ერთ-ერთი მათგანი პაატა გიორგაძეა...და საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამა სოფლიდან წასულთა მიერ დატოვებული ნათელი კვალი, იმედის სხივად, სამაგალითოდ რჩებათ ცოცხლად დარჩენილთ, მით უმეტეს, თუ გარდაცვლილი ყველაფრით: **გარეგნობით, სიკეთის ქმნის დაუცხრომელი სურვილით, უსაზღვრო კეთილშობილობით, კაცთმოყვარეობით, მოწოდებით გულმოწყალებისა და ჰუმანურობისადმი, ფართო და მრავალმხრივი განათლებით, ნათელი აზრით, გამჭრიახობითა და სიტყვის ელვარებით, მეცნიერებაში შეტანილი უდიდესი წვლილით, ქართველი კაცის თავისებურებებისა და დაუშრეტელი შემოქმედებით ნიჭიერების გამომხატველი ადამიანური თვისებებით და გულის სითბოთიც, სიკეთის ქმნის დაუცხრომელი სურვილით მრავალთაგან განსხვავებული პიროვნება იყო.** „...არავის ძალუძს ხორციელსა, განგებისა გარდავლენა“ - უთქვამს ბრძენ კაცს და ... ვაი, რომ მართლაც ვერავინ შეცვლის, ვერ დააბრუნებს წარსულს უკან, რადგანაც სამგლოვიარო პროცესია მიდის და მიაქვს ჩვენი დრო. მაგრამ კაცი მაინც იმით ინუგეშებს თავს, რომ სითბო და სიყვარული, რომელიც იყო და მერე თითქოს მთავრდება, უკვალოდ არ იკარგება, იგი ჩვენს შთამომავლობას გადაეცემა და გაგრძელდება.

მეამაყება, რომ ეს ჭეშმარიტად საოცარი და ფრიად ამაღლებული ბუნების ადამიანი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. იმედი მაქვს, რაც დრო გავა, იგი უფრო და უფრო წარმოჩნდება და ქართველი ერი სათანადოდ მიაგებს პატივს ამ ჭეშმარიტი მამულიშვილის სახელს.

მოწიწებით ვხრი თავს მისი ხსოვნის წინაშე.

. . .

ქართულ ტრადიციებზე გაზრდილი კაცის, პროფესორ პაატა გიორგაძის მთელი მისი მოღვაწეობა იყო თავის ხალხზე და თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის შრომა. თავისი განათლებით, ფიქრებით, განცდებით, დაუცხრომელი სურვილითა და მთელი არსებით იღვწოდა რათა მაქსიმალურად გამოევლინებინა თავისი შესაძლებლობანი, სიკეთე მოეტანა თავისი ხალხისათვის, გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება-გაუმჯობესებისათვის.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასების თანამედროვე მაკროეკონომიკური კვლევები, მთელ პლანეტაზე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე უმდიდრესი რესურსის, როგორც ზედაპირული, ასევე მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის პოტენციურად სასარგებლო ეკონომიკური მნიშვნელობის, მისი გონივრული გამოყენების, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და შრომის პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის, ასევე დარგის წარმოებაში ჩართული მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების, შრომის ინტენსივობის, ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედების და, რაც მთავარია, ქვეყნისათვის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემუშავების საკითხებზე, არ შესრულებულა იმდენი სამუშაო, არ მოგვეპოვება ისეთი მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები და კონცეფცია, როგორც ეს შეასრულა მრავალი შრომისა და გამოგონების ავტორმა, ქვეყნის სოციალური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის კონცეფცია-პროგრამის - „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტი-ტუციის“ ავტორმა, საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა პაატა გიორგაძემ.

სხვადასხვა საინფორმაციო გამოცემებში გამოქვეყნებულ მასალებში, არაერთი მკვლევარი და მეცნიერი ამტკიცებენ, რომ პროფ. პ. გიორგაძე ზემოთ მოტანილი პრობლემების არამარტო წამომწყები და კონცეფციის შემუშავების ორგანიზატორი იყო, არამედ მის საქმეს და მოღვაწეობას გვირგვინს ადგამს, მის პიროვნებას უკვდავყოფს ის, რომ იგი გვევლინება ჩვენი ქვეყნისათვის აუცილებელი და ყოველმხრივი, სრულფასოვანი პრობლემის მეცნიერებისა და სადირექტივო ორგანოების ყველაზე დონეზე, ასევე ფართო საზოგადოებაში როგორც იდეის განმხილველ-გამტარებელი.

პროფ. პაატა გიორგაძის მიერ კონფერენციებზე, შეხვედრებზე და საჯარო გამოსვლების პუბლიკაციების გამოცემას რამოდენიმე ტომი დასჭირდებოდა. იმისათვის, რომ ნათლად და არგუმენტირებულად გავერკვეთ მის ღვაწლსა და დამსახურებაში, ქვემოთ მოგვყავს მის მიერ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოუქვეყნებელი, ერთი საკმაოდ საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი - **„ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის განმსაზღვრელი რესურსული პოტენ-ციალის გამოვლენა, მისი მატერიალურ-სიმდიდრედ ფორმირება და ახალ ფინანსურ ინსტრუმენტად გამოყენების ინოვაციური გზები ხალხის საკეთილდღეოდ“**, რომლის მიზანია, დღევანდელი გადასახედიდან, მკითხველს, შეძლებისდაგვარად, დავანახოთ ჩვენი წარსული და დღევანდელობა. მასში ნათლად და თანმიმდევრობით გავეცნობით პროფ. პაატა გიორგაძის საფუძვლიან და ღრმა მეცნიერულ ნააზრევს, თუ როგორ სჯიდა და აანალიზებდა იგი ქვეყნის პრიორიტეტული დარგების განვითარების პოტენციურ შესაძლებლობებს, თანამედროვეობის სახელმწიფოებრივ პრობლემებს, ნათლად დავინახავთ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის და მუდმივად მზარდი მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის ყველაზე საიმედო პროგრესულ გზებს, პ. გიორგიძის რომანტიკულ იდეალებს, სამშობლოს სიყვარულს, მის სიძლიერეს, მის ბედნიერ მომავალზე, ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრებსა და ოცნებებს.

აკადემიკოსი ვანო პაპუნიძე

ეკონომიკა

საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის განმსაზღვრელი რესურსული პოტენციალის გამოვლენა მისი მატერიალურ სიმდიდრედ ფორმირება და ახალ ფინანსურ ინსტრუმენტად გამოყენების ინოვაციური გზები ხალხის საკეთილდღეოდ

პაატა გიორგაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: მსოფლიოში არცერთ ქვეყანას არ გადაულახავს ეკონომიკური კრიზისი და არ მიუღწევია თავისი განვითარების მწვერვალს ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების გარეშე. საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე ირიცხება მინერალური ნედლეულის 450-მდე საბადო. სასარგებლო წიაღისეულის საპროგნოზო რესურსების წარმოების რეკონსტრუქციის გზით ექსტენსიური განვითარებიდან ინტენსიურზე გადაყვნა მოითხოვს დიდძალ კაპიტალდაბანდებებს და დროის ხანგრძლივ პერიოდს, ხოლო გადახსნითი ქანებისა და წარმოების კომპლექსური გამოყენება დიდ ზიანს მიაყენებს ქვეყნის გარემოსა და მის ეკონომიკურ სისტემას. საქართველოში, მიუხედავად მდიდარი ბუნებრივი რესურსების მარაგებისა, არ არის საბადოები მსოფლიო დმარაგის დონით, გარდა მტკნარი წყლისა. დღეს, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უდიდეს საჭირბოროტო პრობლემას მტკნარი წყლის დეფიციტით გამოწვეული კრიზისი წარმოადგენს. მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ 1900 წლიდან 1995 წლამდე მსოფლიოში მტკნარი წყლის გამოყენება 6-ჯერ გაიზარდა, რაც 2,5-ჯერ აღემატება მოსახლეობის რიცხვობრიობის ზრდას. ამჟამად აფრიკის 14 ქვეყანა სასმელი წყლის უკმარისობას განიცდის. ვარაუდობენ, რომ 2025 წლამდე მას დაემატება კიდევ 11 ქვეყანა. საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმთავრესი პირობაა მის არეალში არსებული მტკნარი სასმელი წყლის რესურსები, როგორც ადამიანისათვის სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტი, რომლის პრიორიტეტულობას საქართველოს ეკონომიკაში განსაზღვრავენ შემდეგი ფაქტორები: ბუნებრივობა, სტაბილურობა, განახლებადობა, სიიაფე, არასეზონურობა, მაღალი ხარისხი და კონკურენტუნარიანობა, ასევე ყოველდღიური მზარდი მოთხოვნილება მსოფლიო ბაზარზე და დაბანდებული კაპიტალის უკუგების ხანმოკლე პერიოდი. სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების კაპიტალიზაციის ტექნოლოგიები; მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმების გამოყენება, მიწისქვეშა სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო მარაგებიდან (301 მ³/წმ-ში), როგორც ადამიანისათვის სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის მხოლოდ 0,75%-ის მატერიალიზება საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე სტრატეგიულ პარტნიორებთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად მიღ-წეული წინასწარ შეთანხმებული ორმხრივი საქმიანობის საფუძველზე - იძლევა, „სასმელი წყლის ინდუსტრიისა“ და ანაკლიაში დაგეგმილი პორტტერმინალის მშენებლობისათვის გათვალისწინე-ბული 2,1 მლრდ. აშშ დოლარით დაფინანსების რეალურ საშუალებას, რის მეშვეობითაც მივიღებთ საქართველოს შიდა სამრეწველო პროდუქციის ზრდის ეკონომეტრიულ მოდელს და იგი ჩვენი ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: მიწისქვეშა მტკნარი წყალი, მიწისზედა მტკნარი წყალი, ფასიანი ქაღალდები, ეკონომეტრიული მოდელი.

ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევისა და სახელმწიფო მიუმხრობლობის ეკონომეტრი

თანამედროვე ცივილიზაციის სამყაროში მაღალგანვითარებული სახელმწიფოების ეკონომეტრიკა ემყარება ორ უმთავრეს ფაქტორს: ადამიანის ინტელექტსა და რომელიმე ჭარბ ბუნებრივ რესურს.

მსოფლიოს არცერთ წარმატებულ ქვეყანას არ გადაულახავს ეკონომიკური კრიზისი და არ მიუღწევია ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის შეფასების მაღალი ინდექსისთვის ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების გარეშე.

საქართველოს ბუნებრივი რესურსები ეროვნული სიმდიდრეა, რაც ქვეყნის მწარმოებლური ძალების განვითარების მატერიალური საფუძველია. მის რაციონალურ და კომპლექსურ გამოყენებაზე დიდადაა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ეფექტიანობა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება.

საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე გამოვლენილია სასარგებლო წიაღისეულის ასობით საბადო: მოიპოვება ნავთობი, ქვანახშირი, ტორფი, ძვირფასი მეტალები ოქრო და მისი თანმდევი მაღალმოთხოვნადი როგორც მყარი ასევე მსუბუქი ნივთიერებები, თუთია, ვოლფრამი, ნიკელი, ბარიტი, კალცი, ბენტონიტური თიხები, ცეოლიტი, ტალკი, დიატომიტი, ანდეზიტი, კირქვები და დოლომიტი [1]. აღიარებულია სხვადასხვა მინერალური ნედლეულის 450-მდე საბადო. სასარგებლო წიაღისეულის საპროგნოზო რესურსების წარმოების რეკონსტრუქციის გზით, ექსტენსიური განვითარებიდან ინტენსიურზე გადაყვანა მოითხოვს წარმოების ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, მინერალური ნედლეულის მოპოვების, გადამუშავებისა და მოხმარების როგორც მაღალტექნოლოგიურ წარმოებას ასევე გრძელვადიანი ბალანსის შედგენას, რასაც დროის ხანგრძლივი პერიოდი და დიდი კაპიტალდაბანდება სჭირდება.

ამ გამოვლენილ სასარგებლო წიაღისეული საბადოებიდან ჩვენ მიერ ჩატარებული მაკროეკონომიკური კვლევების საფუძველზე დადგენილია რენტაბელური და არარენტაბელური საბადოების პროცენტული თანაფარდობა. რენტაბელური ანუ მომგებიანია ის საბადო რომლის დამტკიცებული სახელმწიფო მარაგები, **კვირაში ექვსი კალენდარული დღე ორცვლიანი სამუშაო რეჟიმზე გაანგარიშებით (დღ/ღ 16-სთ სამუშაო დრო. კვირა დღე დასვენება) აკმაყოფილებს 25-დან 75-წელზე მეტი დროით ინტენსიური წარმოების ციკლს რაც ჩვენი ქვეყნის წიაღისეული საბადოების მთლიანი მოცულობის 3/5 ნაწილს ე. ი. 40% შეადგენს. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ სხვადასხვა მინერალური ნედლეულის საბადოებიდან მხოლოდ ორ წიაღისეულ საბადოდანაა შესაძლებელი მარგანეცისა და ქვანახშირის მოპოვება დახურულ მიწისქვეშა სიღრმისეულ გვირაბებში, ხოლო ყველა დანარჩენი წიაღისეული საბადოების, ძვირფასი მეტალების ქვებისა და სხვა საამშენებლო მასალების სასარგებლო ნედლეულის მოპოვება გადამუშავება წარმოებს ზედაპირული ქანების გადახსნით და „ქვაბული“ ღია კარიერების მოწყობა აფეთქების გზით, რაც ანგრევს საქართველოს ეკოლოგიურ ლანდშაფტურ ბალანსს და საარსებო გარემოს უსპობს ჩვენს მომავალ თაობებს,** რამეთუ ნებისმიერი სახის საბადო, მარაგების ამოწურვისთანავე, მოითხოვს სარეკულტივაციო-მიწის აღდგენითი სამუშაოების (ღია კარიერების ამოვსება ჰუმუსოვანი ფენის შექმნით ან ინერტული მასალებით შევსება ექსპლუატაციაგამოვლილ დახურული ტიპის გვირაბებში) დაუყოვნებლივ წარმოებას **რაც გაცილებით მეტ-(10-15%) კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს** სასარგებლო წიაღისეულის რეალიზაციით მიღებულ მოგებასთან შედარებით.

ამრიგად, ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის დღის წესრიგში დგას ბუნებრივი რესურსების ბალანსიდან ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მთავარი ფაქტორის განმსაზღვრელი, საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია „წყალი ეროვნული სიმდიდრე" და პროგრამის „მითი ქცეული რეალობად" განხორციელების აუცილებლობა „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუციით".

პირადად ჩვენთვის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა და დღემდე წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას თუ როგორ უნდა შეგვემუშავებინა და პერსპექტივაში განგვეხორციელებინა ისეთი სტრატეგიები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნებოდა ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის განმსაზღვრელ ფაქტორებთან ერთად ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოს უსაფრთხო მიუმხრობლობის საკითხი. ამიტომაც გახდა საჭირო განგვესაზღვრა თუ რა მოთხოვნების წინაშე აყენებს კაცობრიობას 21-ე საუკუნე, ანუ უნდა შეგვესწავლა და დაგვედგინა მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნა მიწოდების კანონზომიერება. ჩატარებული გარკვეული კვლევების შედეგად აღმოჩნდა რომ *დღევანდელი საუკუნე არის წყლისა და პურის საუკუნე,* ადამიანის სიცოცხლისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან პროდუქტებზე, განსაკუთრებით სასმელ წყალზე, კატასტროფულად იზრდება მსოფლიო მოსახლეობის ყოველდღიური მოთხოვნილება. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ სასმელი წყლის გარეშე ადამიანი ცოცხლობს 11-დღეს ხოლო პურის გარეშე 42-დღეს და ამაზე ავაგეთ ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის განმსაზღვრელი ეკონომიკური „მატრიცა" რაშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია პორტერის „ეროვნული რომბის იდეას" და იგი უშუალოდ პასუხობს ქვეყნის წარმატების მისაღწევად ორ განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს „წარმატებულია ის ქვეყანა რომელსაც გააჩნია რომელიმე ჭარბი ბუნებრივი რესურსი ან მაღალინტელექტუალური საზოგადოება" მაგალითად იაპონიას ბუნებრივი რესურსი არ გააჩნია ჭარბად სამაგიეროდ მისი მოსახლეობა ორიენტირებულია მაღალტექნოლოგიურ და ენერგოეფექტურ ახლებურ მიდგომებზე ანუ აქ მიმდინარეობს ტექნოლოგიური სიახლეებისადმი უწყვეტი ინტელექტუალური ომი.

საქართველოს არეალში არსებული მინერალური რესურსების ეკონომიკური შეფასების თანამედროვე კვლევებით დასტურდება, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ზედაპირული, ასევე მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების რაციონალურ ათვისებას.

საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა წყლის რესურსებით, რომელსაც მდინარეები, ტბები, ჭაობები, მყინვარები და მიწისქვეშა წყლები შეადგენენ. საქართველოს მიწისქვეშა და ზედაპირული მტკნარი (დაბალი-მინერალიზაციის) წყლების რესურსული პოტენციალის, როგორც ხარისხობრივ რაოდენობრივი და რაც მთავარია, სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორია (სხვა უმთავრეს ფაქტორებთან ერთად) მდინარეების საერთო რაოდენობა (26 060) და მათი ჯამური სიგრძე რომელიც 58 957 კმ-ია [3].

ჯამური მოცულობით სასარგებლო წიაღისეულის მთლიანი სარესურსო ფონდის ფასების ინდექსი შეადგენს 15 850 405,0 მლრდ. აშშ დოლარს. მათ შორის მდინარეთა საერთო რაოდენობის 1/9 წყალამოდინების ადგილებში (1 კმ. რადიუსით) მტკნარი წყლის სახით ადამიანისათვის აუცილებელ სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტს ქმნის ფასების ინდექსით - 13 560 000,0

მლრდ აშშ დოლარი, ხოლო მიწისქვეშა სასმელი წყლები საექსპლუატაციო დასაშვები მარაგებით (301 მ3/წმ-ში) 2 277 000,4 მლრდ აშშ დოლარის მატერიალურ ღირებულებას, ხოლო მაღალმინერალიზებული სასმელ-სამკურნალო და სუფრის წყალი - 2 710,12 მლრდ აშშ დოლარს [2], ხოლო სხვა დანარჩენი გოგირდოვანი ტალახებისა და აირების სამკუნალო პროფილაქტიკური დანიშნულების სასარგებლო წიაღისეულის მატერიალური ღირებულება შეადგენს 10 694,48 მლრდ აშშ დოლარს. აღნიშნული და მრავალი სხვა სასარგებლო წიაღისეული საბადოების მატერიალურ სიმდიდრედ ფორმირების პერსპექტივები შესაბამისი ფასების ინდექსით გაიზრდება ჰიდროგეოლოგიური, სამთო გეოლოგიური და სამთო ქიმიური კვლევით-საძიებო სამუშაოების წარმოება-გაფართოების შედეგად სახელმწიფო მარაგების ზრდის პარალელურად.

ამრიგად, საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის სარესურსო ფონდის მაკროეკონომიკური მნიშვნელობის რესურსად მიჩნეულია მიწისქვეშა სასმელი წყლის საექსპლუატაციო მარაგების მატერიალური ღირებულება, ამიტომ, ზედაპირული მტკნარი წყლების მარაგებს ამ ეტაპზე არ განვიხილავთ.

საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმთავრესი პირობაა მის არეალში არსებული ბუნებრივი რესურსები, ხოლო ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ფაქტორთა განსაზღვრისას განსაკუთრებული ადგილი უკავია „ეროვნული რომბის“ იდეას, სადაც ერთ-ერთ ძირითად დეტერმინანტად აღებულია ჭარბი ბუნებრვი რესურსი, რომლის პრიორიტეტულობას საქართველოს ეკონომიკაში განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები: რესურსების ბუნებრიობა, სიუხვე, სტაბილურობა, განახლებადობა-კვლავწარმოება, სიიაფე, არასეზონურობა, მაღალი ხარისხი და კონკურენტუნარიანობა, მსოფლიო მოსახლეობის ყოველდღიური, წარმოუდგენლად მზარდი მოთხოვნილება სასმელ წყალზე. ასევე დაბანდებული კაპიტალის უკუგების ძალზე ხანმოკლე პერიოდი.

საქართველოს მიწისქვეშა სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების (მოძიებული) მთლიანი მარაგი **შეადგენს 573 მ³/წმ-ში,** ხოლო საექსპლუატაციო დასაშვები მარაგების რაოდენობაა - **301 მ³/წმ-ში (დღე-ღამეში 26 მლრდ. ლიტრი)**[1]

აღნიშნული რესურსი საშუალებას იძლევა ადამიანის დღიური ფიზიოლოგიური ნორმის **(2-2,5 ლიტრი)** გათვალისწინებით, დააკმაყოფილოს მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნილება **(7,4 მლრდ ადამიანი * 2,5 ლ/დღ.ღამეში = 18,5 მლრდ/ლ) 18,5 მლრდ ლიტრი** მტკნარი სასმელი წყლით, ყოველდღიურად, დაფასოებისა და ტრანსპორტირების რეალური შესაძლებლობის შემთხვევაში ისე, რომ არავითარი საფრთხე არ შეექმნას მის ბიოეკოლოგიურ გარემოს. მაგრამ დღეს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობიდან გამომდინარე **საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიას შეუფერხებლად შეუძლია აწარმოოს და გაატაროს 50 მლნ ტონა წლიური მოცულობის დაფასოებული სასმელი წყლის პროდუქცია** რაც საექსპლუატაციო დასაშვები მარაგების - **[301 მ³/წმ-ში (დღე-ღამეში 26 მლრდ. ლიტრის)] 0,75% ანუ 2,5 მ³/წმ-ში შეადგენს ე. ი. ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიულ წარმოებაში ვიყენებთ მხოლოდ 2,5 მ³/წმ-ში მარაგს და გამოუყენებელი გვრჩება {301 მ³/წმ-ში)-(2,5 მ³/წმ-ში)=298,5 მ³/წმ-ში} რაც ინდუსტრიული წარმოების პირობებში ქმნის ჩვენი ქვეყნის მატერიალურ სიმდიდრეს შესაბამისი ფასების ინდექსით** (იხილეთ მომდევნო თავის მაკროეკონომიკური კვლევები)-**{4}.**

დასაბუთებულია, რომ მტკნარი სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსული

პოტენციალი მრავალჯერ აღემატება საქართველოს მოსახლეობის შორეულ განჭვრეტად მოთხოვნილებას. უფრო მეტიც, ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, გამოუყენებული რჩება ჭარბი ბუნებრივი რესურსი **(301მ³/წმ.ში=26 მლრდ ლიტრს დღე-ღამეში)-(18,5 მსოფლიო მოსახლეობის ყოველდღიური ნორმა.)=7,5 მლრდ ლიტრი სასმელი წყლის რაოდენობით,** რომელიც თანამედროვე მსოფლიოს ყოველდღიურ მზარდ მოთხოვნილებას სრულად დააკმაყოფილებდა, მისი ფიზიკური გატანა-ტრანსპორტირება შესაძლებელი რომ იყოს [2] აქედან გამომდინარე, საქართველოს შეუძლია თავისი რეალური წვლილი შეიტანოს მსოფლიო მოსახლეობის სასიცოცხლო დანიშნულების აუცილებელი პროდუქტით უზრუნველყოფის უკვე გამწვავებული პრობლემის გადაწყვეტაში.

მტკნარი სასმელი წყლების რესურსები საქართველოს ტერიტორიაზე არათანაბრადაა განაწილებული: **67%** მოდის დასავლეთ საქართველოზე, ხოლო **33%** აღმოსავლეთ საქართველოზე.

საქართველოს ტერიტორიაზე წელიწადში **56,5 კმ³** წყლის ფორმირება ხდება, ტრანზიტული ჩამონადენი შეადგენს **9,3 კმ³-ს,** მდინარეთა ჯამური ჩამონადენი **65,8 კმ³-ს,** საშუალოდ ქვეყანაში 1 კმ²-ზე ფორმირდება **820 ათასი მ³ წყალი,** მოსახლეობის ერთ სულზე დასავლეთ საქართველოში **მოდის 19 ათასი** მ³, აღმოსავლეთ საქართველოში **5 ათასი მ³,** ანუ თითქმის 4-ჯერ ნაკლები [1].

შორეულ პერსპექტივაში, თუ საქართველოს მოსახლეობა მიაღწევს **10-11 მლნ-ს,** ასევე გაორმაგდება წყლის კომპლექსური მოხმარების ნორმა და ის გახდება **1მ³/ დღე-ღამეში,** ამ შემთხვევაში ჯამური მოთხოვნილება სასმელ-სამეურნეო წყალზე იქნება **10 მლნ მ³** დღე-ღამეში შესაბამისად -**115 მ³/წამში.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიწისქვეშა სასმელი წყლის საექსპლუატაციო დასაშვები მარაგების (301მ³ /წმ-ში) გამოყენების შესაძლებლობა 1,5–ჯერ აღემატება ქვეყნის (შორეულ) პერსპექტიულ მოთხოვნილებას. თუ ჩვენი მოსახლეობა 10 მლნ-მდე გაიზრდება, დაგვრჩება ჭარბი სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსი **186 მ³ /წმ-ში, შესაბამისად -16 მლრდ/ ლიტრი** დღე-ღამეში, რაც მსოფლიო მოსახლეობის ყოველდღიური ფიზიოლოგიური ნორმის უზრუნველყოფის სრული გარანტიაა[4;2].

აღსანიშნავია ისიც, რომ სულ მცირე 40-50 მლნ აშშ დოლარის კაპიტალდაბანდებათა მოცულობის ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოების ჩატარებით შესაძლებელია სამჯერ და მეტად გავზარდოთ მიწისქვეშა გრუნტის წყლების საექსპლუატაციო დასაშვები მარაგი. თუ რამდენად საჭიროა ამის გაკეთება ყოველივეს ნათელს მოჰფენს ქვემოთ მოყვანილი მაკროეკონომიკური კვლევები.

საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის რესურსული პოტენციალის მატერიალურ სიმდიდრედ ფორმირება და მისი ახალ ფინანსურ ინსტრუმენტად გამოყენების გზები.

ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება-განვითარება, ახალი ქართული სახელმწიფოს არსებობის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა.

2012 წლიდან პოლიტიკურ-ეკონომიკური მრავალწახნაგოვან სიტუაციაში ყოფნის მიუხედავად დღევანდელი ხელისუფლების მიერ დაძლეული და გადალახული იქნა წინა ხელისუფლებების მიერ ხელოვნურად შექმნილი ხელშემშლელი დაბრკოლებები. ამჟამინდელი მართველი გუნდის ძალისხმევის მიუხედავად ქვეყნის განვითარების სოციალური პარამეტრები მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის დეგრადირების პროცესის გაღრმავებას ადასტურებს.

ქვეყანაში დღეს არსებული რთული სოციალური მდგომარეობის დაძლევისა და ხალხის ინტერესების სასარგებლოდ ნაპოვნია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისიდან გამოყვანისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის უმოკლესი გზა.

ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ნახტომისებური განვითარების გარეშე წარმოუდგენელია ჩვენ მივაღწიოთ ჩვენი ყოფითი მდგომარეობის 1980-იანი წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგენელს.

თუ მომავალში ჩვენ მოგვიწევს საერთაშორისო ორგანიზაციების მითითებების უპირობო შესრულება და ქვეყნის ეკონომიკის დღევანდელ ზრდის ტემპის მაჩვენებლებს შევადარებთ მათთვის ყველაზე სანიმუშო ბოლო წლების მონაცემებთან, მაშინ ჩვენი ყოფითი მდგომარეობა რომ მიუახლოვდეს გასული საუკუნის 80-იანი წლების მდგენელს 50-იდან 60 წლამდე პერიოდი დაგვჭირდება ქვეყნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მისაღწევად. აღნიშნული სცენარით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები ყოვლად მიუღებლად მიაჩნია საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს და მათ მიერ გამოხატულ პროტესტს სამწუხაროდ იყენებენ ოპოზიციური ძალები ქართველი ერის ნების საწინააღმდეგოდ.

საქართველოს როგორც სუვერენულ განვითარებად სახელმწიფოს, დღეს ისე როგორც არასდროს, ჭირდება რომ „საზოგადოებას აღვუდგინოთ ერთიანობის განცდა დასახული მიზნის მისაღწევად“ სწორედ ამ მიზნით იქნა შემუშავებული ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები, რომლის თანახმად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფოს როლი გამოხატულია მარეგულირებელი ბერკეტების გამოყენებით ეკონომიკის ფუნქციონირების ხელშემწყობი გარემოს შექმნაში. ასევე, მეცნიერულადაა დასაბუთებული სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების შეჯერების საფუძველზე თუ როგორ დავძლიოთ სიღარიბე და შევქმნათ საშუალო ფენა, როგორ გავზარდოთ სახელმწიფო ბიუჯეტი და მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა. ყოველივე ეს მიიღწევა ჩვენ მიერ შემუშავებული მეცნიერულად შეჯერებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიული მნიშვნელობის 17-დარგობრივი მიმართულების კონცეფცია-პროგრამების პრაქტიკული განხორციელებით.

ბუნებრივი რესურსების მაკროეკონომიკური კვლევების საფუძველზე, გამოვლენილი და დამტკიცებულია ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის მქონე ერთ-ერთი რესურსული პოტენციალი მიწისქვეშა სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგების სახით, რომლის პრიორიტეტულობას საქართველოს ეკონომიკაში განსაზღვრავენ შემდეგი ფაქტორები: სასმელი წყლის ბუნებრივი-უნიკალური თვისებები, სიუხვე, სტაბილურობა, მაღალი ხარისხი, განახლებადობა-კვლავწარმოების უნარი, სიიაფე და მსოფლიო მოსახლეობის კატასტროფულად მზარდი მოთხოვნილება სასმელ წყალზე.

საერთაშორისო ექსპერტების მიერ დასაბუთებულია, რომ საქართველოს მიწისქვეშა სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგები ბევრად აღემატება 7,5 მილიარდიანი მსოფლიო მოსახლეობის წყალზე ყოველდღიური ბიოლოგიური მოთხოვნიოლების ნორმას (2-2,5 ლ/დღ.ღ). საექსპლუატაციო დასაშვები მარაგების რესურსული პოტენციალიდან (301მ³/წმ-ში) სასმელი წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელ ინდუსტრიაში, ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, გამოყენებულია მხოლოდ 2,5 მ³/წმ-ში წყლის რესურსი, რაც ორცვლიანი სამუშაო ციკლისა

და კვირაში ერთი უქმე დღის პირობებში, უზრუნველყოფს **50 მლნ.** ტონა წლიური მოცულობის პროდუქტის დაფასოება-რეალიზაციას. ამ მოცულობის პროდუქციით შესაძლებელია მსოფლიო სასმელი წყლის სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნილების მხოლოდ **5 დღით** უზრუნველყოფა. დღესდღეობით ამ ბაზარზე საფრანგეთი და იტალია დომინირებს, რომლებიც ადამიანისათვის სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტზე მოთხოვნილებას მხოლოდ **45 დღით** აკმაყოფილებენ და ისიც განვითარებულ მაღალი გადახდის უნარიან ქვეყნებში, ხოლო დანარჩენ პერიოდში **5** მლრდ ადამიანს ბუნებრივი სასმელი წყლის მკაცრი დეფიციტის პირობებში უწევს ცხოვრება. საფუძველი: გაეროს წყლის პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებები და გასატარებელი ღონისძიებათა გეგმები. წყლის გლობალური პარტნიორობის-**GWP,** წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის-**IMWR,** ორჰუსის-**ORHUS** და მსოფლიოს ადამიანის ფონდის-**FAO** დეკლარაციები და კონვენციები, **აშშ-ს ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მეცნიერ მკვლევართა დასკვნები მასზედ რომ 2015 წლიდან დედამიწის მოსახლეობის 2/3-ზე მეტი** სასმელი წყლის მკაცრ დეფიციტის პირობებში აღმოჩნდება.

ვინაიდან მაკროეკონომიკური კვლევებით დასტურდება რომ ჩვენი ქვეყანა ფლობს უნიკალური თვისებების მქონე ადამიანისათვის აუცილებელ სასიცოცხლო დანიშნულების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების რესურსულ პოტენციალს იგი მსოფლიო მნიშვნელობისაა და აქედან გამომდინარე საქართველო უნდა გახდეს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო სამომხმარებლო ბაზარზე გამტანი ერთ ერთი წარმატებული ქვეყანა.

რაც შეეხება ქართული პროდუქციისათვის მსოფლიოს სასმელი წყლის სამომხმარებლო ბაზარზე, ადგილის მოპოვებისა და ინდუსტრიული მშენებლობისათვის საჭირო თანხების მოზიდვას, იგი ემყარება **2009 წლის 9 იანვრის, ამერიკის შეერთებული შტატები-საქართველოს ქარტიას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რომელიც ადასტურებს პარტნიორობის გაღრმავებას ორი ერის საკეთილდღეოდ და მიზნად ისახავს თანამშრომლობის გაფართოებას ორმხრივი პრიორიტეტების ფართო სპექტრით და იგი ეფუძნება საერთო ღირებულებებს და საერთო ინტერესებს, მათ შორის: ეკონომიკური თავისუფლების განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკურ ზრდას, ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესებისა და ბაზარზე საქონლისა და მომსახურების დაშვების ხელშეწყობას.**

2007 წელს სტრატეგიულმა პარტნიორებმა საწყის ეტაპზე გამოთქვეს მზაობა საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული მშენებლობა დააფინანსონ 2,1 მლრდ დოლარით და თვითონვე უზრუნველყოფენ მზა პროდუქციის რეალიზაციას 24 ცენტ/ლიტრის ფასად, საქართველოს საზღვრებზე მიტანით. რასაც ადასტურებს ოფიციალური წერილები სანოტარო აქტებით (2007 წლის აპრილიდან იხ. ბიზნეს გეგმის მასალები და 2014-15 წლების ჩათვლით წერილების კრებული).

გარკვეული პერიოდის შემდეგ აღნიშნული ინდუსტრიული მშენებლობისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დაფინანსების თანხა გაიზარდა 3 მლრდ აშშ დოლარით. 3 მილიარდი აშშ დოლარის საინვესტიციო სესხის უკუგების პერიოდი **20-24 თვეა,** რაც საკმაოდ იშვიათია საერთაშორისო პროექტების პრაქტიკაში.

ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის ექსპლოატაციაში გაშვებიდან ერთი წლის

თავზე, მზა პროდუქციის 24 ცენტ/ლიტრის რეალიზაციის პირობებში, სახელმწიფოს ფულადი შემოსავლები გაიზრდება 12 მილიარდი აშშ დოლარით, ხოლო ბიუჯეტი შეივსება 2,5 მლრდ აშშ დოლარით, (საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1,5 წელიწადში აშენდება, 2-3 წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი საწარმოო ქარხანა, სულ ამუშავდება 190 საწარმო) სატრანსპორტო და საწარმოო ინფრასტრუქტურაში დასაქმდება შრომისუნარიანი მოსახლეობის ათეული ათასობით ადამიანი, საშუალო ხელფასით 1500 დოლარის ეკვივალენტით ლარში.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის სარეალიზაციოდ, შემუშავებულია ინდუსტრიული მშენებლობის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფისა და დაფასოებული მზა პროდუქტის მსოფლიო ბაზარზე გატანა-დამკვიდრების ინოვაციური მოდელი, რომლის არსი, მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის საექსპლუატაციო დასაშვები მარაგების კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენებასა და მსოფლიო კაპიტალის ბაზრის ფინანსური რესურსების ჩართვის მექანიზმშია ჩადებული. ის გულისხმობს საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე საქართველოს არეალში არსებული, ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ბუნებრივი სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგების, როგორც სასაქონლო-პროდუქტის, მატერიალიზებას (ემისიას) ფასიანი მომგებიანი ქაღალდების: აქციების, (ობლიგაციების-EVROBOND, თამასუქების-VEQSELIA) და სხვა ფასეულობების სახით, რომელიც ქმნის ქვეყნის მატერიალურ სიმდიდრეს ქვემოთ მოყვანილი ფასების ინდექსით:{4}

მიწისქვეშა სასმელი წყლის საექსპლუატაციო დასაშვები მარაგების 301 მ³/წმ-ში, 100%-ანი კაპიტალიზაცია იძლევა: 2 ტრლნ 277 მლრდ აშშ დოლარის მატერიალურ სიმდიდრეს და იგი ახალი ფინანსური ინსტრუმენტის მაფორმირებელი მსოფლიოს უმაღლესი კლასის საბანკო გარანტიაა.{4}

1] მიწისქვეშა წყლის რესურსების სრული კაპიტალიზაციის მოდელი იძლევა:

$I_P = P_s Q_o t$

$T_P = P_s Q_o t$ = 0,24 X 26. მლრდ ლიტრი X 365 დღე= 2 ტრლნ 277 მლრდ აშშ დოლარის მატერიალურ სიმდიდრეს

2] მიწისქვეშა წყლის რესურსების 25%-იანი კაპიტალიზაციის პესიმისტური მოდელი:

I_P = 0,24 X 75,25m³/s X 365 დღე = 0,24 X 6,5 მლრდ ლიტრი X 365 დღე = 569 მლრდ 400 მლნ აშშ დოლარის მატერიალურ სიმდიდრეს

3] მიწისქვეშა წყლის რესურსების 50%-იანი კაპიტალიზაციის რეალისტური მოდელი:

I_P = 0,24 X 150,5 m³/s X 365 = 0,24 X 13 მლრდ ლიტრი X 365 დღე = 1 ტრლნ 139 მლრდ აშშ დოლარის მატერიალურ სიმდიდრეს

4] მიწისქვეშა წყლის რესურსების 75%-იანი კაპიტალიზაციის პესიმისტური მოდელი:

I_P = 0,24 X 225, 75 m³/s X 365 = 0,24 X 19.5 მლრდ ლიტრი X 365 = 1 ტრილიონ 950 მლრდ აშშ დოლარის მატერიალურ სიმდიდრეს

კონცეფცია-პროგრამის შესაბამისად პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს სასმელი წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი ქარხნების ინდუსტრიული მშენებლობის დასრულება, ხოლო მეორე რიგის ამოცანაა მზა პროდუქციის რეალიზაციის დაწყება რომლის პარალელურად დაიწყება უმთავრესი მიზნის განხორციელება შემუშავებული ბიზნეს გეგმის „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუციის" მოდელით.

ბიზნეს გეგმის ფულად ნაკადების ბრუნვის აქსელერატორით დაგეგმილია რომ დარგობრივ ეკონომიკაში მესამე წლიდან უნდა ჩაიდოს 94 მლრდ აშშ დოლარი რომ

მეათე წელს ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების ზრდამ მიაღწიოს 51 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო დარგობრივ-ეკონომიკურ პროექტებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა მიაღწევს 400 ათასს, მათი საშუალო ხელფასი იქნება 4 500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. ვინაიდან დარგობრივ ეკონომიკურ პროექტები მოითხოვს 94 მლრდ აშშ დოლარის რეინვესტირებას, საჭიროა ინდუსტრიული წარმოების გაშვებისთანავე კაპიტალიზაცია მოვახდინოთ პესიმისტური მოდელით დადგენილი სასმელი წყლის საექსპლუატაციო დასაშვები სახელმწიფო მარაგების როგორც მატერიალური სიმდიდრის ეკვივალენტი ღირებულების **1/6** ნაწილზე **(569 მლრდ 400 მლნ : 94 მლრდ აშშ დოლარი = 6,05 მ³/წმ-ში) 6,05 მ³/წმ-ში მოცულობის მიწისქვეშა სასმელი წყლის რაოდენობაზე.**

დასტურდება რომ მიწისქვეშა წყლის რესურსების **25%-იანი კაპიტალიზაციის პესიმისტური მოდელით 1/6 მატერიალური სიმდიდრის ანუ საექსპლუატაციო დასაშვები მარაგის 301მ³/წმ-ის მოცულობიდან 94 მლრდ აშშ დოლარის ექვივალენტი ანუ 6,05 მ³/წმ-ში მოცულობის ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის აქციების გამოშვებაა საჭირო და საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე მისი გატანა-ემისია დარგობრივი ეკონომიკური პროექტების: ენერგეტიკის, სატყეო მეურნეობის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, მელიორაცია–ირიგაციის, ქალაქებისა და დაბების წყალმომარაგება-წყალარინების ახალი სისტემების მშენებლობის, მთისა და ბარის კოოპერირების, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და ურბანისტიკისათვის საჭირო გრძელვადიანი, მცირეპროცენტიანი ფულადი რესურსების მოსაზიდად.** დარგობრივ ეკონომიკურ პროექტებში რეინვესტირებული კაპიტალის უკუგების პერიოდი მოიცავს 7 წელზე ნაკლებს.

2014 წლის 26 ნოემბერს აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორების მიერ პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის სახელზე გამოგზავნილ კონფედენციალური წერილით მიღებული იქნა „საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის დაფინანსების შესაძლებლობებზე ახალი საორიენტირო ინდიკატური სამოქმედო გეგმა“ **საქართველოს სტრატეგიული პარტნიორებისა და საერთაშორისო საფონდო ბირჟების რეკომენდაციით, შეიცვალა ფინანსური ინსტრუმენტების (ობლიგაციებისა და სხვა მომგებიანი ფასიანი ქაღალდების) გამოყენების არქიტექტრონიკა ქართული სახელმწიფოსათვის ბევრად ნაკლები რისკფაქტორების გათვალისწინებით. იმის გამო რომ ახლად დაფუძნებული სს „საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრია“ არ არის რეიტინგული კვალიფიციური ორგანიზაცია; სტრატეგიული პარტნიორების მიერ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთვის შეთავაზებული იქნა უნიკალური და დინამიური, შედარებით მარტივი ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი, საქართველოს საპარტნიორო ფონდის თანამონაწილეობით.** რადგანაც აღნიშნულ ფონდს გააჩნია საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული რეიტინგი და ამ ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში საინვესტიციო პროექტების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხით და ა.შ. **მიზანშეწონილად ჩაითვალა, საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის მიერ დასახული გეგმების განსავითარებლად, სახელმწიფო დონეზე ურთიერთშეთანხმების პირობებში „სპეციალური მიზნობრივი კომპანიის“ – (SPC) შექმნა, რომელიც გამოიყენებს „მისაღებ ფინანსურ ინსტრუმენტს“ – (AFLS) საფინანსო ტრანზაქციების განსახორციელებლად.**

მისაღები ფინანსური ინსტრუმენტი - (მფი) უნდა გამოეშვა საპარტნიორო ფონდს სპეციალური მიზნობრივი კომპანიისათვის- (სმკ).

საპარტნიორო ფონდის თანადაფინანსების მოცულობა მისაღები ფინანსური ინსტ-რუმენტის გამოსაშვებად განისაზღვრებოდა მოცემული ორგანიზაციისათვის (საპარტნიორო ფონდის) დასაშვებ ნორმის კანონით დადგენილ ფარგლებში, საქართ-ველოში გამართულ ორმხრივი მოლაპა-რაკებების შედეგად.

სპეციალური მიზნობრივი კომპანიის- (სმკ) პასუხისმგებელ პირს - დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს საპარტნიორო ფონდი, ხოლო თანადირექტორს - უცხოური საინვესტიციო კომპანია.

„მფი“ მოთავსებული იქნება სმკ-ს კუთვ-ნილ საბანკო ანგარიშზე და ეს ინსტრუმენი იქნება მათ მფლობელობაში, რომელსაც აკონტროლებს როგორც საპარტნიორო ფონ-დი, ასევე „სმკ“-ა ნებისმიერი რისკ ფაქ-ტორების გამორიცხვით.

სპეციალური მიზნობრივი კომპანია, ინდუსტრიული მშენებლობის დასრულების შემდეგ, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს დარგობრივი ეკონომიკის: ენერგეტიკის, სოფლისა და სატყეო მეურნეობის, გადა-მამუშავებელი მრეწველობის, ურბანისტი-კისა და სხვა სახელმწიფო მნიშვნელოვანი პროექტების დასაფინანსებლად, გრძელ-ვადიანი მცირეპროცენტიანი სესხით.

2014 წლის თებერვალში მთავრობის ინიციატივით შეიქმნა ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების ხელშემწ-ყობი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც გაურკვეველი მიზეზით გაუქმდა 2015 წლის სექტემბერში.

2014 წლის 3 დეკემბრის წერილით აშშ-ს სტრატეგიულმა პარტნიორებმა კიდევ ერთ-ხელ დაგვიდასტურეს სასმელი წყლის ინდუსტრიის დაფინანსებისა და დაფა-სოებული სასმელი წყლის კომერციული გაყიდვების უზრუნველყოფის თაობაზე FOB საქართველოს საზღვარზე პროდუქციის (24ცენტ/ლიტრი) მიტანით. ასევე პასუხი გაეცა საქართველოს მხრიდან დასმულ მეტად მნიშვნელოვან შეკითხვებს (იხილეთ დანართი N-18)

2015 წლის მაისის თვეში მთავრობის ეკონომიკურ საბჭოში დაიწყო კონცეფცია პროგრამის, სტრატეგიული მიმართულე-ბების განხილვა. განხილვები მოეწყო თანა-ინვესტირების ფონდში. ჩატარდა კონკ-რეტულ საკითხთა შესწავლა მენიერ-სპეცია-ლისტთა და ექსპერტთა ჯგუფის თანამონა-წილეობით, მოეწყო საერთო განხილვები, რის შედეგადაც საკითხის სახელმწი-ფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შემდგომში ჩართულობისა და ურთიერთ თანამშრომლობის მიზნით კონცეფცია-პროგრამა, ექსპერტული შესწავლისათვის გადაეგზავნა საპარტნიორო ფონდს.

საპარტნიორო ფონდის საინვესტიციო დეპარტამენტის მიერ, შესწავლილი იქნა აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორების მიერ საქმიანი მიმოწერებისა და საქართველოს პრემიერმინისტრისადმი ოფიციალურ წერი-ლობით მიმართვაში დასაბუთებული სას-მელი წყლის ინდუსტრიული მშენებლო-ბისათვის ფინანსური ინსტრუმენტების შექმნისა და მისი გამოყენების გზით **3-მილიარდი აშშ დოლარი** მოზიდვის რეა-ლური მექანიზმები შესაბამისი სამოქმედო გეგმით. ასევე მომზადდა ქართული მხარის მიერ რეიტინგული ორგანიზაციის მეშვე-ობით წარსადგენი წერილის პროექტი **(დაინ-ტერესების შესახებ-LOI პროექტი დანართი N 1 სახით თან ერთვის).**

შემუშავებული მოდელი იძლევა სრულ გარანტიას, ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახ-

ლეობის კეთილდღეობის ამაღლების მისაღწევად, ასევე დარგობრივი ეკონომიკური პროექტების: ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, სატყეო მეურნეობის, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და ურბანული განვითარებისათვის საჭირო პროექტების დაფინანსების რეალურ შესაძლებლობას გრძელვადიანი, მცირე-პროცენტიანი ფულადი რესურსებით.

წერილი (დაინტერესების შესახებ-LOI), რომელიც უნდა გაგვეგზავნა აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორებისათვის საპარტნიორო ფონდის თანხმობის შემთხვევაში) **არ ავალდებულებდა არც ერთ მხარეს, ფინანსური, ქონებრივი ან მატერიალური ფასეულობებით,** ორმხრივი მოლაპარაკებებით მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე.

2016 წლის 23 დეკემბერს ქართული მხარის მიერ გაურკვეველი პაუზისა და პასიური დამოკიდებულების მიუხედავად აშშ-ს სტრატეგიულმა პარტნიორებმა კვლავაც გამოთქვეს დამაჯერებელი პარტნიორული ურთიერთობის გაგრძელების სურვილი ხელისუფლების პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, რომ საქართველოს პრაქტიკულად გაუწიონ დახმარება ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობის გზით ქვეყნის აღმშენებლობასა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევაში.(იხილეთ დანართი N-19)

2018 წლის 5 იანვარს პროექტის დაფინანსებისა და ბაზრის სეგმენტის უზრუნველყოფის გარანტიებით დაინტერესება გამოთქვა არაბული ქვეყნების, სინგაპურის, ჩინეთის და ევროპის მსხვილმა საფინანსო ორგანიზაციებმა, რომლებმაც წარმოადგინეს წერილობითი წინადადება და გამოთქვეს მზაობა საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სასმელი წყლის ინდუსტრიის მშენებლობისათვის დამატებით გამოგვიყონ **2 მლრდ აშშ დოლარი,** საერთო ჯამში მიზნობრივად დაგეგმილია და დღემდე ძალაში რჩება **5-მლრდ აშშ დოლარის** საინვესტიციო მოცულობის ფინანსური კაპიტალდაბანდებების მობილიზება ბაზრის სეგმენტის უზრუნველყოფით. ყოველივე ეს მიღწეულია სტრატეგიულ თანამშრომლობის რანგში საქართველოსა და აშშ საფინანსო ინსტიტუტებს შორის.

მიზნის მიღწევის გზა

1. საქართველო უნდა გახდეს ბუნებრივი სასმელი წყლის მწარმოებელი ინდუსტრიის ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა.
2. მიწისქვეშა სასმელი წყლის რესურსები უნდა დაკანონდეს ქვეყნის სტრატეგიულ რესურსად მისი განკარგვის უფლებით ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ეკონომიკური შედეგი

1. ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის დაფასოებული სასმელი წყლის მრეწველობის ეკონომიკიდან ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემოსავლები გაიზრდება 12 მლრდ აშშ დოლარით (50მლნ ტონა მსოფლიო საბითუმო ფასის 24 ცენტ/ლიტრის გაანგარიშებით).
2. მშენებლობის დასრულებიდან კალენდარული 1-წელიწადში, დაიწყება ეროვნული ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა-განვითარება, რასაც მოჰყვება სახელმწიფო ბიუჯეტის დაჩქარებული ზრდა 3 მლრდ აშშ დოლარით.
3. სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნით; საწარმოო, სატრანსპორტო, დამხმარე სამეურნეო და სხვა სამრეწველო ციკლში დასაქმდება ათეულ ათასობით ადამიანი, საშუალო ხელფასით 1 500 აშშ დოლარი.
4. მოიხსნება სიღარიბის არსებული მწვავე პრობლემები.

5. შეჩერდება მიგრაციული პროცესები
6. შეიქმნება ნავთობისა და გაზის საბადოების მფლობელი წარმატებული ქვეყნების ბევრად უკეთესი მოდელი, იმ უპირატესობით, რომ სასმელი წყლის რესურსები არამილევადი, მუდმივგანახლებადი ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტია.
7. დაიწყება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.
8. ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების სასმელი წყლის პროდუქტის დასაშვები საექსპლოატაციო რაოდენობიდან მარაგის მხოლოდ 0,75%-ზე (2,5 მ^3/წმ-ში.) კაპიტალიზაციის მოდელის გამოყენებით, განხორციელდება „ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიისა“ და სატრანსპორტო გადაზიდვების გასაუმჯობესებლად, სარფთან ახლოს და ქალაქ ფოთში ნარიონალის ტერიტორიაზე დაგეგმილი პორტტერმინალების მშენებლობისათვის გათვალისწინებული 3 მლრდ აშშ დოლარით დაფინანსება. რასაც მოჰყვება ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა და სოციალური მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესება.
9. ინდუსტრიული მშენებლობის დასრულების შემდეგ, მშპ-ზრდისა და პროდუქციის სტაბილური წარმოების პირობებში საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე მიწისქვეშა სასმელი წყლის საექსპლუატაციო დასაშვები მარაგების (301მ^3/წმ.-2.5მ^3/წმ=298მ^3/წმ) 1/4 ანუ 25%=74,6მ^3/წმ. მატერიალიზების ტექნოლოგიებით პესიმისტური მოდელის გამოყენება უზრუნველყოფს ახალი ფინანსური ინსტრუმენტის ფორმირებას რაც 570 მლრდ. აშშ. დოლარის ეკვივალენტი ფულად რესურსების მოზიდვის რეალურ საბანკო გარანტიას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისათვის ყოველგვარი რისკფ-ფაქტორების გამორიცხვით.
10. კაპიტალიზაციის რეალისტური 50% მოდელი იძლევა 1 ტრლნ. 140 მლრდ. აშშ. დოლარს, ხოლო (75%-იანი) ოპტიმისტური მოდელი, 1 ტრლნ. 710 მლრდ. აშშ. დოლარის მატერიალური სიმდიდრის (იგივე ქონების) ღირებულებას, რომელიც შესაბამისი ფულადი რესურსების მოზიდვისათვის უმაღლესი კლასის საბანკო-საგარანტიო ფასეულობაა.
11. განხორციელდება სოფლისა და სატყეო მეურნეობის, ენერგეტიკის, მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის, მაღალმთიანი საზღვრისპირა თნამედროვე სოფლების მშენებლობა შესაბამისი გლეხურ-ფერმერული მეურნეობების და სხვა სტრატეგიული საინვესტიციო ეკონომიკური პროექტების დაფინანსება, რაც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და დამოუკიდებლობის გარდაუვალი წინაპირობაა.
12. დაგეგმილი სტრატეგიული ეკონომიკური პროექტების განსახორციელებელი საინვესტიციო მოცულობა შეადგენს 94 მლრდ. აშშ. დოლარს, რომლის სტარტაფს წარმოადგენს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრია. აღნიშნული თანხის მოზიდვა სტრატეგიულ პარტნიორებთა ურთიერთ-შეთანხმების საფუძველზე უკვე მიღწეულია. დაბანდებული კაპიტალის უკუგების ვადა არ აღემატება 10 წელს. ქვეყნის საბიუჯეტო საშემოსავლები გაიზრდება 51 მლრდ. აშშ. დოლარამდე.
13. ეტაპობრივად დაიწყება საქართველოს კონსტიტუციის, თავი მე-5 47 და 48-ე მუხლებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა განხორციელება, რაც საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის მზრუნველობით დამოკიდებულებისა და სოციალურად სამართლიანი

სახელმწიფოს მშენებლობის უპრეცენ-დეტო მაგალითი იქნება ხელისუფლების მხრიდან.

14. გადაიდგმება რეალური ნაბიჯი, ეკონ-მიკურად დამოუკიდებელი სახელმწი-ფოს მშენებლობისათვის, რაც იძლევა ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპი-რატესობის გაძლიერების სრულ გარან-ტიას.
15. გაიზრდება მოსახლეობის მყიდველო-ბითუარიანობა.
16. შეიქმნება საშუალო ფენა.
17. საფუძველი ჩაეყრება ერთიანი, ძლიერი, ქართული დემოკრატიული სახელმწი-ფოს რეალურ მშენებლობას, რითაც სა-ქართველო ღირსეულ ადგილს დაიმკ-ვიდრებს მსოფლიო თანამეგობრობის პო-ლიტიკურ რუკაზე, მშვიდობიანი რეგიო-ნალური ეკონომიკურ სივრცით.

საკითხის სახელმწიფოებრივი მნიშვნე-ლობიდან გამომდინარე, საჭიროა:

1. კონცეფცია „წყალი ეროვნული სიმდიდ-რე“ და პროგრამა „ქართული ეკონომი-კური სასწაული“ მოსმენილი იქნას სა-ქართველოს მთავრობის სხდომაზე სა-ხელმწიფო პროგრამად აღიარებისა და შემდგომში მისი პრაქტიკული განხორ-ციელების მიზნით ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ქვეყნის განვითარების 10 წლიან გეგმაში გასათვალისწინებლად. რამეთუ „ეროვნული ეკონომიკის აღმშე-ნებლობის გზით ქვეყნის მშენებლობა“ საქართველოს ბუნებრივი რესურსული პოტენციალის მსოფლიო მნიშვნელობის მიწისქვეშა სასმელი წყლის მატერიალურ სიმდიდრეზეა მიბმული და იგი ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღ-წევისა და სახელმწიფო მიუმხრობლობის სრული „ეკონომეტრიკული“ გარანტიაა ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.
2. პრემიერმინისტრის თავმჯდომარეობით შეიქმნას ბუნებრივი სასმელი წყლის ინ-დუსტრიის განვითარების საკოორდინა-ციო საბჭო რომლის შემადგენლობაშიც მოწვეული იქნებიან საჭირო დარგის ექსპერტ-სპეციალისტები
3. დაევალოს უფლებამოსილ უწყების სა-ხელმწიფო მოხელეს აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორებთან, ახალ ფორმატში მოლა-პარაკებების წარმართვა მსოფლიოში მიმდინარე პანდემიით გამოწვეული ცვლილებების გათვალისწინებით ორმხ-რივ შეთანხმებების მისაღწევად. ასევე წარიმართოს ალტერნატიული სამიზნე ბაზრების ქვეყნებთან მუშაობა დაფასოე-ბული ქართული სასმელი წყლით ვაჭ-რობის თაობაზე.

P.S. 2020 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს მთავრობის წარმომადგენ-ლების, საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის გენერალური დირექ-ტორის რომან რურუასა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პაატა გიორგაძის მონაწილეობით აშშ-ს სტრატეგიული პარტ-ნიორის ოფიციალურ წარმომადგენელთან გამართულ მოლაპარაკებებისას, აშშ-ს მხარემ კვლავაც დაადასტურა თანხმობა სასმელი წყლის ინდუსტრიის მშენებლობის დაფინანსების თაობაზე 5 მლრდ აშშ დოლა-რით, ხოლო რაც შეეხება სასმელი წყლის პროდუქციის მსოფლიო სამომხმარებლო ბაზარზე გატანას, აშშ-ს მხარემ განმარტა რომ „ეს მზაობა არსებობდა 2007 წლიდან მოყოლებული მსოფლიოს პანდემიის მოვ-ლენამდე რაზედაც ამ წლების მანძილზე დამადასტურებელი ოფიციალური წერილე-ბით მრავალჯერ გავეცით ამომწურავი პასუხი საქართველოს ხელისუფლების ოფი-ციალურ წარმომადგენლებს და გავაცანით ჩვენი გეგმა სასმელი წყლის ქართული პრო-დუქციით ვაჭრობის თანხმობაზე, რაზედაც ჩვენ დავხარჯეთ დიდი დრო და შესაბამისი

ძალისხმევა, დღეს კი საჭიროა მსოფლიოს სასმელი წყლის სამომხმარებლო ბაზრის ახალი მარკენტინგული კვლევები რისი გაკეთებაც თქვენმა მხარემ უნდა აიღოს საკუთარ თავზეო.

PAATA GIORGADZE

Sokhumi State University

IDENTIFYING THE RESOURCE POTENTIAL OF THE COUNTRY'S COMPETITIVE ADVANTAGE FOR THE RAPID SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA FORMATION OF ITS MATERIAL WEALTH AND INNOVATIVE WAYS OF USING IT AS A NEW FINANCIAL INSTRUMENT FOR THE BENEFIT OF THE PEOPLE

No country in the world has overcome the economic crisis and reached its peak of development without rational use of local natural resources. There are about 450 deposits of mineral raw materials in a relatively small territory of Georgia. The transition from extensive development to intensive development through the reconstruction of the forecast production of mineral resources requires large capital investments and long periods of time, while the complex use of open pit mining and production will cause great damage to the country's environment and its economic system. Georgia, despite its rich natural resource reserves, has no world-class reserves other than freshwater. Today, one of the biggest pressing problems in the world is the crisis caused by the shortage of fresh water. Science has proven that the use of fresh water in the world increased 6 times from 1900 to 1995, which is 2.5 times more than the increase in population. Currently 14 African countries are experiencing drinking water shortages. It is estimated that by 2025 11 more countries will be added to it. The main condition for Georgia's rapid socio-economic development is the fresh drinking water resources in its area, as a vital product for human beings, whose priority in the Georgian economy is determined by the following factors: naturalness, stability, renewability, affordability, seasonality, high quality and competitiveness. World market demand and short-term return on investment. Technologies for capitalization of drinking water natural resources; Use of mechanisms to engage the world financial resources, from the state reserves of natural groundwater resources (301 m3 / s), as materialization of only 0.75% of the product of human vitality on the basis of long-term negotiated bilateral strategic exchanges with strategic partners On the hand - gives 2.1 billion for the construction of the "drinking water industry" and the planned terminal in Anaklia. The real means of financing in US dollars, through which we get the econometric model of growth of Georgia's domestic industrial production and it is one of the cornerstones of the rapid socio-economic development of our country.

წერილი რედაქციას

იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ გულშემატკივრებისა და ვაიგულშემატკივრებისათვის...

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის ა.რ. რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომებში“ (V, 2019) გამოქვეყნდა **ზურაბ ხონელიძის** (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) სამეცნიერო სტატია - **„ზოგიერთი საკითხი ი. გოგებაშვილის „დედა ენა“-ს შესახებ“** (ციტატებში ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით ჩარევას მოვერიდეთ...).

ავტორი თავს წარმოგვიდგენს „დედაენის“ გულშემატკივრად და განგაშს ტეხს:

„დღეს კი იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობასთან ერთად გაქრობის გზაზეა შესანიშნავი ლექსიკური ერთეული „დედაენა“...

„საფრთხის წინაშე დადგა არა მხოლოდ გოგებაშვილის მემკვიდრეობა, არამედ ტერმინი „დედაენა“...

„დარგის სპეციალისტები უნდა ჩაერთონ „დედაენის“ გადარჩენის საქმეში... ამით თავიდან ავიცილებთ დილეტანტიზმს ამ სფეროში“...

„წერა-კითხვის ცოდნა არ ნიშნავს იმას, რომ ყველას ხელეწიფება პირველი სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნა, არავის არ უნდა მივცეთ საზოგადოების შეცდომაში შეყვანის უფლება“ და ა.შ...

როგორც ჩანს, სტატიის ავტორი საქმის კურსში არ არის, ი. გოგებაშვილის „დედაენასთან“ დაკავშირებით რა მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა ბოლო წლებში (ამის თაობაზე მრავალგზის იქნა ინფორმაცია გავრცელებული პრესაში, ტელევიზიასა და სოციალურ ქსელებში...); შევახსენებთ:

2013 წელს ი. გოგებაშვილის **„დედაენას“** (საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის ი. გოგებაშვილისეულ მეთოდს) მიენიჭა **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი;**

2014 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით ამ **ძეგლს („დედაენას“) განესაზღვრა ეროვნული სტატუსი;**

2015 წელს **ქართულ ანბანს მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის** სტატუსი; „დედაენა“ არის ამ ნომინაციის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი;

2016 წელს იუნესკომ **ქართულ ანბანს** მიანიჭა **საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის** ძეგლის სტატუსი („**დედაენითურთ**“) და შეიტანა საკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნათა შესაბამისად **საქართველოს პარლამენტმა** 2018 წელს მოამზადა და 2019 წელს შეიტანა დამატება განათლების კანონში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საფუძველზე სახელმძღვანელოს შექმნის შესახებ (შემოკლებით „დედაენის“ კანონს ვუწოდებთ). ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად –

2019 წელს **განათლების სამინისტროსთან შეიქმნა სახელმწიფო კომისია** (კომისიის თავმჯდომარე განათლებისა და მეცნიერების მინისტრი; კომისიის წევრები - პარლამენტის

კომიტეტის თავმჯდომარე, თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები და მოღვაწეები, პედაგოგები), რომელთაც დაევალათ ი. გოგებაშვილის „დედაენის“ 1912 წლის გამოცემის გადამუშავება და მომზადება სასკოლო სახელმძღვანელოდ.

2019 წლის სექტემბერში **საქართველოს ყველა საჯარო სკოლასა და კერძო სკოლათა ნაწილს საჩუქრად გადაეცა სახელმწიფო კომისიის მიერ გადამუშავებული ი. გოგებაშვილის „დედაენა“.** სახელმწიფო კომისიამ მუშაობა განაგრძო და განიხილა მიღებულ შენიშვნები და წინადადებები... 2020 წლის სექტემბერში ყველა პირველკლასელს გადაეცა საჩუქრად იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ (მეორე გამოცემა)... განათლების სამინისტრომ სკოლებს აცნობა:

„საქართველოს საჯარო სკოლებს გაცნობებთ, რომ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლის ან კაცობრიობის არამატერიალური მემკვიდრეობის რეპრეზენტაციულ სიაში შეტანილი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში შექმნილმა სპეციალიზებულმა კომისიამ შეიმუშავა იაკობ გოგებაშვილის I კლასის „დედაენის“ მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული (სავარჯიშოების კრებული და წერის დედანი) და მასწავლებლის წიგნი.

„დედაენის“, როგორც არამატერიალური კულტუტრლი მემკვიდრეობის ძეგლის უკვდავსაყოფად, მსგავსად გასული სასწავლო წლისა, ზემოაღნიშნული რესურსები საჩუქრად გადაეცემა ყველა პირველი კლასის მოსწავლეს და მასწავლებელს სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად. “

ეს ნიშნავს: იაკობ გოგებაშვილის „დედაენაზე“ სახელმწიფო ზრუნავს; „დედაენა“ქართულ სკოლაში ღირსეულად დაბრუნდა!...

ასე რომ, ძნელი სათქმელია, რა არის საფუძველი და მიზანი „სამეცნიერო“ სტატიის ავტორის, ბ-ნი ზ. ხონელიძის მიერ გავრცელებული არასწორი ინფორმაციისა და ატეხილი ცრუ განგაშისა...

თუმცა აშკარად იკვეთება ბ-ნი ზ. ხონელიძის სურვილი, მხარდაჭერა გამოუჩინოს და მფარველად მოევლინოს ნ. და ე. მაღლაკელიძეების მიერ მომზადებულ საანბანე სახელმძღვანელოს; წარმოაჩინოს დაჩაგრულად და შევიწროებულად „ღირსეული ავტორი და სახელმძღვანელო“... 8 გვერდიანი სტატიის ნახევარი სწორედ მაღლაკელიძეების „სახელმძღვანელოს“ ქებასა და განდიდებას ეძღვნება... სამწუხაროდ, ავტორისათვის მიუწოდებიათ არაზუსტი, ცრუ ინფორმაციები და გადაუმოწმებელი მასალის საფუძველზე კეთდება არასწორი დასკვნები... (ნ. და ე. მაღლაკელიძეების წიგნის ავ-კარგის თაობაზე ორიოდე სიტყვას წერილის ბოლოს ვიტყვით)...

ცხადია, ყველა უზუსტობაზე, ყველა შეცდომაზე, არასწორ დასკვნაზე, რაც ამ „სამეცნიერო სტატიაშია“ წარმოდგენილი, ჩვენს წერილში ვერ ვისაუბრებთ; მხოლოდ რამდენიმე ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

***

ბ-ნი ზ. ხონელიძე წერს: „2017 წელს საქართველოს კულტურის სამინისტრომ, ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ კულტურის ძეგლთა ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით, მოსთხოვა ანბანის სახელმძღვანელოების ავტორებს, წარედგინათ თავიანთი წიგნები კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილი ექსპერტებისათვის, რომელთაც უნდა დაერთოთ ნება „დედაენის“ სახელწოდების გამოყენების“ (გვ.174).

ამ ციტატაში რამდენიმე არასწორი ფაქტია; სინამდვილე ასე იყო: 2018 წელს განათლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, სამინისტროში საკონკურსოდ წარმოდგენილი საანბანე

სახელმძღვანელოები, რომლებიც შედგენილი იყო კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის, ი. გოგებაშვილის „დედაენის“, საფუძველზე, სარეცენზიოდ გადაეცა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს საგანგებო კომისიისათვის, რომელიც დაადგენდა საკონკურსო წიგნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან (ანუ ი. გოგებაშვილის „დედაენასთან“) შესაბამისობის საკითხს! უშუალოდ ავტორებს ამ კომისიასთან არაფერი ესაქმებოდათ (კონკურსი ანონიმური იყო) და არც წიგნის სახელწოდების ნებართვას გასცემდა ეს კომისია (ისე, ბ-ნ ზ. ხონელიძეს შევახსენებთ, რომ, როგორც გაირკვა, მაღლაკელიძეების საკონკურსო წიგნმა ამ კომისიისაგან შესაბამისობის დასკვნა ვერ მიიღო; ამიტომ მისთვის გრიფის მინიჭება კანონდარღვევა იყო!...).

წიგნის სახელწოდებასთან დაკავშირებით ზოგადად კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს კომისიის დასკვნა ასეთი იყო: ი. გოგებაშვილის პრინციპებზე აგებულ სახელმძღვანელოს უნდა ერქვას „დედაენა“ და „ყდაზე მიეთითოს ავტორი/შემდგენელი ი. გოგებაშვილი“... ნ. და ე. მაღლაკელიძეები და სხვანი ი. გოგებაშვილის „დედაენის“ საფუძველზე შედგენილ წიგნებს თავად ეწერებიან ავტორ/შემდგენლად; ამის წინააღმდეგი არის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო კანონმდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე... ამიტომ უხერხულია, როცა „სამეცნიერო სტატიის“ ავტორი საუბრობს **მაღლაკელიძეების „დედაენაზე**“... ფაქტობრივ, ამ გადაწყვეტილებით კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო და განათლების სამინისტრო ასრულებს საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის უზრუნველყოფის შესახებ (იცავს ძეგლს ხელყოფისაგან, მითვისებისაგან).

***

ბ-ნი ზ. ხონელიძე განსაკუთრებული „აგრესიულობით იბრძვის“ ტერმინ „დედაენის“ დასაცავად. წერს: „სიტყვა „დედა ენა“ ქართული ენის ლექსიკონში მანამდეც არსებობდა, მშობლიური ენის სინონიმად, იგი ი. გოგებაშვილს არ მოუგონებია“ (გვ. 170). არადა, სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ **„დედა-ენა“ ი. გოგებაშვილის სიტყვაშემოქმედების ნიმუშია და ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოსვლის შემდეგ (1876 წ.) დამკვიდრდა ჩვენს სამწერლობო ენაში** (იხ.: ი. გოგებაშვილის საზოგადოების I სამეცნიერო კონფერენცია, 2008 წ. 27 ოქტომბერი; მასალები). ბ-მა ზ. ხონელიძე რომ გვიმტკიცებს, იქნებ დაგვისახელოს, ქართული ენის რომელ ლექსიკონში არის დადასტურებული „დედაენა“ 1876 წლამდე (ი. გოგებაშვილის „დედაენის“ გამოსვლამდე); ანდა აგვიხსნას, 1876 წლამდე ილიას, აკაკისა და იაკობის პუბლიცისტურ წერილებში ეს ტერმინი რატომ არ გვხვდება?..

სტატიის ავტორი გაკვირვებული კითხულობს: „ვინ აკრძალა „აი იასა“ და „აი თითის“ გამოყენება?! ეს იგივეა, რომ ავკრძალოთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, შოთა რუსთაველის... და სხვა კლასიკოსების ნაწარმოებთა გამოყენება სკოლაში...“(გვ.175). არა, ბატონო, ეს არავის აუკრძალავს, მაგრამ: „ია“ როგორც პირველი საანბანე სიტყვა და მერე ასოთა სწავლების თანმიმდევრობა (თ, ს... და შესაბამისი საანბანე სიტყვები და ტექსტები...) იაკობ გოგებაშვილის ინტელექტუალური საკუთრებაა, **მისი გამოყენება შეიძლება, მაგრამ მითვისება არა!** როცა „აი ია“-თი იწყებენ საანბანე წიგნს და ავტორებად სხვები ეწერებიან, ეს იკრძალება! ბ-ნი ზ. ხონელიძე არაერთგზის შეგვახსენებს, რომ „დედაენის“ ავტორები მაღლაკელიძეები არიან; მაგ.: „ამ სახელმძღვანელოთაგან უპირობოდ ლიდერობდა ნ. მაღლაკელიძისა და ე. მაღლაკელიძის „დედაენა“(გვ. 174)... მაღლაკელიძეები (და სხვანი) ამ შემთხვევაში არიან

გადამმუშავებელნი, რედაქტორები ი. გოგებაშვილის „დედაენისა“ და არა ავტორები! **იურიდიულ ენაზე ამას პლაგიატი ჰქვია!..**

რაც შეეხება ანალოგიას კლასიკოსების ნაწარმოებთა გამოყენებასთან, სრულიად უადგილოა! რაც „დედაენასთან“ დაკავშირებით ხდება, ეს იგივეა, კლასიკოსთა ნაწარმოებებს გავუკეთოთ რედაქტირება, ჩვენ დავეწეროთ ავტორებად და ისე შევიტანოთ სახელმძღვანელოში...

სამეცნიერო ჟურნალში „ლიტერატურის“ რუბრიკით დაბეჭდილი სტატიის ავტორს არც იმის შეხსენება უნდა სჭირდებოდეს, რას ნიშნავს საავტორო სათაური; სიტყვები **კაცი, ადამიანი, გლახა, ნაამბობი, გამზრდელი** და სხვა არ „გამოუგონებიათ“ ილიას და აკაკის, მაგრამ „კაცია-ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“, „გამზრდელი“ საავტორო სათაურებია და მის გამოყენებას ჩვენს შემოქმედებაში სათაურად არ მოგვიწონებენ!... ისიც გვინდა შევახსენოთ სტატიის ავტორს, რომ ეროვნულ სკოლაში მრავალი საანბანე სახელმძღვანელო არსებობდა სხვადასხვა სათაურით („ანბანი პირველი“, „ყრმათა მეგობარი“, „ყმაწვილის სარკე“...), მაგრამ „დედა-ენა“ იაკობმა უწოდა და იმიტომაა საავტორო სათაური!.. ამიტომ არ უნდა გამოიყენოს სხვამ თავისი წიგნის სათაურად!..

***

ფაქტია, დღეს ი. გოგებაშვილის „დედაენის“ ქართულ სკოლაში ღირსეული დაბრუნებისათვის ძალისხმევას არ იშურებენ განათლების სამინისტრო, საქართველოს პარლამენტი, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო... სწორედ ამ ძალისხმევის გაუფასურებისა და გაუბრალოების მცდელობასთან გვაქვს საქმე ბ-ნი ზ. ხონელიძის სტატიაში. სხვას ვერაფერს დავარქმევთ ყურმოკრულ ჭორებზე აგებულ მსჯელობას **„მამა ზურაბის მიერ გადამუშავებული „დედაენის“ შესახებ, რომელიც ი. გოგებაშვილის სახელს ატარებს**“. სტატიის ავტორი წერს: „მამა ზურაბი არ გახლავთ პედაგოგიკის სპეციალისტი. **დღეს სწორედ ამ წიგნის „დაბრუნებას“ ითხოვს ი. გოგებაშვილის ზოგიერთი „დამცველი“** (გვ. 175). ამ მონაკვეთში რამდენი სიტყვაცაა, ლამის იმდენი ტყუილი და დეზინფორმაციაა: ჯერ ერთი, ვინაა მამა ზურაბი და რა კავშირი აქვს მას „დედაენასთან“? ჩვენ „დედაენასთან“ დაკავშირებულ ასეთ ვინმეს არ ვიცნობთ... თუ ბ-ნი ზ. ხონელიძე გულისხმობს დეკანოზ კონსტანტინეს (გიორგაძეს), იგი არის ი. გოგებაშვილის საზოგადოების თავმჯდომარე, „დედაენის“ სახელმწიფო კომისიის წევრი, ღვთისმეტყველების მაგისტრი და მედიცინის დოქტორი (ხოლო თუ რა კავშირშია ღვთისმეტყველება და მედიცინა საანბანე წიგნთან, ამის შესახებ ლიტერატურის დასახელება შეგვიძლია...). დეკანოზი კონსტანტინე არის ბოლო წლებში ი. გოგებაშვილის „დედაენასთან“ დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ღონისძების ერთ-ერთი ინიციატორი და შემსრულებელი (და არა ავტორი, „გადამმუშავებელი“!)... სრულიად გაუგებარია ასეთი გაავებული დამოკიდებულება „მამა ზურაბის“(!) მიმართ...

დღეს როცა საუბარია ი. გოგებაშვილის „დედაენის“ სკოლაში დაბრუნებაზე, იგულისხმება სახელმწიფო კომისიის მიერ ი. გოგებაშვილის „დედაენის“ 1912 წლის გამოცემის საფუძველზე გადამუშავებული სახელმძღვანელო... სტატიის ავტორს, ბ-ნ ზ. ხონელიძეს შეეძლო ეს ინფორმაცია ოფიციალურად მიეღო განათლების სამინისტროდან და დეზინფორმაცია არ გაევრცელებინა...

***

და მაინც, რა არის საფუძველი და მიზანი ამგვარი არაობიექტური, არამართალი, არასასურველი ინფორმაციის გავრცელებისა? ცხადია, ის არ ემსახურება ეროვნული სკოლისა

და დედაენის ინტერესებს; პირიქით! კერძო ინტერესების მხარდაჭერაა, კონკრეტული პირებისა თუ სახელმძღვანელოების ლობირება...

აღარ გავაგრძელებთ ამ თემაზე საუბარს; ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ვერ დავეთანხმებით ბ-ნ ზ. ხონელიძეს იმაში, რომ „ნ. მაღლაკელიძისა და ე. მაღლაკელიძის „დედაენა“ არის უპირობოდ ლიდერი“ (!). ეს არის ერთ-ერთი იმ მრავალ საანბანე სახელმძღვანელოთაგან, რომლებიც ბოლო ათწლეულებში შეიქმნა ი. გოგებაშვილის „დედაენის“ გადაკეთება-გადამუშავების შედეგად. უმეტესად ამ გადამუშავება-გადაკეთების მიზანი იყო არა გაუმჯობესება-გაუკეთესება წიგნისა (რასაც ი. გოგებაშვილიც ითხოვდა თავის ანდერძში), არამედ კერძო ინტერესები (როგორც თავად ი. გოგებაშვილი იტყოდა, „სახსრის ტრფიალი და კუჭის პრინციპი“...)... უმეტესად „დედაენაში“ შეტანილი ცვლილებები თვითმიზნური იყო: იმისათვის, რომ **გადამკეთებელთა ავტორობა განმტკიცებულიყო**, შეჰქონდათ ისეთი ცვლილებები, რომლებიც პრინციპულად **ეწინააღმდეგებოდა ი. გოგებაშვილის პრინციპებს!** ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ნ. და ე. მაღლაკელიძეების შემთხვევაშიც. ამ „ლიდერ დედაენაში“ მრავალი ასეთი ცვლილებაა... ამ მრავალთაგან მხოლოდ ერთ კონკრეტულ მაგალითს დავასახელებთ: იაკობს საანბანე სიტყვად შემოაქვს ისეთი საგნის აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც ბავშვისთვის კარგად არის ნაცნობი, იოლად დასახატია და ნახატი ადვილად შესაცნობი. მესამე გაკვეთილის საანბანე სიტყვა არის „საათი“. ნახატის მიხედვით ნებისმიერ ბავშვს შეუძლია ამოიცნოს რა წერია სურათის ქვევით. „ლიდერ დედაენაში“ **საათი** შეცვალეს სიტყვით **თასი**. აქ უკვე ბავშვი იბნევა; მან ნახატის მიხედვით შეიძლება თქვას, რომ ეს არის: **თასი, ჯამი, ფიალა, აზარფეშა**... გარდა ამისა, **თასი** აღნიშნავს სპორტულ ჯილდოსაც, რომელსაც ნაირგვარი ფორმა აქვს... და ა. შ. ასე რომ, ცვლილების სურვილმა „ავტორებს“ მძიმე შეცდომა დააშვებინეს... 32 საანბანე გაკვეთილიდან 18 ასეთი (და მრავალი სხვაგვარიც) ცვლილება განხორციელდა „ლიდერ „დედაენაში“ და მოხდა ხელყოფა კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლისა... ა. შ. აღარ გავაგრძელებთ...

მოვახსენებთ ბ-ნ ზ. ხონელიძესა და სხვა დაინტერესებულ პირებს: ახლახან განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებისა და „დედაენის“ სახელმწიფო კომისიის შექმნის მიზანი არის, იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ გადამუშავდეს თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად იაკობის პრინციპების ზედმიწევნით დაცვით! ეს იქნება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის დაცვა და სიცოცხლიუნარიანობის უზრუნველყოფა. ამას ითხოვს სახელმწიფოსაგან საერთაშორისო კონვენციები!

გვჯერა, ყოველგვარი მცდელობა ამ საშვილიშვილო საქმისათვის ხელის შეშლისა მარცხისსათვის არის განწირული...

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების გამგეობა

მეგზური ავტორისთვის

1. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით და ელექტრონული ფორმით (ჟურნალის ელექტრონული ფოსტის მისამართზე). მიუთითეთ: ავტორის (ავტორების) სახელი და გვარი, სამეცნიერო / აკადემიური წოდება, სამუშაო ადგილი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

2. სტატია შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე მთავარი რედაქტორის სახელზე. სტატიას უნდა ახლდეს აგრეთვე:

▪ ცნობები ავტორის (ავტორების) შესახებ;

▪ ორი კვალიფიციური რეცენზია სხვადასხვა ინსტიტუტიდან;

▪ მიმართვა რედაქციის სახელზე გამოქვეყნების თხოვნით იმ დაწესებულებიდან, სადაც შესრულებულია შრომა;

სტატიას განიხილავს სარედაქციო საბჭო და გადაწყვეტს მისი გამოქვეყნება-არგამოქვეყნების საკითხს.

3. სტატია უნდა გაფორმდეს შემდეგი სახით:

▪ მეცნიერების დარგი;

▪ სტატიის სათაური;

▪ ავტორის (ავტორების) სრული სახელი, გვარი;

▪ სამუშაო ადგილი, ელ. ფოსტა;

▪ ანოტაცია:

▪ საკვანძო სიტყვები;

▪ ძირითადი ტექსტი;

▪ რეზიუმე ინგლისურ ენაზე;

▪ ბიბლიოგრაფია, ლიტერატურის ჩამონათვალი.

▪ ინგლისური ან რუსულენოვანი სტატიის ძირითადი ტექსტის შემდეგ რეზიუმე ქართულ ენაზე (გაფორმებული იმავე თანმიმდევრობით, როგორც ინგლისური ტექსტი), მოცულობა მაქსიმუმ 300 სიტყვა;

▪ დამოწმებული ლიტერატურის სია უნდა დალაგდეს ტექსტში ციტირების მიმდევრობის მიხედვით (ლიტერატურა ტექსტში აღნიშნული უნდა იყოს ციფრებით კვადრატულ ფრჩხილებში);

▪ ნახაზები და ცხრილები შესაძლებელია ჩაისვას როგორც ტექსტში ასევე ცალკე გვაედზე;

▪ ნახაზები უნდა შესრულდეს JPEG ან PNG ფორმატში, სურათებს და ნახაზებს უნდა ახლდეს წარწერები;

▪ **ელექტრონული ვერსია:** ტექსტის ფორმატირებისთვის საკმარისია პროგრამა MS Word-ის სტანდარტული პარამეტრები. სტატია აკრეფილი უნდა იყოს A4 ფორმატში. შრიფტი - Sylfaen, მინდვრები - ტექსტის ზემოთ და ქვემოთ 30 მმ, მარცხნივ და მარჯვნივ დატოვებული უნდა იყოს 25მმ, ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა უნდა იყოს 10,5 pt, სტრიქონებს შორის დაშორება – 1,15. სქოლიოებში (შენიშვნებში) შრიფტის ზომა – 9pt, სტრიქონებს შორის დაშორება – 1,0. ნახაზე და ცხრილებზე წარწერები 10pt. სტატია უნდა აიკრიფოს ურ სვეტად, სვეტების სიგანე 7,5 სმ, ერთმანეთს შორის დაშორება 1 სმ.

4. სტატიის ტიპოგრაფიული თუ ელექტრონული სახით გამოქვეყნებაზე ავტორმა უნდა განაცხადოს თანხმობა;

▪ მიღებული სტატიის გასწორებული ვერსია, ან დაწუნებული ნაშრომი ავტორს არ უბრუნ-დება.

▪ სარედაქციო საბჭო არ განიხილავს ნაშრომს, რომელიც მოთხოვნების მიხედვით არ იქნება გაფორმებული.

▪ ავტორს შეუძლია ნიმუშად გამოიყენოს ჟურნალის რომელიმე ნომერი.

5. ნაშრომის გამოქვეყნება უფასოა.

ბათუმი, ნინოშვილის 35,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ოთახი 306
ტელ.: 576 262687; 577 179713
e-mail: mikheil.donadze@bsu.edu.ge

GUIDE FOR AUTHORS

Manuscripts should be presented in the following form:

1. Two double-spaced copies of the manuscript, printed on a white paper A4, margined 30 mm below and above, 25 mm on the sides, must be provided. The length of the manuscript should not exceed 12 printed pages, including all text with figures, tables, and equations.

2. Manuscripts can be written in Georgian, English and Russian and sent to the Editorial Board. Attached to the manuscript should be:

- Short information about the research work by the author(s);
- Qualified references from different Institutions;

Articles will be evaluated by the Editorial Board and may be rejected or subjected to further review.

3. Manuscript order:

- Classification;
- Title;
- Full name(s), surname(s) of the author(s);
- Affiliation(s), postal address, e-mail;
- Abstract;
- Key words;
- Text, including acknowledgements and funding sources;
- References in the order of citation (square brackets used);
- After the main text of the English or Russian-language article, a summary in Georgian (in the same order as the English text), maximum 300 words;
- The list of referenced literature should be sorted in the order of citation in the text (literature should be indicated in the text by numbers in square brackets);
- Drawings and tables can be inserted both in the text and on a separate page;
- Drawings must be made in JPEG or PNG format, images and drawings must be accompanied by captions;
- **Electronic version:** Standard text settings for MS Word are sufficient for text formatting. The article should be typed in A4 format. Font - Sylfaen, margins - above and below the text 30 mm, left and right should be 25 mm, the size of the main text font should be 10.5 pt, the distance between the lines - 1.15. In footnotes (fonts) font size - 9pt, spacing between lines - 1.0. Captions on charts and tables 10pt.

4. The author will be asked to give consent to publish the manuscript in print and electronic version.

- Corrected version is not returned to the author(s).
- The Editorial Board reserves the right not to consider the paper, if the instructions are ignored.
- For symbols and style conventions, authors should consult current issues of the Journal.

5. Publication is free of charge.

35 Ninoshvili Street, Batumi
Batumi ShotaRustaveli State University, Room 306
Tel.: 576 262687; 577 179713
e-mail: mikheil.donadze@bsu.edu.ge